

ქველი საქთული ენის ძეგლები. 3.

80

821

ქ. ი. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.

ცეცხლქუჩა

რატონისა და რატონისა

გამოსაგებად დაამზადა

ივ. ჯაბახიძისა

გიორგი მთაწმილისა

იოვანეს და ეფთვიძეს (სტუდენტის მიხედვით)

ა. შანიძისა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი 1946

ПАМЯТНИКИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА. 3.
MONUMENTS OF THE OLD GEORGIAN LANGUAGE. 3.

ГЕОРГИЙ СВЯТОГОРЕЦ

GEORGE THE HAGIORITE

ЖИТИЕ

THE LIFE

СВ. ИОАННА И СВ. ЕВФИМИЯ OF ST. JOHN AND ST. EUTHYMIUS

ПРИГОТОВИЛ К ПЕЧАТИ

PREPARED FOR THE PRESS

И. Джавахишвили

by J. Javakhishvili

ЯЗЫК ГЕОРГИЯ СВЯТОГОРЦА
ПО ЕГО ЖИТИЮ
СВ. ИОАННА И СВ. ЕВФИМИЯ

THE LANGUAGE OF GEORGE
THE HAGIORITE ACCORDING TO HIS
LIFE OF ST. JOHN AND ST. EUTHYMIUS

А. Шанидзе

by A. Shanidze

ქველი ქართული ენის ძეგლები. 3.

ქველი ქართული ენის ძეგლები

480
8.211

ცეცხლქველი რადიკალიზაცია და რევოლუცია

გამოსაგემად დაამზადა
ივ. ჯავახიშვილი

43488
480

გიორგი მთაწმილის ენა

იოვანეს და ეუთვიძეს ცხოვრების მიხედვით

1173

ა. შანიძის

ც	ქველი ქართული ენის
ბ	რადიკალიზაცია და რევოლუცია
ს	ივ. ჯავახიშვილის მიხედვით



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი 1946

5
X
17/9/46

ცხორებად
იკვანესი და ეფთჳმესი

შ ი ნ ა ა რ ს ი

	88
რედაქტორისაგან	VII
От редактора	IX
From the Editor	XI
ივ. ჯავახიშვილი. გიორგი მთაწმიდელი როგორც ისტორი- კოსი (წინასიტყვაობა)	1
გიორგი მთაწმიდელი. ცხორებად იოვანესი და ეფთჳმესი	13
სვინაქსარული რედაქცია იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრებისა	56
იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების ხელნაწერები	61
ა. შანიძე. გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვი- მეს ცხოვრების მიხედვით	67
გრამატიკა	68
ლექსიკონი	82
ტექსტის გამოცემისათვის	162
საძიებელი	163
სათანხმებელი	167
ბეჭდვითი შეცდომები	169

რელატივისტური სისტემა

XI საუკუნის ქართველ ლიტერატორთა შორის ერთი უპირველეს ადგილ-
თაგანი უჭირავს, უეჭველია, გიორგი მთაწმიდელს. რომელიც სათავეში ჩაუდგა
ეფთვიმეს მიერ დაწყებულ ფართო სალიტერატურო საქმიანობას და ლირსეუ-
ლად განაგრძო იგი. გიორგის კალამს მრავალი ლიტერატურული ძეგლი ეკუთვ-
ნის, უმთავრესად ნათარგმნი ან ნარედაქციევი. ნათარგმნი თხზულებათაგან შე-
იძლება დავასახელოთ: დიდი სვინაქსარი, თენი, დიდი პარაკლიტონი, დიდი
მარხვანი, ზატიკი, დიდი კურთხევანი, აგრეთვე ავიოგრაფიული თხზულებანი:
თეოდორე ტვირონის წამება და წმ. გიორგის წამება. რაც შეეხება ნარედაქ-
ციევ თხზულებათ, აქ პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ სახარება, შემდეგ
სამოციქულო (საქმე მოციქულთა, პავლეს ეპისტოლენი და კათოლიკე ეპისტო-
ლენი) და ფსალმუნი¹. მაგრამ გიორგის სალიტერატურო მოღვაწეობის ყვე-
ლაზე უფრო მნიშვნელოვან ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს მისი ორიგინალუ-
რი თხზულება „ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი“, რომელიც ათონის ქარ-
თველთა მონასტრის დაარსებისა და მისი შინაგანი წყობილებას ავსებს მო-
გვიტბრობს. ეს ძეგლი რამდენსამე ხელნაწერშია დაცული, რომელთაგანაც ყვე-
ლაზე უფრო მნიშვნელოვანია კარგად ცნობილი „ათონის კრებული“ (ამჟამად
საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი A 558), რომელიც ორჯერ აღწერეს: ერთ-
ხელ მოკლედ თ. ჟორდანიამ² და მეორედ ვრცლად ნ. ბერძენიშვილ-
მა³. ეს კრებული, რომელიც უკვე მთლიანად არის გამოცემული⁴, გადაწერილია
1074 წ., მასხადამე, გ. მთაწმიდლის გარდაცვალებიდან რვაოდე წლის შემ-
დეგ და უაღრესად საინტერესო ცნობებს შეიცავს არა მარტო საქართველოს
ისტორიის შესახებ, არამედ აგრეთვე საბერძნეთის შესახებაც, როგორც ეს
პროფ. რ. ბლეიკმა აღნიშნა⁵.

¹ გიორგი მთაწმიდლის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ ვრცლად ნახეთ კ. კე-
კელიძის ქართ. ლიტ. ისტ. I, გვ. 188—207.

² Описание рукописей, II, გვ. 85—86.

³ ათონის კრებულის რედაქცია: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XI—B,
გვ. 25—40.

⁴ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით. საიუბილეო გამოცემა სა-
ეკლესიო მუზეუმისა. თბ. 1901. გვ. 1—277. წიგნს მიუძღვის ა. ხაჩანაშვილის შესავალი
წერილი ქართულად, გვ. I—VIII, და მ. ჯანაშვილის არუსულად, გვ. IX—XVIII. ამას გარ-
და, ბოლოში დამატებად დაბეჭდილია: გ. მთაწმიდლის „ცხოვრება“ (A 170 ხელნაწერიდან),
გვ. 249—358. სულ ბოლოს ახლავს საკუთარ სახელთა სარჩევი, 359—368.

⁵ R. P. Blake. Some Byzantine accounting practices illustrated from Georgian sour-
ces (Harvard Studies in Classical Philology. Volume 51, pp. 11—33).

გ. მთაწმიდელი უდიდეს ავტორიტეტად ითვლებოდა ენის საკითხებში⁶ და არაჩვეულებრივი ნაყოფიერების წყალობით, რომელიც მან სამწერლო ასპარეზზე გამოიჩინა, ღრმა კვალი დააჩნია ქართულ სალიტერატურო ენას.

„ცხოვრება იოვანესი და ეფთუშესი“ ორჯერ იყო გამოცემული წინათ: პირველად იგი 1882 წელს დაიბეჭდა¹, მეორედ კი—1901 წელს². მას ყურადღება მიაქცია და ლათინურად თარგმნა, შესავალი წერილი წაუძღვარა და საგულისხმო შენიშვნები დაურთო ბელგიელმა ორიენტალისტმა P. Peeters-მა³. ამ ძეგლის მნიშვნელობა, როგორც იშვიათი საისტორიო წყაროსი, გამოარკვია აკად. ივ. ჯავახიშვილმა⁴. მასვე განზრახული ჰქონდა ძეგლის მეცნიერული გამოცემა და ტექსტი მოამზადა კიდევ სასტამბოდ, მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, საქმის ბოლომდე მიყვანა არ დასცალდა.

აკად. ი. ჯავახიშვილის მიერ გამოსაცემად დამზადებულ ტექსტს წინასიტყვაობად წაუძღვარა მისივე გამოკვლევა ამ ძეგლის შესახებ (გვ. 1—11), დაერთო ბოლოს სვინაქსარული რედაქცია (გვ. 56—61) და მოკლე აღწერილობა ხელნაწერებისა (გვ. 61—63).

ამას გარდა, გამოცემას ახლავს ჩემი გამოკვლევა გ. მთაწმიდლის ენის შესახებ. გამოკვლევა ორი ნაწილისაგან შედგება: გრამატიკული მიმოხილვისა და ლექსიკონისაგან. სალექსიკონო სიტყვების ამოკრეფისას მთავარი ყურადღება ექცეოდა ისეთ ფაქტებს, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ ქართ. სალიტერატურო ენის ისტორიისათვის. სხვათა შორის, ამ ლექსიკონში შემოტანილია ერთი ძირის ზნების პირიან ფორმათა დალაგება გარკვეული სისტემით. აქ პირველად არის გამოყენებული ე. წ. ინდექსები, რომლებიც აადვილებენ ქართული ზნის რთულ ფორმებში გარკვევას და ლექსიკონის მოხმარებას.

გ. მთაწმიდლის თხზულების გრამატიკული ფორმებისა და ლექსიკური მასალის განხილვა ამტკიცებს, რომ ქართ. სალიტერატურო ენის განვითარება შემდგარია ახალ გზაზე: ძეგლში მკაფიოდ ასახულია საშუალო ქართულის დასაწყისი პერიოდის მოვლენები.

20.11.1946.

ა. შ.

¹ დამახასიათებელია, რომ გიორგის შესახებ შემდეგს ამბობს მისი ბიოგრაფი: „ესე ყოველთა უწყით, ვითარმედ ეგვეითარი თარგმანი, თვნიერ მამისა ჩუენისა ეფთუშესა, სხუა არა გამოჩენილა ენასა ჩუენსა და ვგონებ, თუ არცა გამოჩინებად არს“ (ცხოვრება გ. მთაწმიდლისა^ა. ათონის კრებული, გვ. 309, 7—5 ბ.). ეს სიტყვები გამეორებაა თვითონ გიორგის წინადადებისა, რომლითაც მან თავისა წინაპორბედი ეფთვიმე დაახასიათა: „ეგვეითარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არღარა გამოჩინებულ არს და ვგონებ, თუ არცადა გამოჩინებად არს“ (47, 6—8).

² მ. საბინინი. საქართველოს სამოთხე. პეტერბურგი 1882, გვ. 401—432.

ამაზე ადრე მ. საბინინმა ძეგლის შინაარსი რუსულად გამოაქვეყნა: Жизнь славных преподобных отцев наших Иоанна и Евфимия: Полное жизнеописание святых Грувинской церкви. Ч. II, СПб. 1872, стр. 127—160.

³ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით.

⁴ P. Peeters, Histoires monastiques géorgiennes (Extrait des *Analecta Bollandiana*, tome 36—37). Bruxelles 1923, pp. 8—68.

⁵ ი. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წ. I. ძველი საისტორიო მწერლობა. I გამოც. (1916), გვ. 73—84, II გამოც. (1921), გვ. 125—137.

ОТ РЕДАКТОРА

Среди блестящих представителей грузинской духовной литературы XI в. одно из первых мест занимает, безусловно, Георгий Святгорец (иначе: Георгий Мтацмидели, Георгий Афонский). Продолжив широкую литературную деятельность, развернутую его предшественником Евфимием († 1028 г.) в Иверской лавре на Афонской горе, Георгий успешно вел ее до самой смерти († 1066 г.).

Перу Георгия Святгорца принадлежит большое количество литургических и других памятников, переведенных им с греческого, как-то: Великий синаксарий, Минея, Октоих, Триодь (постная и цветная), Требник, Мученичество св. Феодора Тирона, Мученичество св. Георгия и др. Не менее известен он своей редакторской деятельностью: Георгий дал новую редакцию древних переводов некоторых книг Священного писания, сверив их по греческим спискам; таковы: Четвероевангелие, Деяния апостолов, Послания Павла, Кафолические послания, а также Псалтырь. Однако самым замечательным трудом Георгия Святгорца является его оригинальное произведение: „Житие Иоанна и Евфимия“, дающее обстоятельные сведения об основании и внутренней жизни Афоно-иверского монастыря при первых его игуменах Иоанне и Евфимие в конце X и начале XI века.

Памятник сохранился в нескольких рукописях; самой замечательной из них является т. н. „Афонский сборник“ (ныне рукопись Государственного музея Грузии в Тбилиси А 558), описанный дважды: сперва кратко Ф. Жордания¹, а затем пространно Н. Бердзенишвили². Этот сборник, переписанный на Афоне в 1074 году (значит, через 8 лет после смерти Георгия Святгорца) и уже изданный целиком³, содержит богатые сведения не только для истории Грузии, но, как отметил проф. Р. Блэйк⁴, и для истории Византии.

„Житие“ было издано дважды: первый раз М. Сабининым⁵, а второй раз Церковно-археологическим музеем⁶. Бельгийский ориенталист Р. Peeters, включив этот памятник в круг своих научных интересов, дал

¹ Описание рукописей Тифлисского церковного музея. Кн. II, 1902, стр. 85—86.

² Редакция «Афонского сборника»: Вестник Государственного музея Грузии XI—V, стр. 25—40.

³ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებთ (С предисловиями А. Хачанашвили и М. Джанашвили) Тифлис, 1901.

⁴ R. P. Blake, Some byzantine accounting practices illustrated from georgian sources (Harvard Studies in Classical Philology. Volume 51, pp. 11—33).

⁵ საქართველოს სამთხე («Рай Грузии») СПб, 1882, стр. 401—432. Еще раньше М. Сабинин издал «Полное жизнеописание святых грузинской церкви» в двух частях (СПб. 1871—72), куда он внес подробное содержание произведения Г. Святгорца под заглавием: «Житие славных преподобных отцев наших Иоанна и Евфимия» (ч. II, стр. 127—160).

его латинский перевод, снабженный введением и комментариями¹. Как исторический памятник, „Житие“ нашло блестящую оценку в статье акад. И. Джавахишвили, помещенной здесь в качестве предисловия (стр. 1—11). Он же собирался дать и научное издание текста, но, к великому прискорбию, не успел довести начатого им дела до конца. Обработанный им для издания текст, разделенный на главы и стихи, с указанием разночтений, был еще тщательно сверен с первоисточниками и напечатан в настоящем издании (стр. 13—53). В качестве дополнения в конце приложена краткая (синаксарная) редакция „Жития“ (стр. 56—61), подготовленная к печати М. Кахадзе по указаниям покойного историка, а также краткое описание рукописей, использованных для настоящего издания (стр. 61—63).

Кроме того, я счел необходимым поместить в конце мой очерк „Язык Георгия Святогорца по Житию Иоанна и Евфимия“ (стр. 65—160) и указатели собственных имен (стр. 162—166). Очерк состоит из грамматического обзора (стр. 67—82) и глоссария (стр. 82—160). При выборке слов для глоссария особое внимание уделялось фактам, имеющим значение для истории грузинского литературного языка. Здесь дана, между прочим, первая проба расположения глагольных форм одного корня по определенному порядку с индексами, вводимыми мной в практику грузинской лексикографии и дающими возможность легче разбираться в сложной системе формообразований грузинских глаголов.

Обзор главных языковых особенностей „Жития“ (грамматических и лексических) показывает, что груз. литературный язык делает усилия повернуть от ряда древнегрузинских книжных форм и заменить их новыми, взятыми из живого разговорного языка. В памятнике ясно вырисовывается сдвиг в сторону фонетического упрощения слов, уподобления спряжения глаголов страдательного залога спряжению глаголов действ. залога в I группе скрив или рядов (т. е. „времен“ и „наклонений“), изменения системы выражения глагольной категории вида и связанной с ним перегруппировки форм глагольного спряжения, в частности, выделения футурных форм из презентных и т. д. Тем не менее, надо подчеркнуть, что автор в основном стоит на позициях последнего периода (IX—X в.) древнелитературного грузинского языка. Кроме того, язык „Жития“ еще свободен от эллинофильского направления, внесенного впоследствии (XI—XII в.в.) причастные обороты и избегающего относительных форм глаголов. Это и определяет место языка Георгия Святогорца в истории развития груз. литературного языка. Памятник отражает, несомненно, начальный период среднегрузинского языка.

20.11.1946.

А. Ш.

¹ *Histoires monastiques géorgiennes* (Extrait des *Analecta Bollandiana*, tome 36—37). Bruxelles 1923, pp. 8—68.

FROM THE EDITOR

George the Hagiorite (George Mtatsmideli, George the Athonite) undoubtedly occupies one of the first places amongst the brilliant representatives of Georgian ecclesiastical literature of the 11th century. Continuing the great literary activity begun by his predecessor Euthymius (ob. 1028 A. D.) in the Laura of Iviron on Mt. Athos, George led it and largely contributed to it, up to the day of his death (ob. 1066 A. D.).

George the Hagiorite is well known as a translator from Greek into Georgian of many liturgical and hagiographical books. Besides, he revised old Georgian versions of several books of the Bible, comparing them with the Greek mss., e. g. the Four Gospels, the Acts of the Apostles, the Psalms etc.. But his most important literary work is his original composition «The Life of St. John and St. Euthymius» which tells us about the founding and the internal organisation of Iviron cloister where John and Euthymius were the first higumens at the end of the 10th and the beginning of the 11th centuries.

Several copies of this work are extant. The most remarkable of them is inserted in the so called Athos Codex (now A 558, in the State Museum of Georgia) which has been described twice: once, briefly, by Th. Jordania¹ and then, in detail, by N. Berdzenishvili². This Codex was copied on Mt. Athos in 1074 (that is, some eight years after George's death). It is already fully edited³ and contains many interesting facts concerning not only Georgian, but, as was noted by R. P. Blake⁴, also Byzantine history.

«The Life» has been edited twice: firstly by M. Sabinin⁵ and secondly by the Ecclesiastical Museum⁶. This work drew the attention of P. Peeters, who translated it into Latin, preceding his translation with an introductory article and providing it with the necessary footnotes⁶.

¹ Описание рукописей Тифлисского церковного музея. Кн. II, 1902, стр. 85—86.

² ათონის კრებულის რედაქცია: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XI—B, 83. 25—40.

³ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით (with prefaces by A. Khakhanashvili and M. Janashvili). Tiflis 1901.

⁴ Some Byzantine accounting practices illustrated from Georgian sources (Harvard Studies in Classical Philology. Vol. 51, pp. 11—33).

⁵ საქართველოს სამოთხე СПб. 1882, стр. 401—442. Still earlier M. Sabinin published Полное жизнеописание святых грузинской церкви in two parts (СПб. 1871—72), in which he introduced in detail the contents of the work of George the Hagiorite (II, pp. 127—160).

⁶ Histoires monastiques géorgiennes (Extrait des *Analecta Bollandiana*, tome 36—37). Bruxelles 1923, pp. 8—68.

«The Life» received high praise from J. Javakhishvili, who especially stressed its value as a historical source. Javakhishvili's article concerning it is included in the present edition as preface (pp. 1—11). He also intended to publish a critical edition of «The Life», having divided the text into chapters and verses and having notes made of different readings, but, to our great regret, he did not live to see his aim accomplished. Thus prepared for publication, the text was once more carefully collated by me with the primary sources and printed in the present edition (pp. 13—53).

A short (synaxary) redaction of «The Life» has been inserted at the end of this edition (pp. 55—61). M. Kakhadze prepared it for printing according to the instructions given to him by the late historian. Then follows a short description of the mss. which were used for the present publication (pp. 61—63).

Besides, this edition contains, as a supplement, my study «The Language of George the Hagiorite according to his «Life of St. John and St. Euthymus» It consists of two parts: a grammatical survey (pp. 67—82) and a vocabulary (pp. 82—160). When selecting words for the latter, I gave special attention to the facts that are important for the history of the Georgian literary language. Verbs belonging to the same root are placed in the vocabulary in a certain order and are furnished with indexes which are introduced by me for the first time in the practice of Georgian Lexicography. These indexes make it easier to find one's way in the complicated system of Georgian verb.

A close examination of the chief peculiarities of the language of «The Life» shows us that the Georgian literary language is striving to follow a new course, substituting for old words and forms new ones taken from the spoken language. The change is seen clearly in different directions: the words are phonetically simplified; the conjugation of verbs in the passive voice begins to assimilate with the conjugation of verbs in the active voice in group I of the «scrives» (i. e. «tenses» and «moods»), the old system of expressing the category of aspect begins to break up and, because of this, the body of group I of the scrives is dividing into two sub-groups: the present scrives and future scrives etc.

Still, it must be owned that George the Hagiorite holds closely to the traditions of the last period of the old Georgian literary language (9th and 10th centuries). There are no traces here, of course, of the Greacophile tendency which later (11th—12th centuries) influenced the Georgian literary language, introducing participial turns and at the same time avoiding relating forms of verbs. On the whole, this defines the place we must assign to George the Hagiorite in the development of the Georgian literary language. There is no doubt that his work reflects the initial period of Middle Georgian.

A. Sh.

წინასიტყვაობა*

გიორგი მთაწმიდელს ქართულ მწერლობაში მარტო შესანიშნავი მთარგმნელის სახელი აქვს მოხვეჭილი, მაგრამ მას არანაკლები ღვაწლი მიუძღვის ისტორიის წინაშეც. იგი იმავ დროს გამოჩენილი ისტორიკოსიც იყო¹. მას ეკუთვნის: „ცხორება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთუმესი და უწყება ღირსისა მის მოქალაქობისა მათისად, აღწერილი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცეს-მონაზონისა“.

როგორც სათაურითგანა ჩანს, ავტორს განზრახვა ჰქონდა აეწერა იეს და ეფთუმეს „ცხორება“ და „ღირსი მოქალაქობა“, ე. ი. მათი თავგადასავალი და ღირს-შესანიშნავი მოღვაწეობა. ჩვენ ვიცით, რომ ამ თხზულების დამწერმა გიორგი მთაწმიდელმა იეს და ეფთუმეს მოქალაქობის შესწავლას თითონ მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება. მივიდა თუ არა იგი ათონის ივერთა მონასტერში, მან „პირველათგანვე... მოსწრაფებითა და წადიერებითა და გულსმოდგინებით გამოწულილვით გამოიკითხა და გამოიძია მოწაფეთაგან და მეგობართა წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ეფთუმესთა უსხეულოთა მიმსგავსებული და კაცთა ბუნებისა აღმატებული ცხორება და მოქალაქობა მისი და ნეტარისა მამისა მათისა იოანესი და სხუათა წმიდათა ბერთა და დიდებულისა ამის ლაგრისა შენება და განგებანი, რომელნი წმიდასა მამისა ეფთუმეს დაესხნეს“². ათონის მონასტრის დამაარსებელთა და განსაკუთრებით ეფთუმის მწერლობითი მოღვაწეობის შესწავლა თვით გიორგი მთაწმიდელისათვის პირადად საჭირო იყო იმიტომ, რომ მას უნდა განეგრძო ეფთუმის მიერ დაწყებული ქართული საეკლესიო მწერლობის შევსება, გამდიდრება და შესწორება. ხოლო ამისათვის მას, რასაკვირველია, უეჭველად უნდა სცოდნოდა, თუ რის გაკეთება მოასწრო ეფთუმემ და რა დარჩა კიდევ განუხორციელებელი. როცა გიორგი მთაწმიდელის მოძღვარმა დაარწმუნა, რომ მას „ნეშტი დარჩომილი (ე. ი. ეფთუმესი) სრულ-იყო“, მან თავისი მოწაფე „მთაწმიდას, ათონს წარგზავნა... რათა, ვინა-იგი წყაროს-თუალი სიბრძნისა აღმოეცენა მომრწყველად ნათესავისა ჩუენისა, მიერვე აღმოივსნეს ნეტარნი გულისკმის-ყოფისანი და კაცმან ამან ღუთისამან მდიდრად დაათროს სამყარო ეკლესიათა ჩუენთა“³. ათონის მოწას-

* წინასიტყვაობაში დამოწმებული ადგილები გადმოყვანილია ამ გამოცემის თავებზე და მუხლებზე (არა სტიქონებზე). ა. შ.

¹ გიორგი მთაწმიდელის დიადი ღვაწლის შესახებ ქართული ეკლესიის განახლებაში და, ქართული საოგადოებრივი და სოციალური ცხოვრების წარმატებაში იხ. ქლ ერის ისტორია, II, გვ. 483—505.

² ცხორება გიორგი მთაწმიდელისად, ათონის კრებული, საეკლ. მუხ. გამოც. გვ. 299.

³ იქვე, 294.

ტერში იმიტომ იყო საჭირო გიორგი ვადასახლებულიყო, რომ იქ ინახებოდა ეფთუმის ყველა ნამუშავეი თხზულებები.

გიორგი შთაწმიდელი, ერთი სატყვიო, თავის მოღვაწეობის ნაყოფიერების გულსათვის ბეჯითად შესდგომია თავის წინამორბედის ცხოვრებისა და მოქალაქეობის შესწავლას.

მაგრამ ამისდა მსუხედავად, ამ თხზულების დაწერის მიზეზი ერთი სხვა ვარემოებაც იყო. მაინც-და-მაინც ათონის ივერთა მონასტრის დამაარსებელთა ცხოვრების აღწერა თვით გიორგის განზრახული არ არის. იმ განსაკუთრებულმა ვარემოებამ, რომელმაც აიძულა ავტორი ეს თხზულება შეედგინა, თვით „ცხოვრების“ სივრცესა და შინაარსზეც არსებითი გავლენა იქონია.

თვით გიორგი თავის თხზულების შესავალში ამბობს, რომ, რაკი „ესე ნეტარნი მამანი ჩუენნი არარაათ უნაკლულო იყვნეს პირველ გამოჩინებულთა წმიდათასა...“, არა ჯერ-ვიჩინეთ მოუქსენებელად დატეობად ცხოვრებისა მათისაჲ და მამათაცა ჩემთა სულიერთა მიბრძანეს ამისი კელ-ყოფად“-ო [3].

ხოლო მისცე თხზულების ბოლოში მოთხრობილია ის შემთხვევა, რომელმაც ათონის ქართველი ბერები აიძულა, რომ ათონის ქართველთა მონასტრების დამაარსებელთა ცხოვრების აღწერისათვის ეზრუნათ. ეფთუმის მოადგილის დროს, რომელსაც ბიზანტიის კეისარის წინააღმდეგ შეთქმულობაში მონაწილეობის მიღება დასწამეს, ბერძენმა ბერებმა ყოველი ღონისძიება იხმარეს, რომ ქართველებს დაემცირებინათ, ათონითგან განედევნათ და მათი დიდებული ლავრა-მანულები ხელში ჩაეგდოთ. როდესაც ბრალდებული წინამძღვარი მთავრობამ მონასტრითგან განაძევა, „ბერძენთა ესევეითარი ჟამი პოვეს, კელ-ყვეს ყოვლითა ღონისძიებითა, რაჲთამცა ქართველნი ამის მონასტრისაგან აღმოჰფხურნეს, და ამის პირისათჳს დიდა მოსწრაფებაჲ აჩუენეს და მთაჲ ყოველი თანა-შეიწიეს და საბერძენეთისა დიდებულნი და პალატისა წარჩინებულნი ყოველნი მიდრიკნეს და მრავალი შრომაჲ და ჭირი და რუღღუნებაჲ ჩუენ ზედა მოაწიეს. და, რაჲთაჲ მოკლედ ვთქუა, რამეთუ, არა თუმცა უფალი შეწეულ იყო ჩუენდა...“, დღეს არცამცა ერთი ქართველი არა იპოების ესევეითარსა ამას ვრცელსა და დიდებულსა ლავრასა შინა, რომელი-ესე ფრიადითა წარსაგებელითა და მრავლითა ოფლითა მათ წმიდათა მამათა ჩუენთაჲთა ჩუენ ქართველთათჳს აღშენებულ იყო და აღმართებულ“ [117]. განმძვინვარებულმა ხარბმა ბერძენმა ბერებმა თავისი გაიტანეს კიდევ: მათ რამდენჯერმე დააწიოკეს ქართველები და მონასტერი უსირცხვილოდ სამჯერ ზედიზედ გაქურდეს და გაანადგურეს.

მაგრამ ესეც არ იქმარეს. ბერები მოგვითხრობენ, რომ ბერძენებს „ესეცა ენება, რაჲთამცა სახელიცა მაშენებელთაჲ აღმოჰპოკეს“-ო [118, 12]. ეტყობა, იოანეს, თორნიკესა და ეფთუმის სახსენებელი სურდათ მოესპოთ. ამ ვარემოებამ, ასეთმა გამწვავებულმა მტრობამ დიდს საგონებელში ჩააგდო ქართველი ბერები და „რაჲთაჲ ესევეითარი ესე ბოროტი, რომელი მოაწიეს ჩვენ ზედა ბერძენთა, არა დავიწყებულ იქმნას, და კუალად შემდგომად ჩუენსა მომავალნი ესევეითარსავე ჭიოსა შთაცვენ, ამისთჳს ზოგადითა განზრახვითა... წერილი მოსაჯსენებელი დავწერეთ“-ო, ამბობენ ისინი [118, 1]: ამ მოსახსენებელი წერილის ბოლოს ისინი ხელმეორედ სწერენ: „ამის ყოვლისაგან შეგუეშინა და მოსაჯსენებელი ესე აღვწერეთ და დავდევით შემდგომად ჩუენსა მომავალთა

ნათესავთათვის, რადგან არა დავიწყებულ იქმნას და გარეწარ ესევეთარი ესე მრავალფერი ლელვად“-ო [118, 27].

ამავე მიზეზის გამო უნდა „ებძანებინათ სულეერ მამებს“ გიორგი მთაწმიდელისათვის, როცა იგი ათონის მონასტერში დეკანოზად იყო ¹, აეწერა ათონის ქართველთა მონასტრების დამაარსებელთა იქესი და ეფთჳმის ცხორება და მოქალაქობა. რაკი ამგვარი თხზულების საჭიროება ზემოაღწერილ ბერძენ-ქართველთა გამწვავებულმა მტრობამ და მისმა შიშმა გამოიწვია, ამის გამო იგი მარტო იქესა და ეფთჳმის მოღვაწეობას კი არ შეიცავს, არამედ აგრეთვე ათონის ივერთა მონასტრის თავგადასავალსაც დაარსებითგან დაწყებული ბენძენ-ქართველთა შუღლის დამთავრებამდე.

აი რა იყო ამ თხზულების დაწერის მიზეზი.

გიორგი მთაწმიდელი „ცხოვრებას“ პატარა შესავალით იწყებს და იქ შეგვიძლიან შევისწავლოთ მისი საზოგადო შეხედულება როგორც კაცობრიობის ცხოვრების მიმდინარეობის შესახებ, ისე ისტორიის მიზნისა და მეთოდების შესახებ. ეს შესავალი ავტორის თეორიულ შეხედულებას გვისურათებს.

„კურთხეულ არს ღმერთი, ამბობს გიორგი მთაწმიდელი, რომელსა ყოველთა კაცთაჲ ჰნებაეს ცხოვრებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ“ ², რომელი-იგი... უმჯობესსა ყოველთასა განაწესებს და მიუწთომელითა სახიერებითა თჳსითა თჳთოეულთა ჟამთა შინა ღირსთა და სათნოთა თჳსთა გამოაჩინებს სარგებელად კაცთა ნათესავისა და სადიდებელად ღმრთეებისა თჳსისა“-ო (1,1). ამ წინადადებითგან ჩანს, რომ ავტორის შეხედულებით ღვთაებას კაცობრიობის ცხოვნება და ჭეშმარიტების შთაგონება სურს და მარად „უმჯობესსა ყოველთასა განაწესებს“; ერთი სიტყვით, იგი ოპტიმისტური შეხედულებისა და მოძღვრების მიმდევარია. კაცთა ნათესავისათვის „უმჯობესისა“ დამყარებისათვის და „სარგებელად“ განგება „თჳთოეულთა ჟამთა შინა ღირსთა და სათნოთა თჳსთა გამოაჩინებს“. მაშასადამე, კაცობრიობის ისტორიის ყოველ ხანაში, ყოველ დროს თავისი ღირსი მოღვაწე მოველინება ხოლმე, არც ერთი ამგვარ წყალობას გიორგი მთაწმიდელის შეხედულებით მოკლებული არ არის ხოლმე ³. აკი იგი ამბობს კიდევ, რომ „ჩუენთაცა ამათ ჟამთა შინა გამოაჩინნა ნეტარნი მამანი ჩუენნი იოვანე და ეფთჳმე, და იოვანე და, არსენი ეპისკოპოსი ნინოწმიდელი და იოვანე გრძელისძე და შემდგომითი-შემდგომად სხუანი ივანი მოწაჟენი მათნი და მობაძენი სათნოებისა მათისანი“-ო [1,2]. ამგვარად, რახან თვითოეულ ხანას თავისი მოღვაწეები მოველინება ხოლმე განგების მიერ, მოღვაწეთა მოქმედება შეუწყვეტლივ მიმდინარეობს. ღვთაების მიერ ქვეყნად მოვლენილი კაცები მოღვაწეობდნენ კაცობრიობისათვის „სარგებელად კაცთა ნათესავისა“ და „სადიდებელად ღმრთეებისა“.

ამ მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოქალაქობის და სხვაგვარ ღირს-შესანიშ-

¹ ათონის კრებულის, გვ. 299.

² I ტომოთე, 2,4 [ეს მოწმობა ტომოთედან ი. ჯავახიშვილს ხელით მიუწერია თავის დაბეჭდილ ცალში, II გამოც. გვ. 127. რედ.].

³ თითქმის ამგვარივე შეხედულებისა იყო ბასილი ზარზმელიც (ძვ. ქართ. საისტ. მწერლ. III გამ., გვ. 126).

ნავ მოვლენათა აღწერის საჭიროება თვით ღვთაებამ ასწავლა კაცობრიობას: თუმცა ღმერთმა ყველაფერი უწყის, დასაბამიც და აღსასრულიც, მაგრამ „სიგრძე ჟამთაჲ“, მუხთალი დრო „ყოველსავე დავიწყებად მოიღებს“ და ამიტომ „ესრეთ განაწესა ყოვლად ბრძენმან მან განგებულებამან მისმანო, რადთა წიგნთაცა შინა აღიწერნენ საღმრთონი იგი და ყოვლად შუენიერნი საქმენი სოფლის შესაქმისანი და საუფლონი იგი მცნებანი და ბრძანებანი მისნი და ღირსთა მათ და ნეტართა მონათა მისთა ყოვლად ქებულნი ცხორებანი და მოქალაქობანი, რომელნი თუთოეულთა ჟამთა შინა ჯერ-იჩინნა ვამოჩინებად სახიერებამან მისმან სარგებელად კაცთა ნათესავისა“ [2,3]. „ესე ცხად არს დასაბამითგან სოფლისაჲთ და ვიდრე აქამომდე აღწერილთა წიგნთაგან“-ო, დასძენს გიორგი მთაწმიდელი [2,6]. ამგვარად, წარსული ცხოვრების და თანამედროვე მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა ღვთისნიერ, თითქმის სავალდებულო საქმედაა აღიარებული გიორგი მთაწმიდელის მიერ.

შემდეგ მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ ავტორი საისტორიო თხზულებათა მეთოდების შესახებ ცნობებს გვაძლევს. თუმცა იქ იგი თავის დაწერილ ცხორების თაობაზე ლაპარაკობს, მაგრამ ამისდა მიხედვით ჩვენ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ ავტორის საზოგადო შეხედულება ამ საგანზე: „დალაცათუ ჩუენ, ამბობს გიორგი, შემდგომად მრავლისა ჟამისა ღმრთისა მიმართ მისლვისა მათისა გელ-ჟყავთ მცირედთა ამათ სიტყუათა აღწერად, გარნა ურწმუნომცა ნუ ვინ არს, რამეთუ ჩუენ თავით თუსით არარაჲ აღგვწერია, არამედ რაჲ-იგი ვისწავეთ კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა, რომელთა-იგი ეხილენეს და ემსახურა მათდა, რომელნი-იგი უცხო იყვნეს ყოვლითურთ ტყუელისაგან“-ო [4,1]. ამ საყურადღებო ნაწყვეტიდან ჩანს, რომ, თუ მწერალი რომელიმე მოღვაწის ან შემთხვევის ამბის აღწერას შეუდგებოდა „შემდგომად მრავლისა ჟამისა“, მაშინ გიორგი მთაწმიდელის შეხედულებით მკითხველს შეეძლო „ურწმუნო“ ყოფილიყო, ეჭვის თვალთ შეეხედნა ამგვარი თხზულებისათვის. მაგრამ თუ ისტორიკოსი განსაზღვრულ პირობებს ასრულებდა თავისი თხზულების დაწერის დროს, მაშინ მკითხველი ურწმუნო არ უნდა ყოფილიყო. ჯერ ერთი, რომ მას „თავით თუსით არარაჲ“ უნდა დაეწერა, ე. ი. როცა ავტორი მოთხრობილი ამბის, ან მოღვაწის თანამედროვე არ იყო, მას არც შეეძლო თითონ პირადად, როგორც თვითმხილველსა და მცნობელს, დაეწყო ამბის აღწერა და მოთხრობა. თუ კი მას სურდა, რომ მკითხველი მიჰნდობოდა, იმას უნდა აღენიშნა, როგორ და ვისგან გაიგო მოთხრობილი ამბავი, იმიტომ რომ ცარიელი წყაროს აღნიშვნა ისტორიის ღირსებას არ ამტკიცებს. იმ კაცსაც, რომელიც ისტორიკოსს რომელსამე მოღვაწეზე ან შემთხვევაზე უამბობდა, ეს მოღვაწე ან ეს შემთხვევა უეჭველად თავისი თვალთ უნდა ენახა, მისი დაახლოებული კაცი უნდა ყოფილიყო („ემსახურა მათდა“). მაგრამ არც ესა კმაროდა: იგი თითონაც ნდობის ღირსი, „სარწმუნო“ უნდა ყოფილიყო, „რომელნი-იგი უცხო იყვნეს ყოვლითურთ ტყუელისაგან“. თორემ თვითმხილველსაც ხომ შეეძლო ბევრი სიცრუე და ტყუილი ეამბნა ისტორიკოსისათვის.

ამნაირი პირობების ასრულება იყო საჭირო ზეპირი წყაროებით სარგებლობის დროს.

საყურადღებოა, რომ ავტორს, როგორც ეტყობა, ზოგიერთს შემთხვევაში სანდო პირების ყოველგვარ ცნობებისათვისაც ტყუილ-უბრალოდ არ დაუჯერებია: თავდაპირველად იგი ეჭვის თვალთ შეჰხედავდა და, თუ განსაკუთრებით არ დარწმუნდებოდა, ნამბობს არ დაიჯერებდა ხოლმე. როცა, მაგალითად, გიორგი მთაწმიდელს „სულიერმა ძმებმა“ მოუთხრეს, რომ გაბრიელ ქართველი და ლეონ ჰრომი, რომელთაც არც ერთს „თვისა ენისაგან კიდე“ სხვა ენა არ სცოდნიათ და ამისდა მიუხედავად მაინც ვითომც ერთმანეთს მთელი დღეობით ელაპარაკებოდნენო, „დასხდიან და ვიდრე ცისკრისა რეკადმდე უბნობდიან სიტყუათა საღმრთოთა და ვიდრე წარსლვადმდე ამას ესრეთ ჰყოფდიან ყოველთა მწუხრთა“-ო [52, 2], მას, ეტყობა, არ დაუჯერებია და თუ თავის თხზულებაში ეს ამბავი ჩაურთავს, მხოლოდ მას შემდეგ, როცა იმ სულიერმა ძმებმა, რომელნიც „გარემოდს მათსა იყვნეს“, ჩვენ „ფიცით დაგუარწმუნეს“... „და წამებდეს, ვითარმედ, მათისა სიწმიდისაგან ყოველივე შესაძლებელ იყო და სარწმუნო, რამეთუ დიდ იყვნეს ივინი წინაშე ღმრთისა და სრულ“-ო [52, 3]. ყურადღება მიაკცით, რამდენად ეჭვით უნდა ყოფილიყო გამსჭვალული ავტორი, თუ კი გაბრიელისა და ლეონის თვით-მხილველ სულიერ ძმებს, თუ არა ფიცით, სხვაფრივ არ დაუჯერა. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს საქმე წმინდანებს ეხებოდა და ამისთანა საქმეებში ეჭვი საშუალო საუკუნეებში, მეტადრე XI საუკ., დიდ თავისუფლებად უნდა ჩაითვალოს. მაშასადამე, ავტორი ყოველგვარს, თუნდაც თვით მნახველის ნამბობს და თუნდაც წმინდანის შესახებ მოთხრობილს, ისე ადვილად არ დაიჯერებდა. რასაკვირველია, ეხლა ეს ამბავი ჩვენ სულ სხვაგვარად შეგვიძლიან ავხსნათ, მაგრამ ამის გამო გიორგი მთაწმიდელს ვერ ვუსაყვედურებთ, იმიტომ რომ ჩვენსა და მას შორის რვა საუკუნეზე მეტი მანძილი ძევს და შეუძლებელია XI საუკუნის მეცნიერი XIX-XX-ს. მეცნიერების აზრისა იყოს.

ყურადღების ღირსია, რომ გიორგი მთაწმიდელს მარტო ზეპირი წყაროებით სარგებლობა არ აკმაყოფილებდა. „ჩუენ თავით თვისთ არარაჲ აღგუწერი, არამედ რაჲ-იგი ვისწავეთ!... თვთ მებრ მათ საქმეთაგან, რომელნი-იგი ღუმით წამებენ და ჯმა-მალლად ქადაგებენ ლუაწლთა და შრომათა მათთა: ლავრაჲ ესე დიდებული... რომელსა შინა აღჰმართნეს ეკლესიანი ცათა მობაძაენი და აღავსნეს ივინი წიგნთა მიერ ღმრთივ სულიერთა და განაბრწყინვნეს ივინი ხატთა მიერ პატიოსანთა და მოუგნეს დაბანი და სოფელნი და მონასტერნი და დასაყუდებულონი და განუწესნეს წესნი და კანონნი დიდებულნი და ყოვლად შუენიერნი და დაუსხნეს სიმტკიცენი და კელით-წერილნი და ოქრო-ბეჭედნი ღმრთის მსახურთა მეფეთანი... შეამკვეს და აღაყუავეს ენაჲ ჩუენი და ქუეყანაჲ თარგმანებითა წმიდათა წერილთაჲთა“-ო [4].

მაშასადამე, სანდო ზეპირ წყაროებს ვარდა, ჩვენს ისტორიკოსს საჭიროდ მიაჩნდა თავისი თხზულება დაეწერა „თვთ მებრ მათ (ესე იგი იოანეს და ეფუემეს) საქმეთაგან, რომელნი-იგი ღუმით წამებენ და ჯმა-მალლად ქადაგებენ ლუაწლთა და შრომათა მათთა“, ესე იგი ისეთი ნივთიერი საბუთებით, რომელნიც ღუმითადაც კი მოღვაწეთა დიდ საქმეებს ამტკიცებდნენ. საყურადღებოა,

¹ შემდეგი ზემოთ იყო მოყვანილი.

რომ ავტორი ნივთიერ წყაროებად ყოველგვარ მასალებსა სთვლიდა, როგორც სამეურნეო ქონებას, რომელიც მათ ივერთა მონასტერს შესძინეს, მაგ., ლავრა, ეკლესიანი, დაბანი, სოფელნი, მონასტერნი და დასაყუდებულონი, ისე სხვადასხვა სამწერლობო ძეგლებსა და იურიდიულ საბუთებს, მაგ., წიგნები, რომლებითაც მათ ლავრა აავსეს, მათი თარგმანებით შემკული და აყვავებული ქართული ენა, მათ მიერ დადგენილნი სამონასტრო წესნი და კანონნი, მფლობელობის სიმტკიცენი, კელწერილნი და ბიზანტიის კეისართა ოქრო-ბეჭედნი, ანუ ხრიზობულნი. ერთი სიტყვით, გიორგი მთაწმიდელს უსარგებლია მათი მოღვაწეობის დამახასიათებელი ყოველგვარი ნაშთებითა და საბუთებით. თხზულების დაწერის დროს არც ერთი მცირედი და წვრილმანი მასალაც კი არ გამოაპარვია ავტორის ყურადღებას: შეწირული სამკაულისა და ხატების სიაც კი არ დაეიწყებია მას. გიორგი მთაწმიდელი მართლაც უხეად სარგებლობს ყოველგვარი წერილობითი საბუთებით [იხ., მაგალითად, თთ. 5, 31, 32, 43, 58].

როგორც ეტყობა, გიორგი მთაწმიდელი მხოლოდ „კელთა ნუსხა“-ს სთვლიდა „ჭეშმარიტ“, „უტყუველ“, და გამოსადეგ მასალად, ე. ი. ისეთს საბუთებს, რომელიც თვით იმ მოღვაწის საკუთარ ხელით იყო ნაწერი. იგი, მაგალითად, ერთ ალაგას მკაფიოდ ამბობს: „ესე ყოველი თვთ წმიდისა მამისა ეფთჳემეს კელთა ნუსხისაგან დაგვწერია, ვინაჲცა ჭეშმარიტ არს და უტყუველ“-ო [31,7]. ცოტა ქვემოთ იგივე ავტორი ამბობს: „ესეცა ყოველი მამათავე ჩუენთა დაწერილისაგან დაგვწერია“-ო [32,6]. ერთი სიტყვით, გიორგი მთაწმიდელის თხზულებითგან ნათლად ჩანს, რომ მას კარგად ესმოდა, რა დიდი განსხვავებაა საბუთის დედანსა და მის პირს შორის, კარგად სცოდნია, რომ ეჭვმიუტანელ, საუკეთესო საბუთად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ საბუთის დედანი, რომელიც თვით მოღვაწის საკუთარი ხელით არის ნაწერი. ესლა ღირსეულად ვერც კი დავაფასებთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა გიორგი მთაწმიდელის ამ შეხედულებას ისტორიის მეთოდების წარმატებისათვის.

ამგვარად, ცხადია, რომ გიორგი მთაწმიდელის მეთოდოლოგიური შეხედულებისდა თანახმად ისტორიკოსს, თუ კი სურდა, რომ მისი თხზულება სარწმუნო ყოფილიყო, „თავით თჳსით“ არაფერი უნდა დაეწერა, არამედ უნდა ზეპირი წყაროებითა და ნივთიერი საბუთებით ესარგებლნა. ზეპირი ცნობები უმკველად „კაცთა სარწმუნოთაგან“ და თვით-მხილველთაგან უნდა ყოფილიყო შეკრებილი, ხოლო ნივთიერ საბუთებად ყოველგვარი ნაშთი და ძეგლი ჩაითვლებოდა, ერთი სიტყვით, მოღვაწეთა ყოველი „საქმენი, რომელნი-იგი ღუმილით წამებენ და ქადაგებენ ღუაწლთა და შრომათა მათთა“. თანამედროვე საისტორიო მეთოდოლოგია ამ მხრივ ასეთისავე წყაროებითა და ამგვარისავე საშუალებებით სარგებლობს. ქართულ მწერლობაში, მაშასადამე, მეთერთმეტე საუკუნეში გიორგი მთაწმიდელის წყალობით საისტორიო თხზულებათა მეთოდოლოგიური მხარე იმდენად განვითარებული და დამთავრებული იყო უკვე, რომ თანამედროვე მკაცრ სამეცნიერო მოთხოვნისადაც კი თითქმის დააკმაყოფილებდა.

გიორგი მთაწმიდელის სიტყვებითგანა ჩანს, რომ, ვიდრე იგი თხზულების წერას შეუდგებოდა, მას უკვე გეგმა მოფიქრებული ჰქონია, მაგრამ წერის დროს

იძულებული ყოფილა შეეცვალა მოთხრობის წეს-რიგი და დროებით გეგმისათვის თავი დაენებებინა. გიორგი ამბობს: „გაჩნა, რომლისა-იგი ზემორე მეგულე-ბოდა თქუმაჲ, იგი ხოლო ვთქუა პირველად და მერმე... მოკლითა სიტყვთა მივითხრა. რამეთუ ვინაჲთგან დღეთა ამათ უკუანაჲსკნელთა მოვიწიენით და, ვითარცა ხელდავთ, ფრიადი სიგრილე იხილვების ჩუენ შორის, ნუჟუჟე ვინმე ჰგონებდეს და აცთუნებდეს თავსა თჳსსა, თუ პირველითგან ესრეთ იყვნეს ძმანი ჩუენნი; ნუ იყოფინ“-ო [6, 1-2]. მაგრამ შემდეგ, როცა ავტორს თავისი დამამტკიცებელი საბუთები მოჰყავს, იგი ისევ მოთხრობის დედააზრს უბრუნდება და ამბობს: „ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ“-ო [7].

რასაკვირველია, გიორგი მთაწმიდელს უფრო მეტი ცნობები ჰქონდა, ვიდრე თავის თხზულებაში მოყვანილი აქვს. ბევრგან იგი თვით ამოკლებს მოთხრობას: „აჲა უჟუჟე დავაცადოთ ესევითარისა ამის პირისათჳს სიტყუაჲ, ამბობს, იგი, რამეთუ, ვითარცა ვთქუთ, არცა თუ შესაძლებელ არს ყოველთა მათ ქველის საქმეთა მათთა თითოეულად წარმოთქუმაჲ“ [32, 9].

„ცხორება“, რასაკვირველია, წასაკითხავად იყო დაწერილი [30] და ავტორი ცდილობდა მისი თხზულება ადვილი და სასიამოვნო წასაკითხავი და მოსასმენი ყოფილიყო და მეტის-მეტად გაჭიანურებული, გრძელი არ გამოსულიყო. ამიტომ გიორგი მთაწმიდელს იე და ეფთჳმის შესახებ ყველაფერი კი არა აქვს მოთხრობილი, „გამოწულიღვით“ კი არ აღწერს ხოლმე [27, 2], არამედ მხოლოდ ზოგიერთი. ერთს ალაგას იგი თვით ამბობს: „რომელთაგანი რაოდენიმე მოვიგსენოთ და სხუაჲ იგი დავაცადოთ, რადთა არა ფრიადი სიმრავლე წერილისაჲ იქმნას და საწყინო ვიქმნეთ მკითხველთა და მსმენელთა“-ო [30]. უეჭველია, ავტორს გარკვეული შეხედულება უნდა ჰქონოდა იმაზე, თუ როგორ უნდა ყოფილიყო დაწერილი თხზულება. „ცხორების“ წერის გარეგანი, ტექნიკური მხარისათვისაც განსაკუთრებული კანონი არსებობდა. ზემომოყვანილი ნაწყვეტიდან ჩანს, რომ კარგს ავტორს, რომელსაც არა სურდა მკითხველთათვის „საწყინო“ ყოფილიყო, უნდა რაც შეიძლება მოკლედ ეწერა, „რადთა არა ფრიადი სიმრავლე წერილისაჲ იქმნას“. ამისათვის ავტორს თვითოეული აზრის დასამტკიცებლად მხოლოდ ორიოდ მაგალითი უნდა მოეყვანა ხოლმე, დანარჩენი კი გამოეტოვებინა („სხუაჲ იგი დავაცადოთ“). მაგრამ ზოგიერთს შემთხვევაში გიორგი მთაწმიდელი ამათუიმ მოღვაწის სათნოებათა „გამოწულიღვით აღწერასა“ „ნეფსით თანა-წარჯდებოდა“ ხოლმე [27]. ცხადია, რომ ავტორი დაწვრილებით მაშინ მოგვითხრობდა ხოლმე, როცა ეს მკითხველის სულისათვის მარგებელი იქნებოდა.

რასაკვირველია, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ადამიანი არ ასრულებს თავისსავე თეორიულს მისწრაფებას. ჩვენს ისტორიკოსსაც შეეძლო საუცხოო აზრები გამოეთქვა საისტორიო მეთოდების შესახებ, მაგრამ თვითონ პირნათლად ვერ აესრულებინა თავისი მოვალეობა. მაშინაც, უეჭველია, მის ღვაწლს ღირსება არ მოაკლდებოდა. მაგრამ ასეცად უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს და ფასიც უმაღლესი ედება იმ ისტორიკოსს და მეცნიერს, რომელიც თავის მაღალ მეთოდოლოგიურ იდეალს თითონაც ნამუსიანად იცავს და ბრწყინვალედ ახორციელებს. სწორედ ამის გამო გიორგი მთაწმიდელი ქართულ საისტორიო

მწერლობაში შესანიშნავ მეცნიერ ისტორიკოსად უნდა ჩაითვალოს: იგი სინდისიერად მისდევს თავის ზემოაღნიშნული მეთოდების გეგმას და ერთს სტრიქონშიაც კი ჭეშმარიტებას არ ჰღალატობს. თვითოეული მისი ცნობა დამყარებულია მართლაც უტყუარ საბუთებზე და ეხლაც მათი ჭეშმარიტების დამტკიცება შეიძლება. ამნაირი მაგალითების ბლომად მოყვანა ადვილია, მაგრამ მხოლოდ რამდენსამე მოვიყვან,

გიორგი მთაწმიდელს მოთხრობილი აქვს, რომ ეფთჳმე, „რომელი-იგი გამოჩნდა სამკაულად ნათესაგისა ჩუენისა და მობაძავად წმიდათა მოციქულთა, განანათლა ქართველთა ენაჲ და ქუეყანაჲ... ვითარცა წამებენ მის მიერ თარგმნილთა წიგნთა შინა აღწერილნი ანდერძნა, ამის ღირსისა (ე. ი. ეფთჳმის მამის იოანეს) მოლუაწებითა განსწავლულ იქმნა ყოვლითა სიბრძნითა განმანათლებელად და შემამკობელად ეკლესიათა ჩუენთა“-ო [5]. პატარაობითგანვე მოყოლებულიო, ამბობს გიორგი მთაწმიდელი, იოანე თავის შვილს მუდმივ აგონებდა: „შვილო ჩემო, ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნი აკლან, და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა. აწ ილუაწე, რაჲთა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან“-ო [47]. მაშასადამე, იოანეს საგანგებოდ გაუწვრთნია და მოუმზადებია თავისი შვილი, რომ მთარგმნელობა შესძლებოდა. ჩვენი ავტორის ეს ცნობა სრული ჭეშმარიტებაა. ეფთჳმის მამას იოანეს მართლაც მათეს თავის სახარების თარგმანში „ანდერძი“ აქვს დაწერილი, სადაც ამბობს: „ენასა ამას ჩუენსა ქართულსა არავინ სადა პოვნო იყო აქამომდე, რაჲთამცა გამოეხუნეს წმიდანი ესე წიგნი—თარგმანებანი წმიდისა სახარებისანი, არამედ საბერძნეთისა ესე ეკლესიანი და ჰრომისანი საესე იყვნეს ამათგან, ხოლო ჩუენისა ამის ქუეყანისანი ნაკლულევან; და არა ესეოდენ წიგნი აკლდეს ენასა ჩუენსა, არამედ სხუანიცა მრავალნი. ამისთჳს მე, გლახაკი ესე და ნარჩევი ყოველთა მონაზონთაჲ იოვანე, მწუხარე ვიყავ ამის საქმისათჳს, რომელ ესრეთ ნაკლულევან იყო ქუეყანაჲ ქართლისაჲ წიგნთაგან და დიდი ხარკებაჲ და მოლუაწებაჲ ვაჩუენე და შვილი ჩემი ეფთჳმე განესწავლე სწავლითა ბერძულითა სრულიად და გამოთარგმანებად წარვჰმართე წიგნთა ბერძულისაგან ქართულად და აღიწერნეს ჩუენ მიერ“-ო¹.

გიორგი მთაწმიდელს „ცხორება“-ში ეფთჳმის ყველა ნათარგმნი წიგნების სია მოჰყავს. ამ სიის სიმართლის დამტკიცებაც ადვილად შეიძლება. იმავე მათეს თავის თარგმანების „ანდერძში“ იოანეს ჩამოთვლილი აქვს თავისი შვილის ნათარგმნი წიგნები. აი ორივე სია:

ანდერძით

ცხორებით [თ. 49]

- | | |
|--|--|
| <ol style="list-style-type: none"> 1. პირველად თარგმანებაჲ იოვანეს თავისა სახარებისაჲ. 2. მერმე სწავლანი წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისნი, თავი ლ. | <ol style="list-style-type: none"> 1. თარგმანებაჲ იოვანეს თავისა სახარებისაჲ. 2. სწავლანი წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისნი. |
|--|--|

¹ წყაროსთავის XI ს. ხელთნაწერი (თ. უარღანია, ქრონიკები I, 140—141).

ა ნ დ ე რ ძ ი თ

ც ხ ო რ ე ბ ი თ

- 3. მისივე თარგმანებზე ფსალმუნთაა, თავი იბ
- 4. წიგნი იოვანესი, რომელ არს კლემაქსი, ლ.
- 5. წიგნი მაკარისი სრულიად.
- 6. მიმოსლვად და ქადაგებანი წმიდისა ანდრია მოციქულისანი.
- 7. წიგნი წმიდისა ისაკისი და სხუათა მამათა გამორჩეულნი სწავლანი.
- 8. წიგნი წმიდისა დოროთესი.
- 9. წამება და სასწაულნი წმიდისა მოწამისა დიმიტრისნი.
- 10. ცხორება და წამება წმიდისა სტეფანე ახლისა.
- 11. ცხორება და წამება წმიდისა კლიმენტოს ჰრომთა პაპისა.
- 12. წამება წმიდისა კლიმი ანკრელისა.
- 13. ცხორება წმიდისა გრიგოლი ღმრთის მეტყველისა და თქმულნი მისნი.
- 14. ცხორება წმიდისა ბასილი კესარიელისა.
- 15. ცხორება წმიდისა ბაგრატისი.
- 16. წამება წმიდისა სამთა ყრმათა: ალფიოს, ფილადელფოს და კკრინესი.
- 17. ცხორება წმიდისა ონოფრესი.
- 18. ცხორება მარიამ მეგვპტელისა სრულიად.
- 19. სწავლანი წმიდისა ზოსიმესნი და წმიდისა ეფრემისნი.
- 20. სუნაქსარი ბერძული, რომელ არიან კრებანი.

- 3. მისივე თარგმანებზე ფსალმუნთაა.
- 4. წიგნი წმიდისა კლემაქსისი.
- 5. წიგნი წმიდისა მაკარისი.
- 6. [ნახე № 27].
- 7. წიგნი წმიდისა ისაკისი, რომელსა შინა არიან სხუათა მამათა გამორჩეულნი სწავლანი.
- 8. წიგნი წმიდისა დოროთესი.
- 9. წამება და სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა დიმიტრისნი.
- 10. ცხორება და წამება წმიდისა სტეფანე ახლისა.
- 11. ცხორება და წამება წმიდისა კლემენტოს ჰრომთა პაპისა.
- 12. წამება წმიდისა კლიმი ანკრელისა.
- 13. ცხორება წმიდისა და დიდისა ბასილი კესარიელისა [=ანდ. № 14].
- 14. ცხორება წმიდისა გრიგოლი ღმრთის-მეტყველისა და თქმულნი მისნი [=ანდ. № 13].
- 14a. წამება წმიდისა აკეფსიმასი.
- 15. ცხორება წმიდისა ბაგრატისი.
.....
- 16. წამება წმიდათა სამთა ყრმათა: ალფიოს, ფილადელფოს და კკრინესი.
- 17. ცხორება წმიდისა ონოფრი მძოვრისა.
- 18. ცხორება წმიდისა მარიამ მეგვპტელისა.
- 19. სწავლანი წმიდისა ზოსიმესნი.
.....
- 20. სუნაქსარი საწელიწდოა, უმცროსი.

1 წყაროსათვის XI ს. ხელთნაწერი: ქრონიკები I, 141-142. შეადარე აგრეთვე იქვე, გვ. 164, 168, 169, 170, 171, 172, 179.

ა ნ დ ე რ ძ ი თ

21. მიმოსლვანი და ქადაგებანი წმიდისა იოანე მახარებელისანი.
 22. თარგმანებად გალატელთა და თესალონიკელთა და ჰრომეელთა ებისტოლისად.
 23. დასდებელნი მარხვათანი სრულიად
 24. და სხუათა წმიდათა გალობები.
 25. წამებად წმიდისა მოწამისა პროკოპისი.
 [26]. თარგმანებად მათეს თავის სახარებისად¹.

ც ხ რ ე ბ ი თ

21. მიმოსლვანი და ქადაგებანი წმიდისა იოანე მახარებელისანი.
 22. თარგმანებად გალატელთა და თესალონიკელთა და ჰრომეელთა ეპისტოლისად.
 23. დასდებელნი მარხვათანი სრულიად.
 24. და მრავალთა წმიდათა გალობები (sic).
 25. წამებად წმიდისა მოწამისა პროკოპისი.
 26. თარგმანებად წმიდისა მათეს თავისა სახარებისად.
 27. მიმოსლვანი და ქადაგებანი წმიდისა ანდრეა მოციქულისანი [ნახე ანდერძში № 6].

ამ ორი სიის შედარება საუცხოოდ გვიჩვენებს, რამდენად სვინდისიანად სარგებლობდა გიორგი მთაწმიდელი თავისი წყაროებით: ნუსხა სიტყვა-სიტყვით არის გადმოწერილი¹. რაც იოანეს ანდერძში ვერ ეწერებოდა—იმიტომ რომ მის სიკვდილის შემდეგ ეფთუმეს კიდევ ბევრი უთარგმნია—იმ წიგნების შესახებ ცნობები ავტორს დედნებითგან აქვს ამოღებული. საზოგადოდ, თვითოეული ცნობა, რომელიც კი მოჰყავს გიორგი მთაწმიდელს იოანესა და განსაკუთრებით იმის შეილის ეფთუმისა ან ივერთა მონასტრის შესახებ, თუ უტყუარ ზეპირ გადმოცემაზე არა, უეჭველად ამათუიმ წერილობითსა და ნივთიერს საბუთებზე აქვს დამყარებული.

ამ თხზულების დაუფასებელს თვისებას სწორედ ის გარემოება შეადგენს, რომ „ცხორება“-ში ასე უზგად შეტანილი ცნობები უმეტეს ნაწილად საბუთებითგან არის ამოღებული. გიორგი მთაწმიდელი თავის წინამორბედს გამოჩენილს ქართველს მთარგმნელს ეფთუმეს თავგანწირულ მუშაკად და მოღვაწედ აღსახავს: თავის თავს არა ჰზოგავდა და ღამეებს თეთრად ათენებდა ხოლმე, ოღონდ კი თარგმნისათვის მეტი დრო ჰქონოდაო, მონასტრის წინამძღვრობის დროსაც ეფთუმე, თუმცა დრო და მოცალეობა ძალიან ცოტა რჩებოდა, მაგრამ „აწის ყოვლისა თანა კეთილსა მას შრომასა თარგმანებისასა არა დააცადებდა, არცა სცემდა განსუენებასა თავსა თქსსა, არამედ ყოვლადე იჭირვინ და ღამეთა ათენენ, რამეთუ უფროდსნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან, ვითარცა ვთქუთ, ფრიადისა უცალოებისაგან და საურავთა“-ო [50,4]. სრული კეშმარიტე-

¹ ი. ჯავახიშვილს პირველ გამოცემაში „სიის“ ნაცვლად ევლგან „ნუსხა“ აქვს ნახმარი. თვალსაჩინოებისათვის წიგნებს ნომრები დავუხაზით, როგორც ეს არის წყაროს თავის ხელნაწერის ანდერძის ნუსხაში (ქრონიკები, I, 141—142). დანამრვა გავაერკვეთ ცხორების ნუსხაზედაც. შედარება აჩვენს, რომ ანდერძის ნუსხის მე-6 ნომერი ცხორებაში ბოლოს არის შეტანილი [№ 27]. სია „ცხორებაში“ უფრო სრულად არის წარმოდგენილი. ზედმეტი წიგნების ადგილას წერტილები სხედს. ა. შ

ბაა. ეს ცნობებიც ნამდვილ საბუთებზეა დამყარებული. რითონ ეფთვემ თავის ნათარგმნი გრიგოლის ცხორების ბოლოში სწერს: „ლოცვა-ყავთ გლახაკისა ეფთვემსთჳს მთარგმნელისა და შემინდევით: მრავალთა ზრუნვათაგან დიდითა შრომითა და ჭირითა დამიწერია“-ო¹. ხოლო მათეს თავის სახარების თარგმანების ბოლოს ეფთვემ პირდაპირ ამბობს: „ვინცა იკითხვიდეთ, შრომისათჳს ლოცვა-ყავთ და ზომად წერისათჳს შემინდევით: უცალო ვიყავ და უფროდსი ღამით მიწერია“-ო².

ერთი სიტყვით, გიორგი მთაწმიდელის თხზულება უაღრესი ნდობის ღირსია, მრავალმხრივად შინაარსიანია, ღრმა და მაღალი საზოგადოებრივი და ეროვნული აზრებით გამსჭვალულია. საუცხოო ქართულით და მომხიბლავი გულწრფელი კილოთი ნაწერი, იგა სამართლიანად ძველი ქართული საისტორიო მწერლობის საუკეთესო ძეგლად უნდა ჩაითვალოს.

გამოცემულია ორჯერ: პირველად საბინინის მიერ („საქ. სამოთხე“), მეორედ 1072 წ. ხელთნაწერისა მიხედვით საეკლ. მუზეუმის მიერ 1901 წ..

გიორგი მთაწმიდელს იმდენად დიადი ღვაწლი მიუძღვის საქართველოსა და ქართული საისტორიო მწერლობის წინაშე, რომ მისი თხზულება უკეთესი გამოცემის ღირსია. ეს ჩვენი მოვალეობაც არის.

ივ. ჯავახიშვილი

[აკად. ივ. ჯავახიშვილმა პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა, რომელზედაც ის ზემოთ მოყვანილი წერილის ბოლოს ამბობს: გ. მთაწმიდელის თხზულება მან დაყო თავებად და მუხლებად, ამოაწერინა ვარიანტები ხელნაწერების მიხედვით, შეამოწმა და გამართა ტექსტი ძველი ორთოგრაფიის მიხედვით, ერთი სიტყვით, მოამზადა ძველი მეცნიერული გამოცემისათვის, ოღონდ, სამწუხაროდ, ამ საქმის ბოლომდე მიყვანა მას არ დასცალდა.

ტექსტი ამჟამად ქვეყნდება იმ სახით, როგორც ის განსვენებულმა მეცნიერმა დატოვა. თავში ერთვის (წინასიტყვაობად) მისივე წერილი „გიორგი მთაწმიდელი როგორც ისტორიკოსი“³, ბოლოში კი—განსვენებულის მითითებათა თანახმად გადმოწერილი სვინაქსარული რედაქცია ცხორებისა ხელნაწერთა მოკლე აღწერილობითურთ და ჩემ მიერ შედგენილი ენის მიზოხილვა, ლექსიკონი და საძიებლები.

ა. შ].

¹ ქრონიკები, I, 164.

² ქრონიკები, I, 139.

³ ამოღებულია აკად. ივ. ჯავახიშვილის წიგნიდან „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა; წ. I. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, I გამოც. (1916), გვ. 73—84, II გამოც. (1921), გვ. 125—137.; შდრ. II-III შევსებულ გამოცემა, 1945 წ., გვ. 135-144.

ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳქესი
და უწეებად ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ,

აღწერილი გლახაკისა

გეორგის ² მიერ ხუცეს-მონაზონისა

მამაო, გუაკურთხენ ³!

I ტომ.
2, 4

1. 1. კურთხეულ არს ღმერთი, რომელსა ყოველთა კაცთაჲ ჰნებაჲს ცხო-
რებაჲ და მეცნიერებასა ჰეშმარიტებისასა მოსლვაჲ, რომელი-იგი გამოუთქუმე-
ლითა მით განგებულეზბითა თჳსითა უმჯობესსა ყოველთასა განაწესებს, და მი-
უწუმელითა სახიერებითა თჳსითა თუთოეულთა ჟამთა შინა ღირსთა და საო-
ნოთა თჳსთა გამოაჩინებს—სარგებელად კაცთა ნათესავისა და საღიღებელად
ღმრთეებისა თჳსისა; 2. რომელმან ჩუენთაცა ამათ ჟამთა შინა გამოაჩინნა ნე-
ტარნი მამანი ჩუენნი: იოვანე და ეფთჳქე და იოვანე და არსენი ეპისკოპოსი
ნინოწმიდელი და იოვანე გრძელის ძე და შემდგომითი-შემდგომად სხუანი
იგი მოწაფენი მათნი ¹ და მობაძეენი სათნოებისა მათისანი, რომელთა სახელე-
ფილ. 4, 3 ბი აღწერილ არს წიგნსა მას ცხორებისასა. 3. რომელთა მეოხებითა

A 6

ჩუენცა გლახაკნი ესე ღირს გუყუენინ უფალმან მობაძეე ყოფად სათნოებათა
მათთა ² და ნაწილსა მას მარჯუენეთასა ³ მიმთხუევად.
2. 1. ხოლო ვინაჲთჳნ სიგრძე ჟამთაჲ ყოველსავე დავიწყებად მოიღებს,
დადაცათუ წინაშე ღმრთისა ყოველივე ცხად არს და საჩინო და უწყის ყოველ-
თა დასაბამი და აღსასრული, 2. და რომელთა-იგი სათნოდ მისა აღსასრულეს
ცხორებაჲ თჳსი, წინაშე მისსა ბრწყინვენ მარადის და არცა ერთი რაჲ ¹ უტმს
ჩუენმიერი ჳსენებაჲ, 3. არამედ ესრეთ განაწესა ყოველად ბრძენმან მან გან-
გებულეზბამან მისმან, რაჲთა წიგნთაცა შინა ² აღიწერნენ საღმრთონი იგი და
ყოველად შუენიერნი საქმენი სოფლის შესაქმისანი და საუფლონი იგი მცნებანი
და ბრძანებანი მისნი და ღირსთა მათ და ნეტართა მონათა მისთა ყოველად
ქებულნი ცხორებანი და მოქალაქობანი, რომელნი თუთოეულთა ჟამთა შინა
ჯერ-იჩინნა გამოჩინებად სახიერებამან მისმან სარგებელად კაცთა ნათესავისა,

ხელნაწერთა აღსანიშნავად ნახმარი ლიტერების მნიშვნელობა:
A=A № 558; B=A № 170; C=A № 176; D=H № 2077.
ხათაურო: ¹ ცხორებაჲ + წმიდისა და BD. ² გ'ის BCD. ³ გ'ქნ მ'მო BCD.
1. 1 მათნი მისნი D. 2 მათთა]-C. 3 მარჯუენითსა C.
2. 1 ერთი არცა რ'ა C. 2 შინა]-C.

A 7

B 176 h

4. | რაფთა საღმრთოთა მათ და მალალთა საქმეთა მიერ დიდების || მეტყუელებად და სურვილად მისა აღვიძროდით და საუფლოთა მათ ბრძანებათა მიერ განვნათლდებოდით და აღსრულებად მათდა მოსწრაფე ვიქმნებოდით. 5. ხოლო დიდთა მათ და საკუთართა მონათა მისთა ვსენებითა შურად³ და ბაძვად მოვიდოდით საღმრთოთა მათ მოქალაქობათა მათთა⁴, რომელნი-იგი, (ვითარ(კა) ხატნი მეტყუელნი, წინა სხენან⁵ სახედ სათნოებისა და სწავლად სიბრძნისა და სიმკნედ ახოვნებისა ყოველთათჳს, რომელთაცა ჰნებაეს შესლვაჲ ცხორებასა საუკუნესა. 6. და ესე ცხად არს დასაბამითგან სოფლისაჲთ⁶ და ვიდრე აქამომდე აღწერილთა წიგნთაგან და გამობრწყინებულთა წმიდათა, 7. და რომელთა-იგი ილუაწეს და აღწერნეს⁷ ცხორებანი მათნი და ლუაწლნი და შრომანი, კეთილად ვსენებულ არიან წმიდათა ეკლესიათა შინა და ღირს ლოცვისა და კურთხევისა.

A 8

3. ვინაჲთგან უკუე ზემო ვსენებულნი ესე | ნეტარნი მამანი ჩუენნი არა-რაჲთ უნაკულლო იყვნეს პირველ გამოჩინებულთა წმიდათასა, არამედ ყოვლითაჲვე სათნოებითა შემკულ და აღმასრულებელ მცნებათა ღმრთისათა, არა ჯერ-ვიჩინეთ მოუვსენებულად დატეობაჲ ცხორებისა მათისაჲ და მამათაცა ჩემთა სულიერთა მიბრძანეს ამისი კელ-ყოფაჲ. ვინაჲცა ვევედრები ღირსებასა თქუენსა, ღმერთ-შემოსილნი მამანო, რაჲთა არა ბრალეულ ვიქმნე ამის პირისათჳს.

4. 1. ხოლო დაღაცაჲჲ ჩუენ შემდგომად მრავლისა ჟამისა ღმრთისა მიმართ მისლვისა მათისა¹ კელ-ყავთ² მცირედთა ამათ სიტყუათა აღწერად, გარნა ურწმუნომცა ნუენ არს³, რამეთუ ჩუენ თავით თჳსით არარაჲ აღგჳწერია⁴, არამედ რაჲ-იგი ვისწაფეთ კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა, რომელთა-იგი ეხილვნეს და ემსახურა მათდა⁵, რომელნი-იგი უცხო იყვნეს ყოვლითურთ ტყუვილისაგან და საესე მადლითა ზეგარდამოჲთა. | 2. და თჳთ მებრ მათ საქმეთაგან, რომელნი-იგი დუმილით წამებენ და ჯმა-მალლად

B 177 a

52. 1. პირველ მოკსენებულსა¹ მას ღირსსა მღვდელსა გაბრიელს ქართველსა და ამას წმიდასა ბერსა დიდსა ლეონს ჰრომსა ფრიადი სიყუარული აქუნდა სულიერი და, ოდესცა მოვიდის ხილვად მამათა, მახლობელად სენაკსა გაბრიელისსა აქუნდა სენაკი და ჴუნ დაყენის დღენი იგი. 2. და თჳსისა ენისაგან კიდე არცა მან იცოდა, არცა მან. და ვითარცა შებნეღდის, გამოვიდიან თჳსთა სენაკთაგან და ლოცვა-ყვიან და დასხდიან და² ვიდრე ცისკრისა³ რეკადმდე უბნობდიან სიტყუათა საღმრთოთა და ვიდრე წარსლვადმდე ამას ესრეთ ჰყოფდიან ყოველთა მწუხრთა. 3. და იტყოდეს მამანი ჩუენნი, ვითარმედ⁴: „გარემოჲს მათსა იყვნეს სულიერნი ძმანი და ფიცით დაგუარწმუნეს, ვითარმედ: „ოდესცა მოვიდის⁵ დიდი ლეონ, მარადის ესრეთ ჰყოფენ⁶ იგი და გაბრიელ მღვდელი“, და წამებდეს, ვითარმედ: „მათისა⁷ სიწმიდისაგან ყოველივე შესაძლებელ იყო⁸ და სარწმუნო, | რამეთუ დიდ იყვნეს იგინი წინაშე ღმრთისა და A 63 სრულ“.

53. 1. მათ დღეთა შინა იყო ვინმე კათალიკოზი თესალონიკეს, საღმრთოჲ და სულიერი, მეგობარი მამათა ჩუენთაჲ და აქუნდა ჩუეულებად მამასა

1 მ-თა BCD. 2 მონაზონებისა BCD. 3 ვლთგ-ნ შ-ნთა BCD. 4 ბენედიქტესსა BC.

52. 1 პირველად მოკსენებულსა BCD. 2 და—D. 3 ცისკრის BCD. 4 ვითარმედ| ვინაცა BD. 5 მოვიდეს A. 6 ჰყოფენ B. 7 მათი C. 8 იყო| არს BCD.

ეფთვმეს და მრავალ გზის მივალნ მისა და ოდესმე მან მიიყვანის¹ იძულებით.
 B 190 a 2. | ხოლო იყო თესალონიკეს ჰურიად ვინმე შჯულის მეცნიერი, და უნდა კათალიკოსსა, რადამაჲცა მოაქცია იგი ქრისტიანედ და ზედაჲს-ზედა ეუბნებინ. 3. და იყო რაჲ მის თანა მამად ეფთვმე, ევედრა² კათალიკოზი, რადთა ეზრახოს ჰურიასა მას. და ვითარცა მოუწოდეს, იწყეს ზრახვად შჯულისა. 4. და ვითარცა შეიწრდა და უღონო იქმნა ჰურიად იგი წინაშე ნეტარისა მამისა ეფთვმესა, იწყო გმობად ქრისტიანეთა უბიწოსა სარწმუნოებასა³. 5. და ვითარცა ესმა მამასა ეფთვმეს, შეწუხნა და შეპრისხნა და ჰრქუა მას: „დაიყავნ პირი შენი, ბილწო ჰურიად“. და მასვე ჟამსა უტყუ იქმნა და გარე-მიექცა პირი მისი. 6. იყენეს მუნ მდგომარე⁴ სხუანიცა ჰურიანი. | და შეუვრდეს ფერჯთა მამისა ეფთვმესთა, რადთა შეუნდოს. 7. და მან მსუგო, ვითარმედ: „რომელი-იგი გმო, მისგან შეინდოს და სარწმუნოებად მოვიდეს⁵, და მე შემინდობია“. და მერმე ევედრა კათალიკოზი, რადთა შეუნდოს და ლოცვა-ყო. 8. და ვითარცა ლოცვა-ყო და ჯუარი დასწერა, მასვე ჟამსა მოიქცა პირი მისი და სიტყუად იწყო. და მეყსეულად შეუვრდა ფერჯთა მისთა და ქრისტიანე იქმნა და დიდად მორწმუნედ კაცად გამოჩნდა.

54. 1. სხუადცა¹ ვინმე ჰურიად შჯულის მეცნიერი და სწავლული ფრიად და² განთქმული ცილობასა ზედა, ზუაობითა ჰურიებრევითა³ მოუტდა მამასა ეფთვმეს და ენება სიტყუად. 2. ხოლო ნეტარსა მას უძნდა საქმე ესე, აბამედ ბრძანებითა იოვანესითა იიძულა ზრახვად მისა⁴. და ვითარცა იწყო ცილობად და კითხვად, აღუტყნინდა მას⁵ და განუმარტებდა ყოველსავე უარეს ცნობისა. 3. და მზაკუვარმან მან, ვითარცა იხილა ძლეულებად თვისი, იწყო თქუმად სიტყუათა გმობისათა. 4. შე|უძნდა ესე სანატრელსა მას და ჰრქუა, ვითარმედ: „უკუეთუმცა სიტყუასა წერილთასა იკითხევდ, განგიმარტეთმცა და, უკუეთუმცა ჩუენ გუკითხევდ, მიგიგეთმცა. ვინაჲთგან კულა გმობასა მალღისა მიმართ B 190 b იტყუ, დაიყავნ პირი შენი მკომობარი!“. 5. და ვითარცა ესმა, მეყსეულად უტყუ იქმნა და ხეალისა დღე სულნი წარჰკდეს.

55. 1. იქმნა ოდესმე გუალვად ფრიადი და მათი და იენისი და ივლისი¹ და ავგსტოსი უწუმრად გარდავლო და დიდად მისჭირდა ქუეყანასა, ვიდრე-და ფურცელი² ხეთა და ვენაჲთაჲ ვაჲმა³ და სკოდა, და დიდსა ურკასა შინა იყენეს კაცნი. 2. არს მცირე მონასტერი მონასტრისა ჩუენისაჲ მთასა ზედა, სადა-იგი შენ არს ეკლესიაჲ წმიდისა ელია წინაჲსწარმეტყუელისაჲ. და ვითარ მოაწია დღესასწაული წმიდისა ელიაჲსი, პირველ დღისა ერთისა უბრძანა მამამან იოვანე შევილსა თვისსა ეფთვმეს, ვითარმედ: „წარიყვანენ ძმანი და წარვედით⁴ ეკლესიასა⁵ წმიდისა ელიაჲსსა და ღამე ათიეთ და ჟამის-წირვად A 66 აღასრულეთ“ 3. და ოდეს |ამას უბრძანებდა, მრავალნი ძმანი შეკრებულ იყენეს წინაშე მამისა იოვანესსა და რეცა განცხრომის სახედ უბრძანა, ვითა:

53. 1 მოიყვანის BCD. 2 ევედრებოდა BD. 3 სარწმუნობისა D. 4 მდგომარენი BCD. 5 მოვიდის C.

54. 1 სზა BCD. 2 და|—BCD. 3 ჰურიებრევითა D. 4 მისა| მისდა BCD. 5 მას|—C.

55. 1 ფრიადი: მათი, იენისი, ივლისი C. 2 ფურცელი| კრცილი D, ფურცლნი C. 3 გნება BCD. 4 წარვედ BCD. 5 ეკლესიად BCD. 6 და ჟამის-წირვად აღასრულეთ|—BCD.

„ყრმანო, საწჳმრები უკუანა წაიღეთ⁷, რამეთუ ვესავ ღმერთსა, რომელ არა შევიქცეთ ამოდ“. 4. წარვიდეს და ღამე ათიეს. და ვითარ მოიწია ჟამის-წირვისა ჟამი, შეიმოსა წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ეფთჳმე. და ვითარ იწყეს ლოცვად, პირველ⁸ სახარებისა წარკითხვისა გამოჩნდა მცირე ღრუბელი ერისონსა⁹ ზედა, და მასვე ჟამსა აღიესო ცაჲ ღრუბლითა და ვიდრე ჟამისა ზიარებადმდე შეიქმნა წჳმაჲ საშინელი და დაათრო ყოველი ქუეყანაჲ. 5. და ვითარცა იხილეს ესე, ღმერთსა ჳელ-აპყრობით ჰმადლობდეს; და ვითარცა ჟამის-წირვაჲ აღასრულეს და საზრდელი მიიღეს, წარმოვიდეს შინა. და რომელთა ძმათა აქუნდა საწჳმრები, მოლხინებით შთამოვიდეს მონასტრად, ხოლო რომელთა არა აქუნდა,—შრომით და კირით. და ესრეთ ორნივე ჰმადლობდეს ღმერთსა და ნეტარსა მამასა იოვანეს¹⁰.

56. 1. |ოღესმე ინება წმიდამან მამამან ჩუენმან ეფთჳმე აღსლვაჲ მთასა A 67 ათონისასა ფერის-ცვალებად და, ვითარცა არა წესი | მთაწმიდელთაჲ, ერი B 191 ა ფრიადი შეკრებების თხემსა ზედა მთისასა ამას დღესასწაულსა და ღამესა ათევენ. 2. და ვითარ ღამე¹ განათიეს¹ და მოიწია ჟამი ჟამის-წირვისაჲ და შეიმოსა წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ეფთჳმე და სხუანი მღვდელნი მის თანა და ვითარცა სიწმიდე შეიყვანეს და „წმიდა არსი“ აღიღეს, იხილეს მამაჲ ჩუენი ეფთჳმე ვითარცა ცეცხლი მგზებარს. და ზარმან შეიპყრნა ყოველნი. 3. და მასვე ჟამსა ისმა ჳმაჲ ვითარცა ყვილი ერისა მრავლისაჲ, და შეიძრა მთაჲ იგი ძრვითა დიდითა, და ყოველნივე პირსა ზედა დაეცნეს. 4. და ვითარცა აღადგინნა იგინი მამამან ეფთჳმე, შიშისაგან ვითარცა მკუდარნი იყვნეს. და ვითარ იხილნა ესრეთ შეძრწუნებულნი, პრქუა მათ: „ნუ გეშინენ, ძმანო, რამეთუ მოხედვაჲ საღმრთოჲ იქმნა, და ქრისტემან თჳსი დღესასწაული აღიდა“. ხოლო მათ ყოველთა ნუგეშინის-ეცა და მისცეს დიდებაჲ ღმერთსა.

57. 1. |საყდართა შორის საკათალიკოზოთა საჩინო არს და წარჩინე. A 68 ბულ საყდარი წმიდისა ეპიფანე კპრელისაჲ. და ჟამთა ბასილი მეფისათა ოღესმე აღესრულა მთავარეპისკოპოსი, რომელი იყო მუნ. და ფრიად აიძულა მეფემან ნეტარსა ეფთჳმეს, რაჲთა მიითუალოს განგებაჲ მისი. 2. ხოლო მან ყოველადვე არა თავს-იღვა, რამეთუ ყოვლითა მოსწრაფებითა ევლტოდა დიდებასა კაცთასა და შფოთსა სოფლისასა და სიმდაბლესა შეიტკობდა.

58. 1. და ვითარცა იყო ნეტარი მამაჲ ჩუენი ეფთჳმე სავსე ზეგარდამოდთა მადლითა, ეგრეთვე საღმრთონი წესნი და განგებანი დაესხნეს მონასტერსა თჳსსა: პირველად წესნი ეკლესიისანი და განგებანი¹ ყოვლისა წელიწდისანი, ვითარცა წერილ არს დიდსა სუნაქსარსა, სრულებით და დაუკლებლად. 2. და მარადის ევედრებინ ძმათა, რაჲთა მოსწრაფე იყვნენ მისლვად ეკლესიად და წესიერად დგომად და მჭურვალედ ლოცვად. 3. და თჳთ მის ნეტარისა საყოფელი სიმადლესა იყო, | გოდოლსა ზედა მაღალსა, და ვერვინ ვერ² მიუსწ- A 69 რის ცისკრისა³ | ლოცვასა 4. და თჳნიერ კუერთხისა და კედელსა⁴ მიყრდ- B 191 b

7 წარიღეთ B. 8 პდ B. 9 ერისონს BC. 10 „იოვანეს“ უქარაგმოდ სწერია A.

56. 1 გაათიეს B.

58. 1 დაესხნეს... და განგებანი]—BD. 2 ვერ]—BCD. 3 ცისკრის BCD 4 კედლის BCD.

ნობისა დგან იგი ეკლესიას⁵ ყოვლითა მოსწრაფებითა და კრძალულებითა. 5. და ოდეს მცირე რაჲმე საქმე⁶ არნ, მოწაფესა თუსსა საიდუმლოდ უბრძანის და იგი წარვიდის. და გინა თუ იკონომოსისადა ებრძანის⁷ გინა თუ პატრიკონომოსისადა⁸, მოზიდნის ნელიად და შტოსა გაიყვანის⁹ და მუნ უთხრის ბრძანებაჲ მამისაჲ. 6. და ოდეს რაჲმე დიდი იყვის, თუთ გავიდის შტოსა და დაიუბნის¹⁰. 7. ეკლესიასა კულა შინა ყოვლაღვე უბნობასა ვერვინ იკადრებდა.

59. 1. და დაღაცათუ ძმანი კედელსა თანა დგიან, გარნა კედელსა არავინ მიეყრდნობინ¹, რამეთუ იგინიცა მას ნეტარსა ჰბაძვიდეს მსგავსად ძალისა. 2. ჭაბუკთადა გაიწესა² საშოვალ ეკლესიასა³ დგომად და ორ-კეცად და სამ-კეცად დგიან კელ-ძოჭდობით და მოწიწებით. 3. და სკამები საშოვალ დაღვან და ოდეს ჯერ-არნ, | ეგრეთვე ორ-კეცად და სამ-კეცად დასხდიან. 4. და დეკანოზი ოდეს აწუვენ ანუ მნათჲ გინა წიგნის კითხვასა გინა წარდგომასა გინა თუ რომელსაცა⁴ სამსახურებელსა ეკლესიისასა, გუერდით მივიდის და თაყუანის-სცის და უთხრის, რომელ მას ოდენ ესმინ, და მან თაყუანის-სცის და წარემართის თუსსა მსახურებასა.

60. 1. ორნი ეპიტრიტიისნი, რომელ არიან დამხედვარნი, დაედგინნეს, კაცნი საღმრთონი და ღმრთის მოშიშნი¹, ერთი უხუცესი და ერთი უმრწემესი მისა² ქუეშე³, — რომელსა წარავლინებნ სენაკებსა ძმათასა და მოიყვანებნ შინა დაშოშილთა. 2. უკუეთუ ვინმე არა მოვიდის დაწესებულთა ზედა ცისკრისასა, განკანონის⁴ ჯეროვნად, ვითარცა განეწესა მამასა. 3. და რომელნი ძლიერად შურებოდინ დღე⁵ ყოველ და არა მოეცალებინ ძილი, დღისი იგი შრომად მათი ლოცვაღვე დაუთულის. 4. რომელნი კულა ანუ მოცალებით იყვნიან⁶ ანუ სუბუქთა სამსახურებელთა | გინა თუ ხუცესნი გინა თუ დიაკონნი გინა თუ მყა|მობელნი⁷, უკუეთუ ჭაბუკნი იყვნიან, ასი მუჭლი მოადრეკის⁸ საკურთხეველსა წინა, უკუეთუ კულა⁹ ბერნი და უძღლური იყვნიან, უღწნობად და უსა(ჭ)მლობად განუწესის მას დღესა შინა.

61. 1. ლოცვასა ყოვლაღვე ეკლესიისა კართა თანა დგან¹ უხუცესი ეპიტრიტიისი და გამავალთა ძმათა ჰკითხავნ მიზეზსა განსლვისასა. 2. უკუეთუ რაჲმე დიად² საჭიროდ საქმე არა აქუნ, ვერვინ იკადრის განსლვაჲ. ხოლო უკუეთუ რაჲმე საჭიროდ იყვის, უთხრის ეპიტრიტიისსა და კულად მოსწრაფედ შეიქცის. 3. უკუეთუ კულა დაეყოვნის, დიდად აბრალის და დაუმოწმის, ვითარმედ: „ამას ნულარა იქმ“! 4. და უკუეთუ კულა ქმნის-და³, სატრაპეზოს არა⁴ შეუშუს, არამედ ვმელისა პურისა ჰამად განუწესის მას დღესა, ანუ ასი მუჭლი მოადრეკის⁵.

5 ეკლესიასა BCD. 6 საქმე]—BCD. 7 უბრძანის C. 8 პატრიკონომოსისა BCD. 9 განიყვანის BCD. 10 განვიდის შტოდ და იუბნის BCD.

59. 1 მიეყრდნობინ A. 2 გწეწესა BD. 3 ეკლესიისა BCD. 4 რწლსა BD.

60. 1 კცნი სლთანი და ღწნი მოშიშნი დაედგინნეს BD. 2 მის BCD. 3 ქუეშე A. 4 განიკანონის BCD. 5 დღე A. 6 იყუნენ BC, იყვნენ D. 7 მამანობელნი B. 8 მოადრეკინის BD. 9 კულა]—BD.

61. 1 დგანან BCD. 2 დიად]—BCD. 3 A-ში „და“ გადაღუულია. 4 არა] ად D. 5 მოადრეკინის BD.

62. 1. მშრომელთა და მაშურალთადა¹ განეწესა მამასა და შემდგომად დაწესებულთა წარვიდიან და გამოისუენიან² ვიდრე მეორედ რეკადმდე და მერმე კჳალად ეკლესიადვე მოვიდიან 2. უკუეთუ კჳლა დაქსნდის (?), | ეპიტირი- A 72 ტისთა⁴ მოიყვანიან.

63. 1 უკუეთუ ვიეთნიმე¹ შეილაღნიან ძმანი, მოუწმის² მამამან და ნახნის და ბრძანებასა მისსა არა ურჩ ექმნებოდეს³, მშუღობაჲ ქმნიან. 2. უკუეთუ კჳლა გულ-ფიცხელნი იხოვნიან და მასევე ზედა დაადგრიან, განეწესა, რომელ ვიდრე დაგებადმდე ტრაპეზსა ვერ შევიდენ⁴ და პურსა ხოლო და წყალსა ივმარებდენ. ხოლო უკუეთუ წინამძღუარი არა არნ, იკონომოსმან განკანონნის.

64. 1. ოდესცა ეკლესიას¹ შევიდოდნიან²—პირველად მამაჲ ეფთუმე და მერმე ძმანი ყოველნი—ვიდრე მუქლთა ზედა არა მოდრკიან და თაყუანის-სციან წმიდასა ღმრთის-მშობელსა, რომელ არს ბჳეთა ზედა, არა შევიდიან. 2. და ოდესცა მამასა წინა წაუღიდიან³ ძმანი—გინა ეკლესიას⁴ | გონა სადაცა—ვიდ- B 192 b რე არა მოდრკიან და თაყუანის-სციან მდაბლად, არა წარჳვლიდიან. 3. და ეგრეთვე ნეტარნი მამაჲ ჩუენი ეფთუმე არა თუ საპატიოთა კაცთა ოდენ⁵, არამედ მათ ახლად მოსრულთაცა ქუე მოდრეკით თაყუანის-სცემნ და წყალობით მოიკითხაენ.

65. 1. და უკუეთუ ვინმე იხილნის მოსწრაფენი ძმანი, რომელნი ზრუნ- A 73 ვიდიან სულთა თუსათაჲს, ეგვეითართა მათ მიღმართ¹ არას² უბრძანებნ. 2. უკუეთუ კჳლა ვინმე იხილნის უდებნი და დაქსნლინი და ახალ-მოსრულნი, მათ ზედაჲს-ზედა ეუბნებნ, ასწავებნ, ამხილებნ³ და ნუგეშინის-სცემნ და ჯელოსანთა დაჳვედრებნ⁴, რაჲთა მარჯუედ ექცეოდნიან და არარას მიაჳირვებდენ.

66. 1. რაჲ სერობისა ილოციან¹, არა ჯელ-ეწიფებოდა ძმათა არცა სენაკსა შეკრებად უბნობისათჲს, არცა მონასტერსა შინა უბნობად. 2. და თუ ვინმე პაენიან, ეპიტირიტისთა დააცხრენიან² და თუსთა კელნითა წარმგზავნნიან³. 3. უკუეთუ კჳლა წინაღდგომაჲ⁴ ვინმე იკადრის მათი, მამამან უბრძანის და ფიცხლად განკანონნის⁵.

67. 1. ოდეს იხილნიან ვინმე ჳაბუჳთა ძმათაგანნი გინა ერთმანერთისა¹ თანა უბნობად ანუ სიცილად ანუ ჳელის მიყოფად, ფიცხლად ამხილიან. 2. და უკუეთუ მეორედ ქმნიან-ლა², მამასა მოაგსეენიან, და მან მძიმედ განკანონ- A 74 ნის³.

68. 1. უკუეთუ რაჲმე მოჳტდის მტერისა მიერ: ერთმანერთისა მიმართ ფიცხელი შფოთი გინა წუერთა დაგლეჯაჲ გინა მიმცხუევაჲ,—წესი იყო მა-

62. 1 მაშურალთა B. 2 განისუენიან BD. 3 დასხდიან BD, დასცდის C (A-ში ასაკები მეტად გადაღულთა და წაკითხვა საეჭვოა). 4 ეპიტირისთა D.

63. 1 ვინმე BCD. 2 მოუწმის| მოუწმის BD. 3 ურჩ ექმნებოდეს|+და BD. 4 შევიდიან B/D

64. 1 ეკლესიად BCD. 2 შევიდიან B. 3 წარუვლიდიან BCD. 4 ეკლესიას BCD 5 ოდენ| მრ D.

65 1 მიღმართ| მრთ მიღმართ. BD, მრთ მიღმრთს C. 2 არა BD. 3 ამხილებნ|—D. 4 დავედრებენ BCD.

66. 1 რაჲმს სერობისასა ილოცვენ BD. 2 დააცხრენიან B. 3 წარგზავნიან BCD. 4 წინაღმდგომა D. 5 გწკანონის BC, გწკანონის D.

67. 1 ერთმანეთსა C. 2 ქმნიან BCD. 3 განკანონის BCD.

მისა ჩუენისაჲ, რომელ მას თანა ვმა-მადლობაჲ და უწესოჲ გულის წყრომაჲ არა იყო, ვითა იყო ყოვლითავე სათნოებითა შემკული, — ტკბილითა და ჰამოდთა¹ სიტყვთა დაიუბნნის წიგნთაგან და ზებირით. 2. და ჰრქვს, ვითარმედ²: „შვილ-
 B 193 a ნო³! უკუეთუ მიგიშუნე ამას საქმესა ზედა, პირველად სულთა |თქუენთა წაი-
 წყმედთ⁴ და მერმე მონასტერი⁵ უწესოდ გავა⁶ 3. ვინაჲთვან ეგრე მოჰქნდა,
 რომელ ღმერთმან მე დამადგინა თქუენდა მსაჯულად და განმგებელად, უკუე-
 თუ უწურთელად მიგიშუნე, უწყოდეთ, ვითა⁷ მას საუკუნესა მწარედ გაისჯე-
 ბით⁸. 4. უკუეთუ კჳლა მე აქა მცირედ გწუართნე და მადლობით მიითუა-
 ლოთ, მრწამს ღმრთისაგან, ვითა⁹ მის საუკუნოდსა განკითხვისაგან განერე-

A 75 ბით. 5. და ესრეთ რაჲ დაარწმუნის, ცნის |ძალი მის საქმისაჲ ძმათაგან და,
 უკუეთუ ორთაჲვე არნ ბრალი, ორნივე წუართნის, და, უკუეთუ ერთისაჲ,
 — ერთი. 6. ვითარი-ძი¹⁰ იყვის შფოთი იგი, უკუეთუ დიდი იყვის, დიდად
 წუართნის და, უკუეთუ მცირე — მცირედ¹¹; სამამოს¹² მიიყვანნის და უბრძა-
 ნის განრთხმად. და ძმამან მან თაყუანის-სცის და განირთხის თავი თუსი.
 და ერთი ძმაჲ თავსა უმჭირავნ და ერთი ფერკთა და ერთთა¹³ ჩოჯათა¹⁴
 ზედა მიამთხვან¹⁵ ლუედითა: რომელსამე ლ და რომელსამე მ და რომელ-
 სამე სამოცი¹⁶. 7. ხოლო უკუეთუ ვინმე იპოვის ასაბიაჲ და ერთი-მეო-
 რისა მეშუელი, დიდად მოუგინდის¹⁷ და ფიცხლად წუართნის¹⁸. 8. და
 მათ ცემულთა შემდგომად ცემისა მუჟლ-მოდრეკით თაყუანის-სციაჲ და ცრემ-
 ლით შენდობაჲ ითხოვიან მამისაგან. 9. და რომელმანმე ორი მსგეფსი დაყვის
 ქუე¹⁹ მწოლარემან და რომელმანმე სამი. 10. და ჟამითი-ჟამად მივალნ მამად

A 76 და ნუგეშინის-სცემნ სიტყვთ და საქმით| და სანუკვარსა წარსცემნ და ველო-
 სანთა დაჰვედრნის²⁰, რაჲთა ნუგეშინის-სცემდენ. 11. და ვინცა²¹ წუართის
 თზნიერ ყოვლისა მიზეზისა, ნუგეშინის-სცის და აღაშენის: ანუ ჩოჯითა ანუ
 საბეჭურითა ანუ სხუთა რაჲთმე-საგმრითა. 12. და ყოვლაღვე არა იყო დრტუნ-
 ვად გინა გულის-კლებაჲ ცემულთა მათ თანა, არამედ ესრეთ შეერაცხის²², ვი-
 B 193 b თარ|მცა ჭრისტეს ჯელთაგან წურთილ იყენეს.

69. 1. ესევეთარი ჩუეულემაჲ აქუნდა წმიდასა მამასა ჩუენსა ეფთჳმეს:
 რამეთუ სამთა დღეთა შუდელისათა, — ორშაბათსა, ოთხშაბათსა და პარასკე-
 სა, — სენაკსა თუსსა მზისა დასლვასა პური და წყალი ივმარის თზნიერ დიდთა
 დღესასწაულთასა, და სხუაჲ¹ ყოვლაღვე ტრაპეზსა მივალნ. 2. გარნა თუ
 ლავრელი მოვიდის ანუ პროტი, რამეთუ მაშინ ესრე² ირჩიეს ძმათა, რაჲ-
 თა კიდე შეუკაზმვიდენ³ პურსა გინა თუ სამამოს⁴ ანუ თუ სადაცა ენებოს,
 A 77 რაჲთა არა დაეყოვნოს ძმათა სატ|რაპეზოს⁵ მიზეზისათუს შრომისა, რამეთუ
 ფრიად მოხარკე იყენეს ძმანი მაშინ შრომასა.

68. 1. აჰამოთა D. 2 ვითარმედ]—BD. 3 შვილო BCD. 4 წრსწყმენდთ BD. 5 მონასტერ-
 სა C. 6 გავა] იქმნების BD. 7 ვითა] ვითარმედ BD. 8 განისჯებით BD. 9 ვითა] ვ'დ BD. 10 ვი-
 თარიძი BD. 11 უკეთუ მცირედ იყვის, მცირედ BD; უკ'თუ მცირედ იყოს, მცირედ C. 12 სა-
 მამოსა BCD. 13 ერთი BD, ერთითა C. 14 ჩოჯასა BD. 15 ზ'ა მიამთხუშენ BD. 16 სამ-
 მოცი] ა' B. 17 მოუგინდის] შეუშინდის BCD. 18 წუართნის BD. 19 ქუე A. 20 დავედრნის BCD.
 21 ვინაცა BCD. 22 შეერაცხა BCD.

69. 1 სხუაჲ]+დღე BD. 2 ესრეთ BCD. 3 შეუკაზმვიდის D. 4 სამამოსა BD; სა-
 მამაკაცოსა C. 5 სატრაპეზოსა BD.

70. 1. ნეტარი მამია ჩუენი ღვწოსა არა ოდეს ივმარებნ თვნიერ ჟამის-
-წირვისა ანუ ღიდისა რაჲსმე¹ მიზნისა ვიდრე სიბერედმდე. 2. ხოლო ტრა-
პეზსა ოდესცა² დაჯდის, ებრძანა მეტრაპეზისადა, რომელ ძმათა ღვწისაგან
ყოვლადვე თასითა ღვწოსა დაუდგმიდეს, და გემოსა იხილაენ. 3. და უკუეთუ მარ-
ჯუედ არნ, არარაჲ ბრძანის, უკუეთუ კულა ანუ ძმრიანი არნ ანუ მეტი წყალი
ერთის, შემდგომად ტრაპეზით ადგომისა³ დაეუბნის მევაჟინესა⁴, ვითარმედ:
„ძმაო, ამათ ძმათა ნუგეჟინის-საცემელი სხუაჲ არასადათ⁵ აქუს ამის ტრა-
პეზისაგან კიდე⁶. 4. უკუეთუ სუბუქი ღვწოჲ იყოს ყოლა ნუ ურთავ წყალსა,
და უკუეთუ საშუგალი იყოს, ჯერისაებრ ურთე⁷, და უკუეთუ უმჯობესი-რე⁸
იყოს, ვითარცა ჯერ-იყოს“. 5. ეგრეთვე დალაცათუ თუთ არას ივმარებნ, ძმა-
თა საბწელი მოაღების თავისა წინა და | მისიცა გემოჲ იხილის. 6. და უკუე- A 78
თუ ზეთი აკლდის, კელარი დაიუბნის და ამცნის განმართებაჲ, ხოლო უკუეთუ
უმგზარი იყვის ანუ უმარილოჲ ანუ მარილიანი, ოდეს ტრაპეზით აღდგის,
მზარეული⁹ დაიუბნის და ჰრქვს, ვითარმედ: „შიშითა ღმრთისაათა იქმოდე, B 194 a
ძმაო¹⁰, სამსახურებელსა შენსა და ნუ იტყუ, თუ კაცთა ვჰმსახურებ, არამედ
ესრეთ გაქუნდინ, ვითარმცა¹¹ ანგელოსთა ღმრთისათა ჰმსახურებდი, რაათა
სასყიდელი შენ^რ არა წარგიწყმდეს“.

71. 1. წესი იყო მამისა ჩუენისაჲ, რომელ ტრაპეზსა ზედა ყოვლადვე
არა უბნობნ¹, გარნა თუ ვინმე უცხონი იყვიან და იშუთ სადმე² ნელიად
სიტყუაჲ მიუგის. 2. გინა თუ წყალი უნდის გინა თუ ევლოგიასა ვისმე წარ-
სცემნ გინა თუ რაჲმე საჭიროჲ საქმე იყვის ტრაპეზსა ზედა, მოუწმის³ მოწა-
ფესა და იღუმაღ უბრძანის, რომელ სხუამან ვერვინ ცნის. 3. სხუაჲ კულა
ძმათაგანი ყოვლადვე ვერვინ იკადრებნ უბნობასა. 4. მეტრაპეზე კულა⁴ და
ველოსანნი, უკუეთუ საჭიროჲ რაჲმე⁵ საქმე იყვის, იღუმაღ | დაჩურჩინან. ეგ- A 79
რეთვე ძმათა, უკუეთუ საჭიროჲ რაჲმე საქმე იყვის, გინა თუ წყალსა ითხო-
დიან გინა თუ სხუასა რასმე, იღუმაღ ითხოვიან.

72. 1. და ესეცა გაეწესა¹ მეტრაპეზისადა, ვითარმედ: „უკუეთუ ვინმე
იხილო გინა უბნობად გინა სიცილად გინა ლალობად ტრაპეზსა ზედა, შეუ-
თუალე, ვითა²: „მაგას ნულარა იქმ³, თუ არა მამისა გაუწესებია⁴, რომელ გა-
რე გაგიყვანო“. 2. უკუეთუ ვინმე იპოვის⁵ გინა⁶ მტერისაგან გინა სასუმ-
ლისაგან და კულადცა იწყის უბნობად, გინა განცხრომად, შეეთუალა მამისა
ეკლესიასა შინა ძმათადა, ვითა: „დამომცნია მეტრაპეზისადა, რომელ არავინ
აღგიდგეს წინა გარე განყვანებისათჳს“. 3. და არცა ვინ იკადრებდა წინააღ-
დგომასა, და გარე გაიყვანის⁷ ეგვეითარი იგი, ვიდრემდის სახმ განივის⁸.

73. 1. მშრომელთადა დღესასწაულთა და კვრიაკეთა და გინა თუ ჰაე-
რი¹ არნ, მაშინ გაეწესა² | მსახურებაჲ, და შრომისა დღეთა შინა-მყოფნი და B 194 b

70. 1 რ'სამე C. 2 ოდეს D. 3 აღდგომისა BCD. 4 მევაჟინესა] მეღვწესა BD. 5 არაჲ სუ-
დათ ABCD. 6 კიდე A. 7 ურთე A. 8 უმჯობესი BCD. 9 მზარეული BD. 10 ძმ'თა D. 11 ვ'ა B.
71. 1 უნობნ C. 2 სადაჲ BCD. 3 მოუწმის] მოუწდის BD. 4 გულა B. 5 რ'ამე საჭი-
რო BCD.
72. 1 გ'ნეწესა BD. 2 ვითა] ვ'დ ED. 3 ვითარმედ მაგას ნულარა ოდეს იქმ B; ნულა-
რა ოდეს იქმ CD. 4 გ'ნუწესებია BD. 5 იპოვის BCD. 6 გინა]—BD. 7 განყვანის BD. 8 განაგის BD.
73. 1 ჰაერი] ვ'ერი BD. 2 განეწესა BCD.

A 80 ხუცესნი³ და დიაკონნი ჰმსახურებდიან, ვითარცა⁴ მიხუდებინ, და სხუად მოცალე ერი.

74. 1. წესი იყო მამისა ჩუენისაჲ, რომელ, უკუეთუ დიდი რაჲმე საქმე არნ გინა სამეფოჲ გინა ბჭისაჲ, ეკლესიას დაიუბნნის ძმანი. 2. და უკუეთუ საკრებულოჲ რაჲმე არნ, ძმათა უწმის, რომელთა აქუნ მის საქმისა მეცნიერებაჲ,— გინა თუ სამეკედლოჲ იყვის გინა სახუროვნოჲ გინა სავენაჲს, — და მათ თანა დაიურვის სამამოს¹. 3. ესე კულა სხუანი საქმენი წუერილნი იკონომოსსა თანა დაიუბნნის², რამეთუ, დალაცათუ ყოველსა საქმესა მეცნიერ იყო სამ გზის სანატრელი მამად ჩუენა ეფთჳმე, გარნა დიდითა მით სიმდაბლითა თჳსითა თჳნიერ კითხვისა არა რას იქმოდა.

75. 1. და სიბერესა მისსა ზედა არა თავს-იდებდა არგნითა ეკლესიად შესლვაჲდ. 2. ხოლო უძღურთა ძმათადა გაეწესა¹, და² ეკლესიისა შტოსა დგიან მიურდნობით კუერთხთა მათთა ზედა. 3. ხოლო რომელნი მეტადრე უძღურნი³ იყენიან, მათდა ებრძანა, რომელ შტოსავე შინა სბლენ იგინი სკამთა ზედა.

A 81 76. 1. და უფროჲს ყოვლისა ესე უძნ წმიდასა მამისა ჩუენსა: უკუეთუ ვიეთმე ტყუელით გინა ეკლესიისათჳს გინა ძმისა ვისთჳსმე სიტყუაჲ რაჲმე უთხრიან. 2. და ამისთჳს მტკიცედ დაემოწმა, რაჲთა, უკუეთუ ზედამიწევნით არა იცოდინან, ყოვლადვე არა იკადრონ მოგსენებად. 3. ხოლო უკუეთუ ტყუელით რაჲმე მოაგსენიან, მიძიმედ განკანონნის. 4. და ამის¹ მიზგზისათჳს მრავალნი ძმანი მონასტრისაგან გაასხნა², რაჲთა კრებული მშჳდობით იყოსო³.

B 195 a 77. 1. თუესა შინა ორ გზის და სამ გზის კურიაობათა¹ დაიუბნნის ძმანი სწავლითა სულღირითა და², ვითარცა იყო საესე მადლითა ღმრთისაჲთა, წმიდათა წერილთაგან ასწავებნ მათ სარგებელსა სულთა მათთასა. 2. და ესოდენ ღმობიერ იქმნიან ყოველნი, ვიდრე-და³ მრავალი ცრემლი დასთხიიან⁴ და ჰმადლობდიან ღმერთსა და სიტყუაჲ მისი ესრეთ შეიწყნარიან⁵, ვითარცა ქრისტესი. 3. ხოლო ასწავებნ მათ სიყუარულისათჳს და სიმდაბლისა, მორჩილებისათჳს და კრძალულებისა, სიმშჳდისათჳს და უშუოთველობისა, მოამინებისათჳს და მსახურებისა და მოსწრაჲედ მისლვისათჳს ეკლესიად და სხუათა ყოველთავე წესთა კრებულისათა მჭურვალედ აღსრულებისათჳს. 4. და ეტყუნ, ვითარმედ: „ესრეთ ვიხარკოთ, ძმანო, რომელ შეკრებაჲ ჩუენი ამას წმიდასა ადგილსა არა ცუდად იყოს⁶, არცა ამოდ იქმნას განსლვაჲ ჩუენი ამიერ სოფლით. და სხუანი მრავალნი სწავლანი, ვითარცა ღმერთმან მოსცის პირსა მისსა, მიუთხრნის.

78. 1. და ყოვლისავე ჯორციელისა საგმრისაგან¹ უზრუნველ ეყენეს² ძმანი

3 მეოფნი ხუცესნი BD. 4 ვითაცა BCD.

74. 1 სამამოსა C. 2 დაიუბნნის] დაიურნის იუბნის C.

75. 1 გწესა BD. 2 და]—BD. 3 უძღურ D.

76. 1 დამის BCD. 2 გწასხნა BCD. 3 იყოს BCD.

77. 1 კურიაობითა BD. 2 და]—BCD. 3 ვიდრედა]—ყნი C. 4 დასთხიან A. 5 შეიწყნარიან BC. 6 არა ცუდად იყოს ამას წა ადგილსა C.

78. 1 საქმისგნ BCD. 2 იყენეს CD.

და ყოველსავე იგი მისცემნ ვიდრე საწვლადმღე³ და ნემსადმღე. 2. და მი-
ზეზი გარდაეკუეთა, რაათა არას ვინ ზრუნვიდეს და არცა გაჰყიდდეს და არ-
ცა იყიდდეს და არცა რას მოირეწოდეს⁴ და არცა რას მოიგებდეს თვნიერ
მისისა ბრძანებისა. 3. და უკუეთუ ვისმე უნდის ძმისა რაამე მიცემაჲ, თვნიერ
მამისა ბრძანებისა ვერვინ იკადრის მიცემაჲ, ვიდრე არა ჰკითხის. 4. და⁵ უკუე-
თუ |ვინმე გარდაჰდის მცნებასა მისსა და იყიდის,—გინა⁶ შესამოსელი გინა A 83
სხუად რაამე გინა საფასე მოიგის,—ფიცხლად ამხილის და ძლიერად განკანო-
ნის. 5. და მრავალ გზის გვხილავს, რომელ გინა საბეჭურნი იყენიან გინა შე-
სამოსელი ანუ თუ კუნჯული, ცეცხლითა დაწუნის ზღუდესა შინა.

79. 1. რამეთუ იყო ვინმე მთავარ-დიაკონი, ღირსი კაცი და შერაცხილ-
თა შვილი და არა-მცირედი საფასე მიეცა მონასტრისადა 2. და თუხი შესა-
მოსელი, რომელი დაედგა ეკლესიას¹, არა ჰნებავენ, რაათამცა ეანმე შეიმო|სა B 195 b
იგი თვნიერ მისსა. 3. დღესა ერთსა ენება წმიდასა მამასა ჩუენსა შეწირვად
უსისხლოვსა მსხუერპლისაჲ და ჰრქუა სხუასა ვისმე მთავარ-დიაკონსა, რაათა
შეიმოსოს კუართი იგი შესამოსელი პირველ წსენებულისა მის მთავარ-დიაკონი-
საჲ.² 4. ხოლო მან მიუგო, ვითარმედ: „მამაო სულიერო, ნუუკუე³ შეწუნეს
ძნად იგი, რამეთუ არა ჰნებავენ, რაათამცა ვინმე⁴ შეიმოსა კუართი მისი“.
5. ესმა რაჲ ესე მამასა, მოუწოდა მთავარ-დიაკონსა |მას⁵ და ჰრქუა სიმშუდით და A 84
ტბილად, ვითარმედ: „გნებავენ(ა)⁶, რაათა შეიმოსოს ძმამან მან კუართი შენი
და ჰმსახუროს საკურთხეველსა ჩუენ თანა?“ 6. და იხილა⁷, რამეთუ შეწუნა
იგი და არა უნდა, რაათა შეიმოსოს. და ვითარცა აღასრულა წმიდაჲ ჟამის-
წირვად, მოუწოდა ზემო წსენებულსა მას მთავარ-დიაკონსა და ეტყოდა, ვითარ-
მედ⁸: „მითხარ ჰეშმარიტი, რაჲ დავიტევებიეს სოფელსა შინა?“ 7. ხოლო
მან ჰრქუა, ვითარმედ: „წმიდაო მამაო, არა უმეცარ არს ღირსებაჲ შენი, რა-
მეთუ მშობელნი და ძმანი და საფასენი და მონაგებნი არა-მცირედნი დამიტევე-
ბიან და რაჲ-იგი ჯელთა შენთა წმიდათა მიმიცემიეს⁹, თუთ უწყა“.
8. ჰრქუა მას მამამან ჩუენმან: „და ჯერ-გიჩნა¹⁰, შვილო, რაათა მაგის ყოელისა მადლი
და სისყიდელი წარიწყმიდო კუართისა ამის შენისათჳს?“. 9. ხოლო მან ჰრქუა:
„ნუ იყოფინ, მამაო!“ 10. და მეყსეულად უბრძანა მოღებად ცეცხლისაჲ და
აუხითა ჯელითა შთაგდო კუართი იგი ცეცხლსა და ესრეთ დაიწუა. ხოლო
ძმად იგი შეუვრდა წმიდათა ფერჯთა მისთა და |შენდობად ითხოვა. 11. და A 85
ეგრეთვე, უკუეთუ ვისმე აქუნ შესამოსელი გინა სხუად რაამე საგმარი და არა
ჰნებავენ მას, რაათამცა ავმარა იგი ძმასა თჳსსა, რაჲამს უვმნ მას, ეგრეთვე
დაწჳს ცეცხლითა და ეტყუნ, ვითარმედ: „სულთა ჩუენთა დადებად ბრძანებუ-
ლ(ა)¹¹ ძმათა ჩუენთათჳს და შენ განხრწნადსა საგმარსა აღირჩევ უფროვს ძმისა
შენისა და არა გე|კლიმებისა?“ 12. ხოლო მათ სწავლად მისი ვითარცა წამა-
ლი ცხორებისაჲ მიითუალიან და ჰმადლობდიან ღმერთსა, რომელმან მიჰმადლა B 196 a
მათ ესე ვითარი მკურნალი სულთაჲ.

3 საწვრლდმღე BD, საწუღლადმღე C (=საცვლადმღე?). 4 არცა რას მოირეწოდეს]—BCD. 5 და]—BCD. 6 გინა]—BCD.

79. 1 ეკლესიასა BCD. 2 მთვრდკნისა A. 3 ნუუკუე A. 4 ვინ BD. 5 მას]—BD. 6 გნებავენ BD. 7 იხილნა ABCD. 8 ვითარმედ]—BD. 9 მიმიცემიეს BCD. 10 ჯერ-გიჩნსა C. 11 ბრძანებულ არს BCD.

80. 1. მარადის ასწავებენ ძმათა, ვითარმედ: „ჯერ-იყო, რადთამცა არა რას ვეძიებდით სხუასა გარეშე ტრაპეზისა, ვინადთგან უწყით, თუ ვითარითა იწროებითა წარვლეს წმიდათა ყოველთა¹ საწუთროდ² ესე, რომელ არცა თუ წყლითა განიძღებდეს³ თავთა მათთა, კაცნი, რომელთა ღირსვე არა იყო სოფელი ესე, უბრალონი და უბიწონი და წმიდანი ყოვლისაგან(ვე) ცოდვისა.

A 86 2. ხოლო ჩუენ, რომელნი-ესე სავესე ვართ ყოველითა ცოდვითა, | არა კმა არსა ჩუენდა განსუენებდა ტრაპეზისად და ორ გზის დღესა შინა მიღებად საზრდელი-სად სავესებით და უნაკულოდ ღვნითა და საჭმლითა? კმა არს ჭეშმარიტად და ნამეტნავ. 3. ხოლო ვინადთგან არა გუენებავს მცირედცა იძულებად თავთა თვსთად და მრავალთა მიზეზთა ვმიზეზობთ, უკუეთუ ვინმე ტრაპეზსა⁴ ოდენ ვერ დასჯერდებოდის⁵ და გინა მე და გინა თუ ჯელოსანმან მისცეს საჭმარი რადმე, თუთ მან ხოლო მარტომან ივმარენ და სხუასა ძმასა ბრალსა ნულარა შთაავდებენ⁶. და უკუეთუ ესე არა⁷ ქმნას, ორთავე ბრალსა ღმერთი მისგან⁸ იძევს⁹“.

81. 1. ესე კულა სყიდაა გინა ღვნისაა გინა თევზისაა ყოვლადვე არა ვსენებულ არს მონასტერსა შინა თვნიერ ზეთისა, და იგიცა რომელნი მკითხველნი იყენიან ანუ მწერალნი და წასანახავად ანუ საწერლად აინთიან¹.

A 87 სხუად კულა არა იყო წესი, რადთამცა ანუ კანდელსა ინთებდეს, | ანუ ხატთა დაისუენებდეს სენაკთა შინა, არამედ ჯუარი ერთი გინა ხატი: ერთი ესუენის, რადთა, რაჟამს ილოცვიდენ, მათ წინაშე თაყუანის-სცემდენ და ემთხუეოდენ².

B 196 b 2. ოდეს კულა ანუ ზეთი იყიდის ვინმე ანუ | ღვნიად თვნიერ მამისა სიტყვსა, დაუთხიიან³ ავლინსა შინა.

82. 1. ხოლო თვნიერ დიდისა უძღურებისა საჭმელსა არავინ შეიქმოდა, რამეთუ შევიდის მამად სამზარეულოს¹ და² უკუეთუ კოჭობნი იხილნის ცეცხლის³ კიდესა, იკითხის მზარეულისაგან⁴, თუ ვისნი არიან. 2. და უკუეთუ უძღურთანი იყენიან⁵, მიუშვს⁶; უკუეთუ კულა ნაყროვნებით ვინ იქმნ, ზოგჯერ გარე განთხევად უბრძანის და ზოგჯერ საეროსა საჭმელსა თანა⁷ ჩასხმაი⁸.

83. 1. მრავალნი მოვიდიან საფასითა დიდითა მოქალაქენი და სხუათა ადგილთაგან, რადთამცა მო(ი)პარსნეს¹. 2. დაითრგუნის² ჟამ-რაოდენმე და განუსუენის და მერმე უბრძანის: „შეგვნიდვეთ³, ვერ მოგპარსავეთ: | თქუენ კაცნი ხართ სახელაონნი და ჩუენ კაცნი ვართ გლახაკნი და უცხონი, და ოდეს საფასე მისცეთ ეკლესიასა, ვასუენებით გენებავს ყოფად და ნუუკუე⁴ ვერ გაგისუენოთ⁵, და მერმე შესწუხდეთ; და კულად ძმანი ყოველნი ძლიე-

A 88

80. 1 ყთა წთა BCD. 2 საწუთო CD. 3 გნაძღებდეს BD. 4 ტრაპეზსა]+ხა BD. 5 დასჯერდებოდის] დაჯდებოდის BCD. 6 შთავდებენ B, შთავდებენ D. 7 არა]—BD. 8 მისგან]—C. 9 იძიებს C.

81. 1 აღანთიან B, აღანთიან D. 2 ასეა A, ემთხუოდენ BCD. 3 დაუთხიან A.

82. 1 სამზარეულოსა BCD. 2 და]—BCD. 3 ცეცხლისა BC. 4 მზარეულისაგან D. 5 იყენიან] არს BCD. 6 მიუშუნის BCD. 7 თანა] შინა D. 8 შთასხმად BCD.

83. 1 მოიპარსნეს]+ველთა შინა მისთა D. 2 დაითრგუნის] ილუაწის BD, ილუაწის C („ილუაწის“ A-ში აშიაზეა მიწერილი სხვა მელნით, სხვა დროს. ხოლო, „ველსა შინა მისთა“ D-ს გარდა B-ში სტრიქონ ზევით სწერია წვრილად, მკრთალი მელნით). 3. შეგვნიდვეთ BD; შეგვნიდვეთ C. 4 ნუუკუე A.5 გნგისწოთ BD.

რად შურებინ და უკუეთუ ვიეთნიმე მოცალედ იყვნენ, იგინიცა შეწუხდებიან. და ესრეთ მრავალთა უჯმნის და წარვიდიან. 3. ხოლო უკუეთუ ვინმე მოვიდის ძმა მშრომელი და მდაბალი, იტყუნ მამად, ვითა: „გრწმენინ, ძმანო⁶, ამათი⁷ მიჩრევი შეწყნარებაჲ, ვირე ათასიმიცა ვინ დრაჰკანი მომცა“.

84. 1. იყვნეს პირველითგან დიდებულნი კაცნი: ილარიონ კანანახი, აღდგომისა დიაკონი, პირველ შენებასა მონასტრისასა¹ მოსრულ იყო აქა და მისსა იკონომოსობასა აღეშენა მონასტერი და ვითა თჳსსა ძმასა ხედვიდეს მამანი ჩუენნი. 2. და ევედრა მათ, რადათა წარვიდეს იერუსალემს. და წარმგზავნეს მუნ და მრავალნი წელნი დაყვნა დიაკონობასა შინა. 3. და მამათა A 89 მრავალ გზის მიუწერეს და კუალად მოიყვანეს აქავე. 4. და პირველსაცა მო- B 197 a სლვასა და მეორესაცა, რომელ მოილო ვეცხლად და ოქროდ და სტავრად² და საგედრად, უფროდს ოცისა ლიტრისა იყო. 5. და მას მისცეს მოწაულ³ და გაკუეთილი შეუქმნეს, თავისა კრასოვლისაგან კიდე, კოკად ერთი ღუნოდ თუესა შინა და ყველი ერთი და სამი ლიტრაჲ ზეთი და დღივ ერთი პური. და ესე იყო გაკუეთილი მისი.

85. 1. კუალად მოვიდა გვრპელი, ჯოჯიკის მეგანძურთა-უხუცესი, და მონათლა, რამეთუ სამეხი იყო, და არსენი უწოდეს. და დისწული თჳსი ჰმსახურებდა მას. 2. და შემდგომად მრავალთა წელთა კუალად გამოეთხოვა, რადთამცა ნახნა თავისა¹ უფლისწულნი. 3. და ორსავე მოსლვასა უფროდს ათხუთმეტისა ლიტრისა მოილო და მისცა მონასტერსა. 4. და იგივე კანანახისა გაკუეთილი მას შეუქმნეს.

86. 1. კუალად მოვიდა ათანასე პერიტ(ურელი) ძითურთ, დიდად საგმა- A 90 რი ეკლესიისაჲ, და ჰქონდა¹ კარეას² მონასტერი, რომელი-იგი და სხუად ფრიადი სათესე მოსცეს მამათა ჩუენთა. 2. ხოლო მათ გაყიდეს მონასტერი იგი სამას ორმოც დრაჰკნად, და იგივე კანანახისა გაკუეთილი მას ჰქონდა¹.

87. და მათ ჟამთა შინა, ვინცა ვინ მოვიდის ეგევითარი კაცი, ნახევარი საფასისა თჳსისაჲ ეკლესიასა შეწირის და ნახევარი საპყარად მისცის.

88. 1. წმიდისა მამისა ჩუენისა მოლუაწებათა და ერისა საურავთა თანა და წიგნთა თარგმნასა ესეცა დიდი ზრუნვად ეტურთა, რანეთუ არცა პროტი, არცა სხუანი მამასახლისნი თჳნიერ მისისა¹ ბრძანებისა არარას იქმოდეს და იშუთი დღ² გარდავდის, რომელსა² ათი ანუ ათხუთმეტი მამასახლისი არა მოვიდის მათ წინაშე. 2. და კუალად ზრუნვად დიდისა³ ლავრისაჲ, საქმე| მძიმე B 197 b და მრავალ-ფერი მის⁴ ზედავე იყო, რამეთუ დიდსა ათანასის⁵ მისდა მიენდო საურავი და დახედვად და| განგებაჲ მისი.

A 91

89. 1. და მისთა შრომათა და ლუაწლთა ზედა, ოდესცა რამე საეროდ საქმე არნ¹ მონასტრისაჲ, თჳნიერ უცალოებისა თანავე² გავიდის გინა თუ ნა-

6 ძმთ BCD. 7 ამითი C.

84. 1 მონასტრისასა]—C. 2 ოქროდ, სტავრად BCD.

85. 1 თვის BCD.

86. 1 ასეა. 2 კარეას BCD.

88. 1 მისა BCD. 2 რომელსა]—B. 3 დიდი BCD. 4 მისი BCD. ათანასისა BCD.

89. 1 არინ C. 2 უცალოებისავე თა BCD.

ვისა გამოზიდვასა გინა თუ ნავი მოვიდის ხუარბლითა გინა თუ ვენაქთა ასარ-
ვასა გინა თუ აჯოჯვასა გინა თუ სთულებასა³. 2. რამეთუ ვინათგან ახალ-
-ნერგ იყენეს წუთლა ვენაქნი, ყოველთა სარითა განგებამ უნდა. და უფროდნი⁴
დღენი ვენაქთა შრომასა შინა დაყენიან, და ყოვლადვე მამამ მათ თანავე იყ-
ვის, თუნიერ დიდისა მიზეზისა.

90. 1. და კუალად ბურღალთაგან¹ ყოველნი სოფელნი ჭირსა შინა იყე-
ნეს და კინლა უკაცრულ². 2. და ჭირისა³ მაგიერ უფროდნი⁴ სათესავი მთა-
სა შინა იქმნებოდა თოჯითა: საწუნე და დიკად და სელი და თივისა თიბამ.
3. და ამას ყოველსა ძმანი შურებოდნიან⁵ და⁶, ვინათგან ყოველნი იქმოდეს,
არა უმძიმდა, არამედ უღრტუნველად და სიხარულით იქმოდეს. 4. და ამიო
A 92 ყოველთა საქმეთა მამამ ზედას-ზედა მივალნ და ნუგეშინის-სცემნ სიტყვთ
და საქნით და საზრდელითა და სასუმლითა⁷.

91. 1. ყოვლადვე ეტყუნ¹ ნეტარი² მამამ ჩუენი იკონომოსსა, ვითარმედ:
„უწუერულთა მუშათა³ ნუ შეიწყნარებ, ამისთჳს რამეთუ მანებელნი არიან ძმა-
თანი: და ზოგთამე გონებითა ევენების და ზოგთა შეხედვითა. 2. ნურას ეხუეჳ
საფასისა დაკლებასა⁴; უმჯობეს არს, რომელ დაგუაკლდეს ათი და თხუთმეტი⁵
დრაჳკანი, და ძმათა სავნებელი არამე შეემთხვოს“.

92. 1. კუალად უკუეთუ ძმათა ვიეთმე მოიყვანნიან თჳსნი ნათესავნი
უწუერულნი, მამასაცა ჰნებავენ, რადთამცა¹ ისწავლეს სწავლამ და ევლოვნებამ.
B 198 a 2. | გარნა მონასტერსა არა დაიმჭირნის, არამედ გარე სოფელთა გაგზავნის,²
სადა³ იცოდის⁴ უმჯობესი და სულეირი და გამოცდილი იკონომოსი, და ჰურ
აღიზარდნიან. 3. და ოდეს წუერითა შეიმოსნიან, მამინ შემოიყვანის მონას-
ტრად.

93. 1. საჯორეს ყოველნი ძმანი იყენიან მეჯორედ: და ორნი ერის|-
A 93 განნი¹ ჰყვიან მსახურად და მხუეტლად, და სხუანი ძმანი იყენიან. 2. და არა
თუ უმძიმნ, არამედ უფროდსად² უხარინ, რამეთუ მორწყულ იყენიან სულნი
მათნი სწავლითა და მოძღურებითა წმიდისა მამისა ჩუენისათა, რამეთუ ყოვ-
ლადვე იტყუნ³ ვითარმედ: „კრებულსა შინა მყოფნი ამით სამითა⁴ საქმიოთა
ცხოვრებანი: სიმდაბლითა და მორჩილებითა და თჳსისა ნებისა დატევებითა“.

94. 1. ხოლო ოდეს იბილის ძმათაგანი ვინმე უღბად და მოძილად ეკ-
ლესიასა ლოცვასა, ჰკითხის, ვითარმედ: „რად გძინავს ეკლესიასა შინა? არა
გეყოფისა სენაკსა შინა ძილი?“. 2. და თუ უთხრის¹, ვითარმედ: „შინ ვიღუ-
ძებ და მით დამეძინებთან“, უბრძანის², ვითარმედ: „ეგვე, საყუარელო, მტე-
რისა საფრჳს არს“, რადთა მცირისათჳს დადი დაგაჭირვოს. ეკლესიას³ მიმა-

3 სთლობასა BCD. 4 უფროს BCD.

90. 1 ბურღართგან BCD. 2 უკაცრუ C. 3 ჭირის BCD. 4 უფროდნი BCD. 5 შურებოდ-
დენ BD. 6 და|-BCD. 7 სასუმლითა C, სასუმელითა BD.

91. 1 ეტყუნს იყო D. 2 ნეტარი|-B. 3 მუშეთა BCD. 4 დაკლებათა BCD. 5 თხუთმე-
ტი B, დათხუთმეტი (=და ათხუთმეტი?) A.

92. 1 რა C. 2 ასეა. 3 სადაცა D. 4 იცოდეს BCD.

93. 1 ასეა A. 2 უფროსდა BCD. 3 იტყუნ C. 4 სამითა|-C.

94. 1 უთხრის თუ D. 2 უბრძანი C. 3 არის CD. 4 ეკლესიასა BCD.

ვალისა კაცისაჲს ეძიებს ღმერთი, რაჲთა ფრთხილად და ლმობიერად დგეს თუ ესე ვერ შეგიძლია, რაჲთამცა ეკლესიასაცა იღვძებდი⁵ და სენაკსაცა ძი-
ლითა გაძღობოდე⁶? და აქა ნუ| დაიჭინებ, თუ არა, მძიმედ გაგკანონებ“. A 94

95. 1. მეკარგსა მონასტრისასა ყოვლადვე ფრთხილსა და სულიერსა. კაცსა დაადგინებ¹. 2. და ესრეთ დაემცნო, უკუეთუ ესე ადგილისა მრორი-
ნენი² მონაზონნი მოვიდოდინ³, უკუეთუ მწუხრსა მოვიდენ, ისერონ და სამ-
ხარი ჭამონ და გაუჯმენ და დაუმოწმე, რომელ უჟამოდ არა მოვიდოდინ⁴.
3. ხოლო კელართადა ებრძანა, რაჲთა ერისგანთა იგინი ისტუმრებდენ და | B 198 b
უჯმნიდენ. 4. და კელრისა კარსა რაჲთურთით არა ვასწყდებოდა შეკრებად
მრავალ-ფერთა ვნებათათჳს. 5. ხოლო უცხონი თუ მოვიდიან, მესამესა დღესა
შემდგომად ჭამისა ებრძანა, რაჲთა მეკარე უჯმნიდეს. 6. ესე კულა კართა
ზედა შეკრებასა ანუ მონასტრსა შინა ანჯმანსა⁵ ანუ სენაკთა შინა უბნობასა
ურგებსა რაჲთურთით არაჲს იკადრებდა ყოვლადვე.

96. 1. საკელორასა წესი ესრეთ გაეწესა¹, რაჲთა საკმელსა არა იქმო-
დინ², გარნა თუ³ უცხონი იყენიან ანუ მშრომელნი ვინმე და მათთჳს ზოგ- A 95
ჯერ ადგილსა შექმნიან და ზოგჯერ სამზარეულოს⁴ და მუნ წაიღიან. 2. კელარ-
ნი კულს სამზარად ყოვლადვე სატრაპეზოს მივიდიან,—ერთი პირველსა და მეო-
რე მეორესა ტაბლასა,—და ეგრეთვე მევაჟინენი. 3. მაგრა კელართა მწუხრსა
თუ რაჲმე ეგმარებინ, შინა იგმარიან⁶.

97. 1. ყოვლისა უფროსსა ეპისტატისათჳს, რომელ არს მუშათა უხუცესი,
ჰევედრებენ მამად ეფთჳმე და ეტყჳნ, კითა: „ნუმცა რაჲ დააკლდების ეპისტატსა,
რომელ არა შეწყუხდეს და ოცდაათი ანუ ორმოცი მუშად არა მიაცთუნოს, და
ესთენი განძი ბედით წაჯდეს¹, რომლისად თანა-გუაც მათდა მიცემად. 2. მო-
სენაეთა² კულა მოწაფენი ყოველსავე საეროსა სამსახურებელსა გავიდოდინ-
3. და მზარაულისადა³ დაემცნა⁴, რაჲთა მათი საკმელი მან შეუქმნას. 4. და
თუ საჭიროჲ რაჲმე⁵ საქმე არა არს, მამისაცა მოწაფენი ძმათავე თანა წაღი-
დიან⁶ მსახურებასა. 5. და უფროსჯერ მოსენაენიცა⁷ ძმათა სათნოებისათჳს A 96
ძმათავე თანა გავიდიან⁸, უფროსსა, ოდეს მამად მუნ იყვის.

98. 1. აპოთიკი და ბოსტანი და წასქვლი კელრისა¹ საურაენი იყვნეს.
და ამათგანსა, რაჲცა ვის² ეგმარებინ, კელარი ეურვინ იკონომოსსა³ თანა და B 199 a
მამასახლისსა⁴. 2. ხოლო საპარიკონომოსთა და საწანგროდ და საჯორც და სამ-
კედლოდ და ხურონი და კალათანი და მანდრინნი და ვენაენი და მენაენი — ესე

5 იღვიძებდე C. 6 ასეა A, განძღობოდი BD, განძღობოდე C.

95. 1 დაადგინებენ CD. 2 ასეა A, მრთინენი BCD. 3 ასეა A, მოვიდოდინ B. 4 მო-
ვიდოდენ BCD. 5 აჯმნას BC; აჯმნეს D.

96. 1 გწესესა BD. 2 ასეა A. იქმოდენ BCD 3 უ|—B. 4 სამზარეულოს BCD. 5 სა-
ტრაპე ზოსა BD. 6 იგმარინ C, იგმარონ BD.

97. წარჯდეს BCD. 2 მოსენაეთა C. 3 ასეა A, მზარაულისა D. 4 დაემცნო BCD. 5
რაჲმე|—D. 6 წარვიდიან BCD. 7 მესენაენიცა BD, მესენაენიცა C. 8 განვიდიან BCD; განვ-
დიან C.

98. 1 კელარისა BD. 2 ვის| ვინ BCD. 3 კონომოსსა A. 4 მამასახლისისა B. 5 და მენა-
ვე და ვენაენი BCD.

იკონომოსისა გასაგებელნი იყვნეს. 3. კელარსა კენაჯთა ზედა ყურძნისათჳს არა ჰქონდა გელმწიფებაჲ, ეგრეთვე იკონომოსსა ხილისათჳს; გინა შინა მონასტერსა გინა გარე მეტოქთა კელარისა გასაგებელნი იყვნეს,—გინა თუ ზეთისხილი იყვის, გინა თუ ნიგოზი გინა თუ სხუად ხილი. 4. ოდეს კულა რაჲმე წასაცემელად⁶ საწმარ არნ, კელარსა გაეზრახის იკონომოსი. 5. ხოლო ოდეს მოიწიფის, კელარნი ზედაჲს-ზედა გავიდოდინ მეტოქთა და მოჰნახვიდიან ხილნართა და მუნ მყოფთა მოუჩუენიან და დაამცნიან⁷, ვითარმედ: „შინა და გარე დიდად ეგმარების ძმათა და ეკლესიასა; რომლითა გაერებოდი, იგი ხოლო დაიმჭირე და ნურას⁸ დააკლებ“. 6. და ვერარას⁹ იკადრებდეს უწყსოსა საქმესა ქმნად, ყოველი კელარსა შევიდოდა¹⁰ და უხუებით ჰქონდა¹¹ მისაცემელი სატრაპეზოს და სადაცა საწმარ არნ წარსაცემელად. 7. უკუეთუ კულა ეგმარებოდინ კელარსა ანუ მონაზონნი ანუ¹² ერისგანნი, იკონომოსმან მისცნის.

99. 1. ოდეს მამაჲ შინა¹ არნ, რაჲცა ვის ეგმარებინ, თუთ მამასა მოაგსენის, იკონომოსსა არას ვინ² სთხოვენ, და თუ ვინმე სთხოის³, მამასა თანა მიავლინის. 2. ოდეს კულა შინა არა არნ, მერმე გააგებნ იკონომოსი.

100. 1. იკონომოსისა განწესებული შუდი კრასოვული იყო და ოდეს^{A 93} ტრაპეზსა| დაჯდის მწუხრსა, ოთხი კრასოვული მიართვან. 2. უკუეთუ კულა^{B 199 b} შინა არა იყვის, დაემცნა მამასა: „საქმელსა ერთსა შეუქმოდეთო და ხილსა და ზეთისხილსა და რაჲცა ითხოოს¹, მისცემდით“. 3. და რაჲცა დაუშთის, საკელროსავე წარსცის.

101. 1. მაშინ წესი ესე იყო¹, რომელ კელარისადა დაემცნა² წინამძღუარსა საწმარისა მიცენად ძმათა და გელოანთაჲ: გინა თუ გაკუეთილი³ მათი გინა თუ მეტსა ვინ ითხოვენ. 2. და ამისთჳს იკონომოსსა თანა არავეინ რას მივაღნ. უკუეთუ მამაჲ შინა⁴ არა არნ⁵, უკუეთუ კულა სტუმარნი ვინმე მოვიდიან, მაგრა იკონომოსმან განავის. 3. სხუად კულა საწმარი იკონომოსისაგან ითხოვიან,—გინა თუ მოგუნი გინა თუ ჩაფლანი⁶ გინა თუ ტყავი გინა თუ საბლები გინა თუ სელი,—ესევეითარი იკონომოსისაგან ითხოვიან. 4. და ესრეთ ყოველივე საქმე განწესებულად იყო და უშფოთველად იყვნეს ყოველნი⁷.

102. 1. აგარათა მონასტრისათა,—ვითა¹ სისი|კონი არს და კარავანი² და ღმრთის-მეტყუელი და სხუათა ესევეითართა,—თავისა გასარომელსა სრულეზი მისცემდიან მონასტრით. 2. და რაჲცა იქმნის მუნ, ყოველსა ქუე³ მოიდებდიან, თუნიერ რაოდენისამე, რომელი⁴ მუნ მყოფთა დაუტევიან მათდა საწმარად.

6 წარსაცემელად BCD. 7 ამცნიან BC. 8 ნურას C. 9 ველარა რასა C. 10 შეუვიდოდა BCD. 11. ასეა. 12 ანუ]—BCD.

99. 1 შინა]+არა BD. 2 არას ვინ] არავეინ BCD. 3 სთხოვის C.

100. 1 ითხოვოს C.

101. 1 იყო ესე C. 2 დაემცნო BCD. 3 გწუქსილი BD. 4 შინა] ში D. 5 არინ C. 6 ჩაფანი B. 7 ყოველნი]—BCD.

102. 1 ვითარ C. 2 კარავანი C. 3 ქუე A. 4 რომელნი BCD.

103. 1. კუალად მოსენაეთადა¹ გაეწესა წმიდასა მამასა ჩუენსა: და უკუეთუ პური დაუშთის, არა აქუნ ჳელმწიფებაჲ სადავე მიცემაჲ, არამედ კელარსავე მისციან.

104. 1. იყენეს უკუე¹ შინაცა და გარეცა სულიერნი და ღმერთ-შემოსილნი მამანი: სანატრელი არსენი^{1a} ნინოწმიდელი და წმიდაჲ ბერი იოვანე გრძელის ძმ და სულითა შემოსილი იოვანე ბერი მარტოდ-მყოფი² და სსუანი მობაძავნი მათნი, კაცნი ჳეგარდამოათა მადლითა³ განათლებულნი და ანგელოსთა მობაძავნი ცხორებითა. 2. და სსუათა მათ სათნოებათა მათთა ჳედა და⁴ მოხუცებულებასა⁵ ამასცა იქმოდეს, რომელ ვერარაჲთ ვერ დაარწმუნა მამა-B 200 a
მან, რაჲთამცა სნეულთა პური და ღვინოჲ აიღდეს, არამედ ძმათა პურსა და, თუ A 100
ეგმარებინ, კრასოვულსა მათსა კმა-იყოფდეს. 3. დაღაცათუ არა-მცირედი შესაწირავი მიეცა მონასტრისადა, არამედ არარას თაგს-იდებდეს აღებაჲ გარეშე საჭიროჲსა მის და უნდოჲსა ჳორცთა საგმრძსა. 4. და კუალად ყოველთა აზნაურთა ჩუენთა დიდი სარწმუნოებაჲ აქუნდა მათისა ღირსებისა მიმართ და მრავალ გზის ევლოვასა წამოსცემდეს⁶ მათ წინაშე. 5. ხოლო მათ კელად მიიღიან და ულოციან და, ვითა დაბეჭდული იყვის, ეგრეთვე მამასა თანა წარციან⁷. 6. მრავალ გზის ევედრებინ მამად, რაჲთა რაოდენიმე გლახაკთა მისცენ, გინა სადაცა ენებოს, ხოლო მათ ნეტართა ჳრქვან, ვითარმედ: „წმიდაო მამაო, ჩუენ სასულენი ვართ ეკლესიისანი და სასულეთაგან ღმერთი ესე-
ვითართა საქმეთა არა ეძიებს“. 7. და პურსა, რომელ მონასტრით წაიღიან⁸, არცა მისგან მისციან გლახაკთა, არამედ თქვან, ვითარმედ: „მონასტერი ჳრდის გლახაკთა“. 8. ხოლო უკუეთუ აქუნ⁹ ხილი გინა მხალი გინა სასუმელი, ესევეთარი! რაჲმე მისციან გლახაკთა. 9. უკუეთუ კულა პური დაჳმეტდის, A 101
მეორისა მსგეფისიჲ არღარა¹⁰ აღიღიან. 10. და კუალად ღიჯონთა დღეთა თჳს-თჳს¹¹ იღუწიღიან ვითარცა უჯორციონი, ხოლო დღესასწაულთა და კვირობათა ერთგან აღასრულიან წესი ღოცვისაჲ და პირი ერთგან იქსნიან. 11. და იყო ხილვიჲ ცხორებისა მათისაჲ, ჳეშმარიტად, ვითარცა ანგელოსთა ღმრთისათაჲ და სიტყუჲჲ წესიერ და ტკბილ. 12. და ესრეთ აღასრულეს ცხორებაჲ მათი, და სრულნი ყოველითა სათნოებითა წინაშე ღმრთისა მიცვალნეს და იხარებენ ყოველთა წმიდათა თანა და ჩუენთჳს ითხოვენ ღმრთისაგან წყალობასა. 13. და ჳეშმარიტად წაჲ მათთჳს ღმერთ-შემოსილმან| მამამან ჩუენმან B 200 b
ეთჳმე, ვითარმედ: „უკუანაჲსკენელთა ამათ ჟამთა არღარა გამოჩინებაჲ არიან ესევეთარნი სრულნი და მალაღნი სათნოებითა“, რაჳეთუ არარაჲ იყო სათნოებაჲ¹², რომელიმცა არა აქუნდა მათ სრულებით და მალღად და უცთომელად. 14. ხოლო განწმედილნი იგი და შრომითა განკაფულნი გუჲმნი მათნი| დაი-
სხნეს საფლავსა¹³ შინა წინაშე ტაძარსა წმიდისა სჳმეონ¹⁴ მოხუცებულისასა¹⁵, A 102

103. 1 A-ში ამ სიტყვაში „კ“ სხვა მგლნითაჲ ჩაწერილი: მოსენაკეთადა C.

104. 1 უკუე A. 1a მამამანი: სანატრელი არსენი—BCD. 2 მარტოდ-მყოფი BCD. 3 მადლით C. 4 და—BCD. 5 მოხუცებულნი BD. 6 წარმოსცემდეს BCD. 7 ასეჲ A, წარსციან BCD. 8 წაიღებენ BCD. 9 აქუს BD. 10 არა C. 11 თჳს-თჳსად BCD. 12 რაჲეთუ, არარაჲ იყო სათნოებაჲ—BCD. 13 საფლავთა BCD. 14 სჳმ A (შდრ. 118, 1). 15 მოხუცებულისა C.

ერთსა შინა სამარხვოსა¹⁶, მახლობელად თვსთავე მათ მოღუაწებისა სენაკთა, რომელ არიან კარავთა¹⁷.

105. 1. მბრძოლი იგი წმიდათა და მოშურნე კაცთა ცხორებისაჲ ბელიარ¹, ხედვიდა რაჲ სულიერთა ამით წესთა, რომელ დაესხნეს მამასა ჩუენსა ეფთუმეს, და წარმატებასა ძმათსა და თარგმნასა წივნთა საღმრთოთასა², ფრიად ეღმოდა და განილეოდა შურითა. 2. და პოვა ვინმე საწყალობელი, სახითა მონაზონი, და აღძრა იგი მოკლვად წმიდისა მის; რამეთუ გამოუჩნდა და პრქუა მას, ვითარმედ: „უკუეთუ მოჰკლა მბრძოლი ჩემი ეფთუმე, ფრიადი კეთილი ვყო შენ თანა“. ვინაჲცა შეიმზადა მახული და ენება მოკლვად მისი, არამედ ცუდ ყო³ ღმერთმან განზრახვად მისი. 3. რამეთუ⁴ დღეს ერთსა, აღვიდა რაჲ გოდლად და დაჰჭვა კარი მოწაფემან და თვთ შთავიდაოდა თვსსა სენაკსა.

A 103

და ვითარცა მცირედ შთაგლო კიბეთა გოდლისაქითა. შეემთხვა მას განცოფებული იგი მონაზონი და პრქუა, ვითარმედ: „წინაშე მამისა აღვალ და მიჰამე“.

4. ხოლო იგი ეტყოდა, ვითარმედ: „არა ჯერ-არს ესრეთ უგამოდ აღსლვად⁵ მამისა“. და იგი ეტყოდა: „შეუძლებელ არს, ვითარმცა არა აღვედ⁶!“. 5. და ვითარ არა უტევებდა აღსლვად სანატრელი იგი მოწაფე მამისაჲ, მეყსეულად განცოფებულმან მან იჯადა ნახული იგი საეშმაკოჲ და ესრეთ უწყალოდ დაჩხუე-

B 201 a

პა სანატრელი იგი ძმაჲ და თვთ ივლტოდა წარსლვად, და ვითარ-იგი ივლტოდა⁷, შეემთხვა მას სხუადცა მოწაფე მამისაჲ და იგიცა დაჩხუება მახულითა. 6. ხოლო იქმნა რაჲ ჯმად და ამბოხი, ცნა⁸ ესე წმიდიამან მამამან ჩუენმან და მეყსეულად შთავიდა და სრულ ყვნა იგინი⁹ სქემითა¹⁰ და აზიარნა წმადათა საიდუმლოთა, და ესრეთ, გვრგვნითა წამებისაჲთა შემკულნი, მიიცვალნეს წინაშე ღმრთისა.

A 104

7. ხოლო მეღგარმან მან აღიარა მტერისა-მიერი იგი აღძრვად თვისი და, ღირსად უკეთუთრებისა თვისისა, მწარედ წარჰჭდა უბადრუკი იგისული მისი.

106. 1. კუალად სხუასა ამსა აღძრა ეშმაკმან მებოსტნე მონასტრისაჲ და აზრახა მასცა¹ მოკლვად წმადისაჲ მის. 2. და ვითარცა ჯელ-ყო, მეყსეულად ექმ იქმნა ჯელი² მისი და დაშა ვითარცა შეშაჲ განჯმელი, ვიდრემდის აღიარა ყოველი და ლოცვითა მისითა მიიღო კურნებაჲ და აღიდებდა ღმერთსა.

107. 1. ყოველთა მათ სათნოებათა თანა აქუნდა ესეცა დიდი სათნოებაჲ, რამეთუ თვნიერ განკითხვისა არარას იქმოდა ყოველადვე, რამეთუ იტყოდა, ვითარმედ: „მინდობად თავისა თვისისაჲ და თვისსა განზრახვისა შედგომად წარსწყმედელი არს სულისაჲ, ხოლო განკითხვად წინამძღუარი არს ცხორებისაჲ, ვითარცა თქუეს წმიდათა მამათა ჩუენთა“. 2. და ესე წესი ვიდრე¹ აღსასრულადმდე თვაად² დაიწახისა³.

A 105

108. 1. იყო წმადად მამად ჩუენი ეფთუმი¹ სახითა მყუდრო და გონებითა წრფელ და მდაბალ და სულითა ვანათლებულ და წმიდა და გუამითა

16 სამარხოსა BCD. 17 კარავთა C
105. 1 ბელიარ C. 2 საღმრთოსა C. 3 ცუდ ყოჲ D. 4 რამეთუ—BCD. 5 აღსლვად BCD. 6 აღვიდა BCD. 7 ივლტოდა|+და BCD. 8 ცნა|+რჲ BCD. 9 იგინი| იგი BCD. 10 სქემითა C.
106 1 ამსცა D. 2 ჯელი| ჯელოვნებაჲ BCD.
107. 1 ვიდრე|—BCD. 2 თვისა BCD. 3 დაიწახეს BCD.
108. 1 ასეა A.

ძლიერ² საღმრთოთა შინა საქმეთა და მოღუაწებათა და ჰასაკითა წესიერ, 2. და თჳნიერ წამებითა წერილთაჲთა არარას დაამტკიცებნ თავით თჳსით, გინა იტყუნ, 3. და ეკლესიას დგომასა მუნ³, რამეთუ დგან იგი თჳნიერ კუერ-თხისა და კედელსა⁴ მიყრდნობისა ჳელ-მოჭდობით ვითარცა სუეტი შეურყე-ველი. 4. და პირი და თუალნი⁵ მისნი იყენიან ქუეყანად მიმართ მხედველ. 5. ხოლო სენაკსა შინა მოღუაწებათა მისთა აღრაცხვად ვისმცა ძალ-ედვა, რომელნი-იგი ღმერთმან მხოლომან უწყნის! რამეთუ ყოველნივე ფარულად აღეს-რულებოდეს მის მიერ. 6. ხოლო არნ სამოსლად მისა ძაძად და ძაძისა მის ზედა ჯაჭჳ მძიმჳ. 7. და რომელიცა ვინ სათნოებაჲ გამოიძიოს, მის თანა პოოს მის მიერ აღსრულებულად კეთილად და შეუნიერად. 8. ხოლო სიწმიდე და ქალწულებაჲ შეუხებელი და უბიწოჲ დაემარხა, ვითარცა ანგელოზსა ღმრთი-სასა და ცათა შინა მყოფსა. 9. ხოლო თარგმანებაჲ წიგნთაჲ აქუნდა ნამეტ-ნავად ყოველთა სათნოებათა და გზგუნად და განმანათლებელად ნათესავისა ჩუენისა. A 106

109. 1. აღსრულნა წმიდამან მამამან ჩუენმან ეფთჳმი¹ ათოთხმეტისა² წლისა ჟამნი, შენდგონად მამისა თჳსისა აღსრულებისა, წინამძღურობასა შინა და მერმე ვედრებითა ჳემო ვსენებულთა³ მათ წმიდათა ბერთაჲთა—არსენი ეპისკოპოსისაჲთა⁴ და იოვანე გრძელის ძისაჲთა—იჳმნა წინამძღურობისაგან. 2. რამეთუ ზედვიდეს ღირსნი იგი ბერნი, რომელ მიზეზითა მრავალ-ფერთა ზრუნვათაჲთა დაეზრწოდა⁵ თარგმანებისაგან წმიდათა წერილთაჲსა⁶, და ეს-რეთ მოიცალა და თჳსსა სენაკსა დაჯდა. 3. და წინამძღურობაჲ ძმათაჲ შე-ჰვედრა გიორგის, რომლისათჳს ემცნო მამასა იოვანეს, თჳსსავე ნათესავსა. 4. და თავადი წიგნთა საზღრთოთა თარგმანებასა შეუდგა და ფრიალნი წიგნნი თარგმანნა⁷, რომელთაგანნი რაიდენნიმე ჳემო გვჳსენებთან.

110. 1. ხოლო აქუნდა ზრუნვაჲცა დიდისა ლავრისაჲ და, ვიდრემდის ერჩიდეს, კეთილად განაგებდა. 2. ხოლო უკუანაჲსკენელ იწყეს თავველობად და ამბოხებად და წინამძღუართა ჳედაჲს-ჳედა ცვალებად¹ და უმეტეს და უმეტეს² აღორძნდებოდა ამბოხებაჲ მათი, ვიდრემდის სამეუფოდ³ აღვიდეს⁴ და აუ-წყეს კოსტანტი⁵ მეფესა შფოთისა მათისათჳს⁶. 3. ხოლო ცნა რაჲ მეფემან, ვითარმედ დიდი ეფთჳმი⁷ არს განმგებელი მათი, აღუწოდა მას სამეუფოდ, რაჲთა ყოველი ჳეშმარტი ისწაოს მისგან, რამეთუ დიდი სარწმუნოებაჲ და სი-ყუარული ჰქონდა⁸ მისა მიმართ ღირსებისა მისისათჳს. A 107 B 202 a

111. 1. და ვითარცა წარვიდოდა წინაშე მეფისა, შეკრიბნა ძმანი ყო-ველნი და ნუგეშინის-სცა და ტაბლად კეთილი განუშზადა და ლოცვასა დაე-ვედრა¹. 2. და მერმე წარვიდა სანატრელისა და ქრისტეს ნების-მყოფელისა

2 ძლიერ]+და BCD. 3 მუნ³ A. 4 კედელს BCD. 5 პირი და თუალნი BCD.

109 1 ასეა A. 2 ათხუთმეტისა D, ათორმეტისა C. 3 ჳემო ვარბისა C. 4 ეპისკოპოსი-სა BCD. 5 დაეზრწოდა C. 6 წერილთაჲთა D. 7 ასეა A, თარგმნა BCD.

110. 1 ცვლებად ჳას-ზა B. 2 „და უმეტეს“ ერთხელ იკითხება D-ში. 3 სამეფოდ BCD. 4 აღვიდის C. 5 კოსტანტინეს C. 6 და აუწყეს შფოთისა მათისათჳს კოსტანტინეს მეფესა BB. 7 ასეა A. 8 ასეა A, აქუნდა BD.

111. 1 და ლოცვასა დაევედრა] (და ვედრებასა C)] და დიდად ჰატივ-სცა და იჳმნა მე-ფისაგან BD.

თეოფანე ხუცისა, რომლისა მიმართ დიდი სიყუარული აქუნდა მამასა ეფთჳმეს, რამეთუ სიყრმითგან აქა აღზრდილ იყო და ყოვლითა სათნოებითა განშუენებულ იყო. 3. და იყო იგი მღვდელი სათნოდ უფლისაჲ და სწავლული ფრიად და გელოვნებით მწერალი წიგნთა საღმრთოთაჲ³, რომლისათჳს წამებდა მამად ეფთჳმე, ვითარმედ: „უფროჲს ათას ხუთასისა დრაჰკინისა უწერიან წიგნნი მონასტრისანი შინა და გარე“⁴. 4. და ვინაჲთ⁵ არსენი და იოვანე შეისუენეს, მრავალ გზის მას ჰკითხავნ სულიერად მამად ჩუენი. 5. ამის უკუე⁶ ნეტარისა ბერისა წარვიდა და მოიკითხა იგი ტირილით და ლოცვისა დაევედრა⁷. 6. ხოლო იგი მოეხზა და ცრემლით ჰრქუა, ვითარმედ: „ვამე უბადრუკსა, რამეთუ არღარა ოდეს გიხილო შენ ჳორციელად, ჳ წმიდაო მამაო!“ და თუთ მამადცა ეფთჳმე ეწამებოდა სიტყუათა მისთა, რომელი-იგი იქმნაცა და აღესრულა ორთავე წინაჲსწარმეტყუელებაჲ.

112. 1. რამეთუ, ვითარცა ვთქუთ¹, აღვიდა ღმერთ-შემოსილი მამად ჩუენი ეფთჳმე სამეუფოდ. 2. და ვითარცა ცნა მეფემან მისლვაჲ² მისი, დიდითა პატივითა მოიკითხა იგი და გამოჰკითხა საქმე ლავრისაჲ. 3. და ვიდრე დაურევბადმდე³ ყოვლისა საურავისა მრავალნი ჟამნი გარდაჲდეს და მოიწია ღლე|სასწაული წმიდისა იოვანე ღმრთის-მეტყუელისაჲ და, ვითარცა აქუნდა ჩუეულებად, დიდებულად გარდაიჳა და მრავალნი გლახაკნი იღუაწნა და მონაზონთა მათ, რომელთა თანა იყო, კეთილად ნუგეშინის-სცა და თუთ თავით თჳსით ჰმსახურა და ყოვლითა კეთილითა აღავსნა. და ამისა შემდგომად თავადმან პირი იჳსნა და მცირედ განისუენა შრომისაგან. 4. და ვითარცა აღდგა, მოეჳსნა ხატი წმიდისა იოვანე მახარებელისაჲ, რომელი მხატვრისადა მიეცა განსაგებელად, და უბრძანა მოწაფესა, რაჲთა წარვიდეს და უთხრას, ვითარ⁴ ჯერ-არს შეკაზმვად მისი. 5. და მერმე ჰრქუა, ვითარმედ: „ვითარ-იგი გჳჳს ჩუენ, ნუუკუე⁵ და ვერ გააგონო, შვილო! არამედ დამისხენ საჯედარსა და მე თუთ წარვიდე“⁶. 6. ხოლო იყო ჯორი იგი ახლად სყიდული და მანკიერი, და მათ არა იცოდეს სიმედგრე მისი და ჳნოანებაჲ. 7. და ვითარწარვლეს ხანი რაოდენიმე, პოვა ვინმე გლახაკი, რომელი ითხოვდა ქველის-საქმარსა, და დადგა წმიდაჲ მამად ჩუენი⁷, რაჲთამცა მისცა მას ქველის-საქმარი⁸. 8. ხოლო იგი აღდგა შემოსილი ძონძებითა და მოჰმართა მილებად ქველის-საქმისა. 9. ხოლო ვითარცა დახედნა მანკიერმან მან საჯედარმან, მყის განჰკრთა და იწყო სივეტოლად და აქა-იქი ეკუეეთებოდა, ვიდრემდის ფიცხლად მოწყულა წმიდაჲ იგი და სანატრელი მამად ჩუენი. 10. და ვითარცა ვარდამოაგდო, ფრიადი⁹ ერი შეკრბა მის ჳედა, რამეთუ ყოველნი მეცნიერ იყვნეს და ყოველნი ტიროდეს და იგლოვდეს. 11. და მერმე წარიდეს მონასტრად, სადა-იგი სავანე იყო.

113. 1. და ვითარ ესმა კოსტანტი¹ მეფესა, დიდად შეწუხნა და წარავლინა თჳსი ვინმე საკუთარი და მოიკითხა იგი. 2. და ევრეთვე მოქალაქეთა,

3 სწდათ C. 4 შინათ და გარეთ BCD. 5 ვინათგნ BD. 6 უკუშ. A. 7 ევედრა BCD

112. 1 ვთქუ BCD. 2 მოსლვა BD. 3 დაურევბადმდე A 4. ვითარმეც D. 5 ნუუკუშ A. 6 წარვიდე A. 7 და დადგა წმიდაჲ მამად ჩუენი]—BD. 8 რათამცა მისცა მას ქველის-საქმარი]—BD. 9 ფედ C.

113. 1 კოსტანტინე BD, კოსტანტინეს C.

დიდებულთა და მთავართა და პალატისათა დიდი სარწმუნოებად და სიყუარული აქუნდა, და ყოველნი მოვიდოდეს და ცრემლითა² |ილტობვოდეს და ამბორს- B 203 a
-უყოფდეს და წარვიდოდეს. 3. ქარ|თველთათჳს კულა რად ვინ თქუას?³ რამეთუ A 111
ყოვლადვე განუმორებელ იყვნეს ანგელოსთა მობაძავსა მას გუამსა მისსა და
ტყებითა ფრიადითა ეგლოვდეს⁴ სიობლესა თჳსსა. 4. და ესრეთ ლოცვასა
შინა და მადლობასა ღმრთისასა გარდაიცვალა სამ გზის სანატრელი იგი და
ღმერთ-შემოსილი მამად ჩუენი ეფთჳმე და ფრიადი მწუხარებად მოიწია ჩუენ ზე-
და, რომელნი დაეკლდით ტკბილსა მას და საწადელსა მამასა ჩუენსა. 5. ხოლო
იგი წარვიდა წინაშე ღმრთისა ნათელსა მას მიუაჩრდილებელსა, ყოველთა თა-
ნა წმიდათა, რომელნი საუკუნითგან სათნო-ეყვნეს ღმერთსა, და მეოხ არს
ცხორებისათჳს სულთა ჩუენთადსა წინაშე სამებისა წმიდისა. 6. ხოლო პა-
ტიოსანნი იგი ნაწილნი მისნი აღმოიყვანნეს თჳსსავე მონასტერსა და დაისხნეს
სამარბოსა ლუსკემასა, ტაძარსა შინა წმიდისა იოვანე ნათლის-მცემელისასა.
7. და⁵ რომელნი სარწმუნოებით მოუტდებიან, კურნებისა მადლთა აღმოივსე-
ბენ| უხუებით კადნიერებითა მისითა წინაშე ღმრთისა. A 112

114. 1. აღესრულა სამ გზის სანატრელი მამად ჩუენი ეფთჳმი¹ თუესა მამის-
სა ათცამეტსა², დღესა ორშაბათსა, ინდიკტიონსა ათერთმეტსა³, წელთა და-
საბამითგან სოფლისადათ ექუს ათას ხუთას ოც და მეათექუსმეტესა წელსა, სა-
დიდებელად მამისა და ძისა და სულისა წმიდისა⁴, რომლისადა არს დიდებად
და პატივი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

115. 1. ხოლო ვინაჲთგან წმიდამან მამამან ჩუენმან ეფთჳმე წინამძღუ-
რობად მონასტრისადა დაუტევა და, ვითარცა ზემო ვთქუთ¹, გიორგი მამად და-
ადგინა, კინლა-და უმეტესნი ზემო ჳენებულთა მათ წესთაგანნი² შეცვალნა და
თჳსსა ნებასა და განზრახვასა შეუდგა| და სხუათა რათმე წესთა და კანონთა B 203 b
ენება დამტკიცებაჲ. 2. ხოლო დიდსა ეფთჳმის დაღაცათუ უძნდა საქმე ესე,
არამედ, ვინაჲთგან მშუდობის მოყუარე³ იყო და სავსე სიყუარულითა, ყოვლად-
ვე| არა⁴ აცილა, არამედ თჳსსა მსახურებასა განკრძალულ იყო და წიგნთა A 113
საღმრთოთა თარგმნასა შექცეულ. 3. ხოლო იგი ჳორციელთა საქმეთა ზედა
ფრთხილ იყო და მის ეამისა წარჩინებულთა და მთავართა წინაშე სახელოვან
და მთად ყოველი დიდად პატივ(ს)-სცემდა და ეკრძალვოდა⁵. 4. და კჳლად
ბერძენნი ფრიად რამე შეიყუარნა და განამრავლნა და სრულიად⁶ მათდა მი-
მართ მიდრკა⁷, ხოლო ქართველნი, ვითარცა ნასხურნი რამე და უნდონი,
უგულეებელს-ყვნა და შეამცირნა. 5. რამეთუ, ვითარცა უწყით ყოველთა, ადრე
შევირყევით და მიმოსულასა⁸ მოსწრაფედ შეუდგებით და ამით მიზეზითა⁹
ფრიად ვაენებთ თჳსთადა სულთა და ადგილსადა. 6. ხოლო იგი ვითარცა
იყო ფრთხილი და მძიმე კაცი, მეტნი რამე შეპოვნებანი და ლიქნანი ვერ
შეეძლნეს, და კჳლად, ვინაჲთგან იხილა, რომელ ფრიადი ერი საგმარ იყო სი-

2 მოვიდოდეს ცრემლითა BCD. 3 ქართველთათჳს რად ვინ თქუას კულად BD. 4 იგლოვდეს C.
5 და|—C.

114. 1 ასეა A. 2 იგ BD. 3 ია BD. 4 წისა სღრისა C.

115. 1 ზემო ვა ვთქუთ D. 2 წესთაგანი BC. 3 მოყუარე A. 4 არადა A. 5 ეკრძალვოდა BCD.
6 სრულიად] კჳლად BD. 7 მიდრკია C. 8 მიმოსულასა] +ადრე BCD. 9 მიზეზითა] +არა CD.

- A 114 ვრცისათჳს მონასტრისა და სი მრავლისათჳს სამსახურებელთაჲსა, და ჩუენ არა დაედგებოდეთ, ბერძენთა მიექცა და ივინი განამრავლნა. 7. გარნა, ვინაჲთ-გან ჭემარაიტისა ჯერ-არს თქუმაჲ, უკუეთუ მოვიდის ვინმე¹⁰ ქართველი, რომელსა კრებულსა შინა შეეძლის მსახურებაჲ, რაჲცა ეწმარებინ, ყოვლითაჲვე ფერიოთა აღაშენის, ხოლო უკუეთუ კრებულსა შინა არა ენების¹¹ ყოფაჲ¹², სადაცა სოხასტერთა¹³ მონასტრისათა ენების დაჯდომაჲ, პურსა არავის უყენებნ ქართველსა; 8. ესე კულა ვითა შავი გრიგოლ იყო და ზაქარია მირდატის ძე და არსენი და სხუანი ესევითარნი კაცნი, დიდითა პატივითა¹⁴ პატივ-სცემნ¹⁵
- B 204 a და მოწლედ მოიკითხავნ და, ვითარცა ჰნებაჲ, აღაშენებნ.

116. 1. და ამას ესევითარსა საქმესა შინა გარდაჯდეს ჟამნი რავდენნი-მე¹ და ამისა შემდგომად, ჟამითა რომანოზ მეფისათა, დიდად წარჩინებულ იქმნა გიორგი წინაშე რომანოზ მეფისა და დიდად საკუთარ და პატივცემულ. 2. და მერმე—თუ ვითარ იქმნა, ღმერთმან უწყის—განდგომილებაჲ და ორგულეებაჲ დასწამეს დიოგენისა ვისთჳსმე, რომლისათჳს თქუეს, თუ მისი² უნდაო მეფობაჲ გიორგის და ამის მიზეზისათჳს ექსორია-იქმნა გიორგი მონოვატს და მუნ აღესრულა ექსორიობასა შინა. 3. და მონასტერი და ჩუენ ყოველნი, რომელნი დაშთომილ ვიყვენით მას ჟამსა, დიდსა ლელვასა და ძიმოტაცებასა შთავცვენით, რამეთუ სამ გზის დაიტყუნა მონასტერი და, რაჲცა⁴ დრისტი ტურთაჲ იყო მამათა ჩუენთა მოგებული, ყოველი იავარ-იქმნა, და ეგრეთვე განძი და კუმაში.

117. 1. და ვინაჲთგან ბერძენთა ესევითარი ჟამი პოვეს, ჳელ-ყვეს ყოვლითა ღონისძიებითა, რაჲთამცა ქართველნი ამის მონასტრისაგან აღმოჰხურნეს. 2. და ამის პირისათჳს დიდი¹ მოსწრაფებაჲ აჩუენეს და მთაჲ² ყოველი თანა-შეიწიეს³ და საბერძენეთისა დიდებულნი და პალატი|სა წარჩინებულნი ყოველნი მიდრიკნეს და მრავალი⁴ შრომაჲ და ჳირი და რულუნებაჲ ჩუენ ზედა მოაწიეს. 3. და, რაჲთა მოკლედ ვთქუა, რამეთუ, არა თუმცა უფალი შეწუულ იყო ჩუენდა⁵ და მეოხებაჲ წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲ და მათ წმიდათა მამათა ჩუენთა მადლი და ლოცვაჲ, დღეს არცამცა ერთი ქართველი არა იპოვბის ესევითარსა ამას ვრცელსა და დიდებულსა ლავრასა შინა, რომელი-ესე ფრიადითა წარსაგებელითა და მრავლითა ოფლითა მათ წმიდათა მამათა ჩუენთაჲთა ჩუენ ქართველთათჳს აღშენებულ იყო და აღმართებულ.

B 204 b 118. 1. და ამის პირისათჳს, რაჲთა ესევითარი ესე! ბოროტი, რომელი მოაწიეს ჩუენ ზედა ბერძენთა, არა დავიწყებულ იქმნას, და კუალად შემდგომად ჩუენსა მომავალნი ესევითარსაჲვე ჳირსა შთაცვენ, —ამისთჳს ზოგადითა განზრახვითა ყოველნი ძმანი ერთად შეეკერბით¹ და ერთითა განზრახვითა ესე A 117 ქუემო წერილი მოსა|ქსენებელი² დავწერეთ ამით პირითა და სახითა³ ჟამთა სუმეონ^{3a} მამისათა და ესრეთ ვიტყუთ: 2. „ვინაჲთგან მადლითა და წყალობი-

10 ვინმე მოვიდის BCD. 11 ენებოს BCD. 12 ყოფაჲ ყთა BCD. 13 სოხასტრთა BCD. 14 პატივითა|—C. 15 პატივ-სცემენ CD.

116. 1 რავდენნიმე BCD. 2 მისი| მისდა BCD. 3 ყრ C. 4 რაც C.

117. 1 დიადი BD, დადი C. 2 და მთაჲ|—C. 3 შეიწიეს BD. 4 შრვლნი C. 5 ჩუენდა|—BCD.

118. 1 შეკერბით BCD. 2 მოქსნებული C. 3 სახითა| სახელითა BCD. 3a სრულად სწერია A ში.

თა ღმრთისაჲთა აღიძრნეს წმიდანი მამანი ჩუენნი იოვანე და იოვანე და ეფ-
 თჳმი და ამას წმიდასა მთასა მოიწინეს⁴ ნავთსაყუდელად სულთა მრავალთა
 და განმამრავლებელად ნათესავისა ჩუენისა და დიდითა⁵ ლუაწლითა და ფრი-
 ადითა წარსაგებელითა აღაშენეს დიდებული ესე ლავრაჲ სამკვდრებელად ქარ-
 თველთა და მერმე ღმრთის-მსახურთა ბერქენთა* მეფეთა მსახურებითა] და
 მომადლებითა, ჟამთა გ[ანდ]გომილისა სკლიაროსისათა, განავრცეს და განა-
 მდიდრეს⁶ და მოუგნეს⁷ დაბანი და მონასტერნი და ოქრო-ბეჭედნი, ვითარცა
 ზემო წერილ არს, და კეთილითა აღსასრულითა დაიძინეს და წარვიდეს ცხო-
 რებად საუკუნოდ; 3. და მკვდრად და განმგებელად დაუტევეს ნეტარი ეფთჳმი,
 რომელმან ყოვლითა] წესითა კეთილითა განაშუენა წმიდაჲ ესე ადგილი და
 თარგმანებითა წმიდათა წერილთაჲთა განანათლა და შეამკო ნათესავი და ენაჲ
 ჩუენი და ჟამთა მრავალთა კეთილად დამწყსო სამწყსოჲ ესე მისდა რწმუნებუ-
 ლი და, ვინაჲთგან სიშორჳ ქუეყანისა ჩუენისაჲ დიდ⁸ იყო, და სივრცე ადგი-
 ლისა ამის დიდებულისაჲ ფრიად იყო, შემწედ და მსახურად შეიწყნარნა ბერ-
 ძენნი უმანკოებით და სიწრფოებით და ესრეთ განმრავლდა ნათესავი ბერქენ-
 თაჲ ლავრასა ამას; 4. და შემდგომად მცირე[დისა ქ]ამისა იჯმნა წინამძღუ-
 რობი]საგან და თჳსი ნათესავი გიორგი მამად]დაადგინა და თაკადი მყუდრო-
 ებით ცხოვნდებოდა, რომლისა-იგი სათნოებათა სახელი და ღირსებაჲ ყოველ-
 სა საქართველოსა განეფინა და არა ხოლო საქართველოსა⁹ ოდენ, არამედ სა-
 ბერძენთსაცა; 5. და ამის მიზეზისათჳს მრავალნი] ღირსნი და წმიდანი კაცნი
 მოვიდოდეს¹⁰ მისა და განათლდებოდეს ხილვითა მისითა, ვითარცა სახელ: იოვა-
 ნე გრძელის ძჳ და არსენი ეპისკოპოსი ნინოწმიდელი და ღირსი იოვანე ხა-
 ხულელი და ოქროპირი და სხუანი მობაძეანი მათნი და მერმე ნეტარი ბერი
 გრიგოლ¹¹, ახალი აბრაჳამ¹² სტუმრის-მოყუარჳ და ზაქარია მირდატის ძჳ და
 არსენი და სხუანი მობაძეანი მათნი, რომელნი-იგი ვითარცა მამამან სახიერ-
 მან შეიტკბნის და ყოვლითა განსუენებითა განუსუენის; 6. [და ესრეთ] სათ-
 ნოდ ღმრთის[ა მოქალაქ]ობასა შინა უფლისა მიმ[ართ მიი]ცვალა, ვითარცა ზე-
 მო მოვიქსენეთ,] და ძმანი ქართველნი მამა[სა] გიორგის და მამასა გრიგოლს
 შეჰვედრნა¹³. 7. და არა მრავლისა ჟამისა შემდგომად მამაჲ გიორგი დავი-
 წყებად მოვიდა, და არცა ერთი რაჲ ზრუნვაჲ აქუნდა ქართველთა აღორძინე-
 ბისაჲ, არამედ სრულიად ბერძენთა მიექცა და ივინი! განამრავლნა, და შემ-
 დგომად რაოდენისამე ჟამისა მიიცვალა ექსორიობასა შინა, ვითარცა ზემო მო-
 ვიქსენეთ¹⁴. 8. და მიერთგან წმიდაჲ ბერი გრიგოლ იყო ნავთსაყუდელ ქარ-
 თველთა¹⁵ ნათესავისა და ნუგეშინის-მცემელ. 9. ხოლო ვითარცა მამაჲ¹⁶ გიორ-
 გი ექსორიობასა შინა მიიცვალა და ჩუენ ფრიად შემცირებულ ვიყვენით, ჟამი
 პოგეს ბერძენთა და ვითარცა ცეცხლნი¹⁷ აღევზნნეს ჩუენ ზედა და სრულიად
 აღმოფხურაჲ ჩუენი ენება და დაპყრობაჲ სამკვდრებელისა ჩუენისაჲ. 10. და

A 118

B 205 a

A 119

A 120

4 მოიწინეს BCD. 5 ჩუენისა, დიდითა BCD. 6 განადიდეს BCD. 7 მოუგუნეს D. 8 დიდი BCD.
 9 საქართველოსა]+განეფინა C. 10 მოვიდეს BCD. 11 გრიგოლი BCD. 12 აბრაჳამი BD.
 13 შეჰვედრა D. 14 მოვიქსენით B. 15 ქართველთა]—BCD. 16 მამაჲ]—BCD. 17 ცეცხლი BD.
 * აქ ორი ფურცელი (გვ. 117/118 და 119/120) გამწვარია შუაზე 3—6 სტრიქონამდე. ეტ-
 რატის დაწვის გამო დაკლებული ასოები და სიტყვები აღდგენილია კავებში.

- უმძიმესი ესე იყო, [რამეთუ, რომელსა-იგი] მაშინ წინამძღურობად ეპყრა, იგი იყო] შემწე მათდა, გიორგი¹⁸ უკეთური, არ]ადთ უმოლხინესი¹⁹ პირველი[სა
- B 205 b მის გიორგისი, რომელი წინააღმდეგობოდ[ა დი]დსა ათანასისს, დალა[ცათუ უკუანაჲსკნელ შეინანა. 11. და ამის მიზეზისათჳს დიდსა ჳირსა შინა²⁰ ვიყვე-
 A 121 ნით და საწუნელ და საძულელ მათდა. და²¹ თუთოეულად არცა თუ შესაძლე-
 ხებანი და ყუედრებანი მოიწოდეს. მათ მიერ ჩუენ ზედა²³ დლითი-დღე, ^{23a} და ცემითა და გუემითა და მწვალეებულად (ხად)ითა შეიწრებულნი დიდსა ურვასა შინა ვიყვენით. 12. და ესეცა ენება²⁴, რაჲთამცა სახელიცა მაშენებელთაჲ აღ-
 მოჰკოცეს. 13. ამას ყოველსა რაჲ ხედვიდა ნეტარი მამაჲ²⁵ გრიგოლი, ელმო-
 და გული მისი და შეიწუებოდა წყალობითა ჩუენითა და მარადის ცრემლით ევედრებინ ღმერთსა, რაჲთა უმჯობესი ჩუენი განიგულოს. 14. და ესრეთ რაჲ ეურვოდა, მისცა ღმერთმან კაცი ორითავე მარჯუშ და სავესე გონიერებითა, —
 ნეტარი არსენი, რომელმან-იგი არა შეიწყალა თავი თჳსი, არამედ ყოველივე მოსწრაფებდა აჩუენა დამტკიცებისა ჩუენისათჳს, სხუათა რავედენთაჲმე ჳირსტეს მოყუარეთა ძმათა თანა, რომელთა-იგი საუკუნომცა არს საჳსენებელი და კურ-
 A 122 თხევად მათი! 15. რამეთუ არცა თუ ეგების რავედენნი²² ლუაწლნი| მოითმინ-
 ნეს, ყოველთავე თითოეულად აღრიცხვაჲ: მიმოსლვაჲ ჩუენი ზღუთ და ჳმელით, და აფხაზეთს და ჳართლს სავედრებელთა წიგნთათჳს ბერძენთა მეფეთა წინა-
 შე, და რავედენ გზის მოვილით წიგნი თუთმჳკობელთაჲ და ჩამოვილით^{25a}, და კუალად გინებითა და შეურაცხებითა წარგუდევნიან უსაგზლონი და უჳამურნი ჟაშსა ლელვათა-ტეხისა²⁶ და ჳამთრისასა²⁷ და ესრეთ ანუ თხოვით აღვილით კუალად სამეუფოდ ანუ ღმრთის-მოყუარეთა კაცთა წყალობითა და კუალად შევს-
 ტიროდით^{27a} და ვესამართლებოდით^{27a} მეფეთა. 16. და კუალად მუნ აღგვდგინ-
 B 206 a ნის²⁸ ღმერთმან მოურნენი და გ|უზრდიდიან, ვითარ-იგი ჳირსტეს-მოყუარენი ძმანი ჩორჩანელი და ფარსმან, რომელთა-იგი დიდად აღგვჳკრეს კელი წყალო-
 ბისაჲ, —ათას წილად მიაგენ²⁹ უფალმან! 17. და ამით რაჲ ჳირთა შინა ვიყვე-
 A 123 ნით, [არა-მცირდენი განსაცდელნი მოიწოდეს დლითი-დღე ძმათა ზედა და უფროჲსად ნეტარსა არსენისს, რამეთუ იგუემაცა და მრავალი შრომაჲ დაით-
 მინა და საჳკრობილედ შეწყუდევაჲ და კიცხევაჲ და ბასრობაჲ. და ეგრეთვე ძმათა ყოველთა. 18. ხოლო წმიდაჲ ბერი გრიგოლ ნუგეშინის-გუცემნ და გან-
 გუამენობნ, რაჲთა არა სულ-მოკლე^{29a} ვიქმნეთ. 19. ესე ყოველი რაჲ იხილა ღმერთმან ყოველად ძლიერმან, სახიერებითა თჳსითა ლმობიერ ყო გული მიქაელ ჳირსტეს-მოყუარისა მეფისაჲ და წყალობად ჩუენდა მოაქცია და შემდგომად დიდთა ბჳობათა და გამოძიებათა დირსი მამაჲ ჩუენი გრიგოლი წყალობით მოიკითხა და ნებითა ღმრთისაჲთა კუალად დაგვმკვდრა ადგილი ჩუენი და სა-
 ყოფელი წინამძღომითა და მოლუაწებითა გრიგოლისითა და არსენისითა და კო-
 A 124 ელთა ძმათა ჩუენთაჲთა, რომელთა-|იგი ილუაწეს ვიდრე სისხლთა დათხევად-

18 გორგ ABCD. 19 უმოლხინეს BCD. 20 შა ჳირსა BCD. 21 და]—BCD. 22 რაოდენნი BCD. 23 ჩუენ ზედა] ჩნდა BD. 23a დლითი-დღე A. 24 ენებათ C. 25 მამაჲ]—ჩნი B. 25a ჩამო-
 ვედით ABCD. 26 ჟაშთა ლელვა-ტეხისა BCD. 27 ჳამთრისათა BCD. 27a ასეა A. 28 აღ-
 გვდგინის BCD. 29 მიაგოს BCD. 29a სულ-მოკლე A.

მღე. 20. და (ჩუენ) ³⁰ შემოგვკრბით ³¹ და მადლი მივეცით ღმერთსა და მრავალთა მათ ჳირთაგან განვისუენეთ. 21. და გარდაჯდეს რაოდენნიმე ჟამნი და მიხაელ მეფჳ თესლონიკეს ჩამოვიდა ³². კუალად აღეტყინნეს ჩუენ ჳედა ბერძენნი და მთად ყოველი აღძრეს და დიდებულნი ყოველნი განდრიკნეს და ენება ³³, რადთამცა პირველი იგი ³⁴ ბჳობად და ღმრთისა-მიერი ჩუენ ჳედა წყალობად ცუდმცა ყვეს და ამო. 22. არამედ განაცრუჳა ³⁵ ღმერთმან ჳრანჳად მათი და ამო ყო აღძრჳად მათი ³⁶, რამეთუ კუალადცა ჳელი წყალობისად აღგჳპყრა ღმერთმან ³⁷ და არა განგუთხინა წმიდამან ღმრთის-მშობელმან ტაძრისაგან თჳსისა, რომლისა-იგი ჳელ-ყვეს ყოვლითავე ღონისძიებითა, რადთა|მცა, B 206 b
 ვინადთგან მონასტერი ვერ წაგვლეს ³⁸, ბარემცა დიდი ეკლესიად რადთ მიგვლეს. 23. რეცა სამართალიცა შესწევდა, რამეთუ ³⁹, ვიქნადთგან აღშენებულ A 125
 იყო, მათ ჳქონებოდა იგი ეკლესიად, და, ვითარცა ჳხედავთ, უაღრეს ქებისა აღმატებულ არს ჳაეროვნებაჳ და შუენიერებაჳ ⁴⁰ მისი, რომელ ამას მთასა შინა დაღაცათუ ფრიად არიან მონასტერნი, გარნა მსგავსი მისი არა იპოვების, და არა ხოლო მთასა, არამედ სხუათაცა მრავალთა აღვილთა. 24. გარნა ესრეთცა ურგებ იქმნა ჳელ-ყოფად მათი, რამეთუ წმიდამან ღმრთის-მშობელმან ჩუენ გლახაკთა გჳბოძა დიდებული იგი დიდებისა თჳსისა ტაძარი და ყოვლადვე გვლუწის და გუფარავს უღირსთა ამათ და უცხოთა მადიდებელთა ⁴¹ და სამწყსოთა თჳსთა. 25. და, ვითარცა ვთქუთ ⁴², რაჟამს ესრეთ მძიმედ ბრძოლა-გჳყუეს, დაჯდა კუალად ქრისტეს-მოყუარჳ მიხაელ მეფჳ და ფრიადითა გამოძიებითა განბჳო და ეკლესიად და მონასტერი ყოვლითურთ მონაგებით და სიმდიდრით ჩუენ გჳბოძა და ფრიადი წყალობად და სიტკბობებაჳ მოვუფინა,—მიაგენ ქრისტემან ათას წილად სულსა მისსა! 26. მამად გრიგოლ პირველ ამის მეორისა ბჳობისა მი- A 126
 ცვალებულ იყო. ხოლო არსენი შემდგომად ⁴³ ამის მეორისა ბჳობისა მიცივალა, და ესე მრავლისაგან მცირედი მოგჳჳსენებია. 27. და ვინადთგან ესე ყოველი და ამისა ⁴⁴ უმრავლესი მოიწია ჩუენ ჳედა და მრავალნი ძმათა ჩუენთაგანნიცა ⁴⁵ გარდაიქცეს ⁴⁶ და მიექცეს ჩუენთა წინააღმდგომთა, და ამის ყოვლისაგან შეგუეშინა და მოსაჳსენებელი ესე აღვწერეთ და დაედევით შემდგომად ჩუენსა მომავალთა ნათესავთათჳს, რადთა არა დავიწყებულ იქმნას ⁴⁷ და გარეწარ ესე ვითარი ესე მრავალფერი ღელჳად. 28. და ერთითა ერთობითა ამას ვიტყუთ, ვითარცა ერთისა ⁴⁸ პირითა ყოველთა! ქართველთა თანა, რომელნი სადაცა არიან აღ- B 207 a
 მოსავალისათა და შავისა მთისათა და იერუსალემისათა ⁴⁹ და| სადაცა არიან ძმანი A 127
 ჩუენნი: 29. უკუეთუ ვინმე გამოჩნდეს ნათესავისა ჩუენისაგან კაცი,—გინა მამასახლისი გინა იკონომოსი, გინა სხუად ვინ,—და რადთაცა ღონითა ანუ მანქანებითა ანუ საფასისა ^{49a} სიხარბითა ანუ სიყუარულითა ბერძენთადთა ანუ კაცი-სა ვისმე შეპოვნებითა ანუ სხუთა ⁵⁰ რადთმე ჳაკუეითა ეორგულოს ამას წმი-

30 ჩუენ]—BCD. 31 შემოგვკრბით BD. 32 შთამოვიდა BD. 33 ენებათ C. 34 იგი]—BCD. 35 განაცრუჳა R. 36 და ამო ყო აღძრჳად მათი]—BCD. 37 ღწ აღგჳპყრა ჳელი წყლობისა BCD. 38 წარგვლეს BCD. 39 რამეთუ რომელი BCD. 40 და შუენიერებაჳ]—BCD. 41 მადიდებელთა]. მდაბალთა D. 42 ვთქუ BCD. 43 შდ ჳ არსენი D; შდ არსენი BC. 44 ამისა| ამისგან BCD 45 ჩწთაგანნი BCD. 46 გარდააქციეს BCD. 47 იქმნეს BCD. 48 ერთითა BD. 49 იწლემისათა A. 49 საფასის BCD. 50 სხჳსა B.

- დასა ადგილსა, გინა განსცეს მიწად მთასა გინა გარე, ანუ ქართველთა შინა-განმცემელ⁵¹ ექმნეს და ასწყვდნეს და ესე ადგილი ქართველთა თავისა რადთ-მე⁵² საქმითა გამოუგდოს და ივინი გაასხნეს⁵³ და ჩუენი საჯსენებელი ამოსწყვ-დოს, ყოველთა წმიდათა ჯუარითა და მადლითა⁵⁴ კრულმცა არს და წყეულ და შეჩუენებულ და განკუეთილ წესისაგან ქრისტეანეთადასა და მათ თანამცა
- A 128** შერა|ციხილ არს, რომელნი-ივი⁵⁵ შინა-განმცემელ ექმნეს უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა, და ა-მცა-ჯოცილ არს⁵⁶ ივი⁵⁷ ნაწილისაგან ქრისტეანეთადასა! 30. და რომელნი თანა დახუდენ და ეწამენ ძმათა ჩვენთაგანნი ესევეთარსა მას⁵⁸ მზაკუვარსა⁵⁹, ივინიცამცა წყეულ არიან და შეჩუენებულ! 31. და რომელთა ქართველთა განმრავლებად ილუაწონ და ესე წმიდად ადგილი ნათესავსა ჩუენსა დაუმტკიცონ, საუკუნომცა არს საჯსენებელი და კურთხევად მათი! 32. და რომელნიცა ძმანი ამის დიდებულისა ლავრისა სამართლობასა და დამტკიცებასა თანა მოლუაწე^{59a} ექმნეს, ანუ მოლუაწე ექმნენ⁶⁰, საუკუნომცა არს საჯსენებელი და კურთხევად მათი წმიდათა მათ⁶¹ მამათა ჩუენთა და მამენებელთა და ყოველთა მათ პირველ-მოჯსენებულთა ღირსთა და სათნოთა ძმათა ჩუენთა, რომელნი წმიდასა ამას ადგილსა შინა გამოჩნდეს| გიწა გამოჩნდენ! 33. მადლითა
- A 127** და ლოცვითა გუაკურთხენ და აღგუა|რძინენ⁶² უფალმან და საუკუნეთა მათ სატანჯველთაგან გჯსენ და სასუფეველსა ცათასა მკვდრ გჯჩინენ⁶³ მეოხები-თა წმიდისა ღმრთის-მშობელისადათა და წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა⁶⁴ ეფთუმესითა და ყოველთა წმიდათადათა⁶⁵, რომელნი საუკუნითგან სათნო-ეყენეს ღმერთსა, რომლისადა არს დიდებად, სიმტკიცე და სუფევად აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე⁶⁶, ამინ⁶⁷.
- 119.** 1. სახელითა მამისადათა¹ და ძისადათა და სულისა წმიდისადათა და მეოხებითა წმიდისა ღმრთის-მშობელისადათა მე, მამამან გიორგი, მამობასა ჩემსა მოვცვალენ² ნაწილნი წმიდისა ეფთუმესნი ნათლის-მცემელისა ეკლესიით დიდსა ეკლესიასა ღმრთის-მშობელისასა 2. და გაუკუეთეთ ზეთი მე და ძმათა ყოველთა წელიწადსა შინა მეტრად³ ერთი სამსახურებელად⁴ სამარხოსა | მათ წმიდათა მამათათჳს, რომელ იმსახურებოდეს⁵ თუესა მამისა იგ, დღესასწაულსა ამის წმიდისასა, მიეცემოდის კანდელაკსა შემდგომითი-შემდგომად. 3. და ნუმცა ვინ იკადრებს დაკლებასა, და რომელმან იკადროს, მან გასცეს ღმერთსა პასუხი და წმიდასა მამასა ეფთუმეს და მათ წმიდათა მამათა მსგავსთავე მისთა! 4. და რომელმან შეჰმატოს მსახურებასა გულს-მოღვინებით, საუკუნომცა არს საჯსენებელი მისი და კურთხევად მეოხებითა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთუმესი-
- A 130** თა და ყოველთა წმიდათა მისთადათა, რომელნი საუკუნითგან სა|თნო-ეყენეს
- B 208 a**

51. განმცემელ B. 52 რადთმე| რასამე BD. 53 განასხნეს BCD. 54 მ'დლობითა C. 55 რომელნი BD. 56 აღ-მცა-ჯოცილ არს BD. 57 ივი|—BD. 58 ამას BD. 59 მზაკუვარებასა BD. 59a თანა-მოლუა-წე A. 60 ანუ მოლუაწე ექმნენ|—BD. 61 მათ|—BD. 62 აღაორძინენ BD, აღაორძინენ C. 63 და სასუფეველსა ცათასა მკვდრ გჯჩინენ|—BCD 64 მ'მისა ჩ'ნისა ნ'ტრისა BCD. 65 წმი-დათადათა| კ'ცათა C, წ'თა BD. 66 უკუნისამდე A. 67 ასეა A (უქარავმოდ).

119. 1 მ'მისა BCD. 2 მოვიცვალენ BD, მოვცვალენ C. 3 მიტრა C. 4 სამსახურებელად| +ყოველთა BCD. 5 იმსახურებოდეს C.

უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა, რომლისაჲ არს ღიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, აწ.

5. ჰ წმიდაო და ღმერთ-შემოსილო მამაო ეფთჳძე, შეგკწყალენ მონანი ესე შენნი, მწირნი და გლახანი, უცხოებასა ამას და გუთხოვე შენდობაჲ შეცოდებათა ჩუენთა⁶ აურაცხელთა დღესა მას განკითხვისასა და ამას ცხოვრებასა დაგვცვენ საბრვეთაგან ეშმაკისათა და მზაკუვარებათაგან კაცთაჲსა.

6. ტკბილო მამაო სულითა და გონებითა, საუკუნომცა არს საყსენებელი მამისა გაორგისი, აწ⁷.

სენაქსარული რედაქცია იოვანესი და ეფთვიმეს ცხოვრებისა *

[თუშას ბაისსა ოჲ]. ამახვე დღესა წმადისა¹ მამისა ჩუენისა ეფთვიმისი²

ესე სამ გზის სანატრელი მამად ჩუენი ეფთვიმი³ აღმოცენა ქუეყანასა ტაო-
 სასა, მშობელთა⁴ მორწმუნეთა და ღმრთის-მსახურთა და მერმე ძლიდართა და
 A 203 a წარჩინებულთა. და ვიდრე ჩჳლ-ლა იყო იგი, იზარდებოდა წიაღთა⁵ დედისა
 B 216 a თჳსისათა ვითარცა ტრედი უმანკოდ, რომლისა მამად იყო ფრიად ახოვან და
 განთქუმულ და სახელოვან წყობათა შინა.

ხოლო უფროასად სახელოვან⁶ იქმნა წყობასა შინა სულთა უკეთურთასა
 და განთქუმული⁷ გუნდსა შორის მონაზონთასა, და⁸ რამეთუ დაუტევა ყოვე-
 ლივე საქმე სოფლისაჲ და სიყუარულითა ქრისტესითა უცხოთა და შორთა
 ქუეყანათა წარვიდა და მორჩილებითა და სიმდაბლითა თავსა სათნოებათასა
 აღვიდა⁹. ხოლო ეწოდა ნეტარსა მას იოვანე¹⁰, წესსა რაჲ¹¹ მონაზონებისასა
 მოვიდა. ხოლო სანატრელი ეფთვიმი¹² წარიყვანა დედისაგან თჳსისა პაპმან მის-
 მან, კაცმან წარჩინებულმან და ძლიერმან, და ზრდიდა მას ყოვლითა ფუფუ-
 ნებითა.

ხოლო შემდგომად ეამთა რავდენთამე¹³ წარვიდა¹⁴ ყრმიტურთ სამეუფოდ
 ქალაქად საქმისა რომლისათჳსმე წინაშე ნიკიფორე¹⁵ ღმრთის-მსახურისა მეფისა.
 ხოლო¹⁶ ვინაჲთგან ყოველივე ზეგარდამო განეგებოდა, აღვიდა იოვანეცა წინაშე
 თჳთმპყრობელისა და ეუწყა შეილისა თჳსისაჲ, ვითარმედ მუნ არს. და ღმრთი-
 სა-მიერთია აღძრვითა იწყო თხოვად მისა¹⁷ წარჩინებულისა მისგან.

ხოლო მან არა თავს-იდვა მიცემაჲ და იქმნა მათ შორის ცილობაჲ, ვიდ-
 რემდის ეუწყა მეფესა და განბჳო ესრეთ: რაჲთა დადგენ ორნივე იგი და თი-
 თოეულმან მოუწოდენ და¹⁸ რომლისაცა თანა შივიდეს, მანცა მიიყვანოს¹⁹ ყრმაჲ.
 და²⁰ ყვეს ბრძანებისაებრ მეფისა.

[ქა საკრველი დიდებული! რამეთუ რომელი-იგი კნინა-და არცა უწ-
 ყოდა, იგი მზრდელსა მას და შუენიერად შემკობილსა აღირჩია და სრბით მი-
 ვიდა და შთავარდა წიაღთა მამისა! თჳსისათა. რამეთუ ყოველივე ღმრთისა
 A 203 b მიერ განეგებოდა²¹. და ესრეთ ნეტარმან იოვანე²², ვითარცა ღმრთისა მიერ
 B 216 b ბოძებული, მიიყვანა შეილი თჳსი და სახე მონაზონებისაჲ შეჰმოსა. და ყოვ-
 ლითავე სწავლულებითა განსწავლა.

* აკად. ივ. ჯავახიშვილის დავალებით და მითითებათა თანახმად სენაქსარუ-
 ლი რედაქცია სასტამბოდ დაამზადა ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელმა მ. კახაძემ.
 მასვე ეკუთვნის „ცხოვრების“ ძირითადი ტექსტის ვარიანტების ჩვენება და ქვემოთ მოთავე-
 ბული მოკლე აღწერილობა ხელნაწერებისა. ა. შ.

1 წმადისა] + და ნეტარისა BCD. 2 ეფთვიმე ქრთელისა B. 3 ეფთვიმი AB. 4 მშობლთა-
 გნ BCD. 5 წიაღითა A. 6 სახელოან C. 7 გნთქმულ BCD. 8 და] - B. 9 აღვიდა] აღიწია D.
 10 იოვანე C. 11 რაჲ] - C. 12 ეფთვიმი BC. 13 რაოდენთამე BCD. 14 წავიდა C. 15 ნიკიფორ
 BCD. 16 ხოლო] და BCD. 17 მისსა A. 18 და] - თუ B. 19 მიიყვანენ BD. 20 და] + ვა B.
 21 გნეგებოდა C. 22 ივნე C.

რამეთუ სიმახვლითა გონებისადათა და უფროდსა მადლითა სულისა წმიდისადათა კინლა-და ყოველნი წიგნი ზეპირით დაისწავლნა და თავსა სიბრძნისასა აღვიდა და სიგრცე გულისადა და სიბრძნე გონიერი ვითარცა ქვშაჲ ზღვსადა, მსგავსად სოლომონისსა¹, მოეცა მას.

და კუალად, ვითარცა ჰასაკად მოიწია, შეჰმოსა მას წმიდაჲ სქემაჲ ჯელითა ათანასე ღირსად ჯსენებულისადათა და მერმე პატივსა მღვდლობისასა აღიყვანა და ესრეთ დღითი-დღე² წარემატებოდა სიბრძნითა და ჰასაკითა სულიერითა და ჯორციელითა და ვითარცა უჯორცოდ ცხონდებოდა³. რამეთუ შიშ⁴ ღმრთისადა, ვითარცა დედაჲ სათნოებათაჲ⁵, მოეგო⁶ და ყოვლითაჲვე სათნოებითა შეიძკო და ყოველივე ვნებული და უჯეროდ გულის-თქუმაჲ ძირითურთ აღმოჰტხურა. ამისთვისცა მადლმან სულისა წმიდისამან მდიდრად დაიუნჯა⁷ მის შორის, რომლისა მიერ იქმნა წინამძღუარ უცთომელ და მკურნალ სულთა, ვიდრემდის განჯდა ჯმაჲ სათნოებათა მისთაჲ ყოველსა სოფელსა.

რამეთუ წყალობამან ღმრთისამან აღმიდგინა ჩუენ ახალი ოქროპირი და მისცა პირსა მისსა ენაჲ ცეცხლისადა და აღძრა თარგმანებად წიგნთა საღმრთოთა და ვითარცა მდინარითა ედემისადათა მორწყო ქუეყანაჲ| ქართლისადა A 204 a და განანათლნა ეკლესიანი და განავრცელა და განასრულა⁸ ნაკლულევეანებაჲ ენისა ჩუენისადა.

ხოლო ამან⁹ ნეტარმან არა დამალა ტალანტი¹⁰ მოცემული¹¹ ღმრთისა მიერ, არამედ მრავალწილად აღაორძინა¹² და ფრიადნი წიგნი¹³ თარგმნნა მრავლითა შრომითა და ღუაწლითა¹⁴ და ვიდრე სიკუდილაღმდე¹⁵ არა დასცხრა პატიოსანი იგი პირი მისი საღმრთოდასა მისგან შრომისა. და არა ხოლო¹⁶ ბერძული|საგან ქართულად თარგმნნა ღრმანი და ძნიად სათარგმანებულნი წიგნი, არამედ რაოდენნიმე¹⁷ ბერძულადცა ქართულისაგან.

და სანატრელმან იოვანე¹⁸ ნებითა ღმრთისადათა და თანამოღუაწებითა წმიდისა მამისა ეფთჳმისითა აღაშენა მონასტერი შუენიერი¹⁹ და შეკრიბნა ძმანი სულიერნი.

რამეთუ იხილა რაჲ სიმრავლე ძმათა მომავალთაჲ, არღარა ჯერ-იჩინა ლავრასა მამისა²⁰ ათანასესსა²¹ ყოფაჲ და ვიდრე ჟამ-რავდენადმდე²² უძლოდა ძმათა მათ ყოვლითა მოღუაწებითა.

და ოდეს ჯერ-იჩინა ღმერთმან წოდებაჲ მისი, მოუწოდა შვილსა თჳს თანა²³ და აკურთხნა იგი ყოვლითა კურთხევითა, ვითარცა მოსცა ღმერთმან პირსა მისსა.

და თავადმან ჯელთა შინა მისთა სული თჳსი ღმერთსა შეჰვედრა და ესრეთ იძულებითა ფრიადითა მოღუაწებაჲ და ზრუნეჲ მონასტრისა თჳსისადა არწუნენა მას. ხოლო ნეტარმან მან²⁴ ჟამ-რაოდენმე თავს-იღვა მცნებისათჳს მშო-

1 სოლომონისა BD. 2 დღითი-დღე D. 3 ცხოვრებოდა B. 4 შიშ^ი შჯ^{ლი} B (გადან). 5 სათნოებათაჲ B. 6 მოეგო BCD. 7 დაეუნჯა B. 8 განასრულა]+და შეამკო B. 9 მ^ნ CD. 10 ტალანტი]+იგი BCD. 11 მოცემული]+მისდა B. 12 აღაორძინა B. 13 წიგნი AB. 14 ღუაწლითა და შრომითა BD. 15 სიკუდილაღმდე CD. 16 ხოლო]+თუ D. 17 რაოდენნიმე D. 18 იოვანე C. 19 შუენიერი D. 20 მამისა]-D. 21 ათანასესსა BCD. 22 ჟამ-რაოდენადმდე B. 23 თჳსთა A. თ^{სსა} BCD. 24 ხ^ნ მ^ნ ნეტარმ^ნ BCD.

A 204 b ბელისა და მერმე შეჰვედრა სხუასა ძმასა თუსსავე ნათესაგსა და თავადი მყუდროებით ცხონდებოდა¹ და წმიდასა მას მსახურებასა მღვდელობისასა შესწირვიდა ღმრთისა და თარგმანებასა წიგნთასა განკრძალულ იყო. და მოღუაწებით ცხონდებოდა² მსგავსად პირველთა მათ და განთქმულთა მამათასა,³ ვიდრემდის ბრძანებითა თვთმპყრობელთათა და წყნარებისათს ამბოხისა და შფოთისა მთაწმიდელთაგსა და უფროგსლა დიდისა ლაგრისა, რომლისა განგებად და ზრუნვად ათანასეს მიერ რწმუნებულ იყო მისდა, აღვიდა სამეუფოდ და მცნებისათს უფლისა, რომელ არს მოწყალეებად, მსგავსად იობისსა⁴ განცილმან წყლულებითა ყოვლად წმიდად სული თვისი გელთა ღმრთისათა შეჰვედრა.

რამეთუ იყო რაჲ სამეუფოსა ქალაქსა, დღესა ერთსა მივიდოდა რაჲ უბანთა შინა, აღდგა ვინმე დავროდომილი თხოვად ქველის-საქმისა და ვითარცა ეგულებოდა მიცემაჲ, მიხედნა სავედარმან, რომელსა ზედა ჯდა, და ვითარცა B 217 b არს ბუნებაჲ ჯორისაჲ| სავესე მანკიერებითა, იხილა რაჲ გლახაკი იგი, მოსილი ძონძებითა, განჰკრთა და იწყო ვითარცა ეშმაკულმან სივლტოლად. და ეცემოდა რაჲ აქა და იქი, მოწყულა ძლიერად თავი და რავედენნიმე⁵ ასონი ღმერთ-შემოსილისა ეფთუმესნი⁶. და ესრეთ გუემულმან მცირედთა დღეთა შემდგომად შეისუენა თუესა მათისა იგ⁷ და წარვიდა სიხარულსა გამოუთქუმელსა შუებად⁸ წინაშე უფლისა.

ესე⁹ სამ გზის სანატრელი წმიდაჲ¹⁰ მამად ჩუენი ეფთუმი¹¹ ვიდრე იყო-ლა ჰაბუქ, მოუგდა ვინმე¹² ჰურიად სწავლული შჯულსა და ენება ცილობით სიტყუსა ყოფად¹³ მის თანა წესითა ჰურიადბრივითა¹⁴. ხოლო ნეტარსა მას უძნდა¹⁵ საქმე ესე. არამედ ბრძანებითა იოვანესითა იიძულა ზრახვად მის თანა. და ვითარცა იწყო ჰურიადმან¹⁶ ცილობად და კითხვად, აღუქსნიდა მას ყოველსა უადრეს

A 205 a ცნობისა. და იხილა რაჲ ძლეულებად თვისი, იწყო მზაკუვარმან მან თქუმაღ სიტყუათა გმობისათა. შეუძნდა ესე სანატრელსა მას და ჰრქუა, ვითარმედ: „ჰ ჰურიადო, უკუეთუმცა სიტყუასა წერილთასა იკითხვედ, განგიმარტემცა, და უკუეთუმცა ჩუენ გუკითხვედ, მიგივემცა. ვინაფთვან კულა გმობასა მალლისა მიმართ იტყუ, დაიყავნ პირი შენი, რომელი იტყუს სიცრუევსა!“¹⁷ და მეყსეულად უტყუ იქმნა მგმობარი იგი პირი მისი და ხვალისა დღე სულნი წარჰჰდეს¹⁸.

იქმნა ოდესმე უწჰპროგებაჲ ფრიადი მთასა ათონისასა. მაშინ ჰრქუა ღირსმან იოვანე ნეტარსა ეფთუმის: „აღვედ, შვილო, ლიტანიითა ვიდრე ეგუტერადმდე¹⁹ ელია წმიდისა, რომელი-იგი არს ზედა-კერძო მონასტრისა, და წარიხუენ²⁰ შენ თანა საწმარნი“. ესმა რაჲ ესე მუნ მდგომარეთა მათ ძმათა, და-უკვრდა²¹ ფრიად და განჰკრთეს. ხოლო ნეტარსა ეფთუმის²², ვითარცა აქუნდა

B 218 a მორჩილებად უზაკუველი, ყო სიტყუსა|ებრ ბერისა. და ვითარცა აღვიდა ელია წმიდად და იწყო შეწირვად მსხუერპლისა²³, მეყსეულად გარდამოგდა წჰმაჲ

1 ცხონდებოდა B. 2 ცხოვდებოდა B. 3 მრთჳსა CD. 4 იობისა CD. 5 რაოუენნიმე BD
 6 ეფთუმისნი B, ეფთუმისნი CD. 7 ათცამეტსა B. 8 შუშბად D. 9 ხ' ესე BCD. 10 წმიდაჲ—BCD.
 11 ეფთუმი B, ეფთუმე CD. 12 ვინ D. 13 ყოფად BCD. 14 ჰურიადბრივითა BCD. 15 უძნდა C
 16 ჰურიადმან|მან BCD. 17 სიცრუესა CD. 18 წარდეს B. 19 ეგუტერადმდე A, ეგოტერადმდე C.
 20 წარიხუენ C, წარიხუენ D. 21 დაუკვრდა C. 22 ეფთუმეს BCD. 23 მსხუერპლისა C, მსხუერპლისა D.

ფრიადი და სხუანი იგი ყოველნივე¹ დაილტვნეს² სიმძაფრითა მით წმისადათა. ხოლო ეფთვი³ შეიმოსნა საწუმარნი⁴ თჳსნი და ჰმადლობდა ღმერთსა სიმრავლესა მას⁵ თანა ძმათასა და აკურთხევდა კეთილსა მას და კურთხეულსა მამასა თჳსსა იოვანეს⁷.

ჟამთა ბასილი მეფისათა აღესრულა მთავარ-ეპისკოპოსი⁸ კჳპრიისა⁹. ხოლო მეფემან მრავლითა იძულებითა გელ-ყო დარწმუნებად ნეტარისა ეფთვიმისა¹⁰, რადთამცა იქმნა მთავარ-ეპისკოპოს¹¹ კჳპრიისა¹² და ვითარმედ მაღალ არს და პატიოსან საყდარი დიდისა ეპიფანესი. ხოლო მშუდმან | მან და წრფელმან არა თავს-იდგა ყოვლადვე, რამეთუ სიმდაბლე სრული მოეპოვა¹³ და ამპარ- A 205 b ტაყანებად მოეკუდინა.

დიდებულსა ფერისცვალებასა უფლისა ჩუენისა¹⁴ იესუ ქრისტესსა არს ჩუეულებად მთაწმიდელთად: რამეთუ აღვლენ თხემსა ზედა მაღლისა მის მთისასა და იქმან ღამის-თევასა და წირვენ ჟამსა და კუალად წარვლენ თჳსთა მონასტერთა. ერთ გზის უკუე¹⁵ ამის დღესასწაულსა აღვიდა წმიდა მამად ეფთვი¹⁶ და ვითარცა იყო ყოველთა შორის დიდებულ და წარჩინებულ, ევედრნეს მას, რადთა მან აღასრულოს მას დღესა წმიდა ჟამის-წირვად. და ვითარცა თქუეს „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ“ და შემდგომი, მეყსეულად იქმნა ელვად საშინელი და ბრწყინვალებად შესაძრწუნები.¹⁷ და ყოველნი იგი გარემომდს მდგომარენი დაცვეს პირთა ზედა¹⁸. ხოლო ნეტარი იგი დგა ვითარცა სუეტი¹⁹ ცეცხლისად მიუდრეკელად. მაშინ, ვითარცა იყო უცხო²⁰ ზუაობისაგან, ჰრქუა ქუე წდებარეთა მათ ბერთა, ვითარმედ: „ნუ გეშინინ, რამეთუ ღმერთმან აღიდა დღესასწაული თჳსი და ნათლითა მის-მიერთა განანათლა“. და მიერთგან არღარა²¹ აღვიდა კრებასა მას, რამეთუ ყოველითა ღონის-ძიებითა ევლტოდა იგი ცუდსა დიდებასა.

|მბრძოლი იგი წმიდათად და მოშურნე კაცთა ცხორებისად ბელიარ ხედვიდა რად წყაროსა მას უკუდავებისასა, აღმომდინარესა პირით მისით, რომელ არს თარგმანებად წიგნთა საღმრთოთად²², განიხერხებოდა და განიპებოდა B 218 b შურითა ბოროტიითა. ამისთჳსცა პოვა²³ საწყალობელი ვინმე, სახითა მონაზონი, რომელი შემძლებელ იყო დატევნად ყოველსა²⁴ ძალსა მისსა; ამისსა²⁵ გულსა შევიდა და აღღესა იგი მოკლვად წმიდისა. რამეთუ გამოუჩნდა და ჰრქუა: „უკუ(ეთუ)²⁷ | მოჰკლა მბრძოლი ჩემი ეფთვი²⁸, ფრიადი კეთილი ვყო შენ თანა“. A 206 a ვინადაცა შეიმზალა დანაკი ფრიად დიდი და ეძიებდა ჟამსა მოკლვად მისა. არამედ ცუდ ყო ღმერთმან განზრახვად მისი და წყალობისათჳს ნათესავისა ჩუენისა არა უტევა მიახლებად მისა.

1 ყნი BCD. 2 დაილტვნეს D. 3 ეფთვი D. 4 საწუმარნი C. 6 მას|—D. 7 იოვანს C. 8 მთრებისქპსი D. 9 კჳპრიისა C. 10 ეფთვი B, ეფთვი C, ეფთვი D. 11 მთრებისკოპოს CD. 12 კჳპრიისა BD. 13 მოეპოა D. 14 ჩნი B 15 უკუე B. 16 ეფთვი BD. 17 შესაძრწუნებელი BCD. 18 ზედა|—თჳსა BD. 19 სუეტი D. 20 უცხო BCD. 21 არღარა ოდეს B. 22 სღთოთა D. 23 პოა BD. 24 ყლსავე BCD. 25 ამისა C. 26 ჰრქუა|+ვდ B. 27 უკუეთუ A. 28 ეფთვი BC.

რამეთუ დღესა ერთსა, აღვიდა¹ მამად ეფთვი² გოდლადა ჟამსა ცისკრისასა, ვიდრე ბნელ-ლა იყო, შეიყვანა წმიდა იგი სენაკად ერთმან მოწაფეთა მისთავანმან და თუთ განვიდა მიერ და დაჰკრძალა კარი სენაკისად და შთავიდოდა თუსსა³ სენაკად სანატრელი იგი მოწაფე ერისად⁴. და ვითარცა მცირედ შთავლო კიბეთა გოდლისათა, შეემთხვა მას ბორგნული იგი მონაზონი. ხოლო ნეტარმან მან ძმამან იწყო სიტყუად ეშმაკეულისა მის, ვითარმედ: „არა ჯერ-არს ესრეთ უჟამოდ აღსლვად მამისა“. ხოლო უკეთური იგი ეტყოდა, ვითარმედ: „არა ეგების, ვითარმცა არა აღვედ“. და ესრეთ აცილებოდეს რად⁵, მეყსეულად ჳმა-ყო ეშმაკეულმან მან და დაჩხუება დანაკითა მით ნეტარი იგი ძმად და ჳეშმარიტი მოწაფე ქრისტესი და თუთ იწყო სივლტოლად. და ივლტოდა რად, კუალად შეემთხვა მას სხუადცა მოწაფე ბერისად და იგიცა დაჩხუება მახლითა. და ესრეთ აღესრულნეს მონანი იგი ქრისტესნი და გვრგვინთა მოწამეთადათა შემკობილნი წარვიდეს წინაშე ღმრთისა. ხოლო ბოროტმან მან და მედგარმან აღიარა უჟუანაჲსკენელ, ვითარმედ ეშმაკისა მიერ აღძრულ იყო და ღირსად სიბოროტისა თუსისა საკლველ არა წმიდათა ეშმაკთა იქმნა და სატანჯველად საუკუნოდ მიიცივალა.

B 219 a

A 206 b

არამედ⁶ სხუასა ჟამსა აღძრა ეშმაკმან მებოსტნე მონასტრისად და აზრახა მოკლვად | წმიდისად. ხ⁷ მან, ვითარცა ჳელ-ყო და აღილო მახული, რადთამცა უხეთქნა, მეყსეულად იქმნა ჳელი მისი უჳმარ ვითარცა შეშად, ვიდრემდის აღი-არა ყოველი. და ლოცვითა წმიდისადათა მოილო⁷ კურნებად.

ყოველთა მათ თანა სათნოებათა⁸, რომელნი აჳუნდეს წმიდასა მამასა ეფთვი⁹, აჳუნდა ესეცა დიდი სათნოებად, რომელ თუნიერ მოძღურისა არარას იქმოდა ყოვლადვე, რამეთუ იტყუნ, ვითარმედ: „მინდობად თავისა თუსისად და თუსსა¹⁰ ნებასა დამტკიცებად კარი არს წარწყმედისად და ფსკერი ჯოჯოხეთისად, ხოლო განკითხვად—წინამძღუარი ცხორებისად და ბჳე სასუფეველი-სად, ვითარცა თჳუეს წმიდათა მამათა ჩუენთა“. და ესე წესი ვიდრე აღსასრულამდე¹¹ თუსსა¹² დაიმარხა.

იყო წმიდად მამად ჩუენი ეფთვი¹³ სახითა მყუდრო და წრფელ და გონებითა მდაბალ და გუამითა ძლიერ და ჰასაკითა ზომიერ და თუნიერ წამებისა წერილთაჲსა არარას დაამტკიცებდა თავით თუსით გინა იტყოდა და ეკლესიას დგომასა მჳნე, რამეთუ დგან¹⁴ იგი თუნიერ ჳურთხისა¹⁵ და კედელსა მიყრდნობისა, ჳელ-მოჳდობით ვითარცა სუეტი¹⁶ შეუძრველად და პირი და თუალნი მისნი იყენიან ჳუეყანად მიმართ მხედველ.

ხოლო სენაკსა შინა მოღუაწებანი მისნი ვინ აღრაცხნეს, რომელნი-იგი ღმერთმან ხოლო¹⁷ მხოლომან უწყენს!

რამეთუ აჳუნდა ესეცა დიდი სათნოებად: დაფარვად სათნოებათა თუსთად. და¹⁸ ამისთუს უმრავლესნი სათნოებანი მისნი აღუწერელად დაშთეს¹⁹; ხოლო არნ²⁰ სამოსლად მისსა²¹ ჳუეშე კერძო ძაძად და ზედა ძაძისა მის ჳაჳჳ მძი-

1 აღვიდოდა რად BD. 2 ეფთვი B. 3 თსა D. თუსად D. 4 ერისად | მამისად BCD. 5 რად იცილებოდეს BD. რად |—CD. 6 არამედ | ჳლ BCD. 7 მიილო BCD. 8 შთ სათნოებათა თსა B, 9 ეფთვი CD. 10 და თუსსა | და თუსსა (ორჯერ) 11 აღსასრულადმდე B. 12 თუსად B. თუსა C. 13 ეფთვი A. 14 დგან C. 15 ჳურთხისა D. 16 სუეტი D. 17 ხოლო |—D. 18 და |—D. 19 დარჩეს B. 20 არიან A. 21 მისა C. ჳუეშე კერძო მისა D.

მე და, რადთა შემოკლებულად ვთქუა, რომელიცა ვინ მცნებად გამოიძიოს, პოოს¹ მის მიერ აღსრულებულად². ხოლო ქალწულებად ესოდენ შეუხებე- A 207 a
ლი და უბიწოდ დაემარხა, ვითარცა ანგელოზთა შორის მყოფსა და არა ქუე-
ყანასა ზედა სავსესა ცოდვითა. ხოლო თარგმანებად წიგნთაჲ ნამეტნავად და B 219 b
გვრგვინად და სართად და კიდევანად ყოველთა სათნოებათა მოევო, რომელი-
იგი ფრიად საკრველ არს, თუ ესოდენთა მოღუაწებათა თანა ვითარ³ აღწერ-
ნა ესოდენნი თარგმანებანი, გინათუ ესოდენთა თარგმანებათათა⁴ თანა ვითარ-
და უძლო აღსრულებად ესოდენთა მოღუაწებათა! გარნა ძალითა ღმრთისაჲ-
თა ქმნა ორივე ესე ფრიად მაღლად და დიდებულად.

აღესრულა წმიდაჲ და სამ გზის სანატრელი ღმერთ-შემოსილი მამაჲ ჩუენი ეფთვმი⁵ თუესა მაისსა იგ, ქალაქსა შინა სამეფოსა, წყლულებითა მით⁶ ზემო ვსენებულთა.

ხოლო აღმოიყვანნეს პატიოსანნი ნაწილნი მისნი მთაწმიდას და დაისხნეს რაძარსა შინა წმიდისა იოანე ნათლის-მცემელისასა, ქართველთა მონასტერსა, მათ მიერვე⁷ აღშენებულსა.

და რომელნი სარწმუნოებით მოუტლებიან, აღმოივსებენ მაღლსა კურნებათასა უხუტებით კანდიერებითა მისითა წინაშე ღმრთისა, რომლისაჲ არს დიდებებაჲ უკუნიითი უკუნისამდე⁸.

იოვანეს და ეფთვმეს ცხორების ხელნაწერები

ა) ვრცელი რედაქციისათვის გამოყენებული ხელნაწერები:

A = საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნ. № A/558 (ყოფ. საეკლ. მუზეუმი-სა) ზომა 19×13, ნაწ. 16×10 სანტ. in folio, ტყავზე, დაწერილია 1074 წელს მშვენიერი ნუსხური ხელით. გვერდზე 24 სტრიქონია. საწინაო ასოები უმთავრესად წითური მთავრულითაა შესრულებული. ჩვენი ძეგლი იწყება მე-5 გვერდზე და თავდება 130-ეზე, ე. ი. სულ 62 1/2 ფურცელია. წიგნი ამჟამად დაშლილია. შიგ არის გადარეცხილი (ძალიან მცირე) და ამომწვარი ადგილებიც. ამომწვარი ადგილებია, მაგ. 117, 118, 119 და 120 გვერდებზე, რის გამოც ბევრი ასო და რამდენიმე სიტყვაც კი აღარ იკითხება და აღდგენილია ვარიანტების საშუალებით. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ წიგნში ყოველი ძეგლის სახელწოდების ბერძნული თარგმანია მიწერილი გვერდის აშიაზე ირიბულად. მართალია, ეს მინაწერები დრო-ჟამის განვლის გამო გამკრთალებულა, მაგრამ მათი წაკითხვა გაცხოველებით ახლაც შესაძლებელია. წიგნი დაწერილია მიქაელ დაღალისონელის^{*)} მიერ ქკს 294, ე. ი. 1074 წ. (იხ. Жордания, Описание II, 85).

1 პოვოს B. 2 აღსრულებულად)+კეთილად და შუენიერად და მაღლად BCD. 3 ვითარ-
და B. 4 თარგმანებათა BCD. 5 ეფთვმი A; ეფთვმე CD. მით)—D. 7 მრ ვე A. 8 უკრე]+ან BCD.

*) თ. უოტდანიას თავის აღწერილობაში შეცდომა გაპარვია და წიგნის ამ ნაწილის გადამწერად დაღალისონელის ნაცვლად დაღალისონელი ჰყავს დასახელებული.

B=საქ. სახელ. მუზეუმის ხელნაწერი №A/170 (ყოფ. საეკლ. მუზეუმისა) ზომა 28×21 , ნაწ. $21\frac{1}{2} \times 14$ სანტ. წიგნი დაწერილია ქალაღზე in quarto, 1733 წელს. სვეტში 40 სტრიქონია. ჩვენი ძეგლი იწყება 176 ა-დან და თავდება 207ბ-ზე, ე. ი. სულ 16 ფურცლამდეა. გადამწერელს საწინაო ასოები მთავრულით დაუწერია ტექსტისავე მეღნით. წითურად მხოლოდ წიგნის სახელი აქვს დაწერილი და აგრეთვე დასაწყისი ასოები იმ წიგნთა სახეღებისა, რომღებიც ეფთუმეს უთარგმნია. ხელნაწერი ძირითად ტექსტთან შეღარებით იძღევა საკმაო ვარიანტულ განსხვავებებს, რაც სკოლოიებში გვაქვს ჩატანილი. (იხ. Жордания, Описание I, 178).

C=საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერი № A/176 (ყოფ. საეკლ. მუზეუმისა). ზომა 31×21 , ნაწ. $24\frac{1}{2} \times 13\frac{1}{2}$ სანტ. წიგნი დაწერილია ქალაღზე in quarto ნუსხური ხელით. მე-18 საუკუნის I ნახეგარში. სვეტში 34 სტრიქონია (გარდა 171 v/b და 172 ფურცღისა, რომღებიც ნაწერია თხღად და სვეტში 24 სტრიქონიღა); საწინაო ასოები მთავრულია. წიგნის სათაური, თავწერიღობა და ეფთუმეს ნათარგმნ წიგნთა სახეღების დასაწყისი ასოები წითურად სწერია. ჩვენი ძეგლი იწყება 171 v/b-დან და თავდება 196 v/b გვერღზე, ე. ი. სულ $25\frac{1}{2}$ ფურცღელს შეიცავს. წიგნი ჩასმულია ფიცარზე ტყავ-გაღაკრულ ყღაში. (იხ. Жордания, Описание I, 178).

D=საქარ. სახ. მუზეუმის ხელნაწერი № H/2077 (ყოფ. საისტ. საეთნოგრ. საზ-ის ფონდიღან). ზომა $29\frac{1}{2} \times 20$, ნაწ. $21\frac{1}{2} \times 14$ სანტ., დაწერილია ქალაღზე in quarto ნუსხური ხელით 1736 წელს. სვეტში 40 სტრიქონია. საწინაო ასოები მთავრულია. წიგნის სათაური, თავწერიღობა და ეფთუმეს ნათარგმნ წიგნთა სახეღების დასაწყისი ასოები წითურად სწერია. ჩვენი ძეგლი აქ იწყება 85 r/a-დან და თავდება 99 r/a გვერღზე, ე. ი. სულ 14 ფურცღელს შეიცავს. წიგნი ჩასმულია ფიცარზე ტყავ-გაღაკრულ ყღაში. სხვათა შორის, იგი მინიატურებიღანია. ეს ვარიანტი ბევრგან ეთანხმება B ხელნაწერს და, როგორც ჩანს, ორივე ერთი ღეღნიღან მომღინარეობენ.

ბ) სკნაქსარული რეღაკციისათვის გამოყენებულ ზეღნაწერები

A=საქარ. სახ. მუზეუმის ხელნაწერი № A/97 (ყოფ. საეკღესიო მუზეუმისა). ზომა $26\frac{1}{2} \times 20$, ნაწერისა $19\frac{1}{2} \times 13$ სანტ., დაწერილია ტყავზე ნუსხური ხელით XI საუკუნეში. წიგნი მთღიანად წარმოადგენს სკნაქსარს. მასში სულ 389 ფურცღელია, in folio, გვერღზე 28 სტრიქონია. ხელნაწერს ზეღა ყღა არა აქვს და ფურცღებიც დაშღიღია. საზეღაღ და საწინაო ასოებად გამოყენებულღა მთავრული სხვადასხვა ფერებით შესრულებულღი (წითელი, ლურჯი და სხვა). ჩვენს ძეგღს ამ წიგნში უქირავს $4\frac{1}{2}$ ფურცღელი (203 ა-დან 207 ა-მღე) (იხ. Жордания, Описание I, 115).

B=საქარ. სახ. მუზეუმის ხელნაწერი №A/193 (ყოფ. საეკღესიო მუზეუმისა). ზომა 26×15 , ნაწ. 23×13 სანტ. დაწერილია ტყავზე XI საუკ., in folio, გვერღზე 33 სტრიქონია. წიგნი წარმოადგენს მთღიანად სკნაქსარს. მასში სულ 300 ფურცღელია. იგი თავიღან ბოლომღე დაშღიღია და საესებით უყღოა.

შიგ ცალ-ცალკე რვეულებია ძაფით შეკერილი. დაწერილია კალიგრაფიული ნუსხურით. საზედაოდ და საწინაოდ გამოყენებულია მთავრული ასოები, გამოყვანილი ლამაზად ხან ტექსტისავე მელნით და ხანაც წითურად. ჩვენს ძეგლს ამ წიგნში უჭირავს 4 ფურცელი (216ა-დან 219ბ-მდე) (იხ. Жордания, Описание I, 216).

C=საქ. სახელმწ. მუზეუმის ხელნაწერი № H/2211 (ყოფ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდი). ზომა 22×16, ნაწ. 17×12 სანტ., დაწერილია ტყავზე, ნუსხური ხელით, XI საუკუნეში. წიგნი წარმოადგენს მთლიანად სუნაქსარს, in folio. თითოეულ გვერდზე 26 სტრიქონია. ჩასმულია ფიცარზე ტყავ-გადაკრულ ყდაში. საწინაო და საზედაო ასოები მთავრულია, ტექსტისავე მელნითა და წითურად დაწერილი. ყველა სუნაქსარის დასაწყისი ასოები დახატულია წითელი, ლურჯი, ყვითელი და სხვაფერი წამლების გამოყენებით. ჩვენი ძეგლი ამ წიგნში იწყება 250 ხ გვერდზე და თავდება 255 ა-ზე (სულ 4^{1/2} ფურცელზე ცოტა მეტის მოცულობისა). იგი გადაწერილია დავით ჯიბისძის მიერ. ნუსხა თითქმის სავსებით იმეორებს B ვარიანტს, რაც მათს ერთისა და იმავე დედნიდან მომდინარეობას გვაფიქრებინებს.

D=საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერი № H/1661 (ყოფ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზ-ის ფონდი). ზომა 25×19. ნაწ. 19×14 სანტ. დაწერილია in folio, გვერდზე 28 სტრიქონია. წიგნი გადაწერილია 1155 წელს გიორგი დოდისის ძიერ ჯვარის მონასტერში (იხ. ანდერძი წიგნის ბოლოს). ჩასმულია ფიცარზე ტყავ-გადაკრულ ყდაში. დაწერილია ტყავზე საუკეთესო ნუსხური ხელით. საწინაო და საზედაო ასოები აქაც მთავრულია ტექსტისავე მელნითა და წითურად გამოყვანილი. ჩვენი ძეგლი ამ წიგნში იწყება 180 ა-დან და თავდება 183 ხ-ზე.

ა. შანიძე

გიორგი მთაწმიდლის ენა
იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების
მიხედვით

გიორგი მთაწმიდლის ენა

იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით

იმ დიდი ღვაწლის დასაფასებლად, რომელიც გიორგი მთაწმიდელს უდაოდ მიუძღვის ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში, აუცილებლად საჭიროა შესწავლილ იქნეს ყველა მისი კალმის ქვეშ გამოსული ნათარგმნი თუ ორიგინალური თხზულება, მაგრამ ეს მომავლის საქმეა. ამჟამად შეიძლება შევჩერდეთ „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრებაზე“, რომელიც კარგა მოზრდილი ორიგინალური თხზულებაა და საკმაოდ შეიცავს ცნობებს ავტორის ენის თავისებურებათა შესახებ.

ამ ძეგლს, სამწუხაროდ, არ მოუღწევია ჩვენამდე გ. მთაწმიდლის ავტორათვის სახით, მაგრამ გადაწერილია მალე ავტორის გარდაცვალების შემდეგ ათონის სალიტერატურო სკოლაში, რომელსაც თვითონ გ. მთაწმიდელი მეთაურობდა წლების განმავლობაში, და უნდა ვიფიქროთ, რომ გადანაწერი დიდად არ იქნება დაშორებული დედანს¹.

ამას გარდა, არის ერთი გარემოება, რომელიც უთუოდ უნდა აღინიშნოს: „ცხოვრებაში“ შეტანილია ათონის ქართველთა მონასტრის კრებულის ერთობლივი დადგენილება ქართველ-ბერძენთა ურთიერთობის გამწვავების გამო. ეს დადგენილება, რომელსაც ეწოდება „მოსაქსენებელი წიგნი“ (მემორანდუმი), დაწერილია სვიმეონის მამობის დროს² და არ ვიცით, თუ ვინ არის მისი ავტორი. მაგრამ აქ ამ მემორანდუმის მასალა „ცხოვრების“ სხვა ნაწილებისაგან არ არის გამოყოფილი და მათთან ერთად არის განხილული. ზედმიწევნობა თუ გვინდა დავიცვაოთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ის სიტყვები და ფორმები, რომლებიც მემორანდუმიდან არის დამოწმებული (თ. 118-ე: 118, 118 b, 118 c, 118 d), შეიძლება გ. მთაწმიდლის ენის დამახასიათებელი არ იყოს.

¹ A ხელნაწერის ის ნაწილი, რომელიც „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრებას“ შეიცავს, ორი პირის გადაწერილი უნდა იყოს: ხელი იცვლება 51-ე გვერდიდან. შეიძლება ამით აიხსნებოდეს ოდნავი განსხვავება ბოლო ნაწილის ორთოგრაფიაში (ვაგ., „ეფთვიმე“-ს ნაცვლად „ეფთვიმე“ ან „ეფთვიმი“).

² კ. კეკელიძის თანახმად, სვიმეონი მამად იყო 1041—42 წლებში („ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან“: ეტიუდები ძველი ქართ. ლიტერატურის ისტორიიდან. II, 1945, 233).

ათონის წინამძღვართა ქრონოლოგიურ საკითხებში კ. კეკელიძისაგან ძალაან სხვაობს ა. ნატროშვილი (Иверский монастырь на Афоне. Тифлис 1910, გვ. 204—252). ნ. კიდეც ცნობები „ათონის კრებულში“, გვ. 365, შწმ. 3.

გრამატიკა¹

„იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების“ გრამატიკული თვალსაზრისით განხილვის შედეგად ირკვევა შემდეგი:

1. **ორთოგრაფია.** A ხელნაწერის ტექსტი, რომელსაც „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების“ ეს გამოცემა ემყარება უმთავრესად, საერთოდ კარგად განართული ქართულით არის დაწერილი, მაგრამ ორთოგრაფიულ საკითხებში აქაიქ მერყეობას იჩენს. გვხვდება ნაირ-ნაირი დაწერილობა: ათანასი 14,4 და ათანასე 17,1 (აქედან მოდის ნათ. ბრუნვის ფორმა ათანასეს-ი); ეფთვმე (ჩვეულებრივ), ეფთვმი 34,2; ეფთვმე 111,4; 115,1 და ეფთვმი 108,1; 109,1; 110,6; 114,1; თუთოეული 32,14 და თითოეული 48,2ბ.; სამარხოსა 113,15 და სამარხვოსა 104,2ბ.; სოფლიოთა 29,12 და მსოფლიოდ 29,14; მზარეული 70,14 და მზარაული 97,6; რაოდენი და რავდენი; ესოდენი 51,13 და ესთენი 97,4 და მისთ. ესენი და მსგავსი ვარიანტები ყველა დატოვებულია გამოცემაში.

სამაგიეროდ გასწორებულია შეუძლებელი ფორმები, როგორცაა ასოთა დაკლება, ზედმეტად დაწერა თუ სხვა ხასიათის უსწორ-მასწორობანი:

ა) დაკლება: ივნა (ივნა 8,7); შეამზოს (შეამთზოს 29,8); ღირსა (ღირსსა 29,8); ძეისა (ძელისა 31,7), საკუთხეველის (საკურთხეველის 31,9-10); გაესუნა (გაესუნა 37,1), მიეყრობინ (მიეყრდნობინ 59,2), დასთხიან (დასთხიან 77,4), დაუთხიან (დაუთხიან 81,8).

ბ) ზედმეტობა: წყოობათა (წყობათა 29,1); არაჲ ეგებოდა. (არა ეგებოდა 16,6); იხილნა (იხილა 79,11), არაჲ აცილა (არა აცილა 115,7).

ც) **ასო ზოგჯერ უმართებულად იყო ნახმარი და გადასწორდა ე-დ:** უკუს 49,1; 104,1; ქუს 68,23; 102,3; ქუეშ 60,3; დლითი-დღს 118 ხ,7; კიდს (=გარდა) 70,8; ზმნის ფორმები: ურთს 70,9; წარვიდს 112,14; „მღე“ თანდებული: დაურეგბადმს 112,4; უკუნისამდს 118 დ,22; წრფელობითის ფორმები: დღს ყოველ 60,6; მენს 108,5; მშუდობის მოყუარს 115,6; სულ-მოკლს 118 ხ,32. საზოგადოდ, ამ ასოს ხმარება შეზღუდულია ძეგლში: ის აღარსად გვხვდება „შენება“ ზმნაში, არც უფროობითი ხარისხის ფორმებში (ნახე ლექსიკონში სიტყვები: აღშენება, ჟადრეს, უმეტეს-ი, უპრწმეს-ი, უმძიმეს-ი, უმჯობეს-ი).

დ) სხვა შემთხვევები: ოდესცა მოვიდეს (ოდესცა მოვიდის 52,10), ჩამოვედით (ჩამოვიდით 118 ხ,20), ველისა მპყრობელი (ველის ამპყრობელი 40,2); აღვირცხუნენით (აღვირცხუნენით 48,12), პროკოპოსი (პროკოპისი 49,39).

ფონეტიკა

2. **ასიმილაცია.** „ცხოვრების“ მთავარი მოქმედი პირის სახელი ბერძნულ ფორმასთან ახლო მდგომი სახითაც გვხვდება (ეფთვმი 108,1; 109,1; 110,6; 114, 1, ეფთვმე 115,1);¹ მაგრამ უფრო ხშირია ასიმილაციური ფორმა: ეფთვმე (ვთ—ფთ),

¹ ამ სათაურის ქვეშ შემოტანილია ორთოგრაფიული და სტილის საკითხებიც, რომლებიც არსებითად სცილდება გრამატიკის ფარგლებს.

ესთენ-ში (97,4) თ დ-საგან არის მიღებული ხ-ს გავლენით: ესოდენ-ი—
ესდენი — ესთენი.

3. დისიმილაცია გვაქვს შემდეგ სატყევაში: წურილნი 74,5 (ნაცვლად ამი-
სა: წულილნი; შდრ. გამოიწულილა 13,4; გამოწულილვით 27,5). რაც შეეხება
დისიმილაციას „გრიგოლ“-ში (49,17; 49,20), ის უფრო ადრინდელ ძეგლებშიც
გვხვდება.

4. ახალი ბგერის გაჩენა. გვაქვს „მიღმართ“ (65,2), სადაც ლ გაჩენილია
ალ-მართ-ის გავლენით. გვხვდება უღანო ფორმაც: მიმართ 68,1; 111,4.

5. ბგერათა გადახმის შემთხვევა გვაქვს ამ სიტყვაში: აგუსტოს-ი 54,6.
მოსალოდნელი იყო აგუსტოს-ი, მაგრამ უკვე ატენის 853 წლის წარწერაში
იკითხება: „თთუგსა აგუსტოსსა“... აქ ჩვენთვის სხვაც არის საყურადღებო:
უ-ს ნაცვლად ჯ.

გადასპულაა და თანაც უმარცვლო უ-დ არის ქცეული ვ: მიმოსულასა
115,14 (მაგრამ: მიმოსლვაჲ 118 b, 18).

6. ბგერათა მოკვეცა. „გრიგოლი“-ს ნაცვლად რომ „გრიგოლ“ იკითხება
(49,17; 49,20; 118,39), მაშასადამე, რომ ბოლოკიდური ხმოვანი მოკვეცილია,
ეს ვაგრძელებთ უფრო ადრინდელი ძეგლების ჩვენებისა, ამ ძეგლისთვის კი
უფრო თავიკიდური ა-ს მოკვეცაა საყურადღებო „ათორმეტ“-ში: თორმეტი 21,4.
ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ საზოგადოდ რიცხვით სახელებში ათიდან
ცხრამეტამდე (ერთხელ თვით ამ სიტყვაშიც) შენახულია ა: ათერმეტსა 114,2;
ათორმეტისა 26,2; ათორმეტთა 31,19; ათცამეტსა 114,2; ათოთხმეტი 62,1.
ათოთხმეტისა 109,1; ათხუთმეტი 31,4; მეათექუსმეტსა 114,3.

ა მოკვეცილია აგრეთვე „შტოა“-ში: შტო (=στωα).

ე-ს ამოღების შემთხვევა გვაქვს აქ: ორმოცი-ი 97,3 (გვხვდება ორბეოცი-ც
31,2) და სამოცი-ი 68,19.

ორი თ-ს ნაცვლად იკითხება ერთი და სიტყვა გამარტივებულია: თუგსა
84,9; 114,1.

ბოლო თანხმოვნის მოკვეცის შემთხვევებია კიდევ: ვითა (=ვითარ, ნ. ლექ-
სიკონში), კულა (=კულად, ნ. ლექსიკონში), ყოლა 70,8 (=ყოვლად). უკა-
ნასკნელი ფორმა კარგად ცნობილია ვენტის-ტყაოსნიდან: „თავი ყოლა ნუ
ჰგონია მეღექსეთა კარგთა სწორი“.

ვირე-შიც (83,1 ბ) არსებითად ბოლოკიდური დონის მოკვეცის შემთხვევა
გვაქვს: ვიდ-რე.

ჩვეულებრივია ზმნისწინების გამარტივება ბოლო თანხმოვნის ჩამოკვეცით:
აღ—ა: ათუალული 31,6; აინთიან 81,3; ადგომისა 70,6 (მაგრამ ტერმინ-
ში შენახულია დ: ადღგომისა დიაკონი 84,1); აშენებისათჳს 23,5; 33,4;
ასწყდნეს 118 b, 2; ა-მცა-ჯოცილ 118 d, 7; აჯოჯვაჲ 89,6.

გან—გა: გააგონო 112,13; გაგზავნის 92,3; გაუკუეთეთ 119,4; გაკუთი-
ლი 84,9; 86,4; გააგებნ 99,3; გასაგებელი 18,2; 98,5; გაგვანონებ 94,8; გასა-
რომელი 25,6; 102,2; გამავალთა 61,2 (გამავალთა ძმთა ჰკითხავნ განსლვისა-
თჳს); გავიდიან 97,9; გავა 68,7; გაგისუენოთ 83,6; გაესუენა 37,1; გასაყოფე-
ლად 32,2; გაუყვეს 32,2; გაეწესა 59,3; 96,1; 103,1; გაუწესებია 72,3; გასწყ-

დებოდა 95,6; გაუჯმენ 95,4; გაგიტევენე 33,14; გაგიყვანო 72,4; გაპყიდღეს 78,8; გააცადა 20,2 და სხვ.

წარ—წა: წაიგეს 31,22; წასაგებელად 32,7; წაელენა 16,5; წამოსცემღეს 104,12; წაულიდან 64,4; წაიწყმედთ 68,5; წაჯღეს 97,4; წასანახავად 81,3; წასაცემელად 98,8; წავიდიან 97,7; წავიდე 17,10; წაილიან 96,3; 104,17; წაილეთ 55,11; წავკლეს 118 c, 10.

გ. მთაწმიდლის თხზულება ამჟღავნებს, რომ აკ დაბოლოებიან სახელებს უკვე XI საუკუნეში ზოგჯერ ჩამოკვეცილი ჰქონდათ ბოლოკიდური თანხმოვანი და გადასული იყვნენ ხმოვან-ტუძიანებში: აგარა-ნ-ი 102,1; მუშა-ა 97,2; მუშა-თა 91,2; 97,1. რა თქმა უნდა, შეიძლება კანიანი ფორმაც იხმარებოდეს, ოღონდ ის გარკვეული შემთხვევებისთვის არის შემონახული: მუშაკი ქრისტეს მცნებათა 35,4; ნამუშაკევი 5,12. „სენაკ“-ში კ მკვიდრია, სამავიეროდ, მისგან ნაწარმოებია „მოსენაე“ (97,2; 103,1), სადაც კ ჩავარდნილია.

მსგავს მოვლენას გვიჩვენებს ბერძნულიდან მომდინარე „კრიაკე“ (73,1), რომლის გვერდით „კრიობა“ ან „კრიობა“ გვხვდება (77,1; 104,22).

სტავროს შესახებ ნ. § 13. პირის ნიშნის მოკვეცის შესახებ ზმნაში ნ. § 28.

7. ამოღებულია ხმოვნებს შორის თანხმოვანი დ: დიად 61,3 (=დიდად).

8. რედუქცია. გვაქვს ე ხმოვნის „ელ“ სუფიქსიდან ამოღების იშვიათი შემთხვევები: გასაყოფლად 32,10 (შდრ. 32,2); ღმრთის-მშობლისა 49,27; მხუეტლად 93,2.

ო რედუქციის გზით „მონაზონ“ სიტყვაში უმარცვლო უ-ს გვაძლევს: მონაზუნის 49,42, „რაოდენ“-ში კი (რაოდენიმე 30,6; რაოდენისამე 15,1) ის ზოგჯერ ვ-დ არის ქცეული: რავდენ გზის 118 b, 20; რავდენნი 118 b, 6; 118 b, 17; რავდენთამე 118, 15, ხოლო „ესოდენში“ სულ დაკარგულია: ესთენი (←ესდენი) 97,4.

9. ოვა და ეო. „ოვა“-ს ენაცვლება „უვა“: საშოვალ დადვიან 59,4 მაგრამ: საშუვალი 70,9.

ეო ჯგუფი ხელოვნურად არის შემონახული ბერძნულის გავლენით ავტორის სახელში: გეორგი (სათაურში)¹, ჩვეულებრივ კი მის ნაცვლად ყველგან იო გვაქვს: გეორგი 115,2; 118,23; 118 b, 2.

10. ბგერათა დაკარგვა. იკარგება ვ:

a) ოვა კომპლექსში: ეთხოა 49,23; ცვლოანი 31,17; 31,20; ზნოანება 112,15; ჯელოანთა 101,2 (მაგრამ: ჯელოვნება 92,2); სახელოანი 39,5; 51,10; 83,4 (მაგრამ: სახელოვანი 25,2; 115,9; სახელოვანსა 36,5; 115,9).

b) ოვო კომპლექსში: პოოს 108,11; იპოოს 39,7 (მაგრამ: იპოვოს 28,2; 39,10); ითხოოს 100,4.

c) ოვი კომპლექსში: სთხოის 99,2 (მაგრამ: ითხოვიან 101,5; იპოვის 72,4).

d) ოვე კომპლექსში: იპოების 117,8; 118 c, 14.

e) ო-ს წინ: დაუტეოს 39,7; სცვოდა 55,3; შეემთხვოს 91,5 (მაგრამ: ვა-ნეზავოს 39,2 ბ.), სამარბოსა 113,15 (მაგრამ შენახულია: სამარბვოსა 104,2 ბ; ეკრძალვოდა 115,10; ალვიდროდით 2,12).

¹ „გეორგი“ იკითხება „ქართლის მოქცევაშიც“ (ე. თაყაიშვილის გამოც., 727), როგორც ს. ყაუხჩიშვილმა აღნიშნა („არილი“, 98).

ფ) უ-ს შემდეგ: წაულიდიან 64,4.

გ) თ-ს შემდეგ „ცხორება“-ში (მაგრამ: ცხოვრებოდეს 37,5).

ბ) უ-ს წინ 1-ლ სუბ. პირში: მიუწერო შეფეთა 33,14; უწყით 36,7; 115,13; შეუღლებით 115,14 [(სამაგიეროდ, 1-ლი სუბ. პირის ნიშანი შენახულია გ-თი ფუძე-დაწყებულ ზმნაში: დიევარდი 45,13; 46,11; შთავეარდი 33,25; ვ უ-ს წინ შენახულია „კრასოვულ“ სიტყვაში (100,1 და სხვაგან)].

იკარგება უმარცვლო უ:

ა) თ-ს წინ: ფიჩუ (მათ. 5,40 C; მარკ. 10,50 C), მაგრამ: ფიჩოსანნი 25,1;

ბ) მ-ს წინ: თქმულნი 49,17 (შდრ. 49, 20; 49, 26).

ც) შუერ, ფუძისაგან ნაწარმოები ზმნის საწყისსა და მიმღობაში რ-აეს მომღვენო თ ხმოვნის გავლენით: შრომა 60,7; 69,8; 89,6; შრომელნი 96,2 (მაგრამ შენახულია პირიან ფორმებში: შურებთან 83,7; შურებოდა 48,7; შურებოდთან 90,4).

11. ხტ და შთ კომპლექსთა ცვალება. ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეციის გარდა (§ 6), საყურადღებოა ხტ კომპლექსის შტ-დ ქცევა ბერძნულიდან მომდინარე სიტყვაში: სტოა — შტოა — შტო 58,12; 75,2.

შთ კომპლექსი ზოგჯერ ჩ-ს გვაძლევს: ჩამოიტანნა 25,2; ჩამოვიდა 118 c, 3; ჩამოვიდით 118 b, 20 (შდრ.: შთამოვიდა 14,1; შთამაგდებენ 17,11; შთავიდოდა 105,9; შთავლო 105,10; შთავიდა 105,19; შთავერდომად 34,4 და სხვ.).

12. შ ასოხთვის. შ ასო აღარსად გვხვდება ზმნებში ხმოვნების წინ პირის ნიშნად, სამაგიეროდ, ის შენახულია სახელებში როგორც ძირეული: ჰამბავი 15,1; ჰამოთა 68,4; ჰასაკითა 108,3; აბრაჰამისა 5,2; ჰურია 54,1. იგივე შ მოიპოება ჰაერსა 73,1 და მისგან ნაწარმოებ ჰაეროვნება-ში 118 c, 13, მაგრამ აღარ არის ამბორის-ყოფა-ში (ამბორს-უყვეს 22,4).

პრომ-ში (51,2; 52,2) შ ბერძნული ენის გავლენით აიხსნება.

შ რ ა შ ო ლ ო ბ ი ა

13. ა-ზე გათავებული ფუძეები. ა-ზე ფუძე-გათავებულ სახელებს შენახული აქვთ ბრუნვის ნიშანი სახელობითში: მამა 70,1; ენა ჩუენი და ქუეყანა 4,17; დიკა 90,2; ლავრა 40,9; კოკა 84,9; ნება 16,7; 26,8; მიწა 118 d, 2; ბქობა 118 c, 5; ცხორება და უწყება (სათ.); ჯელმწიფება და უფლებად 39,1; უღწობად და უსაქმლობად 60,2 ბ.; გამოცდილება 25,5; წურეთა დაგლეჯად გინა მიმთხუევი 68,1-2 და სხვ.

ა შენახულია გენიტიურ ფორმებშიც: ცხორება და წამება წმ. სტიფანე ახლისად 49,12; ესადასა 4,1 ბ.; გუამისათა 7,5; წიგნათათა 4,17 და მისთ.

თუ „სტავრა“ არ იკვეცს ა-ს და მოქმედებითში „სტავრათა“ ფორმას გვაძლევს (31,14), ეს იმით აიხსნება, რომ ეს სიტყვა ჩამომავლობით თანხმონაწილე გათავებული სახელია (*სტავრაჟი, *σταυραχαιον*) და ბოლოკიდური თანხმოვნის ჩამოშორების შემდეგ მის წინ მდგომი ხმოვანი იწარჩუნებს თავის ძველ მდგომარეობას — არ იკვეცება. ეს სიტყვა ვეფხისტყაოსანში უკვე ბოლოკვეცილთა ჯგუფშია გადასული: სტავრისა 1438,1; სტავრითა 1467,3.

14. ო-ზე გათავებული ფუძეები. ა მკვიდრია ო-ს შემდეგაც:

ა) სახელობითი: ღუნია 70,8; სამკედლო 74,4; ოქსინო 31,10; უწე-სო 68,3; მსოფლიო 29,14; სამწყსო 118,18; წარჩინებული და საჩინო 7,3 (შდრ.: წრფელ. ფორმა: ცხად არს და საჩინო 12,2) და მისთ.

ბ) ნათ.-ში და მისგან ნაწარმოებ რთულ ბრუნვებში: სოჟუნო 68,11; უნდო 104,10; ოქრო 5,14 და სხვ.

ც) მოქმ.-ში: დილო-კილოთა 31,15.

15. ე-ზე გათავებული ფუძეები. რაც შეეხება ე-ზე დაბოლოებულ სახელებს, ისინი სახელობითი ზოგჯერ გვიჩვენებენ **ე-ს**: სახე 51,15; 72,8; მგზე-ბარე 56,7; მძიმე 108,11; სავენავე 74,4; სიმტიცი 118 d, 21 და სხვა, მაგრამ უფრო ჩვეულებრივია უნიშნო ფორმა: ძე 11,5; 33,2; სიგრძე 2,1; საფსე 30,6; 79,2; საქმე 54,3; მძიმე 115,16; სიწმიდე 56,5; სიგრილე 6,4; 6,13; სიმედგრე 112,15 და სხვ. შდრ.: სიშორე ქუეყანისა ჩუენისად დიდ იყო და სიერცე აღგილისა ამის დიდებულისად ფრიად იყო 118,19; ლამე ათიეს 55,12 და ლამე განათიეს 56,4.

ე გვაქვს ე-ზე გათავებულ საკუთარ სახელთა გენიტისა და გენიტურ ფორმებში: ეფთუმესთს 11,2; იოვანესი 10,7; დორეთესი 47,10; ათანასესი 49,28; ზოსიმენსი 49,32; კასიანენსი 49,50 და სხვ.

16. ემფატიკური ე. აღსანიშნავია, რომ „ემფატიკური“ ა-ს ჩამოკვეცა გვხვდება ხმოვანზე ფუძე-დაბოლოებულ სახელთა მიცემითში, უმთავრესად აღგილის გარემოების ფუნქციით ხმარებულში: ლავრას 16,11; ეკლესიას 58,9; 94,5; 108,5 (მაგრამ: ეკლესიასა 58,1 ბ.; ეკლესიასაცა 94,7; ძმათა და ეკლესიასა 98,12); სამამოს 69,6; სატრაპეზოს 69,7; 96,4; სამზარეულოს 82,2; 96,3 (აგრეთვე თანხმოვანთაანაც: მონასტერს შინა 15,5).

იმავე ემფატიკური ა-ს ჩამოკვეცა გვაქვს განსაზღვრებად წინ წამძღვარებულ სიტყვებში: ცეცხლის კიდესა 82,3; მონაზუნის კურთხევა 49,42; საკურთხევის შესამოსელი 31,10; ნაწილის შთასასუენებელი 31,8 და სხვ.

უფრო ხშირად არ მოიპოვება „ემფატიკური“ ა მოქმედებებით: მშჯღობით 76,6; სიმშჯღით 79,9; ნაყროვნებით 82,4; ტირილით 111,11; ცრემლით 111,12; 118 ბ, 11; უმანკოებით და სიწრფოებით 118,21; ანუ თხოვით... ანუ კაცთა წყალობითა 118 ბ, 23; წყალობით 118 ბ, 35; ყოვლითურთ მონაგებით და სიმდიდრით 118 ც, 21; კოვზითურთ და ბრწყლით და ნაწილის შთასასუენებელით 31,8. რა თქმა უნდა, ეს მოვლენა უფრო ადრინდელია, მაგრამ აქ ის მკაფიოდ არის გამოხატული.

თავისთავად ცხადია, რომ, როცა მოქმედებით დაწყებითის ფუნქცია აქვს, მაშინ მოკვეცილად უნდა გიგულისხმოთ ა კი არა, არამედ ი: ოდეს ტრაპეზით აღდგის 70,13; მონასტრით 102,3; 104,17.

17. მრავლობითის წარმოება. ებ-იან მრავლობითშია ხმარებული „წიგნი“ წერილის მნიშვნელობით: წიგნები 19,3 ბ.; 20,1; 36,3 (მაგრამ: სავედრებელთა წიგნთათს 118 ბ, 19); სენაკები 15,8; 60,3 (მაგრამ: სენაკთავან 52,6; სენაკთა შინა 81,5); სახელები 1,9; ხატებითა 31,16; 32,4; ძონძებითა 112,18. ვიტყვით: ებ-იანი მრავლობითი უმეტესად თანხმოვანზე ფუძე-გათავებულ სახელებს

აქტო და მაგალითსაც მოვიყვანდით: გინა თუ მოგუნნი, გინა თუ ჩაფლანი, გინა თუ საბლები (101,6), მაგრამ ამას ეწინააღმდეგება: გალობები 49,33.

18. პირის ნიშნები. ძველი საზოგადოლო წესიერად ხმარობს სუბიექტურსა და ობიექტურ პრეფიქსებს, მაგრამ არის შემთხვევები მათი დაკლებისა მე-2 სუბ.-სა და მე-3 ობ. პირში: რამცა ძილითა ვაძლებოდე 94,8; წარციან 104,14. ს-ანთან და ზ-ენტან ჰ-ს დაკლება ფონეტიკური მიზეზის ბრალია: ხედვიდა 105,2; 118 ხ, 10; ხედვიდეს 109,5; თანა დახუდენ 118 d, 8; არას ვინ ზრუნვიდეს 78,3.

„ყოფა“ და „გაყიდვა“ ზმნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გ. მთაწმიდელი I სერიის ფორმებში ორ-პირიან გარდამავალ ზმნებში თანხმოვნების წინ III ობ. პირში პრეფიქსს ხმარობს: არცა გაჰყიდეს 78,3; ჰყოფდიან 52,7; ჰყოფენ 52,10.

19. უწყვეტლის ხოლმეობითი. გ. მთაწმიდელის თხზულების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ენაში უკვე შემუშავებულია პარალელური ფორმები უწყვეტლის III სუბ. პირის ორსავე რიცხვში. ამ პარალელურ ფორმებს ხოლმეობითობის ფუნქცია აქვთ და ამ მხრივ საკმაოდ განსხვავდებიან უწყვეტლის ჩვეულებრივი ფორმებისაგან. რამდენადაც ძირითადისა და პარალელური ფორმების ზმარება ერთმანეთის ნაცვლად ყოველთვის არ შეიძლება, ამიტომ ცხადია, რომ არსებითად აქ საქმე გვაქვს ახალ მწკრივთან, რომელსაც უწყვეტლის ხოლმეობითი ეწოდა. ეს სახელი იმაზე მიგვიითებებს, რომ ისიც იმავე ფუნქციანაა ნაწარმოები, რომლისაგანაც უწყვეტელი.

ეს ახალი მწკრივი, წარმოშობილი I ხოლმეობითის დასუსტების ნიადაგზე და მის შესაცვლელად, X ს.-ის ძეგლებშიც გვხვდება (მაგ., გრ. ხანძთელის „ცხოვრებაში“), მაგრამ აქ ეს მოვლენა დამთავრებული სახით არის წარმოდგენილი. სათანადო მაგალითები ძეგლში ბევრია, უმეტესად მრ. რ.-ში: აკლდის 70,12; უნდის 71,3; ჰმსახურებდიან 73,3; ჰმადლობდიან 76,5; 79,2 ბ.; აწყინებდიან 35,11; ილუწიდიან 104,22; გუზრდიდიან 118 ხ, 25 და მისთ.

ამ ახალი მწკრივის გამტკიცების გამო I ხოლმეობითის (აწმყოს ხოლმეობითის) ფორმათა ზმარება ამ ძეგლში უკვე შემცირებულია: შემდეგი წინადადება: თავისა გასარომელსა სრულებით მისცემდიან მონასტრით და, რადაცა იქმნის მუნ, ყოველსა ქუე მოიღებდიან (102,2-3) ძველის-ძველი ნორმების მიხედვით ასე იქნებოდა წარმოდგენილი: თავისა გასარომელსა სრულებით მისცემედ მონასტრით და, რადაცა იქმნის მუნ, ყოველსა ქუე მოიღებედ.

როგორც ვიცით¹, I ხოლმეობითი ვერ უპირისპირდებოდა II ხოლმეობითს ფუნქციის თვალსაზრისით, არამედ მხოლოდ სინტაქსური კავშირის მიხედვით, ისიც მხოლოდ გარდამავალ ზმნებში. მსგავსად ამისა, აქაც უწყვეტლის ხოლმეობითი მხოლოდ პირდ. ობიექტთან მიმართებით არის განსხვავებული II ხოლმეობითისაგან. ამის გამო ჩვეულებრივია ამ ორი ხოლმეობითის გვერდი-გვერდ ზმარება; მაგალითად: და ვითარცა შებნელდის, გამოვიდიან თეს-

¹ А. Шанидзе, Изменение системы выражения глагольной категории вида в грузинском и его последствия: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, III (1942), № 9, 254.

თა სენაკთაგან და ლოცვა-ყვიან და დასხდიან და ვიდრე ცისკრისა რეკადმდე უბნობდიან სიტყუათა საღმრთოთა და ვიდრე წარსლვადმდე ამას ესრეთ ჰყოფდიან ყოველთა მწუხრთა 52,5-8; ოდესცა ეკლესიას შევიდოდნიან, ვიდრე მუჯლთა ზედა არა მოდრკიან და თაყუანის-სციან წმ. ღმრთის-მშობელსა, რლ არს კართა ზედა, არა შევიდიან. და ოდესცა მამასა წინა წაუღიდიან ძმანი, ვიდრე არა მოდრკიან და თაყუანის-სციან მდაბლად, არა წარჰკლიდიან 64,1-5. საინტერესოა ერთისა და იმავე ზმნის ხმარება ორსავე ხოლმეობითში: გინა თუ წყალსა ითხოვდიან... გინა თუ სხუასა რასჰე, იღუმალ ითხოვიან 71,8-9.

20. I ხოლმეობითი. ზემორე თქმული არ ნიშნავს, თითქო I ხოლმეობითი არ იხმარებოდეს; ხმარებით იხმარება, მაგრამ ნაკლებად, რადგანაც ნაწილი ზმნებისა უწყვეტლის ხოლმეობითზეა გადასული; მაგალითები: ეგრეთვე ნეტარი მამაჲ ჩუენი ეფთჳე არა თუ საპატრიოთა კაცთა ოდენ, არამედ ახლად მოსრულთაცა ქუე მოდრკეთ თაყუანის-სციემნ და წყალობით მოიკითავენ 64,6-8. უფრო მაჩვენებელია შემდეგი ადგილი: უკუეთუ კულა ვინმე იხილნის უდებნი და დაქსნილნი და ახალ-მოსრულნი, მათ ზედაჲს-ზედა ეუბნებინ ასწავებენ, ამხილებენ და ნუგეშინის-სციემნ და ჯელოსანთა დაჰვედრებენ, რაჲთა... 65,3-5.

ასეთი მაგალითები სხვაც არის, მაგრამ, საერთოდ, უწყვეტლის ხოლმეობითის გაჩენა იმას ჰმოწმობს, რომ I ხოლმეობითს თანდათან ეკარგება ძალა და ხმარებიდან გამოდის. ხმარებიდან გადავარდნა, როგორც ჩანს, I ხოლმეობითს პირველად მრ. რ.-ში დაუწყია; შდრ.: არა უბნობნ 71,2, მაგრამ: უბნობდიან 52,7.

სხვათა შორის, I ხოლმეობითის დასუსტებას „იყვის“ ფორმის გაჩენაც ჰმოწმობს.

21. იყვის. ამ ძეგლში გვხვდება „იყვის“, რაც სახარების ენისთვის სრულიად უცხოა. „იყვის“ თავისი ფორმით II ხოლმეობითია (და არა უწყვეტლის ხოლმეობითი), მაგრამ ეს იმიტომ, რომ „არ“ ფუძის ზმნისაგან¹, რომელსაც II სერიაში „იყო“ ენაცვლება, უწყვეტელი არ იწარმოება და, მაშასადამე, არც უწყვეტლის ხოლმეობითი შეიძლებოდა მისგან გაკეთებულყო. მართალია, არც ფორმა ამ ძეგლშიც გვხვდება (მაგ., ოდეს მცირე რაჲმე საქმე არც, მოწაფესა უბრძანის და იგი წარვიდის 58,10), მაგრამ მის ადგილს ხშირად „იყვის“ იჭერს, განსაკუთრებით მრ. რ.-ში; მაგ., იქვე ახლოს იკითხება: და ოდეს რაჲმე დიდი იყვის, თუთ ვავიდის შტოსა 58,13. ასევე თანაბარი მნიშვნელობით იხმარება სხვაგანაც არც და იყვის: უკუეთუ საკრებულოჲ რაჲმე (საქმე) არც, ძმათა უკმის, რომელთა აქუნ მის საქმისა მეცნიერებაჲ—გინა თუ სამკედლოჲ იყვის გინა სახუროვნოჲ გინა სავენაჲჲ—და მათ თანა დაიურვის სამამოს 74,3-5. სხვა მაგალითები: ვითარი-ძი იყვის შფოთი იგი: უკუე-

¹ თუ მარტო ქართულში მოღწეული ფორმების მიხედვით ვიხსჯელებთ. ამ ზმნაში ა ფუძისეულია, მაგრამ სგანურთან შედარება ცნად-სყოფს, რომ ისტორიულად ა ფუძისეულად ვერ ჩაითვლება.

თუ დიდი იყვის, დიდად წუარონის 68,14; უკუეთუ საჭიროა რაღმე საქმე იყვის 71,8; უკუეთუ კულა ბერნი და უძღურნი იყვიან 60,10; წესი იყო მამისა ჩუენისაჲ, რომელ ტრაპეზსა ზედა ყოვლადვე არა უბნობნ, გარნა თუ ვინმე უცნონი იყვიან და იზოთ საღმე ნელიად სიტყუაჲ მიუგის, გინა თუ წყალი უნდის, გინა თუ ევლოგიასა ვისმე წარსცემნ 71,1—3.

22. ასპექტი ახალ საფუძველზე. როგორც გამოჩვენებულია¹, ასპექტის გამოხატვის სისტემის შეცვლის ნიმუშები შეიძლება X ს.-ის ძეგლებშიც შეგვხვდეს, მაგრამ იშვიათად. გ. მთაწმიდლის თხზულებაში კი ეს მოვლენა უფრო წინ არის წაწეული: ნათლად ჩანს, რომ დაწყებულია ზმნისწინის მიერ მოპოვება მაპერფექტივებელი ძალისა და ამ ნიადაგზე I სერიის სამი ძველი მწკრივისაგან ახალი მწკრივების გამოყოფა: ზმნისწინიანი ფორმები მყოფადის წრის მწკრივებად მიდის, უზმნისწინონი კი—აწმყოს წრისად. რა თქმა უნდა, ეს ჯერ კიდევ არ არის საყოველთაო მოვლენა. ძირითადად ამ საკითხში გ. მთაწმიდელი ძველ ნორმებს მისდევს: მოკვდებო, დედოფალო 46,4,—აქ ზმნას უთუოდ ეხლანდელი დროის გაცება აქვს, აწმყოა (ამას ნიშნავს დღევანდელ ენაზე: ვკვდები, ქალბატონო). ამის შესაბამისად, მომავალი დრო თხრობით კილოსთან შეერთებით II კავშირებითით არის გადმოცემული: მიუწერო მეფეთა 33,14; ჩუენ გიყიდოთ ადგილი და ყოვლითავე საქმრითა შეგეწინეთ 51,16-17; იგი ხოლო ვთქუა 6,1 და სხვა. მაგრამ უეჭველია, რომ მომავალი დროისა და თხრ. კილოს ფუნქცია აქვს ზმნებს ამ წინადადებაში: პირველად სულთა თქუენთა წაიწყმედთ და მონასტერი უწესოდ გავა (68,6—8), რაც ასპექტის გამოხატვის ახალ წესზე მიგვითითებს.

ამასთან არის დაკავშირებული ერთისა და იმავე ფუძის ზმნათა ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა გადაჯგუფება: მაგ., იოვანე ეუბნება თავის შვილხ ეფთვიმეს: წარიყვიანენ ძმანი და წარვიდით ეკლესიასა წმ. ელიაძსსა და ღამე ათიეთ და ჟამის-წირვად აღასრულეთ 55,7-9. უეჭველია, რომ აქ ოთხ ზმნათაგან სამი სრული ასპექტის მქონეა და ერთი—უსრულისა. ეს ერთია ათიეთ: „ღამის თევა“ უსრული ასპექტით არის წარმოდგენილი II სერიაში (II ბრძ.-ში), რადვანაც უსრულდება ექცევა მოქმედების განგრძობილობას. ქვემოთ იკითხება: წარვიდეს და ღამე ათიეთ 55,12. აქაც, მამასაღამე, ხაზი ესმება განგრძობილ მოქმედებას. ასპექტი უსრულია, თუმცა მწკრივი II სერიისაა (წყვეტილი). ცოტა ქვემოთ კიდევ გვაქვს ამ ზმნის ხმარების შემთხვევა: ოდესმე ინება წმ. მამაძან ჩუენმან ეფთჳჳე აღსლვად მთასა ათონისასა ფერის-ცვალებად და, ვითარცა არს წესი მთაწმიდელთად, ერი ფრიადი შეკრებების თხემსა ზედა მთისასა ამას დღესასწაულსა და ღამესა ათევენ. და ვითარ ღამშ განათიეს და მოიწია ჟამი ჟამის-წირვისაჲ... 56,1-4. მოყვანილ ადგილას „ათევენ“ პერმანენიული აწმყოა² და ჩვენთვის იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ უზმნისწინოდ არის ნახმარი, მაშინ როდესაც წყვეტილის ფორმა ზმნისწინით არის მოცემული (ღამშ განათიეს) და ამით მითითებულია, რომ

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, § 335 (გვ. 262); Изменение системы..., გვ. 956.

² ე. ი. აწმყო, რომელსაც დროული გაცება (ეხლანდლის) დაკარგული აქვს.

მოქმედება დასრულდა. მაგალითების მიხედვით ცხადია, რომ ძეგლში გვაქვს ერთისა და იმავე ფუძის ზმნისაგან ორგვარი ფორმა წყვეტილისა: უსრული (ლამე ათიეს) და სრული (ლამე განათიეს); უსრული ნაწარმოებია უზმნისწინოდ, სრული კი — ზმნისწინით, უსრული ასპექტი II სერიაშია შეკრილი, მაშასადამე, გვკვი არ არის, რომ ასპექტის გამოსახატავად ახალი საფუძველია ჩაყრილი.

ეს საფუძველი ცხადია სხვა მაგალითებიდანაც: სყიდაა გინა ღვინსაჲ გინა თევზისაჲ ყოვლადვე არა ჳსენებულ არს მონასტერსა შინა, თუნიერ ჳეთისა, და იგიცა რომელნი მკითხველნი იყენიან ანუ მწერალნი და წასანახავად ანუ საწერლად იინთიან; სხუად კულა არა იყო წესი, რათამცა ანუ კანდელსა ინთებდეს, ანუ ხატთა დაისუენებდეს სენაკთა შინა 81,1-5. აქ უწყვეტლის ფორმა „ნთება“ ჳმნისა უზმნისწინოდ არის მოცემული („ინთებდეს“)¹, მაშინ როდესაც II ხოლმეობითი ჳმნისწინიანია („აინთიან“). სხვა მაგალითები ჳმნისწინიანი ფორმის ხმარებისა ასპექტის ახალი საფუძვლის მიხედვით: გაუჯმენ 95,4, მაგრამ: რათა მეკარე უჯმნიდეს 95,8; უკუეთუ უწურთელად მიგიშუნე, უწყოდეთ, ვითა მას საუკუნესა მწარედ გაისჯებით, უკუეთუ კულა მე აქა მცირედ გწუართნე და მადლობით მიითუალოთ, მრწამს ღმრისაგან, ვითა მის საუკუნოჲსა განკითხვისაგან განერებით 68,9-12. აშკარაა, რომ ჳმნისწინიანი ფორმები („გაისჯებით“, „განერებით“) არა ეხლანდელი დროის მქონეებია, არამედ მოშავლისა, ეგეთივე მაგალითია აქაც: იგინიცა შეწუხებდებიან 83,7. ერთი სიტყვით, ასპექტის ახალი სისტემისაკენ გადმოხრის გამო აწმყოს წრის მწკრივთაგან მყოფადის წრის მწკრივების გამოყოფის პროცესი დაწყებულია.

23. ვნებით გვარისა და მოქმედ. გვარის ჳმნათა გათანაბრებისაკენ უღლების მხრით I სერიის მწკრივებში. გ. მთაწმიდლის თხზულება საყურადღებოა როგორც ძეგლი, რომელშიაც ასახულია დასაწყისი მომენტი ვნ. გვარის ჳმნათა უღლების გათანაბრებისა მოქმ. გვარის უღლებასთან I სერიის მწკრივებში; უფრო ჳედმიწვენილობით რომ ვთქვათ, ძეგლი გვიჩვენებს, რომ ენაში იწყება ოდ და დ-სავრცობიან ჳმნათა გათანაბრება უღლების მხრივ სამ მწკრივში: უწყვეტელში, I კავშ.-სა და I ბრძ.-ში.

უკვე გამოჩვენებულია², რომ ამ მწკრივთაგან ორს (უწყვეტელსა და I კავშ.-ს) უძველეს ძეგლებში სხვადასხვა ნიშანი ჰქონდა იმის მიხედვით, თუ რა მოუდიოდა ჳმნას სავრცობად: დ თუ ოდ. ეს ძეგლი წესი მთაწმიდელთა „ცხოვრებაშიც“ ძალაშია, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ:

a) უწყვეტლისთვის შეიძლება დავიმოწმოთ შემდეგი ადგილები: (კრემლითა მჭურვალთა ვევედრებოდე 45,14; რათამცა ეკლესიასაცა იღუძებდი და სენაკაცა ძილითა გაძლებოდე 94,7—8 [აქ მცა-ს გამო მწკრივი უწყვეტელია I კავშირებითის ნაცვლად]; ჩუენ არა დავდგებოდეთ 115,18.

I კავშირებითისთვის: რათა უცხოებასა სამე წარვიდე და სული ჩემი ვიცხოვნო და გლახაკებით ვიყოფებოდი 33,23; რომლითა გაერებოდი,

¹ მეორე ჳმნა კი თავის ჳმნისწინს იწარჩუნებს: დაისუენებდეს.

² ა. შანიძე, სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი ძველს ქართულში: საქ. მეცნ. აკად. შოაშბე, ტ. VI, № 10 (1945), გვ. 835 და შემდ.

იგი ხოლო დაიშკირე 98,12; რაფთა აღილოს ძე თჳსი და ივლტოდის სპანიალ 33,2; უკუეთუ ვინმე ტრაპეზსა ოდენ ვერ დასჯერდებოდის 80,11; გაუკუეთეთ ზეთი... რომელ იმსახურებოდის თუესა მიისსა იგ... მიეცემოდის კანდელაკსა შემდგომითი-შემდგომად 119,5-7; რაფთა ერთგან ვიყოფებოდით 36,7; რაფთა საღმრთოთა მათ და მაღალთა საქმეთა მიერ ღიღებობის მეტყუელებად და სურვილად აღვიძრვოდით და საუფლოთა მათ ბრძანებათა მიერ განვნათლდებოდით და აღსრულებად მათდა მოსწრაფე ვიქმნებოდით 2,11-14; უკუეთუ მცნებათა ღმრთისათა დამარხვად ილუაწოთ და წესისაებრ და კანონისა საღმრთოჲსა იყოფებოდით 41,2-3; კელოსანთა დაჰვედრებნ, რაფთა მარჯუედ ექცეოდიათ და არარას მიაჭირებდენ 65,5; უკუეთუ ზედამიწეენით არა იცოდიათ, ყოვლადვე არა იკადრონ მოჰსენებად 76,4.

I ბრძანებითის ძველი წარმოების ფორმებია: უწყოდეთ 68,9; საქმელსა ერთსა შეუქმოდეთო 100,3.

ამ მწკრივთაგან I ბრძანებითს შეჰჩრა თავისი ფორმა, რადგანაც თავისი ენიშნით I კავშირებითად იქნა გაგებული (თვით ღონიანი ზმნები ამ შემთხვევაში მათ დაემსგავსა), მაგრამ ორ დანარჩენ მწკრივში ოდ-იან ზმნებს დ-ონიანების მსგავსი ფორმები გაუჩნდა. ამ წინადადებაში: კულად შევსტიროდით და ვესამართლებოდით მეფეთა (118 b, 24) ზმნები, როგორც აღნიშნულია¹, უწყვეტლის ფუნქციითაა ნახმარი, მაშასადამე, ოდ-იან ზმნებს ნიშნად ამ მწკრივში ი აქვთ და არა ე, როგორც სხვა შემთხვევებში ვნახეთ.

24. გარდამავალი საფეხური. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ. მთაწმიდლის ენაში უწყვეტლის ხოლმეობითი მკაფიოდ გამოკვეთილი მწკრივია, ამ მწკრივში საკმაოდ გვხვდება არა მარტო დ-საერცობიანი ზმნები, არამედ ოდ-ბანებიც, რომლებიც, დ-ონიანების მსგავსად, ამ მწკრივის ფორმით სხვა ხოლმეობითის რიგებშია ჩაყენებული; მაგალითები: ოდეს (ხილი) მოიწოდის, კელარნი ზედაღს-ზედა გავიდოდიათ მეტოქთა და მოჰნახვიდიათ ხილნართა და მუნ მყოფთა მოუზუნეიან და დაამცნიან 98,8-11. ცხადია, „გავიდოდიათ“ უწყვეტლის ხოლმეობითის ფუნქციითაა ნახმარი, მაგრამ მისი ფორმა I ხოლმეობითის ფორმას ემთხვევა, თუ რომ უკანასკნელი ნაწარმოებია ძველი წესით: მართლაც, ზმნა „გავიდოდიათ“ თავისი ფორმით არაფრით არ განსხვავდება „ექცეოდიათ“ ზმნისაგან ამ წინადადებაში: კელოსანთა დაჰვედრებნ, რაფთა მარჯუედ ექცეოდიათ (65,5), რომელიც ძველი ნორმების თანახმად არის ნაწარმოები და I კავშირებითად ბიდის. შემთხვევით მოვლენად ასეთ ფორმალურ დამთხვევას ვერ ჩავთვლით, რადგანაც მოყვანილი ფორმა („გავიდოდიათ“) მსგავსი ფუნქციით სხვაგანაც გვხვდება: მოსენაეთა კულა მოწაფენი ყოველსავე საეროსა სამსახურებელსა გავიდოდიათ 97,5. ამ ფორმას ავტორი ისევე ხმარობს, როგორც „გავიდიათ“-ს: მოსენაენიცა ...ძმათავე თანა გავიდოდიათ 97,8-9. ასევე უწყვეტლის ხოლმეობითია ესენიც: შურებოდიათ 90,4; ეცმარებოდიათ 98,2 ბ.; შევიდიათ და ეუბნებოდიათ 29,5. ამჟამად, რომ უეჭველ დამთხვე-

¹ ა. შანიძე, სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი, გვ. 842.

ვას აქვს ადგილი ოდ-იან ზნათა უწყვეტელსა (თუ უწყვეტელის ხოლმეობით-სა) და I კავშირებითს შორის: უწყვეტელთან 1-ლსა და მე-2 სუბ. პირში, უწყვეტელსა, ხოლმეობითთან კი მე-3 სუბიექტურში. ეს, რა თქმა უნდა, დიდ უხერხულობას ქმნიდა. საჭირო იყო ორ-აზროვნების თავიდან აცილება. და აი ენა ეძებს გამოსაყალს და მონახა კიდევ: საშუალ ქართულში I კავშირებითმა ოდ-იან ზნებშიც ნიშნად ე ხმოვანი გაიჩინა, უწყვეტელმა კი—ი, მაგრამ, ვიდრე ეს საბოლოოდ მოხდებოდა, I კავშ.-ის III სუბ. პირის შრ. რ.-ის ფორმა გამარტივდა ა-ს ამოღებით: ოდიან → ოდინ. ასეთი გარდამავალი საფეხურის ფორმები ჩვენს ძველშიც არის დადასტურებული: ჯუარი ერთი ანუ ხატი ესუენის (სენაკთა შინა), რადთა, რაჟამს ილოცვიდენ, მათ წინაშე თაყვანის-სცემდენ და ემთხუეოდინ 81,5-6; საკლრომსა წესი ესრეთ გაეწესა, რადთა საკმელსა არა იქმოდინ 96,1; ესრეთ დაემცნო: უკუეთუ ესე ადგილისა მრორინენი მონაზონნი მოვიდოდინ, უკუეთუ მწუხრსა მოვიდენ, ისერონ და სამხარი კამონ და გაუჯჳენ და დაჟმოწმე, რომელ უეამოდ არა მოვიდოდინ 95,3-4. საინტერესოა, რომ მერმანდელ ხელნაწერებში, რომლებიც B C D ლიტერებით არის აღნიშნული, ჩვენთვის საინტერესო ფორმები შესწორებულია: ემთხუეოდენ BCD, იქმოდენ BCD, მოვიდოდინ B (პირველ შემთხვევაში, ძველი ნორმის მიხედვით) ან: მოვიდოდენ BCD (მეორე შემთხვევაში, ახალი ნორმის მიხედვით).

ამგვარად, III სუბ. პირის ფორმებია I კავშირებითში: ერთი მხრით „ექციოდინან“ (ძველი ნორმით) და მეორე მხრით „მოვიდოდინან“ (გარდამავალ საფეხურზე), ხოლო „მოვიდოდინან“ უწყვეტელის ხოლმეობითად მიდის.

საყურადღებოა, რომ ერთს შემთხვევაში დ-ონიანი ზნაც ასეთსავე ფორმას გვიჩვენებს: მაშინ მისცნეს მეფეთა ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი კურაპალატსა, რადთა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ 20,6-7. მოსალოდნელი იყო „ჰქონდენ“, მაგრამ, ოდ-იან ზნათა ანალოგიით, დენ დაბოლოება დინად გადაკეთებულა. სამაგიეროდ, დამთხვევა აქ უკვე I ბრძანებითის მე-3 პირის ფორმასთან მოხდა; შდრ.: ესრეთ გაქუნდინ 70,16.

25. I თურმეობითი. I თურმეობათში აღსანიშნავია ძველი ფორმის გვერდით ახალიც (ია დაბოლოებით), რომელიც სჭარბობს: აღუწერიეს 32,15; დაგეტევიეს 78,14; მიმიცემიეს 79,17; მაგრამ: დაგვწერია 31,1ბ.; 32,13; მომიცემია 27,1ბ.; შემინდობია 53,14; დამიძენია 72,6; გაუწესებია 72,3; მოგვკსენებია 118 c, 25.

26. ჰქონდა, უნდა. ძველისათვის სასოგადოდ დამახასიათებელია. რომ ძველი ფორმების გვერდით ახალი იყოს. ამის მაგალითია, სხვათა შორის, ესეც: „აქუნდა“ (69,1; 104,11) და „ჰქონდა“ (98,6; 110,8).

„უნდა“ ზნას კი შენაბული აქვს უწყვეტელის ფუნქცია და ჯერ არ არის აწმყოლ ქცეული (35,10; 89,5).

27. ტმეხი. გვხვდება ერთად-ერთი შემთხვევა ტმესისა: მოვინე ვიდა 51,1.

28. პირის ნიშნის მოკვეცა. უღლების საკითხებს რომ მოვრჩეთ, უნდა აღვნიშნოთ კიდევ, რომ ორ შემთხვევაში მოკვეცილია III სუბ. პირის ნიშანი,

რომელსაც წინა თანხმობანიც გაუყოლებია: ბრძანებულია 79,25 (=ბრძანებულ არს), გაფა 68,7 (=გაფალს).

29. სუფიქსიანი ვნებითი საწარმოებლად გვხვდება ძველი ნ და ახალი დ: შეწუხნა 17,4; შეწუხნეს 79,7; მაგრამ: შესწუხნდეთ 83,6; შეწუხნდებიან 83,7.

30. შუალობითი კონტაქტის ფორმებია: მოაღების 70,11; მოაღრეკის 61,8.

31. კავშირთაგან აღსანიშნავია რომელ და თუ, აგრეთვე ვითა (მიღებული ვითარ-ისგან). მაგალითები ნახეთ თავ-თავის ადგილას ლექსიკონში.

32. თანდებულთაგან ყურადღების იქცევს და-ს ბატონობა უბრალო ობიექტთან, რომელიც ირიბისგან არის მიღებული გარდამავალ ზმნათა III სერიაში გადაყენის დროს ან მათს უპირო ფორმებთან: მისდა მიენდო 88,6; კელარ-თადა ებრძანა 95,5; მზარეულისადა დაემცნა 97,6; მხატვრისადა მიეცა 112,10 შეეთუალა ძმათადა 72,6-7; ბოძებული იოვანესდა 31,2 და მისთ.

33. ნაწილაკად ხშირია „იგი“: რომელმან-იგი 35,3ბ.; რომლისა-იგი 118,2ა; სადა-იგი 45,18; 112,2ბ.; ვითარ-იგი 46,1; 112,12 და სხვ. გვხვდება ესე-ც: რომელი-ესე 117,9; რომელნი-ესე 80,6.

ს ი ნ ტ ა ძ ნ ი

34. უჩვეულო შეთანხმება. ყურადღებას იქცევს XI ს.-ისათვის უჩვეულო „შეთანხმება“: ერთისა პირითა 118 ა, 31 (შდრ. თვსითთა ქელითა 79,21; დიდითა პატივითა 111,3; დიდითა ლუაწლითა და ფრიადითა წარსაგებელითა 118,9 და მისთ.).

35. მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილი. მსაზღვრელი შეიძლება უსწრებდეს ან მოსდევდეს საზღვრულს: ადგილსა უდაბნოსა 35,2ბ. და: უდაბნოთა ადგილთა 35,15; ერი ფრიადი 55,1 და: ფრიადი ერი 112,22; 115,17 დიდისა ლავრისა განგებად 50,8; ესევითარისა ვრცელისა ლავრისა დაქორცვად 25,8; მაგრამ: საქმეთა მონასტრისათა 24,7. თუ მსაზღვრელად ატრიბუტია, სჭარბობს მისი წინ დაყენების შემთხვევები, და თუ მართული სახელია, მაშინ უმეტესად მოსდევს საზღვრულს.

36. ობიექტი სახელზმნასთან. სახელზმნას (საწყისსა და მიმდევობას) ზოგჯერ შენახული აქვს ზმნური ძალა პირდაპირი და ირიბი ობიექტის მოთხოვნისა: ვერარას იკადრებდეს უწესოსა საქმესა ქმნად 98,13; მშლელი განგეზასა 39,11; არცა დიდი ათანასი უმეცარ იყო თორნიკის საქმესა 14,15; მოხარე იყნეს შრომასა 69,7-8; მინდობითა ტკიბისა მას მოწყალეზასა და სახიერეზასა 40,4.

37. ორმაგი უარყოფა. ვ. თოდურობამ ერთ-ერთ თავის ადრინდელ ნაშრომში უკვე აღნიშნა, რომ გ. მთაწმიდლის თხზულებაში მოიპოვება ორმაგი უარყოფის შემთხვევები¹; ესენია: არარაჲ კეთილი არა მოგაკლოს ღმერთ-მან 41,5; ვერვინ ვერ² მიუსწრის ცისკრისა ლოცვასა 58,7; ვერარაჲთ

¹ ვ. თოდურობა, ორმაგი უარყოფა ქართულში: ქართ. საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I—II. 1924, გვ. 101.

² საინტე. ესაა, თამ სხვა ხელნაწერები აკლებენ „ვერ“-ს: ვერავინ მიუსწრის BCL.

ვერ დაარწმუნა მამამან 104,6; დღეს არცამცა ერთი ქართველი არა იპოების ესევეთარსა ამას ვრცელსა და დიდებულსა ლავრასა შინა 117,8.

ს ს ვ ა ღ ა ს ს ვ ა

38. სტილი. გ. მთაწმიდლის სტილის დამახასიათებელია სინონიმური გამოთქმები, ე. წ. „ერთიორითას“ ხშირი ხმარება¹. ამის მაგალითებია: კიცხევა და ბასრობაჲ 118 b, 30; განდგომილებაჲ და ორგულეობაჲ 116,4; გელმწიფებაჲ და უფლებაჲ 39,1; ჰაეროვნებაჲ და შუენიერებაჲ 118 c, 13; სწავლითა და მოძღურებითა 93,4; უმანკობით და სიწრფოებით 118,21; ამით პირითა და სახითა 118,5; ლუაწლნი და შრომანი 2,20; ლუაწლთა და შრომათა 4,7; დაბანი და სოფელნი 4,12; მცნებანი და ბრძანებანი 2,7; მშრომელთა და მამურალთადა 62,1; ცხად არს და საჩინო 2,2; ტკბილითა და ჰამოდათა 68,4; საესებით და უნაკლულოდ 80,8.

საყურადღებოა, რომ ზოგ შემთხვევაში ავტორი ძველი ტერმინის გვერდით ახალს ხმარობს: აღუქსნი და და განუმარტებდა 54,5; იჯმნა მათგან და გამოეთხოვა 22,2.

39. ბერძნული სიტყვების გადმოცემა. „იოვანეს და ეფთვიძეს ცხოვრება“ საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, თუ როგორ არის გადმოცემული ბერძნული სიტყვები². ირკვევა, რომ აქ ერთგვარი მერყეობაა. მაგ., η ხან ე-თია გადმოღებული, რაც ძველ ტრადიციაზე მიუთითებს, ხანაც ი-თია, რაც ახალია და ემყარება XI ს.-ის ბერძნულ გამოთქმას. η=ე: სქემა, სტრატელატი-ი, მონასტერ-ი, სოხასტერ-ი, ელია 55,5. η=ი: აბოთიკ-ი, ეპიტირიტის-ი, დიმიტრ-ი. ამ მხრივ საყურადღებოა „ამენ“-ის „ამინ“-ად შეცვლა. ეს სიტყვა ერთ ადგილას (118 d, 1 ბ.) შეუმოუკლებლად იკითხება და არავითარი ეჭვი არ არის იმაში, რომ გ. მთაწმიდლის დროს ამ სიტყვაში მეორე ხმოვანი, იმ დროინდელ ბერძნულის გაფლენით (თუ საყოველთაოდ არა, ათონის ქართველობაში მაინც), ი იყო, და არა ე, რაც ადრინდელი ძეგლების ენას ახასიათებს.

oi=i: იკონომოს-ი, პარაკიმენონ.

„სევესტოფორ“-ში ς ვ-თი არის გადმოცემული, მაშინ როდესაც „ბასილი“ ინარჩუნებს ძველ გამოთქმას.

χ ქანად არის გადმოცემული: მეტოქ-ი, მიქაელ 118 b, 33. მაგრამ უკანასკნელი სახელი ასეთი სახითაც გვხვდება: მიხაელ 118 c, 3. ფსალმუნის ანდერძიდან³ ვიცით, რომ გ. მთაწმიდელი γ-ს ლ-დ გამოთქვამდა ა-ს წინ (γάρ=ლარ) და α: ჯგუფი მისთვის ე იყო (αζ=კე). მაშასადამე, ქართული მასალები გვიჩვენებს, რომ გიორგის დროს უკვე საკმაოდ გამტკიცებული ყოფილა ახალი ბერძნული გამოთქმა.

¹ ამგვარ საკითხებს ვხვებოდა შ. ძიძიგური: „ცნება სინონიმური პარალელიზმისა“ (საქ. მეცნ. აკად. მოამბე, II, 1941, № 7, გვ. 689 და შემდგ.).

² შდრ. ს. ყაუხჩიშვილი. ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისთვის ქართულში: „არილი“, 89, და შემდგომი.

³ ბ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. II, 197.

40. ლექსია. გ. მთაწმიდლის მიერ ხმარებული სიტყვების უმეტესობა აღნუსხულია ქვემოთ ლექსიკონში. ამ სიტყვების განხილვა გვიჩვენებს ერთგვარ გადახალისებას ძველი მარაგისას ლექსიკის დარგში. თავი რომ დავანებოთ ფონეტიკურად გამარტივებულ ფორმებს და ყურადღება მივაქციოთ სრულიად ახალ სიტყვებს, ან კიდევ ძველი სიტყვების ახალ მნიშვნელობას, ვნახავთ, რომ ენას საკმაო ნაბიჯი გადაუდგამს წინ. შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი მაგალითი: ათუალულ-ი 31,6; აშენება (ბოძების მნიშვნელობით) 23,5; ბარე-მცა 118 c, 10; ბედით 97,4; დამჭირვა 25,8; 21,8; დაუბნება; დაჩურჩნა 71,7; დაჩხუება 105,15; დრისტ-ი 116,9; ზოგ-ი (ახალი მნიშვნელობით) 91,3; ზოგჯერ 82,4; თხრობა (თქმის მნიშვნელობით: უთხრის 59,8; 60,4; უთხრიან 76,3); კიდე (გარდა-ს მნიშვნელობით); მოგუ-ი; მონათლვა (მოინათლა 85,1); მოვმოზა 63,1; 71,4; ნათესავ-ი (ახალი მნიშვნელობით: ახლობელი გვარში 8,4); ნახევარ-ი 87,1; ნახვა 85,4; რუდუნება-ა 117,5; სოფელ-ი (ახალი მნიშვნელობით 4,12; 24,2); უბნობა-ა 29,2; ცოცხალ-ი (ახალი მნიშვნ.) 50,4; წარმგზავნა; წუართნა; ხან-ი 112,16; ჰაეროვნება-ა 118 c, 13 და სხვ.

ძველში ბევრია სამონასტრო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ტერმინები: ლავრა, კრებულ-ი, მამა, ძმა, პროტ-ი, კელინ-ი, კელარ-ი, მოსენაე, ეპიტირიტის-ი და სხვ.; საკმაოდ მოიპოვება აგრეთვე სოფლის მეურნეობისა და საშინაო ყოფა-ცხოვრების ტერმინები: თოჯ-ი, დიკა, სელ-ი, აჯოჯვა, ასარვა, კოჭობ-ი, კოკა, მოგუ-ი, ჩაფლა და სხვ.

აღსანიშნავია, სხვათა შორის, „დამჭერა“ და „წარმგზავნა“ ზმნების ხმარება მანით, რაც მათ წარმოშობაზე მიგვიჩვენებს: პირველი ნაწარმოებია „მუჭ“-ისაგან ერ სუფიქსის დართვით და შეკუმშვის ნიადაგზე უმარცვლო უ-ს ამოღებით მან-ის შემდეგ; და-მჭჭერ-ა → და-მჭერ-ა, შემდეგ: და-მჭირ-ვა; მეორე კი ნაწარმოებია „მგზავრ“-ისაგან. ორსავე სიტყვაში მ, ზმნის თვალსაზრისით, ფუძისეულად მიდის: დაიჭირე (98,12), წარმგზავნა (35,6 მან იგი)¹.

ძველში თუშუცა არაბულ-სპარსული კულტურული წრიდან შემოსული სიტყვებიც მოიპოვება (ნიკრის-ი, კუმაშ-ი, ლაშქარ-ი. ანჯმან-ი, ფოლ-ი, პასუხ-ი), მაგრამ სპარსობს ბერძნულიდან შემოსული სიტყვები: აპოთიკ-ი², ეპიტროპ-ი, იკონომოს-ი, კანდელ-ი, ტრაპეზ-ი, შტო, პროტ-ი, სუნგელოზ-ი, სოხასტერ-ი და სხვ., რაც ადვილად ვასაგებია, რადგანაც ძველი დაწერილია საბერძნეთის ტერიტორიაზე მდებარე მონასტერში და ბერძნული ენის გარემოცვაში.

41. დასკვნა. გ. მთაწმიდლის თხზულების ენის თავისებურებათა განხილვა გვიჩვენებს, რომ ქართ. სალიტერატურო ენაში დაწყებულია შემობრუნება ძველი ქართულიდან ახალი ქართულისაკენ. გიორგის ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ ის დაიბადა და ბავშობა გაატარა ქციის პირას (თრიალეთში), შემდეგ განათლება მიიღო ჯერ ტაძრისში (სამცხეში) და ხაზულში (ტაოში), მერმე კი საბერძნეთში. კლასიკური ქართულის ძეგლებზე აღზრდილი, ის ცდილობს ძვე-

¹ მანიანი ფორმები სავაგანაც გვხვდება: წარმგზავნა იგინი (ილარაონ ქართვ.: ათონი კრებ. 101,8); წარმგზავნა იგი (გრიგოლ პართელი, 41,29). (გამომცემელს—ლ. მელიქსეთ-ბეგ —ზნნაში ა ჩაუმატებია: წარმ[ო]გზავნა იგი).

² უკანასკნელი ი ქართულში სახელობითის ნიშნად არის აღქმული.

ლი სალიტერატურო ქართულის უკანასკნელი პერიოდის (IX-X სს.) ნორმების მიხედვით წეროს, მაგრამ ვერ აჩერებებს, თავი დაახწიოს ცოცხალი ენის ძლიერ გავლენას. ეს გავლენა თავს იჩენს ყველგან: ფონეტიკურ საკითხებში, სახელთა ბრუნებასა და ზმნის უღლებებაში, სინტაქსურ მოვლენებსა და სიტყვების შერჩევაში; ერთი სიტყვით, ძველიდან ჩანს, რომ ქართული სალიტერატურო ენა შემდგარია ახალ გზაზე, მაგრამ ის ჯერ კიდევ თავისუფალია ელინოფილური მიმართულებისაგან, რომელმაც შემდეგში მიმღეობიანი გამონათქმები და მიუშართავი ფორმების ძიება შემოიტანა. აი ეს განსაზღვრავს გ. მთაწმიდლის ადგილს ქართ. სალიტერატურო ენის განვითარებას ისტორიაში: „ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი“ შექველად საშუალო ქართულის დასაწყისი პერიოდის ნიშნებს ატარებს.

ლ ე ჯ ს ი კ ო ნ ი

ინდექსების ახსნა

ლექსიკონში ზმნის გამოსავალ ფორმად მიღებულია საწყისი, რომელსაც პირიან ფორმათა საჩვენებლად ქცევისა და ვნებითი გვარის ნიშნები აქვს მიწერილი. ნამდვილია ეს კატეგორიები თუ მოჩვენებითი (ე. ი. მოეპოვება მათ საპირისპირო ფორმები თუ არა), აქ ეს საკითხი უყურადღებოდ არის დატოვებული; საზოგადოდ ესა თუ ის ინდექსი (ა, ი, ი/უ და სხვ.) მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ პირიანი ფორმა სათანადო ნიშნით იწარმოება; სახელდობრ:

ა—პირიანი ფორმა იწარმოება ა ხმოვნით. გარდამავალ ზმნებში ეს არის საარვისო ქცევა.

ი—პირიანი ფორმა იწარმოება ი ხმოვნით. გარდამავალ ზმნებში ეს არის სათავისო ქცევა.

ი/უ—პირიანი ფორმა იწარმოება ი ან უ ხმოვნით (ი-თი I და II ობ. პირში, უ-თი III ობიექტურ პირში). ჩვეულებრივ ეს არის სასხვისო ქცევა. გარდამავლებში ის 3-პირიანია, გარდაუვლებში კი—2-პირიანი.

ი უობ.—პირიანი ფორმა იწარმოება ი ხმოვნით, მაგრამ პირდ. ობიექტი არა აქვს, 1-პირიანია, თუმცა სუბიექტი ბრუნვა-ცვალებადი აქვს.

ი ვნ.—პრეფიქსიანი ვნებითი იწარმოება ი ხმოვნით. ფორმა 1-პირიანია.

ე—პრეფიქსიანი ვნებითი იწარმოება ე ხმოვნით. ფორმა 2-პირიანია.

დ (ან ნ)—ვნებითი სუფიქსიანია და იწარმოება დ (ან ნ) თანხმოვნის საშუალებით. თავში ხმოვანი არა აქვს, ფორმა 1-პირიანია.

ა—დ—ვნებითი სუფიქსიანია (იწარმოება დ-თი), მაგრამ მას კიდევ თავში ა ხმოვანი აქვს. ფორმა 2-პირიანია.

ი/უ—დ—სუფიქსიანი ვნებითი სასხვისო ქცევის ფორმით იხმარება. ფორმა 2-პირიანია.

აუ ინდექსი არ უზის, ეს ნიშნავს, რომ პირიანი ფორმა თავში (ზმნისწინის შემდეგ, თუ ასეთი აქვს) რაიმე ხმოვანს არ მიიღებს.

ეს ინდექსები მიუთითებს მხოლოდ I და II სერიის ფორმათა წარმოებაზე. III სერიის ფორმები კი გარკვეული შაბლონის მიხედვით არის ნაწარმოები.

აქ ინდექსების საშუალებით ნაჩვენებია არა ყველა შესაძლებელი ფორმა ზმნისა, არამედ რაც ამ ძეგლში გვხვდება.

აღნიშნული ინდექსები ზოგჯერ ახსნა-განმარტებაშიც არის ნახმარი სი-
ცხადისათვის, ოღონდ იქ ისინი ფრჩხილებშია ჩასმული.

პირთა რაოდენობა საჭიროების მიხედვით ციფრებით არის აღნიშნული:

1-3. (ან 1)—ზმნა ერთ-პირიანია.

2-3. (ან 2)—ზმნა ორ-პირიანია.

3-3. (ან 3)—ზმნა სამ-პირიანია.

(2)1—ზმნის ფორმა ორ-პირიანია, მაგრამ შინააარსი ერთი პირისა აქვს მხოლოდ.

(3)2—ზმნის ფორმა სამ-პირიანია, მაგრამ შინააარსი ორი პირისა აქვს მხოლოდ.

სხვა ნიშნები

ობ. წყ.—ზმნა იხმარება ობიექტური წყობით.

უპირდ.—უპირდაპიროდ (ე. ი. ზმნას პირდაპირი ობიექტი არ ეწყობა).

უირ.—უირიბოდ (ე. ი. ზმნას ირიბი ობიექტი არ ეწყობა).

უობ.—უობიექტოდ (ე. ი. ზმნას არ ეწყობა ობიექტი, პირდაპირი თუ ირიბი).

სტატ.—სტატიკური ვნებითი.

ადგილები დამოწმებულია თავებისა და სტრიქონების მიხედვით. რადგანაც 118-ე თავი დიდია და სტრიქონების ჩათვლა ძნელი, ამიტომ ადგილის ადვილად მონახვის მიზნით ის ასეა განაწილებული:

118—რაც 50-ე და 51-ე გვერდზეა მოთავსებული.

118 ა—რაც 52-ე გვერდზეა მოთავსებული.

118 ბ—რაც 53-ე გვერდზეა მოთავსებული.

118 გ—რაც 54-ე გვერდზეა მოთავსებული.

ბ.—ბოლოდან (მაგ., 118 გ, 4 ბ. = თავი 118, ის ნაწილი, რომელიც 53 გვერდზეა მოთავსებული, მე-4 სტრიქონი ბოლოდან).

ნ.—ნახე.

ო—ოშკური ბიბლია (978 წ.).

P. P.—Paul Peeters, *Histoires monastiques géorgiennes* (Extrait des *Analec-ta Bollandiana*, tome 36-37). Bruxelles 1923.

ლექსიკონი შედგენილია ძირითადი ტექსტისათვის. სვინაქსარული რედაქციიდან ამოღებული რამდენიმე სიტყვა იშითაც გამოირჩევა სხვებისაგან, რომ ჩასმულია კავებში (კვადრატულ ფრჩხილებში). ისინი დამოწმებულია გვერდობლივ და სტრიქონობლივ.

N. B. ჰ ასოს იქ მოუდის რიგი, სადაც მოსალოდნელია უი ჯგუფი: კუერთხ, კუთ, კვრიაკე (=კუირიაკე), კულა; საწუთრო, საწუშარ (=საწუშიშარ), საწუნე და მისთ.

აგარა სახნავ-სათესი ადგილი. აგარანი მონასტრისანი (სისიკონი, კარავანი, ღმრთისმეტყუელი) 102, 1.

აგუსტოს-ი 55, 2 აგვისტო (თვე).

ადგილ. ადგილი ჩუენი 118 ხ, 36; წმიდაჲ ესე ადგილი 118, 16; ამას წმ. ადგილსა 118d, 1; თუსთაცა სულსა და ადგილსაცა 115, 15; მათთჳ ზოგჯერ ადგილსა შექმნიან (საქმელი), ზოგჯერ—სამზარეულოს 96, 3 (ამ შემთხვევაში ადგილსა—ადგილზე, ე. ი. საკელროში); ესე ადგილისა მრორინენი მონაზონნი 95, 2 ეს ერთი მონასტრიდან სხვა მონასტერში მოსიარულე მონაზვნები.

ადგომა ნ. ადდგომა.

ადრე მალე. ადრე შევირყვეით 115, 13.

ავლინ 81, 8. ს. ორბელიანით—სანაგვე, მე კი ეხო მგონია (აშკ.თ).

აზნაურ 35, 13; 104, 11 უმაღლესი წოდების კაცი. აზნაურთა შვილნი 10, 2.

ათოთხმეტ 50, 7; 109, 1 თოთხმეტი.

ათორმეტ 26, 2 თორმეტი (ესეც გვხვდება 21, 4).

ათუალვა. ათუალულ ნანგარიშევი. ოქროჲ განძად ათუალული კელიტრად 31, 6.

ათცამეტ 114, 3 ცამეტი.

ალვა 31, 21 ხე, რომლის სურნელოვანი მერქანი იხმარება, სხვათა შორის, როგორც საქმეველი ნივთიერება (ეს „ალვა“, მაშასადამე, სულ სხვაა, ვიდრე ის ხე, რომელსაც ჩვენში ასეთივე სახელი ჰქვია). ალვაჲ ასი ლიტრად 31, 21.

ამაო. უქმი, ძალას მოკლებული (სინონიმი: ცუდი). **ამაო ყოფა** გაცუღება, გაბათილება, გაცრუება. რადთამცა პირველი იგი ბჭობაჲ ... ცუდმცა ყვეს და ამაო; არამედ განაცრუეა ღმერთმან ზრახვაჲ მათი და ამაო ყო აღძრვაჲ მათი 118 c, 4—6; **ამაოდ** 55, 12 ცუდად, ტყუილ-უბრალოდ.

ამბორის-ყოფა, ი/უ, კოცნა. ამბორს-უყოფდეს 113, 4; ამბორს-უყვეს 22, 4.

ამბოხ ჩოჩქოლი. ვმაჲ და ამბოხნი 105, 18; **ამბოხება** ურჩება, წინააღმდეგობა. იწყეს თავველობად და ამბოხებად და უმეტეს და უმეტეს აღორძნდებოდა ამბოხებაჲ მათი 110, 3—4.

ამიერიოვან 29, 12 ამას იქით, ამის შემდეგ. ნ. მიერიოვან.

ამისთხცა 14, 5 ამიტომ, ამიტომაც. ნ. -თჳს (თანდ.).

ამოწყუედა (3)2 მოშლა, ამოგდება. და ჩუენი სასენებელი ამოსწყუდოს 118 d, 3.

ანდერიძ 5, 10 წიგნის ბოლოს მოთავსებული ცნობა წიგნის დაწერასთან დაკავშირებულ გარემოებათა შესახებ, ბოლოსიტყვაობა. „ანდერიძ“ (ავტორისა, მთარგმნელისა ან გადამწერისა) დღევანდელი გაგებით წინასიტყვაობას უდრის, მაგრამ მას წიგნის ბოლოს ათავსებდნენ ხოლმე.

ანთება, ი. საწერლად აინთიან 81, 3. ნ. ნთება.

ანუ...ანუ ან... ან. ანუ მონაზონნი, ანუ ერისგანნი 98, 1 ბ (ციტატი ხა-ხე კიდევ ანჯმანთან).

ანჯმან (სპარს.) შეკრება. ანუ კართა ზედა შეკრებასა ანუ მონასტერსა შინა ანჯმანსა 95, 9. [ლეელი.

აპოთიკ (*ἀποθήκη*) 98, 1 საწყობი, ბე-
არა-ა (=არარაჲ). რაჲთა არას ვინ ზრუნვიდეს 78, 3.

არა თუ... არამედ. არა თუ უმძიმნ, არამედ უფროსად უხარინ 93, 2—3; არა თუ ულუმბათა და მთაწმიდას ოდენ, არამედ სამეუფოსცა 48, 11—12.

არა თუმცა..., **არცამცა** (რთულს პირობით-შედევობითს წინადადებაში) რომ არ..., არ. არა თუმცა უფალი შეწყულ იყო ჩუნდა..., არცამცა ერთი ქართველი არა იპოვების ამას ვრცელსა და დიდებულსა ლავრასა შინა 117, 6—9.

არამედ 1. მაგრამ. კუალად აღეტყინნეს ჩუნ ზედა ბერძენნი..., არამედ განაცრუვა ღმერთმან ზრახვაჲ მათი 118 c, 6.

2. მაპირისპირებელი კავშირია უარყოფის შემთხვევაში (**არა... არამედ**). რომელმან-იგი არა შეიწყალა თავი თქსი, არამედ ყოველივე მოსწრათებაჲ აჩუნა 118 b, 14; არა ხოლო საქართველოსა ოდენ, არამედ საბერძნეთსაცა 118, 25.

არარაჲთ არაფრით. არარაჲთ უნაკლულო იყენეს 3, 1 არაფრით ნაკლები არ იყენენ.

არასადაჲთ 70, 7 არსაიდან.

არგან 75, 1 კვერთხი, ჯოხი (სატარებელი).

არცა თუ არც კი. არცა თუ შესაძლებელ არს 118 b, 5; არცა თუ გეგზის 118 b, 17; არცა თუ ფოლსა ერთსა ზედა უფალ იყო 26, 10.

არცადა... **არცადა** 17, 8.

ასაზია მეშველი, დამხმარე, შემწე. უკუეთუ ვინმე იპოვის ასაზიად და ერთი-მეორისა მეშუელი 68, 19.

ასარგა 89, 3. ნ. სარ.

აურაცხელ 119, 17 უთვალავი.

აქა-იქი აქეთ-იქეთ. აქა-იქი ეკუთვებოდა (ჯორი) 112, 20.

აქამომდე 29, 17, **ვიდრე** **აქამომდე** 2, 18 აქამდის (დროს შესახებ).

აღვწება, ე. აღვგზნნეს ჩუნ ზედა 118, 42.

აღღგენა, ა, აყენება. აღღგინა 29, 18 აყენა.

აღღგომა, **აღგომა**. ოდეს ტრაპეზით აღღგის 70, 13; შემდგომად ტრაპეზით აღგომისა 70, 6; აღღგომილ იყო 45, 2 ბ. ამდგარიყო.

აღღგომა წინა. ნ. წინა-აღღგომა.

აღვსება, ა. ყოვლითა კეთილითა აღავსნა 112, 8.

აღთქუმა, ი/უ. აღუთქუა 19, 3.

[**აღღგესა** აღძრვა, წაქეზება. აღღგესა იგი (ეშმაქმან) მოკლვად წმიდისა (სჯნ. 59, 30)].

აღმართებულ. აღშენებულ იყო და აღმართებულ (ლავრაჲ) 117, 11.

აღმოსავლეთ, **აღმოსავალ**. ამ ტერმინის ქვეშ საბერძნეთში მყოფი ქართველები საქართველოს გულისხმობდნენ ხოლმე; იყო რაჲ თორნიკ აღმოსავლეთს 25, 1; ყოველთა ქართველთა თანა, რომელნი სადაცა არიან: აღმოსავალისათა და შავისა მთისათა და იერუსალემისათა 118 c, 31.

აღმოფხურა ძირ-ფესვიანად ამოგდება; აქ: სრულიად გაძევება. სრულიად აღმოფხურაჲ ჩუნნი ენება 118, 42; რამცა ქართველნი ამის მონასტრისაგან აღმოჰფხურნეს 117, 2.

აღმოკოცა (3)2 (უირ.) ამოშლა. რამცა სახელი მაშენებელთაჲ აღმოჰკოცეს 118 b, 9.

აღორძინება ამოზრდა მცენარისა; გაზრდა, გამრავლება. ზრუნვაჲ ქართველთა აღორძინებისაჲ 118, 36.

ა. აღაორძინა... ტალანტი 50,2; აღგუაორძინენ უფალმან 118 d, 17.

დ. უმეტეს და უმეტეს აღორძინებოდა ამბოხებამ მათი 110,4 უფრო და უფრო მატულობდა მათი ამბოხება.

აღპურობა ნ. გელის აღპურობა.

აღრაცხვა 108,8. (არაცხვა), აღრაცხუვა დათვლა, ჩამოთვლა. ვინ აღრაცხოს 32,14; აურაცხელთა 119,17. შდრ. აღრიცხვა.

აღრიცხვა 118 b, 18; აღრიცხუვა დათვლა, ჩამოთვლა. რამთამცა აღვრიცხუენით 48,12. შდრ. აღრაცხვა.

აღრჩევა, ი, არჩევა. აღირჩევე 79,21.

აღსასრულ 1. დასასრული (საპირისპიროა: დასაბამ). დასაბამი და აღსასრული 2,3.

2. ცხოვრების დასასრული, სიკვდილი. კეთილითა აღსასრულითა დაიძინეს 118,14; ვიდრე აღსასრულია დამდე თჳსად 107,5. ნ. აღსრულება.

აღსრულდება 39,1 სიკვდილი. ნ. აღსასრულ 2.

ა. გათავება. უშფოთველი ცხოვრებამ აღასრულეთ 41,10.

ე. აღესრულა 57,2; 114,1 გარდაიცვალა, მოკვდა.

აღსწრაფა, ი (უოზ.). აღვისწრაფდი ხილვად 45,17 სწრაფად ავლიოდი სანახავად.

აღტყინება, ე, ანთება (ი), აღის მოდება (ე). ცეცხლი მძაფრად აღეტყინა 8,2; კუალად აღეტყინეს ჩუენ ზედა ბერძენნი 118 c, 3.

აღლება, ი. აღიღო ძე თჳსი... და მთაწმიდას მოვიდა 12,3; რამთა აღიღოს ძმ თჳსი 33,2.

აღშენება, აშენება, ა, წყალობა, ბოძება, ჩუქება. ვითარცა ჰნებავენ, აღაშენებენ 115,1 ბ.; ყოვლითავე ფერი-თა აღაშენის 115,22; აღაშენის ანუ ჩოჯითა ანუ საბეჭურითა 68,26; თორნიკის აშენებისათჳს 23,5; 33,4 თორნიკის საბოძვრების გამო, თორნიკმა რომ უწყალობა, იმის გამო.

აღძრვა გამოწვევა, წაქეზება. მტერის მიერი აღძრვამ თჳსი 105,21; მოსაყოველი აღძრეს 118 c, 4; აღძრია იგი მოკლვად 105,5; მეფენი და წთავარნი... წყალობად ჩუენდა აღძრნეს 41,6.

ი ვნ. აღიძრნეს ჰამანი ჩუენნი 118,7.

აღწერა დაწერა. აღწერთ დაუტევა 43,1; აღწერნეს ცხოვრებანი მათნი 2,20; მოსაგსენებელი ესე აღწერეთ 118 c, 28; აღგვწერიო 4,3; აღწერილნი (ანდერძნი) 5,10; აღწერილთა წიგნთაგან 2,19.

აღწოდება, ი/უ 3(2) (უპირდ.). აღუწოდა მას სამეფოდ 110,6.

აღჯნა, ი/უ. აღუჯნა და მას და განუმარტებდა 54,5.

აწლა 46,2 აი ეხლა.

აწყუელა (3)2 (უპირ.). ქართველთა შინა-განმცემელ ექმნეს და ასწყვდნეს 118 b, 2.

ახალ-ნერგ ახალ-ჩაყრილი (მცენარე). ახალ-ნერგ იყვნეს წუთლა გვინაწნი 89,4.

ახოვან 7,4 მამაცი, მხნე. ახოვნად 9,4; ახოვნება 2,17; 14,5.

ავოცა. ა-მცა-კოცილ არს იგი 118 d, 7.

ავოჯვა (ვენაგისა) 89,5.

ბ

ბარე. ბარე-მცა 118 c, 10 მაინც, по крайней мере.

ბარძიმ 31, 7; 32, 4 ეკლესიაში სახ-მარებელი მაღალ-ფეხიანი ღრმა სასმისი, რომელშიც წირვის დროს უსისხლო მსხვერპლს ამზადებენ (= *πασχισ*). **ფეშხუმ** 31, 8; 32, 4 ფეშხუმი, დაბალ-ფეხიანი ფრია სასმისი (= *მსჯიჯ*), რომელიც აგრეთვე უსისხლო მსხვერპლის შეწირვის დროს იხმარება.

ბასრობა ლანძღვა. კიცხევად და ბასრობად 118 b, 30.

ბაძვა. შურად და ბაძვად მოვიდოდით 2, 14. ნ. მობაძვი.

ბედით ტყუილ-უბრალოდ, ამოოდ. ესთენი განძი ბედით წაქდეს 97, 4.

ბევრ ათი ათასი. ორნი ბევრნი 49, 47 ოცი ათასი.

ბელიარ 105, 1 ეშმაკი; ქრისტეს მბრძოლი, ანტიქრისტე (II კორინთ. 6, 15).

ბერ 60, 10 მოხუცებული. **სიბერე** 70, 2.

ბერძულ 49, 42; 49, 3 ბ. ბერძნული; ბერძულად 4, 1 ბ.; 45, 3 ბერძნულად.

***ბერჯ** ნ. საბრჯე.

ბილწ. ბილწო ჰურიანო 53, 11.

[ბორგნეულ (სუნ. 60, 5) გაცოფებუ-ლი].

ბოხტან (სპ.) 98, 1. მთაწმიდის ქართველთა მონასტრის ბოხტანი კელრის საურავი იყო. რადგანაც იქვე ხილნარაც არის ნახსენები (98, 10), ამიტომ ბოხტანში ხეხილი არ იგულისხმებოდა, მაშასადამე, ის მარტოოდენ მწვანის მოსაყვანი ადგილი უნდა ყოფილიყო. მე ბოხტნე 106, 1.

ბოძ: დიდითა ბოძითა 33, 28. **ბოძებულ** 31, 4; ჩიმიშკისა ბოძებული იოვანესდა 31, 2.

ბრალ 80, 3 ბ. დანაშაული; თანამდები ყოვლისა ბრალისაჲ 33, 22.

ბრალემა, ა, საყვედურის თქმა, გაციცხება. ფრიოდ აბრალა მას 11, 3; დიდად აბრალეს 33, 17; დიდად აბრალის 61, 5.

ბრალეულ ბრალის მქონე. რაჲთა არა ბრალეულ ვიქმნე 3, 6 რომ ბრალი არ დამედოს, რომ არ დამბრალდეს.

ბრძოლის - ყოფა, ი/უ: ბრძოლა-გყყვეს 118 c, 19 გვებრძოლნენ.

ბრწყალ ჯვარედი დასადგამი ფეშხუმზე, რომ ზემოდან დასაფარებელი უშუალოდ ფეშხუმს არ ეხებოდეს (= *ბაჩქა, ბაძერქიჯი*). ფეშხუმში კოვზითურთ და ბრწყალით 31, 8.

ბუდე 31, 7 ნაწილის შესანახავი.

ბჟე 1. კარი-ბჟე, მთავარი კარი. ოდესცა ეკლესიას შევიდოდიან, ვიდრე მუჯლთა ზედა არა მოდრკიან და თაყუანის-სციან წმიდასა ღმრთისმშობელსა, რომელ არს კართა ზედა, არა შევიდიან '64, 1—3 [აქედან არის ღვთისმშობლის ხატის სახელი აჲ: *Παρθενον* აჲ: პორტაიტისა („ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით, 1901, გვ. 275. P. P., 43. ნ. კონდაკოვის აზრით, ის ხატი, რომელიც ამჟამად ათონის ქართველთა მონასტერში პორტაიტისის სახელს ატარებს, XII ს.-ის აღრინდელი ვერ იქნება: *Иконография Богоматери*, II, 1915, გვ. 214—216]. ბჟე, ბჟენი, როგორც ხუროთმოძღვრების ტერმინი, განხილული აქვს ივ. ჯავახიშვილს შრომაში *Термины искусств*, XV III, 29—30.

2. მოსამართლე. საქმე ბჟისაჲ 74, 2 სასამართლოს საქმე. **ბჟობა** საქმის გარჩევა სასამართლოში, გადაწყვეტილება.

ბჭობითა მეფეთადათა 11, 7; პირველი
იგი ბჭობაჲ 118 c, 5; შემდგომად
ამის მეორისა ბჭობისა 118 c 24;

შემდგომად დიდთა ბჭობათა და გა-
მოძიებათა 118 b, 35. **განბჭობა:** ფრია-
ლთა გამოძიებითა განბჭო 118 c, 20.

ბ

გ ნ. გება.

გაგება ნ. განგება.

გაგზავნა. მონასტერსა არა დაიმჭირ-
ნის, არამედ გარე სოფელთა გაგზავნის
92, 3. შდრ. წარმგზავნა.

გაგონება, ა 3, გაგებინება. ნუჟკუე
და ვერ გააგონო 112, 13 ვაითუ ვერ
გააგებინო.

გადგომა ნ. განდგომა.

გავა ნ. განსლვა.

გავიდა ნ. განსლვა.

გაზრახება, ა 3, რჩევა (ი/უ). გაა-
ზრახეს 51, 12 ურჩიეს.

ე. კელარსა გაეზრახის იკონო-
მოსი 9მ, 9 მოელაპარაკებოდა. დაეთათ-
პირებოდა ხოლმე.

გაკანონება ნ. განკანონება.

გაკუთა, ი/უ, დანიშნა. ნორმის
დაწესება. გაუკუეთეთ ზეთი წელი-
წადსა შინა მეტრად ერთი 119, 4 დაფუ-
ნიშნეთ ზეთი; **გაკუეთილ** გადაწყვეტი-
ლი ნორმა (უმეტესად სასმელ-საჭმლი-
სა) დღიურად ან თვიურად (ილარიონ კა-
ნანახსა) მისცეს მოწაფს და გაკუეთი-
ლი შეუქმნეს, თავისა კრასოფულისაგან
კიდე, კოკად ერთი ღვინო თუესა შინა
და ყველი ერთი და სამი ლიტრად ზე-
თი და დღივ ერთი პური. და ესე იყო
გაკუეთილი მისი 84, 9—11; გაკუეთ-
თილი შეუქმნეს 84, 9; 85, 6; კანანახი-
სა გაკუეთილი 86, 4. სინონიმი: ვან-
წესებული. (ნ.). შდრ. განკუეთა.

გალატელთა ეპისტოლე 49, 44 პავ-
ლე მოციქულის ეპისტოლე ჯალატელთა
მიმართ.

გალატოზ 25, 7 კალატოზი.

გალობა (pl. გალობებ-ი) 49, 38 სა-
გალობელი, ჰიმნი.

გამავალ ნ. განსლვა.

გამოვლება, ი/უ, წართმევა. და ესე
ადგილი ქართველთა თავისა რაჲმე
საქმითა გამოუგდოს 118 d, 3.

გამოვალს (გამოსავალი) 31, 4
შემოდის.

გამოზიდვა გადმოტვირთვა. გ—დ ნა-
ვისაჲ 89, 3.

გამოთხოვება, ე, დამშვიდობება (ე).
გამოეთხოვა 85, 3.

გამოკითხვა. გ—დ საქმისაჲ 111, 3.

გამორჩევა ა, ვადაწყვეტა. ესე გა-
მორჩიეს 23, 3.

გამოსავალ შემოსავალი (ადვილ-მა-
ბულიდან). (ნეოს კუნძულისაგან) გამო-
ვალს გამოსავალი ყოველთა წელ-
თა იდ ლიტრად, გინა ათხუთმეტი და
ოდესმე ოციცა 31, 4—6.

გამოსუენება, ი (უობ.), დასვენება.
მშრომელთა და მასურალთადა განეწე-
სა მამასა და შემდგომად დაწესებულთა
წარვიდიან და გამოისუენიან 62,
1—2.

გამოჩენა ნ. გამოჩინება.

გამოჩინება, დ. გამოჩინდა 5, 7;
ი/უ—დ. გამოუჩინდა (ბელიარ კაცსა)
105, 5; **გამოჩინებულ** (მიმდ.). ეგევითა-
რი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა,
არღარა გამოჩინებულ არს და
ვჭგონებ, თუ არცაჲა გამოჩინებად
არს 47, 6—7.

გამოცდილ 92,4; **გამოცდილება**: ზღვსა რაღთურთით გამოცდილებაჲ არაჲ გუაქუს 25, 5.

გამოძიება საჩივრის გამოკვლევა. ფრიაღითა გამოძიებითა 118 c, 20; შემდგომად დიდთა ბჭობათა და გამოძიებათა 118 b, 35.

გამოწულიღვა, ი, დაწერილებით გამოკითხვა, გამოძიება. გამოწულილა 13, 4; გამოწულილვით აღწერასა 27, 5.

განბჭობა საქმის გარჩევა (სახამართლოს წესით) ნ. ბქე 2.

განგება, ვაგება, ა, 1. მართვა, გამგეობა (ლაგრისა, ეკლესიისა, მონასტრისა, ან დაწესებულების რომელიმე ნაწილისა). დიდისა ლაგრისა განგებაჲ 50, 8; რაღთა მიითულოს განგებაჲ შინაი (საკათალიკოსო საყდრისაჲ) 57, 4; საურავი და დახედვაჲ და განგებაჲ (დიდისა ლაგრისაჲ) 82, 7; განაგებდა საქმეთა მონასტრისათა 34, 7; მერმე გააგებნ იკონომოსი 99, 3; **განმგებელ** 110, 6; 118, 15 დაწესებულების (ან მისი ნაწილის) სათავეში მდგომი (მე დამადგინა თქუენდა მსაჯულად და განმგებელად 68, 8) ან შეფი, მფარველი (ლესანსენელი მნიშვნელობით სინონიმად ეპიტროპი იხმარება): განმგებელად და ეპიტროპად თუთმპყრობელნი შეფენი განაწესნა 40, 1. აქედანვეა **განსაგებელ, გასაგებელ** (ნ.).

2. გაკეთება. ვინაღთჲან ახალ-ნერგ იყვნეს ვენაწნი, ყოველთა სარითა განგებაჲ უნდა 89, 5.

3. წესი, წესდება (ამ მნიშვნელობით ხშირად სინონიმურად წესი იხმარება). განგებაჲ და წესი 39, 2; საღმრთონი წესნი და განგებანი დაესხნეს მონასტერსა 58, 2; პირველად წესნი ეკლესიისანი და განგებანი ყოვლისა წე-

ლიწდისანი 58, 3; მშლელი განგებასა მამისა ეფთჳმისსა 39, 11.

4. ზეციერის გარიგება, გადაწყვეტილება, провидение. განგებითა საღმრთოღთა 11, 6. ამავე მნიშვნელობით იხმარება **განგებულება**-ჲ 1, 3; 2, 5.

5. შეკეთება (გან-რაჲ-აგებდეს ბადეთა მათთა, მათ. 4, 21); აქედან- **განსაგებელად** შესაკეთებლად. მოეცესნა ხატი წმ. ი. მახარებელისაჲ, რომელი მხატურისადა მიეცა განსაგებელად 112, 10--11.

ი. ვაგება. ვიდრემდის სახშ განიგის 72, 8 ვიდრე საქმის ვითარებას გაიგებდა ხოლმე.

განგებულება ნ. განგება 4.

განგულება, ი, ფიქრი, ზრუნვა. რაღთა უმჯობესი ჩუენი განიგულოს 118 b, 12.

განგრძობილად 11, 1 დიდხანს, продолжительно.

განდგომა, ვადგომა, ა, ლალატი (პოლიტიკური), აჯანყება. სკლიაროსი გაგუადგა 16, 14. **განდგომილ**. ყამთა განდგომილისა სკლიაროსისათა 118, 12; **განდგომილება**. განდგომილებაჲ სკლიაროსისაჲ 16, 1; განდგომილებაჲ და ორგულებაჲ დასწამეს 116, 4.

განდრეკა გადაბირება. დიდებულნი ყოველნი განდრიკნეს 118 c, 4. ნ. მიდრეკა.

განვრცობა, ა, ვადიდება, ვაფართოება. განაერცეს და განამიდრეს (ლაგრაჲ) 118, 12.

განზავება, ე, ვადადება (ე) (სენისა). განეზავოს მკუდინებელი იგი სენი 39, 2 ბ. ვადადდოს.

განზრახვა, 1. ი, ფიქრი (ი). განიზრახეს 15, 4; თუსსა ნებასა და განზრახვასა შეუღვა 115, 4; ზოგადითა გან-

ზრახვითა 118, 4; ერთითა განზრახვითა 118, 4.

2. რჩევა. განზრახვითა მამისა ათანასესითა 15, 6.

განთევა, ა. ღამესა ათევენ; და ვითარ ღამე განათიეს 56, 4.

განთქმულ. განთქმული ცილობასა ზედა 54, 2 განთქმული კამათში; განთქმული სათნობითა 51, 2.

განთხევა, 1. გაყრა. არა განგუთხინა ტაძრისაგან 118 ს, 8.

2. ვადასხმა. ვარე განთხევაჲ (საჰმლისაჲ) 32, 5.

განკანონება, გაკანონება დასჯა, სასჯელის დადება საზონასტრო წესდების მიხედვით. გელმწიფებაჲ და უფლებაჲ მამასა ეფთუმეს მისცა, რაჲთა, რომელიცა განგებაჲ და წესი ენებოს, იგიცა დაუღვას მონასტერსა და მას ზედაცა განკანონოს 39, 1-3; კრულობითა და შეჩუენებითა განკანონა 39, 12 დაკრულა და შეაჩვენა. „განკანონება“ შეიძღებოდა მძიმედ (67, 3; 76, 5; მძიმედ გაკანონებ 94, 8), ძლიერად (78, 8), ჯეროვნად (50, 5) ან ფიცხლად (66, 5).

განკაფულ დაუძღურებული, დავრომილი (სენისაგან, შრომისაგან). საღობასა შინა განკაფულმან 38, 2; სენთაგან განკაფულისა 34, 5; შრომითა განკაფულნი გუამნი ნათნი 104, 32.

განკითხვა 1. თათბირი, ბჭობა, მოლაპარაკება. თანიერ განკითხვისა არარას იქმოდა 107, 2; განკითხვაჲ წინამძღუარი არს ცხორებისაჲ 107, 10.

2. გასამართლება (ამეორედ მოსვლისას). ღღესა მას განკითხვისასა 119, 17.

განკრომა (2)1 (უობ.). 1. ვაოცება, განცვიფრება. განკროთა გონებაჲ ჩემი 46, 1.

2. დაფრთხობა (ვნ.). ვითარცა დახედნა მანკიერმან მან სანედარმან (იგულისხმება ჯორი), მყის განკროთა და იწყო სივლტოლად და აქა-იქი ეკუთებოდა 112, 9.

განკრძალულ. თუსსა მსახურებასა განკრძალულ იყო 115, 7 თავის საქმეზე იყო დამდგარი, მიჩენილი.

განკუეთა, გაკუეთა 1. გაჭრა. განკუეთელ დაურღვეველი. განკუეთეთელი ერთობაჲ 41, 9.

2. ხელის აღება, უარის აქნა, ამოკვეთა. ნებისა თუსისა განკუეთაჲ 27, 2 თავის ნებაზე ხელის აღება.

3. მოშორება, გაცლა. განკუეთელ. შეჩუენებულ და განკუეთილ წესისაგან ქრისტეანეთასა 118 ს, 5.

4. დანიშვნა, დაწესება. გაკუეთილ (ნ.) განლევა, ა ვნ. განილეოდა შერიითა 105, 4 შუიით კედებოდა.

განმართება (საჰმლისა) 70, 12 შეკაშმვა, უფრო კარგად გაკეთება.

განმარტება, ი/უ. აღუქსნიდა და განუშარტებდა 54, 5; ეკუეთუმცა სიტყუასა წერილთასა იკითხევდ, განმარტეთმცა 54, 7.

განმგებელ ნ. განგება 1.

განმზადება, ი/უ. ტაბლად კეთილი განუმზადა 111, 2.

განმრყუნელი (სენი) 39, 1 ბ.

განმწნობა, ა. განგუთმწნობნ 118 ს, 31.

განროხმა, ი. განიროხის თავი თუსი 68, 16 გაიროხმებოდა ხოლმე.

განრიანება, ა. გადარჩენა (განსაცდელისაგან). და ჩუენ კირისაგან განგუარიინნეთ 19, 7. ენებითი გვარის საწყისი იქნება: განრომა (ნ.).

განრომა, ვარომა, ე (უობ.). 1. ვადარჩენა (განსაცდელისაგან). მის საუკუნოდასა განკითხვისაგან განერებით 58, 11.

2. თავის რჩენა. რომლითა გაერე-
ბოდი, იგი ხოლო დაიმჭირე 98,12
რითაც თავს ირჩენ, მარტო ის დაიკავე.
აქედან: **გასარომელ** სარჩო. ჩუენი ყო-
ველი გასარომელი ზღუთ შემოვალს
25,6; თავისა გასარომელსა სრუ-
ლებით მისცემდიან მონასტრით 102,2
(განრომა ვნებითი გვარის საწყისად
მიდის, განრინება კი—მოქმედებითი
გვარისად).

განრყუნა გაფუჭება. მოშლა. გან-
მრყუნელი (სენი) 39,1 ბ.

განსაგებულად 112,11 შესაკყობ-
ლად. ნ. გახგება 5, გასაგებელ.

განსლვა, გასლვა. 1. განავალთა
ძმათა ჰკითხავენ მიზეზსა განსლვისა-
სა 61,2; ვერდინ იკადრის განსლვაჲ
61,3; გავიდიან 97,9.

2. გახლობა. მონასტერი უწყსოდ ვა-
ვა 68,7 გახდება, შეიქნება.

განსუენება, გასუენება მოსვენება.
არა სცემდა განსუენებასა თავსა
თჯისა 50,12 არ ისვენებდა; ქართველთა
განსუენებისათჳს 23,5 იმისთვის,
რომ ქართველთაგან მოსვენებულნი ყო-
ფილიყენენ.

ი (ჟობ.), მოსვენება. მრავალთა მათ
ჭირთაგან განვისუენეთ 118 ხ, 2
მოვისვენეთ.

ი/უ (3)2 (უბირდ.) მოსვენება, დავმა-
ყოფილება. ნუჟუჟევერ გაგისუენოთ
83,6 ვაითუ ვერ მოგისვენათ; ყოვლი-
თა განსუენებითა განუსუენის
118,32 ყველაფერი საჭირო რაბით და-
აკმაყოფილებდა ხოლმე; განუსუენ-
ებენ 28,4; განუსუენის 83,3.

ე. მათცა გაესუენა 37,1 მათაც
მოისვენეს.

განტეგება ნ. გატეგება.
განუკუეთელ ნ. განკუეთა 1.
განფრდილ 42,4 ვაყიდული.

განყოფა, გაყოფა, ი/უ. რომელმე
ლაშქართა განუყო 21,8; ეგრეთვე სა-
შოვალსა მისცეს განძი ინდიკტიონსა ზ
ლიტრაჲ ათოთხმეტი გასაყოფელად
ყოველთა და კუალად ია ინდიკტიონსა
ვაუყვეს სხუად იდ ლიტრაჲ 32,1--2.

განჩინება, ა. დანიშვნა. სპასალარად
თორნიკ ვამაჩინეს 20,4. შდრ. გან-
წყება 3, დადგინება.

განცემა. (3)2 (უირ.). გინა გან-
სცეს მიწად 118 ძ, 1.

განცოფებულ გაბრაზებულნი, გასე-
ლებული. გ—ლი იგი მონაზონი 105,10;
გ—ლმან მან 105,15.

განცრუება, ა. გატუღება. გაბათო-
ლება, გაუქმება. განაცრუვა ონ
ზრახვად მათი 118 ც, 6.

განცხრომა ხუმრობა (?). რეცა გან-
ცხრომის სახედ 55,10 თითქო ხუმ-
რობით. იწყის უბნობად გინა განცხ-
რომად 72,5 დაწყებდა ხოლმე ლაშა-
რას ან ხუმრობას (?).

განძ 1. ოქროულობა, ვერცხლეული-
ბა და თევზები, რაც შეიძლება აიწონოს
ან ფულად იქნეს წაანგარიშევი. ოქროს
განძად ათუალული 25 ლიტრაჲ
31,6; ოქრო-ბეჭედა განძისა ორმე-
ოცდა ოთხისა ღრაჰკინსად 31,2. „განძი“
უპირისპირდება „საფასეს“ ე. ი. ფულს
(ურთიებუთა საფასითა და განძითა
26,2), და ღრისტი ტურფას ან კუმაშს:
სამ გზის დაიტყუენა მონასტერი და, რად-
ცა ღრისტი ტურფად იყო, ყოველი იავარ-
იქნენა, და ეგრეთვე განძი და კუმაში
116,9--11; უფრომს ათორმეტისა კენ-
დინარისა შიილო განძი ოდენ, სსუა-
თა ტურფათაგან კიდე 26,2—1 ბ.

2. სიმდიდრე, ფასეულობა საზოგა-
დოდ. ყოვლისა უფრომს ეპისტატისა-
თჳს ჰვედრებენ მამად ეფთჳმე და ეტყჳნ.
ვითა: ნუშცა რაჲ დააკლდების ეპისტატ-

სა, რომელ არა შეწყუბდეს და 30 ანუ 40 მუშაა არა მოატუნოს და ესთენი განძი ბელით წაგდეს 97,1--4. მეგანძურ-ი 85,1.

განძღება, ი. არცა თუ წყლითა განძიდებდეს თავთა მათთა 80,4.

განწყება. ვაწვება, ა. 1. წესის დაღგენა, წესრიგის შემოღება, გარიგება. უმჯობესსა ყოველთასა განაწყებს 1,3; ესრეთ განაწყესა 2,5; ესრეთ განაწყესა. რაითა 39,3; ენა განეწყესა მამასა 60,3; შრომელთა და მათროლთაღა განეწყესა 62,1.

უნარო ფორმები უფრო ხშირია III სერიაში: მამასა გაუწყესებია 72,3; საკელორბასა წესი ესრეთ გაეწყესა 96,1; ჭაბუკთაღა გაეწყესა 59,3; ესეღა გაეწყესა ჩეტრაბეზისაღა 72,1; მოსენათაღა გაეწყესა 103,1 (ნ. კიდევ: 73,2; 75,2). ი.უ. განუწყესნეს წესნი და განონნი 4,13.

2. დანიშნა, მისჯა. ი.უ. ჭმელისა ბურისა ჭამად განუწყესის მას დღესა 61,7; უღვრობად და უსაჰმლობად განუწყესის მას დღესა შინა 60,13.

3. დანიშნა (თანამდებობაზე), დაღგენა. გახჭებელად და ეპიტროპად თათმაცრობელნი მეფენი განაწყესნა 40,1.

განწყებაზედ 1. წესრიგნი მოყვანილი. ყოველივე განწყესებულად იყო 101,3; 2. „გაუყვანილი“ (ნ.). იკონომოსისა განწყესებულნი 7 კრასოვული იყო 100,1.

განპრწნად-ი 79,4 ბ. წარმავალი. უმნიშვნელი.

განწყება 106,3 განძმარი. გარდავლა. უწყებრად გარდავლო 55,2.

გარდაკეთება. მიხეზი გარდაკეთებთა 78,3 (განამართლებელი) მიხეზი მოესპო, გადაწყვეტლება მიღლო, რომ ყოველგვარი მიხეზის გარეშე...

გარდამოგდება, ა. გარდამოგდლო (ჯორმან ეთუზე) 112,21.

გარდამოჯნა (ხატი) 31,18 ხატი, რომელზედაც ქრისტეს ჯვრიდან გადმოხსნის ეპიზოდია დახატული.

გარდაქცევა, ი. ენ. პირის მობრუნება, ზურგის შექცევა. გარდაიქცეს და მიექცეს ჩუენთა წინააღმდეგობთა 118 c, 26.

გარდაჯდა, ი. დიდებულად გარდაიქიდა (დღესასწაული) 112,6.

გარდაჯდომა, 1-ბ., გასვლა. გარდაიქიდა შუდელი ერთი 17,3 ბ.; გარდაჯდეს ჟამნი რაფდენნიმე 116,1.

2-3.. გადასვლა, არ შესრულება. თქუნესა ბრანებასა არა გარდაიქიდე 19,4; უკუეთუ ვინმე გარდაიქილის მცნებასა 73,7.

გარე (საპირისპიროა: შინა). შინა და გარე 39,3; 93,11; 111,11 გინა მონასტრისა, გინა გარე შეტოქთა 93,7; შინაცი და გარეცა 104,1.

გარე განთხევა 52,5 გარეთ გადასხმა.

გარე მიქცევა, ე. გარე მიექცა (იორი მისი 53,11 საზე მიექცა (შემდეგ ნათქვამია: მოიქცა პირი მისი 53,16 გამობრუნდა, ე. ი. განოსწორდა).

გარეშობა. გარეშობას მონასტრისა 23,10.

გარეშე გარდა. გარეშე მათ პირველთასა 47,6; გარეშე საჭიროება მის და უნდობასა საჭმრისა 104,9.

გარე-შექცევა ვერდის ახვევა. ეთოე-შექცევა და შეუძლებელ არს 15,ბ.

გარეწარ. რაითა არა დაეიწყებულ იქმნას და გარეწარ ესევეთარი ესე მოავალ-ფერი ღელუა 118 c, 29.

გარნა 1. გარდა. სხუასა ნუ ვის ეფინები, გარნა გაბრეღს ზოლო ზუტცესსა 29,13; გარნა თუ 29,20 გარდა იმისა, ი.უ.

2. მატრამ (11,4; 11,5; 58,2).

გარომა ნ. განრომა.

გასაგებელ, განსაგებელ მართვა-გამგეობა, ხელისუფლება ან საურავი, საზრუნავი. ბასილი და კოსტანტი მას უამსა წუთლა ყრმა იყვნეს და ყოველი გასაგებელი (განსაგებელი BCD) დედოფალსა ეპყრა და პარაკიმენონსა 18,1—2. ნ. განგება 1.

„გასაგებელი“ და „საურავი“ ამ ძველნი ერთი და იმავე მნიშვნელობით არის ნახმარი გარკვეულ შემთხვევაში: აპოთიკი და ბოსტანი და წისქვნა კვლარისა საურავნი იყვნეს..., ხოლო სპარიკონომოსად და საწანგროდ და სამკედლოდ და ხურონი და კალათატნი და მანდრინნი და ვენაჭნი—ესე იკონომოსისა გასაგებელნი იყვნეს 98,1—5.

გახარომელ ნ. განრომა 2.

გასაყოფელ ნ. ვაყოფა.

გასლვა ნ. განსლვა.

გასუნებუა ნ. განსუნებუა.

გასწავლება, ა. ბირველად ქართული სწავლაჲ ასწავა და მერმე ბერძულად ვაასწავლა ყოველითა სწავლულებითა სრულებით 45,3—4.

გასზნა, ა (პიოდ. თამიქტით მრავლობით რ-ში) ვადგება. ძრავალნი ძმანი მონასტრისაგან ვაასხნა 73,6; ესე აღვილი ქართველთა გამოუგდოს და იგინი ვაასხნეს 118 ბ, 3.

გასჯა, ი ვნ. განკათხვა (ი ვნ.). გასაპირაღება. მას საუჯუნესა მწარელ გასჯეებით 68,9.

გატევეზა, ი/უ, (3)2 (აკლია ირიბი) გაშეება. უჯუეთუ ვაგიტევესე 33,14 თქვენ რომ ვაგაშევა.

გავჯანება, განჯანება. გარე განჯვანებისათჳს 72, 7; ი. მამასა გაუწესებია. რომელ გარე ვაგაყვანო 72,4; გარე ვაიყვანის 72,8.

გაყიდვა. არტა ვაჭყიდღეს 78,8.

გაყოფა ნ. განყოფა.

გაცალება, ა 3, გაცნობა (ა). ყოვე-

ლივე საქმე თორნიკ გააცადა 20,2 გააცნო.

გაწესება ნ. განწესება.

გაწყლომა, (2)1. კელორისა კარსა რად-თუროთით არა გასწყლებოდა შეკრებად 95,6.

გაჯმოზა. ფურცელი ხეთა და ვენაჭთაჲ გაჯმა 55, 3.

გაჯმნა, ი/უ (უბირდ.), გასტუმრება, ვაცილება. ვაუჯმენ 35,4. ნ. ჯმნა.

გბობა. უმგბარი 70,13 უხარმავი, ხარშვა რომ აკლია.

გება, ე. არა ეგების არ შეიძლება. დაფარვაჲ არ ღარაჲ ეგებოდა 14,2; კაცისა წარვლენაჲ არა ეგებოდა 16,6.

გემოჲს ხილვა, ი, გემოს ნახვა, გემოს გასინჯვა. ძმათა საქმელი მოაღებისთა ვისა წინა და მისიცა გემოჲ იხილის 70,11; გემოსა იხილავენ (ღუნისასა) 70,4.

გზა. გზითა განო. მისითა გზითა 33,24 მას ვამო, მისი მიწეხით; კრძალვისა გზითა 29,10 მორიდების გამო. **გზის ჯერ:** სამ გზის სანატრელნი 6,7; სამ გზის დაიტყუენა მონასტერი 116,9. ნ. საგზალი. ვაგზაენა, წარმგზაენა.

გზება ნ. აღგზება, მგზებარე.

გინა (გაეშ., წარმოშობით ზმნა, ბეორე პიროს ფორმა). **გინა** უმეტეს 12,7; **გინა** შინა მონასტერსა, **გინა** გარე მეტოქთა 98,6—7. **გინა თუ** (ჩამოთვლიას): **გინა** თუ ხუცესნი, **გინა** თუ დიაკონნი, **გინა** თუ მკამობელნი 63,8; **გინა** თუ ზეთისხილი იყვის, **გინა** თუ ნიგოზი, **გინა** თუ სხუად ხილი 98,7—8; **გინა** თუ მოვუნი, **გინა** თუ ჩადლანი, **გინა** თუ ტყავი, **გინა** თუ საბლები, **გინა** თუ სვლი 101,6-7.

გინება. რადენნი გინებანი 118 ბ, 6; გინებითა და შეურაცხებითა 118 ბ, 21. ნ. მოვინება.

გლახაკ 1. მათხოვარი. პოვა ვინ-
შე გლახაკი, რომელი ითხოვდა ქვე-
ლის საქმარსა 112,16; მრავალნი გლახაკნი ილუაწინა 112,6; ესევითარი რა-
მე მისციან გლახაკთა 104,20; მონასტერი ზრდის გლახაკთა 104,18; რად ღმერთსა ებოძოს, გლახაკთა მიუპყრობდი 42,2; ყოველთა გლახაკთა ეურვიან 40,8.

2. ღარიბი, უჭონელი (აჲონის მონასტერნი) წუთლა გლახაკ იყენეს 30,3.

3. თავიდაპლობის აღმნიშვნელი სიტყვაა თავის თავზე ლაპარაკის დროს: აღწერილი გლახაკისა გეორგის მიერ (სათაფრში); გლახაკი ესე ერის კაცი ვიყავ 33,21; ჩვენ გლახაკთა გუბობა 118 ა. 17; ლინანი ესე შენნი, შწირნი და გლახაკნი 119,16; გლახაკება. რადთა... გლახაკებით ეყოლებოდი 33,23; გლახაკთა შწირობით და სიგლახაკთა ეზარება 23,3.

გლოვა, ე. ცვლთვდეს 113,7.

გმობა. იწყო გმობად 53,9; გმობასა მადლისა მიმართ 126,9; სიტყუათა გმობასათა 54,7; რი-იგი გმო 53,14; დაიყენ პირი შენი გმობარს 54,10.

გოდოლ მათელი ია ვიწრო შენობა, კომი. (ეუთარის სოფელი აქუნდა) გოდოდსა შედა მადლსა 57,7; აღვიდა გოდლად 127,2; ცაიუა გოდლისათა 128,10.

გონება 1. ღიბრი. ვჭგონებ, თუ 47,7; ვაგონებდი 45,10; ნუხაფი ვისმე ჰგონეს დეს 6,5.

2. წარმოდგენა გონებით. ზოგთამე გონებითა ევენების და ზოგთა შეხედვითა 91,3.

გრილ 5. სივრილე.

გუალვა. გუალვაჲ ფრიადი 55,1.

გუამ 1. სხეული. გუამითა ძლიერ 108,2.

2. წევრი. რადთა არა ყოველსა გუამსა კრებულისასა განეზავოს მაკუდინებელი იგი სენი 39,2 ბ.

გუემა. ცემითა და ვუემითა 118 ბ. 3. ი. ვნ. რ ი გუემა ცა 118 ბ. 39.

გულ. გულ-კლებულ 5. გულის კლება. გულ-ვაცხელ 33,3 დეტტი.

გულება. ე. (და)პირება. შემორე მე-გულებოდა თქუმაჲ 6.1 ცოტა შე-მთ ვაპირებდი თქუას; ეგულებოდა აღსრულებდა 39.1 აპირებდა (ე. ი. მოელოდა) საქედის.

გულის კლება წყენა. არა ეყო დრტუნება გინა გულის კლებაჲ 33,2 ბ.; ფრიადი გულ-კლებულ ვარს 36,4 ძლიან ევაკლა გულს, ძალიან გვიწყინს.

გულის საცუა საიდუმლო. გულის ნადები. სურვილი. გამოცხადება გულის სიტყუაჲ თუხი 33,10; უნდოთაცა გულის სიტყუათა ტირილით გამოცხადებნ 37,4; მაქსიმესი რდათა გულის სიტყუათა თუხს 49,5 ბ.

გულის წყრომა 33,3 ვაჯაფრება.

გულისხმის ცაუა 33,3 ვაგეზა, მიხედრა.

გულს-მოღვივნათ 119,10 ბეჯითად.



და (ნაწილადაჲ ცეკული კავშირი). კინიღა-და 115,3 თითქმის.

დაბა სოფელი. მოგუნეს დაბანი და სოფელნი 4,12; მოგუნეს დაბანი და მონასტერნი 118,13.

დაბეჭდული-ი (ეგლოვიაჲ) 104,13 ბეჭედ დადებული, გაუხსნელი.

დაგება შერიგება (დაეგე პირველად ანთა ნიშნა მათე 5,24). ვიდრე დაგება დედე 33,3 შეხედებაჲდე.

დაგლეჯა. ფიცხელი შფოთი: გინა წუერთა დაგლეჯაჲ გინა მიმოხუე-
გაჲ 68,2.

დადგინება, ა, დაყენება, დანიშვნა. მკარესა მონასტრისასა ყოვლადვე ფრთხილსა და სულიერსა კაცსა დაად-
გინებენ 95,2; მამად დაადგინა 118,23; მე დამადგინა თქუენდა მსა-
ჯულად და განმგებლად 68,8.

დაღვჳა. სკამები საშოვალ დადგი-
ან 59,3.

დაღვჳა ვაჩერება. ჩუენ არა დაღ-
დგებოდეთ 115,18 ჩვენ არ ვჩერდებ-
ოდით, არ ვღვებოდით.

დაღვრჳა, ა, დადგომა. და მასვე ზედა დაადგრიან 63,3 და იმავეზე დადგებოდნენ ხოლმე (ე. ი. იჯიუტებდ-
ნენ და არ შერიგდებოდნენ).

დადუმება ი (უობ.). და რად დაი-
დუმე 29,17.

დავეღრება, ვ, თხოვა. ველოსანთა დაპვედრებენ 65,5.

ე. ლოცვასა დაევედრა 111,2, 11 სთხოვა მილოცე(თ)ო.

დავიწყება. დავიწყებად მოვიდა 118,35 დავიწყებულ იქნა.

დავრდომილ. ცხედარსა ზედა დაე-
რდომილი 33,30 ლოგინად ჩავარდ-
ნილი.

დაომენა, ი. მრავალი შრომაჲ და-
ითმინა 118 ხ, 29. შდრ. მოთმენა.

დათრგუნვა, ი, დატოვება, გაჩერება თავის თან (?). დაათრგუნნის ეამ რაოდენმე 83,2 დაიტოვებდა (?) რამ-
დენიმე ხანს.

დათრება, ა. (წუნამან) დაათრო ყოველი ქლეყანაჲ 55,16.

დათუაღვა. ი/უ ჩათვლა. მიჩნევა. ლოცვადვე დაუთვალის 60,7 ლოც-
ვადვე ჩათვლიდა ხოლმე.

დაკლება. ა. ნუმცა დააკლებ 98,13; ნუმცა ვინ იკადრებს დაკლებასა 119,8; დაუკლებელად 58,4.

ა—დ. ნუმცა რაჲ დააკლდების ეპისტატსა 97,2; დააკლდით ტკბილ-
სა მას და საწადელსა მამასა 113,10.

[დაკრძალვა. დაპკრძალა კარი სენაკისაჲ (სუნ. 60,3) დაპხშა].

[დალტობა, ი ენ. დაილტვნეს (სუნ. 59,1) დასველდნენ].

დამარხვა, (3)2 (უირ.), დასაფლავე-
ბა. თჳსაგან დაპმარხა 44,2 ცალკე დასაფლავა.

ი, დაცვა, შენახვა. მცნებათა ღმრთი-
სათა დამარხვაჲ 41,2; ესე წესი ვიდ-
რე აღსასაქულადმდე თჳსად დაემარ-
ხა 107,6; ჩაღწულებად შეუხებელი და უბიწოდ დაემარხა 108,13.

დამეცება, დ 2, უკუეთუ კულა პური დაპმეტდის 104,20 თუ პური მოპრჩე-
ბოდათ ხოლმე.

დამკვდრება, ი/უ. კვალად დაგვნი-
კვდრა ადგილი ჩუენი 118 ხ, 36.

დამოწმება, ი/უ, დაბარება. დი-
უმოწმის, ვითარმედ: ამას ნულაო იქმ 61,5; გაუჯმენ და დაუმოწმე. რომელ უკამოდ არა მოვიდოდინ 95,4 გაისტუმრე და დაბარე, რომ უდროდ აქ არ იარონ ხოლმე; მტკიცედ დაი-
მოწმა 76,3.

დამტკიცება. სხლათა რათმე წესთა და კანონთა ენება დამტკიცებაჲ 115,4; საშართლობასა და დამტკიცე-
ბასა 118 d, 12; დამტკიცებისა ჩუენისათჳს 118 ხ, 15. **დამტკიცებულ-**ი. დამტკიცებულ ი თჳსსა გულის სი-
ტყუასა 33,11 მტკიცე გადაწყვეტილება-
მიღებული.

ი/უ. ოპრობეჭდიოთა დაუმტკიც-
ნეს 24,3. ესე ადგილი ნათესავსა ჩუენსა დაუმტკიცონ 118 d, 11.

დამცნება, ა. ბრძანება, სახელმძღვა-
ნელო განკარგულების მიცემა. დაამც-
ნიან 98,11; დამიმცნია მეტრაბე-
ზისადა 72,6; მზარგულისადა დაემც-

ნა 97,6; დაენცნა ნამასა 100,3; ესრეთ დაემცნო 95,2.

დამწყება. კეთილად დამწყესო სამწყესოჲ ესე 118,18.

დამჭირვა დაქერა. ხელში ქონება. თჳნიერ მქედელთა და ხუროთა და ვალატობთა და მევენაჲთა და ნავის მოქმედთა და სხუათა ესევეთართა ამის ესევეთარისა ლავრისა დამჭირვაჲ ულონო არს 25,8.

ი. რომელიმე ლაშქართა განუყო და რომელიმე თუთ და იმჭირა 21,8; რომლითა გაერებოდი, იგი ხოლო და იმჭირა 98,12 რომლითაც თავს ირჩენ მართოს და იჭირე (=დაიტოვე); მონასტერსა არა და იმჭირნის (უწყურულნი) 92,3 ნ—ში არ აყენებდა ხოლმე. დიდითა ბატონითა და იმჭირეს 33,27

დამხედვარ ნ. ეპიტირიტის.

დანაც. გვხვდება სვინაქსარულ რედაქციაში, სიდაც ის ვრცელი რედაქციის „მხხელს“ უდრის. შეიქმნა და დანაკი ფრიად დიდი და ეძიებდა ვაშსა მოკლვად მისა (სჯნ. 59,3 ზ.); დაჩხუება დანაკითა (სჯნ. 60,9); მაგრამ იქვე მეორედ ნათქვამია: იგიცა დაჩხუება მახელთა).

დამყრობა 118.37.

დარწმუნება. ღმერთმან დაგარწმუნოს 19,4; ფიცით დაგუარწმუნეს 52,9.

დასაბამ დასაწყისი. დასაბამი და აღსასრული 2,3; დასაბამით განსოფლისაჲთ 2,18. როგორც ქრონოლოგიურა ტერმინი „დასაბამითგან სოფლისაჲთ“ მთაწმიდელთა ცნობებაში გულისხმობს ბიზანტიურ სათვალავს, ე. ი. 5508 წელს ქრისტემდე. ამიტომ, როცა ნათქვამია: აღესრულა მამაჲ ჩუენი ეფთაჲში „წელთა დასაბამითგან სოფლისაჲთ 6536 სა წელსა“-ო (114), ჩვენს წელთაღრიცხვაზე ვადმოყვანით ეს იქნება

(6536—5508=) 1028 წელი. შდრ. ინდიკტიონი [ქრონოლოგიური საკითხების შესახებ ნახეთ კ. კეკელიძის „წელთაღრიცხვა ძველ საქართველოში“: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1945, გვ. 325—341].

დასაყუდებულო 4,13 დაყუდებულის სამყოფელი [იგივე უნდა იყოს, რაც სიხასტერი (ნ.)]. წარმოება არ არის სწორი. მოსალოდნელი იყო ან „დასაყუდებელი“ ან „სადაყუდებულო“ (ნ.).

დახლებელნი (მარბეათანი) 49,38.

დასლვა (შხისა) 69,3.

დახუენება, **ი.** რამცა ხატთა და სუენებ დეს სენაკთა შინა 81,5.

დასხდომა. დასხდიან 59,5.

დასხმა დადება (პირდ. ობიექტით მრავ.-ში). წესნი და განგებანი დაესხნეს მონასტერსა 58,2; წესთა, რომელ დაესხნეს მამასა ჩუენსა ეფთჳმეს 105,2.

ი/უ. 1. დადება (მრავლისა). დაუსხნეს სიმტკიცენი 4,14. 2. (უპირდაპიროდ, მაგრამ მისი მრავლობითის ნიშნით) შეკაზმვა (ცხენისა და სხვ.). დამისხნენ სავედარსა 112,13 შემეკაზმე ჯორი [შდრ. დაისხნა კარაულსა თჳსსა III მეფ. 13,23 ო; ჰრქუა ძეთა თჳსთა: დამისხენით შე კარაულსა. და დაუსხნეს კარაულსა და დაჯდა მას ზედა, III მეფ. 13,13 ო].

ი გნ. (სუბიექტით მრ.-ში): გუამნი პათნი დაისხნეს საფლავსა 104,32; (ნაწილნი) დაისხნეს სამარხოსა ლუსკუმასა 113,14.

დატვეება, დატეობა, ი/უ 3(2) (უპირდაპირად), დატოვება; ხელის აღება. რათა სხუასა დაუტევებ დეს წინამძღუარსა 39,10; არცა თუ მტირელი რადმე დაუტევა ჳელმწიფებასა ქუეშე თჳსსა 26,5; დაუტევა ეპისკოპოსობაჲ 35,4; წინამძღურობაჲ მონასტერსა

სად დაუტევა 115,2; ესე ყოველი წარმოთქუა და აღწერით დაუტევა 43,1; არა ჯერ-ვიჩინეთ მოუქსენებელად დატეობად ცხოვრებისა მათისად 3,4.

დატყუენვა ტყვედ ჩადგება ხელში; გაძარცვა. დატყუენა ყოველნი დიდებულნი 21,7; წინააღმდეგომნი ჩუენნი დატყუენენ და ყოველივე ნატყუენავი მათი შენი იყოს 21,3.

ი ვნ. სამ გზის დაიტყუენა მონასტერი 116,9 გაიძარცვა.

დაუბნება, ი, დალაპარაკება. კელარი დაიუბნის 70,12; მზარეული დაიუბნის 70,14; თუთ ვავიდის შტოსა და დაიუბნის 58,1 ბ.; დაიუბნის ძმანი სწავლითა სულიერითა 77,1; ეკლესიას დაიუბნის ძმანი 74,2; დაიუბნის წიგნთაგან დაზეპირით 68,5.

ე. დაეუბნის მევაჟინესა 70,4.

დაუკლებელად 58,4.

დაურგება, ი, საურავი საქმის ვაკეთება. უკუეთუ საკრებულოდ რაიმე (საქმე) არნ, ძმათა უკმის და მათ თანა დაიურვის სამამოს 74,5; ვე დაურგება დმდე ყოვლისა საურავისა 112,4.

დაუყენებელად ნ. დაყენება.

დალაცათუ 23,4; 40,4; 59,1; 104,8 თუმცაღა.

დაყენება შეჩერება. დაუყენებელად აღმოდინ (სიტყუად) უწმიდეს ყოველთა ქართველთასა 46,9.

დაყოფა 1. დაზმა, გატარება (დროისა). მრავალნი წელნი დაყვნა სნეულებასა შინა 50,6; დაყვნის დღენი მრავალნი 51,21.

2. ამოგება (სარკმლისა, კარისა); აქედან: ი ვნ. დაიყავნ პირი შენი 53,10; 54,10; დაიზმას, დაიხუროს (ე. ი. დაღუმდეს).

დაყუდება განცალკევებით ცხოვრება (ბერისა). ბერი იოვანე გრძელის ძე

ცხოვნიდებოდა დაყუდებით ოთხთა ეკლესიათა ლავრასა 35,2; იგიცა (ე. ი. არსენი ნინოწმიდელი) დაყუდებით ცხოვნიდებოდა თვისსა მოძღურისა თანა 35,7; სახედ დაყუდებისა 49,23. ნ. დასაყუდებულო.

დაშთომა დარჩომა, დარჩენა. არცაღა სიტყუად დაშთომილ იყო მის თანა 45,11; რომელნი დაშთომილ ვიყვენით 116,8; შინა დაშთომილთა 60,4.

დაჩურჩნა ჩურჩული, ხმა-დაბლა ლაპარაკი. იღუმალ დაჩურჩნიან 71,7 [შდრ. იხილა რად დავით, რამეთუ ჩურჩნიდეს რასმე ურთიერთას მონანი იგი, II მეფ. 12,19 ო].

დაჩხუება დაჩხვა, დაჭრა. იწადა მახლი და უწყალოდ დაჩხუება სანატრელი იგი ძმა 105,15; იგიცა დაჩხუება მახლითა 105,17.

დაცადება, ა, თავის დანებება, შეწყვეტა. აქა უკუე დავაცადოთ ესევეთარისა ამის პირისათუ სიტყუად 32,18; რაოდენიმე მოვივსენოთ და სხუად იგი დავაცადოთ 30,7; კეთილსა მას შრომასა თარგმანებისასა არა დააცადებდი 50,11; დააცადე სოფლიოთა მავათ საქმეთა უბნობად 29,12.

დაცხრობა, ა, დაწყნარება. ეპიტორიტისთა დააცხრვიან (ძმანი) 66,3.

დაძინება, ე. შინა ვილძებ და (ეკლესიასა) მით დამეძინებიან 94,4.

დაწამება, 3. განდგომილებად და ორგულეობად დასწამეს 116,5.

დაწესებულნი. უკუეთუ ვინმე არა მივიდის დაწესებულთა ზედა ცისკრისათა 60,4; შემდგომად დაწესებულთა წარვიდიან (შზრომელნი) და გამოისუენიან 62,2 (ეს უნდა ყოფილიყო ცისკრის ლოცვა პირველი რეკის შემდეგ. მუშა ბერებს ნება ეძლეოდათ, რომ დაწესებულთა

შემდეგ მოესვენებინათ მეორე რეკამდე).

დაჭირვება, ა, გაჭირების მიყენება. ეგე მტერისა საფრცქ არს, რაჲთა მცირისათჳს დიდი დაგაჭირვოს 94,5.

დახედვა თვალ-ყურის დევნება. საურავი და დახედვაჲ და განგებაჲ (დიდისა ლავრისაჲ) 88,7. აქედან: **დამხედვარ-ი** (ნ. ებიტირიტისთან).

დახრწვევა, ე. დაეხრწეოდა თარგმანებისაგან 109,6 ცდებოდა, ხელი ეშლებოდა თარგმნაში.

დახუღომა, 2, შეხვდომა. ესევეთარი რაჲ ჟამი დახუდა იოვანეს 19,1.

დაჯსნა, დ. დაჯსნდის 62,3 დაუძღურდებოდა ხოლმე (მუშაობისაგან); უღებნი და **დაჯსნილნი** 65,4.

დაჯშვა დახურვა (კარისა). დაჰქშა კარი მოწაფემან 105,9.

დაჯღომა. დაჯდა... და განბჰო 118 c, 19—20.

დაჯერება, დ 2. უკუეთუ ვინმე ტრაპეზსა ოდენ ვერ დასჯერდებოდის 89,11 თუ ვინმე არ დასჯერდებოდეს (ე. ი. არ იკმავებდეს) მარტო იმას, რაც ტრაპეზიდან მიეცემა.

დგომა. საშოვალ ეკლესიასა დგომაჲ 59,3; ეკლესიის დგომასა მენე, რ დგან იგი თჳნიერ კუერთხისა 103,5; დგან იგი ეკლესიას 58,9.

დეკანოზ 59,6. P.P.-ის თანახმად (გვ. 41), ამ ტერმინით ძველად ქართულში აღინიშნებოდა *ἐκκλησιαρχος* (შდრ. კ. კეკელიძე, *Литург. пам.* 479, 868. 2 და *Иерус. канонарь*, 327).

დიად დიდად. დიად საჭიროჲ საქმე 61,3.

დიაკონ. გინა თუ ხუცესნი, გინა თუ დიაკონნი, გინა თუ მჟამობელნი 60,9; ხუცესნი და დიაკონნი 84,5; აღდგომისა დიაკონნი 84,2; **დიაკონობა**. მრავალნი წელნი დაყვნა დიაკონობასა შინა 84,5.

დიადლოზ 49,51; 51,1 წიგნის სახელია (გრიგოლ პაპისა).

დიდებულ. დიდებული და წარჩინებული 7,2; საბერძნეთისა დიდებულნი 117,14; დიდებულნი ყოველნი 53,4; დიდებულთა და მთავართა პალატისათა 113,3.

დიკა 90,3 პურია ერთგვარია.

დრაჰკან (ნათ. დრაჰკნისა, ვით. დრაჰკნად) 31,17; 91,5 თავდაპირველად დარეჰული ანუ დარიოს მეფის მოჭრილი ფული, შემდეგ ფულის ერთეული ოქროსი (აჭარიანის ლექსიკონი II, 383). ჯუარცუმისა ხატი ცკლოანი დიდი, ას დრაჰკნად ფასებული 31,17; ოქრო-ბეჭედი განძისა ორას ორმეოცდა ოთხისა დრაჰკნისაჲ 31,2; გაყიდეს მონასტერი იგი სამას ორმეოც დრაჰკნად 80,4; უფროჲს ათას ხუთასისა დრაჰკნისა უწერია წიგნი 111,8; ამითი მირჩენია შეწყნარებაჲ, ვირე ათასიმეცა ვინ დრაჰკანი მომცა 83,10.

დრისტ. სამჯერ დაიტყუნა მონასტერი და რაჲცა დრისტი ტურფაჲ იყო მამათა ჩუენთა მოგებული, ყოველი იავარ-იქმნა, და ევრეთვე განძი და კუმაში 116,9—11. ს. ორბელიანის მიხედვით, რომელიც ამავე ადგილს იმოწმებს, „დრისტი“ სასალუქო ჭურჭელს ნიშნავს, რომელსაც დ. ჩუბინაშვილი ასე თარგმნის: *изыянная посуда*; მე კი მგონია, რომ ეს არის სპარს. სიტყვა, რომელიც დღევანდელ სალიტერატურო ენაში **დურუსტ**-ად გამოითქმის და ნიშნავს, სხვათა შორის, მთელს, სრულს, ნამდვილს. „დრისტი ტურფა“ —საუცხოვო რამ, საუკეთესო.

დრტუნვა უკმაყოფილება, პროტესტი. ყოვლადვე არა იყო დრტუნვაჲ 68,3 ბ.; უდრტუნველად 12,6; 90,5.

დუკა (*dux*) ძმად ვენევენტოს დუკისაჲ 51,3.

დღე. დღე ყოველ 60,6 მთელ
დღეს. **დღივ** 84,10 დღიურად; **ზრომისა**

დღე 73,2 სამუშაო დღე. **დღისი** დღი-
სა. დღისი იგი ლოცვად მათი 60,6.

ქ

ეგების ნ. გება.

ეგევითარ. საზოგადოდ ეს სიტყვა „ნიგნაირს“ ნიშნავს, მაგრამ ამ ძეგლში ის ჩვეულებრივ დღეებანდელი „იმნაირის“ ნიშნავს. ნიშნავს იხმარება: არცა ვინ იყო ეგევითარი კაცი, რომელმანმცა სრულ-ყო ნებად გულისა მათისა 16,6; ეგევითარმან მან განთქუმულმან და საჩინომან კაცმან 26,6.

ეგრე. ვინაფთვან ეგრე მოჰქდა 68,7.

ეგრეთვე. ეგრეთვე მევაჟინენი 96,5; ეგრეთვე განძი და კუმაში 116,10.

ეგლოგია (ἐπιλογία) ძღვენი, შესაწირავი, ფულადი დახმარება. ეგლოგიასა წარსცემნ 35,13; გინა თუ ეგლოგიასა ვისმე წარსცემნ 71,3; მრავალ გზის ეგლოგიასა წარმოსცემდეს 104,12.

ეპისტატე (ἐπιστάτης ზედამდები, მოძღვარი) „რომელ არს მუშათა უხუცესი“ 98,1.

ეპისტოლე (ἐπιστολή) სახელია ახალი აღთქმის ზოგიერთი წიგნისა, რომლებიც წერილის ანუ მიმართვის სახით არის დაწერილი და რომლებიც უმთავრესად პავლე მოციქულს ეკუთვნის. თარგმანებად გალატელთა და თესლონიკელთა და კრომანელთა ეპისტოლისა 49,36.

ეპიტირიტისი (ἐπιτιμήσις). ორნი ეპიტირიტისნი, რომელ არიან დამხედვარნი, დაედგინნეს, ერთი უხუცესი და ერთი უმრწემესი 60,1; 66,3.

ეპიტროპ (ἐπίτροπος) მზრუნველი, შეფი. განმგებელად და ეპიტროპად თვთმპყრობელნი მეფენი განაწესნა 40,1.

ერ ხალხი. ფრიადი ერი 112,22 (ან: ერი ფრიადი 56,2) ბევრი ხალხი; ყივილი ერისა მრავლისა 56,8; სხუად მოცალე ერი 73,3; ერისა საურავთა თანა 88,1; სხუადცა ერი მოსლვად არს 51,15; არა მცირედნი ნათესავნი და ერნი 33,5 (უკანასკნელ შემთხვევაში „ნათესავი“ და „ერი“ სინონიმურად არის ნახმარა). ნ. ერისგანი-ი, ერისკაც, ერის კრება, საერო.

ერთ (მრ.-ის ფორმით: **ერთ-ნ-ი**—ზოგიერთნი). ერთთა ჩოჯათა მიამთხვან ღუეღითა 68,17. **არცა ერთი რა** არაფერი, არავითარი. არცა ერთი რა უქმს ჩუენნიერი ვსენებად 2,5; არცა ერთი რა ზრუნვად აქუნდა 118,36.

ერთად. ყოველნი ძმანი ერთად შეეკერბით 118,4.

ერთგან ერთად. ენება, რადათამცა ერთგან იყენეს მონასტერსა 51,9. საწინააღმდეგოა თვს-თვს: ლიტონთა დღეთა თვს-თვს ილუწიდიან, ხოლო დღესასწაულთა და კვრიობათა ერთგან აღასრულიან წესი ლოცვისა და პირი ერთგან ივსნიან 104,21—23. ნ. ერთად.

ერთი-მეორე. ერთი-მეორისა მეშუელი 68,19.

ერთმანერთ. ერთმანერთსა თანა უბნობად 67,1; ერთმანერთისა მიმართ 67,1.

ერთობა. ერთითა ერთობითა 118 c, 30.

ერისგანი საერო წოდებისა, არა სასულიერო. სამონასტრო ცხოვრებაში მისი საპირისპიროა „მონაზონი“: ანუ

მონაზონნი, ანუ ერისგანნი 98,1 ბ.; ორნი ერისგანნი ჰყვიან მსახურად და მხუეტლად 93,1; კელართადა ებრძანა, რაათა ერისგანთა იგინი ისტუმრებდენ და უჯმნიდენ 95,5. სინონიმია „ერის კაცი“.

ერის კაც. იგივე ჩანს, რაც „ერისგანნი“. გლახაკი ესე ერის კაცი ვყავს სოფელსა შინა მყოფი 33,21.

ერის კრება ხალხის შეკრებილება, აურ-ზაური, მოვიდა თუხი ჩემი თორნიკ და მისითა გზითა დიდთა შუღლთა შთავარდი და ერის კრებასა 33,25.

ესე 1. (ზმნიზ.) ისე. ესე კულა 74,5; 81,1 ისე კი (?).

2. (ნაწილაკი). რომელნი-ესე 80,6.

ესევითარ 1. 25,8; 101,7 ამგვარი. ესევითარსა მას მზაკუვარსა 118d,8.

2. (ჩამოთვლის შემდეგ შრ.-ში) და ესევითარნი ი. თ. ი. თუნიერ მკედელთა და ხუროთა და გალატოზთა და მევენაჯეთა და ნავის მოქმედთა და სხუათა ესევითართა 25,3.

3. იმნაირი, ხ. ხუცესი იგი ესევითარი კაცი იყო, რ. ლ. 29,13.

ესეზომ. ჩვეულებრივ „ამდენს“ ნიშნავს, მაგრამ აქ „იმდენის“ გაგება აქვს:

ესეზომი მჭურვალეაჲ აჩუნა 26,8. **ესთენ** ამდენი. ესთენი განდი 97,4 (მიღებულია „ესოდენ“-ისაგან, რომელიც აგრეთვე გვხვდება (ნ. შემდგომი).

ესოდენ 1. ამდენად. მას ჟამსა წუთლად გლახაკ იყვნეს და არა განმრავლებულ ესოდენ 33,4; 2. იმდენად. ესოდენ ლმობიერ იქმნიან 77,1.

ესრეთ 1. (ზმნიზ.) ასე, ამგვარად. პირველითგან ესრეთ იყვნეს 6,5; და ესრეთ ორნივე ჰმადლობდეს ღმერთსა 55,2 ბ.

2. ისე. ვითარცა თუხი და მეცნიერი, ესრეთ მოიკითხეს 51,6.

ექსორია (მწიგნი უცხო ქვეყანა, უცხოება). ექსორია იქმნა 116,6 გაძევებულ იქნა უცხო ქვეყანაში, გადასახლებულ იქნა. **ექსორიობა.** აღესრულა ექსორიობასა შინა 115,7; მიიცივალა ექსორიობასა შინა 118, 38, 41.

ეშმაკ. აღძრა ეშმაკი 106,1. საბრჯეთაგან ეშმაკისათა 119,3 ბ; მახული იგი **საეშმაკოა** 105,15. **ეშმაკიულ-**ი 44,4.

[**ეჰა** განცვიფრების გამომხატველი შორისდებულის. ეჰა საკრველი დიდებული! (სუნ. 56,23)].

ე

ვან 5. სავანე.

ვაამე. ვაამე უბადრუკსა 111,12.

ვაჟინ 5. მევაჟინე.

ვე (ნაწილაკი). კაცნი, რომელთა ღირსვე არა იყო სოფელი ესე 80,4 კაცნი, რომელთა ღირსიც კი არ იყო ეს ქვეყანა. ორნივე 55,1 ბ.; მათ თანავე 39,6. ნ. ყოველ, ყოვლადვე.

ვედრება. 1. თხოვნა, ხვეწნა. ვედრებანი და ქენებანი 16,2 ბ.; იწყეს ვედრებად მისსა 17,2; რაჲ ესმა ვედრებაჲ მათი 17,3; წიგნები ვედ-

რებისაჲ 19,3 ბ. თხოვნის წერილები: ჰვედრებნ 97,2 ეხვეწებოდა ხოლმე. ე. ევედრებოდა 34,1 ეხვეწებოდა.

2. ლოცვა. ხატი ვედრებისაჲ 31,17; 32,6 ხატი, რომელზედაც შუაში მაცხოვარია მოთავსებული და აქეთიქით ხელებ-აპყრობილი ღვთისმშობელი და იოვანე მახარებელია დახატული. ე. წ. „ღვისი“. ე. ცრემლითა მჭურვალითა ვევედრებოდე ღმრთისმშობელსა 45,14.

ველაზმაგ ნ. მელაზმაგ.

ვენაჯ 1. (უმეტესად მრ.-ში). ვაზი. ყურცელი ხეთა და ვენაჯთაჲ გაჯმა 55,3; ახალ-ნერგ იყენეს ვენაჯნი 89,4; ვენაჯთა ასარვასა გინა თუ აჯოჯვასა 89,3.

2. ვაზნარი, ზვარი. მისცეს მუნვე ვენაჯი რჩეული, ხუთ ლიტრად ფასებული 32,12; უფროასნი დღენი ვენაჯთა შრომასა შინა დაყვნიან 89,6. ზვარი („ვენაჯნი“) იკონომოსის გასაგებელში შედიოდა (98,4—5), ამიტომ „კელარსა ვენაჯთა ზედა ყურძნისათჳს არა ჰქონდა გელმწიფებაჲ“ 98,5. **სავენაჯე** (საქმე) 74,4.

ვერარა. ვერარაჲთ ვერ დაარწმუნა 104,6.

ვეშაპაკ 32,11 (შდრ. გამოსლვათა 28,13). ამ ძეგლში ვეშაპაკებად თათქო λεπινძეს იგულისხმებო (P.P., 27).

ვიდრელა 55,2; 77,4 ისე რომ, იქამდის რომ.

ვიეთმე, ვიეთნიმე ნ. ვინმე.

ვითა (— ვითარ, ვითარმედ) **1.** როგორ. და თუ ვითა მოჰქდა, არა უწყი 33,24. **2.** რომ. იტყუნ მამაჲ, ვითა 83,9; უბრძანა, ვითა 55,10; შეეთუალა..., ვითა 72,6; შეეთუალე, ვითა 72,3. **3.** როგორც მაგალითად. ესე კულა ვითა 115,24.

ვითარ-იგი 118 b, 25 როგორც მაგალითად.

ვითარმცა 70,16 ვითამც (ვითომც).

ვითარცა როგორც. ვითარცა ხედავთ ნ,4; ძე ჩემი, ვითარცა ობოლი 11,5.

ვითარცა სახედ 118,27 როგორც მაგალითად. **ვითარცა... ვგრეცა:** ვითარცა ბრძანონ, ვგრეცა ქმენ 33,15.

ვინ ვინმე. უცხოჲ ვინ 29,20; რადთა არას ვინ ზრუნვიდეს 78,3; გინა სხუაჲ ვინ 118c, 34. ვირე ათასიმცა ვინ დრაჰკანი მომცა 83,10; რომელიცა ვინ სათნობეჲდ გამოიძიოს 108,11; არცალა მეფეთა თანა მიც შესაპოვარი, არცალა სხუასა ვის 17,8; **ვინცა ვინ** 87,1 ვინც უნდა.

ვინაჲთგან 8,1; 9,4; 10,1; 12,1 რადგანაც.

ვინაჲცა 40,9; 51,18; 105,7 ამიტომ.

ვინმე. მო- ვინმე -ვიდა მონაზონი 51,1. მრ. სახ. ვიეთნიმე. უკუეთუ ვიეთნიმე შეილაღნიან ძმანი 63,1; უკუეთუ ვიეთნიმე მოცალედ იყენენ 83,7; მოთხრ. (და შიც.): ვიეთმე. უკუეთუ ვიეთმე ტყუვილით სიტყუაჲ რადმე უთხრიან 76,2.

ვირე ვიდრე. ამათი მირჩევია შეწყენარებაჲ, ვირე ათასიმცა ვინ დრაჰკანი მომცა 83,1 ბ.

ვლტ, ი ვნ. გაქცევა. ივლტიოთ ჩუენგან 33,19 გაცვირბიხართ; რადთა ივლტოღის სჰანიად 33,2; ივლტოდა წარსლვად 105,16. **ე.** ევლტოდა დიდებასა 9,2; 57,5 გაურბოდა. სივლტოლად იჯუმია 8,7 გაიქცა.

ვენება 1. მრავალფერთა ვენებათათჳს 95,7. **ე.** ევენების 91,3. **სავნებელი** 91,5; **მავნებელი** 91,2.

2. ავადმყოფობა, სატკივარი. არა რად არს ვენებაჲ შენ თანა 46,6; ყოვლითურთ მთელი და უვენებელი 45,1 ბ.

ვრცელ დიდი, обширный. ესევითარისა ვრცელისა ლავრისა 25,8; ესევითარსა ამას ვრცელსა და დიდებულსა ლავრასა 117,9. **ნ.** განვრცობა, სივრცე.

ზ

ზაკუვა დანაშაულებრივი მოქმედება. რაფთა ცა ღონითა ანუ მანქანებითა ანუ საფასისა სიხარბითა ანუ სიყუარულითა ბერძენთადათა ანუ კაცისა ვისმე შეპოვნებითა ანუ სხვთა რაფთვე ზაკუვითა ეორგულოს 118 c, 1 ბ.; უზაკუველი მორჩილებაჲ 41,4; 41,9. **მზაკუვარ-ი** 54,6; 118 d, 9. მზაკუვარებათაგან კატაძსა 119, 3 ბ.

ზამთარ. ჟამსა ზამთრისასა 118 b, 22.

ზარ 56,7 დიდი შიში.

ზარდ ნ. ზრდა.

ზეგარდამო ზეციერი. ზეგარდამო მათა ზადლითა 58,1; 104,4.

ზედამიწვენით ზედმიწვენით, ზუსტად. უკუეთუ ზედამიწვენით არა იკოდინ 76,3.

ზედაჲს-ზედა ზედიზედ. ზ.-ზ. მიუწერნ 35,12; ზ.-ზ. მოუწერნ 48,4; ზ.-ზ. ეუბნებინ 53,5; 55,4; ზ.-ზ. მოვალნ 51,20; ზ.-ზ. მივალნ 90,6. წინამძღუართა ზ.-ზ. ცვალებად 110,3.

ზეთ. უკუეთუ ზეთი აკლდის (საქმელსა) 70,12; სამი ლიტრაჲ ზეთი 84,10; გაუკუეთეთ ზეთი წელიწადსა შინა მეტრაჲ ერთი 119,4 --5.

ზეთისხილ 98,7; 100,4.

ზემო 1. (ზნნიზ.). ეა ზემო წეთილ არა 118,14; ეა ზემო მოვიტყენეთ 118,33. 38. **ზემორე** ცოტა ზემოთ; რომლისა-იგი ზემორე მეგულდებოდა თქუმაჲ 6,1; ვითარცა-იგი ზემორე ვთქუთ 45,2.

2. (ზედსართ.). ამის ზემო წერილისაგან კიდე 32,16; კელინნი, რომელთა ზედა წააგეს საწინებელად; ზემოთა ზედა 500 დრაჰკანი, და ქუთემოთა--100 დრაჰკანი 31,23. ზემონი ქუეყა-

ნანი 20,6 კოროხის სათავეში მდებარე ქვეყნები.

ზეპირით ზეპირად. დაიუბნის წავნთაგან და ზეპირით 68,5.

ზიარება. ვიდრე ჟამისა ზიარებადმდე 55,15.

ზნოანება ფრთხობა. სიმედგრე მისი (ჯორისა) და ზნოანებაჲ 112,15 („ზნოანი“ და „ზნაქიერი“ ამ ძეგლში ჯორის მიმართ ხმარებისას; სინონიმებია).

ზოგ (მრ. **ზოგ-ნი**), **ზოგ-მე.** ზოგთამე გონებითა ევენების და ზოგთა--შეხედვითა 91,3.

ზოგად (ზნნიზ.) საერთოდ, საზოგადოდ (საპირისპიროა: თვთოფულად). ყოველთავე ზოგად და თვთოფულად კაცად-კაცადსა 30,5.

ზოგად (ზედსართ.) საერთო, საზოგადო. ზოგადითა განზრახვითა 118,2 (ამას უპირისპირდება ასეთი გამოთქმა: თვსსა ნებასა და განზრახვასა შეუდგა 115,4, ხოლო სინონიმური გამოთქმა: ერთითა განზრახვითა 118,4).

ზოგჯერ...ზოგჯერ 82,4; 96,2--3.

ზრახვა ლაპარაკი. მსჯელობა, კამითი. იწყეს ზრახვად მჯულისა 53,7; იიძულა ზრახვად მისა 54,4.

ა, რჩევა. აზრახვა მასცა მოკლევად 106,2.

ე. რაჲთა ეზრახოს 53,6.

ზრდა კმევა, ცემა. მონასტერი ზრდის გლახკთა 104,18; ვუზრდილიან 118 b, 25. ნ. საზრდელ.

ზრუნვა. ზრუნვაჲ დიდისა ლავრისაჲ 88,5; 110,1; ყოველი ზრუნვაჲ და საუთავე მონასტრისაჲ 50,4; დიდსა ზრუნვასა შინა იყენეს 16,6 დიდ საგონებელში იყვნენ.

ზუაობა ამპარტანება. ზუაობითა ჰურიებრივითა 54,2.

ზღვევა სასჯელი. ზღვევაა რაიმე სულოერი 29,7; რაფთა ზღვევაა რაიმე მოვატყუა სულსა შენსა 29,11.

ზღუა. ზღუსა გამოცდილება 25,5. ზღვთ შემოვალს 25,6; ზღვთ ღა კმე-

ლით 118 ხ, 18; იმერად ზღუადმდე 23,10.

ზღუდე. სახლნი, შვდ ლიტრად სყიდულნი ზღუდითურთ 32,11; ცეცხლითა დაწუნის ზღუდესა შინა 78,2 ბ.

თ

თავ 1. დასაწყისი, მთავარი. სათნობათა ყოველთა თავი მორჩილებაა არს 27,1.

2. თვითეული მხარებლის წიგნი. თარგმანება იოვანეს თავისა სახარებისა 49,2; თარგმ. მითეს თავისა სახარებისა 49,40.

3. თავით თხით თვითონ, თავისი ნებით. თვთ თავით თხით ჰმსახურა 112,7; ჩუენ თავით თხით არა რად აღვუწერია 4,3.

4. (უკუქც. სახელთნაცვ., იხმარება მრ. რ.-შიც). ვინაფთვან არა გუნებაეს მცირედცა იძულება თავთა თხთა 80,9; არცა თუ წყლითა განიძლებდეს თავთა მათთა 80,4.

თავად-ი თვითონ. თავადი წიგნთა საღმრთოთა თარგმანებასა შეუდგა 109,9; თავადი მყუდროებით ცხოვნდებოდა 118,23 (შდრ.: თვთ თავით თხით ჰმსახურა 112,7).

თავისა თავისი. კურაპალატისა და თავისა წიგნები 20,4; თავისა კრასოულისაგან კიდე 84,9; თავისა რაფთამე საქმითა 118 ძ, 2; რამცა ნახნა თავისა უფლისწულნი 85,4 [აქ „თავისა“ ნათ. ბრუნვის ფორმა ჩანს „თავ“ სიტყვისაგან, რომელსაც უკუქცევიით სახელთნაცვალის მნიშვნელობა აქვს. მის პავივრად რომ „თხსი“ ჩავსვათ, ერთ შემთხვევაში გვექნება „თხსი“ (თხსი წიგნები); მეორეში „თხსისა“ (თხსისა

კრასოულისაგან კიდე), მესამეში „თხსითა“ (თხსითა რაფთამე საქმითა), მეოთხეში კი—„თხსნი“ (თხსნი უფლისწულნი)].

თავს-ღება, ი, თანხმობა (დ), კისრება (ი), თავის თავზე მიღება. არა თავს-იდებდა შფოთთა შთაერდომად 34,4; არა თავს-იდებდა არგნითა ეკლესიად შესლელად 75,1; არარას თავს-იდებდეს აღებად 104,9; ჯორთა მსახურებისა ღუაწლი ახოვნად თავს-იდვა 9,5; დაღაცათუ უძნდა საქმე ესე იოვანეს, გარნა... თავს-იდვა 22,6; ფრიად აიძულა მეფემან ეფთუმეს, რაფთა მიითუალოს განგება შისი (საყდრისა ეპიტანე კპრელისაა). ხოლო მან ყოვლადე არა თავს-იდვა 57,5; პირველითვანე უძნდა შულლიანობად და შფოთი, გარნა თავს-იდვა მუნ ეამად-მდე 33,4.

თავჯედობა. იწყეს თავჯედობად და ამბობებად 110,2.

თანა. ამის ყოვლიანა თანა 50,10 ყველა ამასთან ერთად. თანავე მაშინვე. თანავე განვიდის 89,2.

თანა დახუდომა. რომელნი თანა დახუდენ და ეწამნენ 118 ძ, 8.

თანა დგომა მხარში ამოდგომა, დახმარება. თანა-დგომითა მამათა ჩუენთაფთა 51,19.

თანა-ღება. თანა-გლაც 97,4 გვმართებს. გვევალება: თანა-მდები ყოვ-

ლისა ბრალისად 33,22 დამნაშავე, ყოველგვარი ბრალის მიზეზი.

თანა მოლუაწე თანამშრომელი, თანა მებრძოლი (საქმისა). რომელნი თანა მოლუაწე ექმნეს 118 d,13.

თანა შეწევა, ი, დახმარება (ა). მთავ ყოველი თანა შეიწიეს 117,4:

თანა წარცდომა, 2-პ., თანა წარცჰვედით 27,6 გვერდი ავუარეთ.

თარგმან 1. სხვა ენიდან გადმომღები, მთარგმნელი, переводчик. ეგვიპტის თარგმანი არღარა ვამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა 47,6.

2. განმარტება, ახსნა, толкование. „მამაო ჩუენოდა“ თარგმანი 49,21; იოვანე მახარებელისა ხილვად და ხილვსა თარგმანი 49,24.

თარგმანება 1. (ზმნა) ერთი ენიდან სხვა ენაზე გადმოღება, переводить. ესე ყოველნი და ამათსა ფრიად უმრავლესნი წიგნნი თარგმანნა 50,1; ფრიადნი წიგნნი თარგმანნა 109,10; თარგმანებაჲ წიგნთაჲ 108,14; თარგმანებასა შეუღვა 109,9; თარგმანებითა წმ. წერილთაჲთა 4,17; 118,17; დაეხრწოდა თარგმანებისაგან წმ. წერილთაჲსა 109,6; კეთილსა მას შრომასა თარგმანებისასა არა დააცადებდა 50,11.

2. (სახელი) კომენტარი, толкование. თარგმანებაჲ სახარებისაჲ 32,5; თ. იოვანეს თავისა სახარებისაჲ 49,2; თ. ფსალმუნთაჲ 49,4; თ. მათეს თავისა სახარებისაჲ 49,40.

თარგმნა გადათარგმნა, გადმოთარგმნა (=თარგმანება 1), переводить. ხედვიდა რად თარგმნასა წიგნთა საღმრთოთასა 105,3; წიგნთა საღმრთოთასა თარგმნასა შექცეულ 115,8; იწყო თარგმნად 47,5; შეუსუენებელად თარგმნინ 48,6; რადთა თარგმნიდეს 48,5; ქართულისაგან თარგმნა ბერძულად 5,16; თარგმნა წიგნნი 48,8; უფროდნი წიგნნი დამით სანთლითა უთარგმნიან 50,13. მის მიერ **თარგმნილთა** წიგნთა შინა აღწერილნი ანდერძნი 5,10.

თაყუანის-ცემა თავის დაკვრა მოდრეკით. ახლად მოსრულთაცა ქუე მოდრეკით თაყუანის-სცემნ 64,7; ვიდრე არა მოდრეკიან და თაყუანის-სციან მდაბლად 64,5.

თევა, ა. ღამეთა ათევენ 50,12. ნ. განთევა.

თესალონიკელთა (ეპისტოლე) 49,36.

თესვა. სათესავი 90,2 რაცითე-სება.

თიბა. თივისა თიბაჲ 90,2.

თივა ნ. თიბა.

თითოეულ, **თუთოეულ**. თუთოეული 32,14; 39,9; თითოეულად 48,2 ბ.; თუთოეულად 16,12; 118 ბ,5. „თუთოეულის“ საპირისპიროა „ზოგ-ი“: ყოველთავე ზოგად და თუთოეულად კაცად-კაცადსა ფრიადი საფასე განუყვეს 30,5.

თორმეტ. თორმეტი ათასი 21,4. ნ. ათორმეტ.

თოჯ. უფროდნი სათესავი მთასა შინა იქმნებოდა თოჯითა 90,3.

თუ 1. უკუეთუ, если. თუ ესე ვერ შევიძლია 94,7; და თუ საჭიროდ რადმე საქმე არნ 97,7; მაგრა კელართა მწუხრსა თუ რადმე ეგმარებინ 96,6. ნ. არცა თუ, თუ არა, თუ ვითა, თუ რა, თუ რაბამი, თუ უნდა.

2. რომ. ნუ ვინმე ჰგონებდეს..., თუ პირველითგან ესრეთ იყვნეს 6,5; არცა-ლა ვჰგონებ, თუ 47,7; მე ვიცი, თუ 17,6; ნუ იტყვ, თუ კაცთა ვჰმსახურებ 70,15; თქუეს, თუ მისთჳს უნდაო მეფობაჲ 116,5.

თუალვა ნ. ათუალვა.

თუ არა თორემ, თვარა (გურ.). აქა ნუ დაიძინებ, თუ არა მძიმედ გაგკანონებ 94,8; მაგას ნულარა იქმ, თუ არა 72,3.

თუე. თუესა შინა 84,9; თუესა მაისსა 114,1

თუ ვითა, თუ ვითარ თუ როგორ. თუ ვითა მოჰქდა, არა უწყი 33,23; თუ ვითარ იქმნა, ღწ უწყის 116,4.

თუ რა-მ. ხილვად, თუ რა-მ-ი იქმნა 45,4 ბ.

თუ რაბამ თუ როგორი. არა უმეცარ ხარ შენ, თუ რაბამი სიყუარული აქუს 33,13.

თუ უნდა და თუ არა 25,9—10 ნეტ-სით თუ უნებლიეთ.

თუა. მე თუთ წარვიდე 112,14 მე თუითონ წავალ; თუთ თავით თუსით ჰმსახურა 112,7.

თუთმპყრობელ 33,21; 40,1; 118 ბ,20.

თუთოეულ ნ. თითოეულ.

თუნიერ უ—ოდ, გარეშე. თუნიერ კუერთხისა 58,8 უკვერთხოლ; თუნიერ მისისა ბრძანებისა 78,4; თუნიერ ცნობისა მეფეთაჲსა 13,5; თუნიერ ყოვლისა მიზეზისა 16,15; 68,26 ყოველი მიზეზის გარეშე.

თუა-ი 1. (სახელთნაცვ.) თავისი. ამ მნიშვნელობით ხშირად იხმარება, მაგ., ქუეყანასა თუსსა 13,1; ნებისა თუსისა 27,2 და სხვაგან. „თუსი“ აღნიშნავს არა მარტო III პირის კუთვნილებას, არამედ სხვა პირებისასაც: არა გუნებავს მცირედცა იძულებად თავთა თუსთაჲ 80,10 (= ჩუენთაჲ).

2. (არსებითი სახელი. როგორც ასეთს, მას შეუძლია მსაზღვრელად მიიღოს „ჩემი“, „შენი“, „მისი“, „მათი“ და სხვ.). „თუსი“ უნდა ნიშნავდეს საზოგადოდ ცოლის შერთვის გზით დამოყვარებულს (свойственник) „ნათესავი“ კი—საერთო ჩამომავლობის მქონე პირს, მაგრამ

ამ ძეგლში ეფთუმეს შემდგომი წინამძღვარი გიორგი ხან „თუსად“ არის ნახსენები, ხან „ნათესავად“: ეგულებოდა რაჲ (იოვანეს) აღსრულებად, ყოველი კელმწიფებაჲ და უფლებად მამასა ეფთუმეს მასცა... და მერმე შემდგომად თუსა უბრძანა, რაჲთა გიორგის დაუტეოს მამობად, რომელი-იგი თუსივე იყო მათი“ 39,5; (ეფთუმემ) იჯმნა წინამძღურობისაგან... და ესრეთ მოიცალა და თუსსა სენაკსა დაჯდა, და წინამძღურობად ძმათად შეჰვედრა გიორგის, რომლისათუს ემცნო მამასა იოვანეს, თუსსავე ნათესავსა 109,8. ამავე ამბის შესახებ შემდეგ ნათქვამია: შემდგომად მცირედისა ჟამისა (ეფთუმემ) იჯმნა წინამძღურობისაგან და თუსი ნათესავი გიორგი მამად დაადგინა და თავადი მყუდროებით ცხოვნდებოდა 118,23. თორნიკი იოვანეს „თუსად“ არის ნახსენები: მათ ჟამთა შინა თუსა მისი დიდი თორნიკ თუსსა ქუეყანასა მონაზონ იქმნა 13,1; თვითონ იოვანე ჩივის: მოვიდა თუსი ჩემი თორნიკ და მისითა გზითა დიდთა შულთა შთავევარი 35,24. ნ. კიდევ: ვა თუსი და მეცნიერი, ესრეთ მოიკითხეს 51,6.

თუს (თანდ.) გამო. ეფთუმეს თუს 11,2; გარე განყვანებისა თუს 72,7; ფრიადი ერი საჯმარ იყო სივრცისა თუს მონასტრისა და სიმრავლისა თუს სამსახურებელთაჲსა 115,18; ამის მიზეზისათუს 35,14; 76,5; 77,5 ამ მიზეზის გამო.

თუს-თუს ცალკ-ცალკე. საპირისპიროა: ერთგან (ნ.).

თუსაგან ცალკე. თუსიგან დაჰმარხა 44,2.

თქუმულ, თქმულ თხზულება, ნაწარმოები. წმ. გრ. ნოსელისა თქუმულნი 49,20; თქუმული წმ. ი. დამასკელისაჲ 49,26; თქმულნი მისნი 49,17.

თხემ-ი (მთისად) 55,3 მწვერვალ-ი.

თხოვა მოწყალეების თხოვა, მათხოვრობა. თხოვით აღვიდით სამეუფოდ 118 b, 22.

ი. აზნაურთა შვილნი მძევლად ითხოვნა მისგან 10,2.

ი/უ. გვთხოვე შენდობად 119,16.

თხრობა, ი/უ. რა წარვიდეს და უთხრას 112,11; **უთხრის** 59,8.

იავარ-ყო 21,7 დავლად ჩაიგდო ხელში; **იავარ-იქმნა** 116,10 აკლებულ იქნა, გატაცებულ იქნა.

იგი 1. (პირის სახელონაცვ.). ხოლო იგი წინააღუდგა 33,10; იგი იყო შემწე მათდა 118 b, 1; და იგიცა წასანახავად ახუ საწერლად აინთიან 81,2; მოიკითხნეს იგინი მეფეთა 33,17.

2. (ნაწევარი) ჰურობა იგი 53,8.

3. (ნაწილაკი) [=ც, ცა] რად-იგი 2 რაც; რომელი-იგი 33,8; რომელმან-იგი 118 b, 14; რომელნი-იგი 30,3; რომელთა-იგი 118 b, 16.

იდუმალ ხმა-დაბლა, ჩუროხულით. იდუმალ დაჩუროჩნიან 71,7; იდუმალ ითხოვიან 71,9 (შდრ. საიდუმლოდ უბრძანის 58,10).

ივლის (თვე) 55,1.

ივნის (თვე) 55,1.

იკონომოს (ἐκονομῶς) 34,8; 58,11; 63,5; 74,5; 91,1; 93,2; 118 c, 34 მონასტრის შიავარ სამეურნეო საქმეთა გამგე. რომელსაც რამდენადმე ექვემდებარებოდა კელარიც (ნ.). თუ რა იყო იკონომოსის უფლება-მოვალეობა, ანუ მისი გასაგებელი, ეს მოთხრობილია 98 და 101 თავში. **იკონომოსობა**-დ 84,3.

იმერ-ი გადაღმა მდებარე (?). ვიღრე იმერად ზღუადმდე 23,10.

ინდიკტიონ. „ინდიკტიონი“ გულისხმობს 532-წლიან მოქცევასაც, მაგრამ სადაც ამ ძეგლში ინდიკტიონია ნახსენები, იგულისხმება ესა თუ ის წელი ე. წ. „მცირე ინდიკტიონისა“; რო-

მელიც უდრიდა 15-წლიან მოქცევას და რომელიც პირველად 1.IX.312 წელს დაიწყო. იოვანეს და ეფთჳმეს ათონის მთაზე მოღვაწეობის ხანამდე გასული იყო უკვე 44 ასეთი მოქცევა და 972 წელს დაწყებული იყო 45-ე. შემდეგი მოქცევები იწყებოდა 987, 1002 და 1017 წლებში. საშოალსა მისცეს ინდიკტიონსა 3 (8-სა) ლიტრაჲ ათოთხმეტე გასაყოფელად ყოველთა და კუალად ია (11-სა) ინდიკტიონსა გაუყვის სხუად იდ (14) ლიტრაჲ 32,1—3. [3-ე ინდიკტიონად, ე. ი. მოქცევის 3-ე წლად, აქ უნდა ვიგულისხმოთ ალბათ 980-ე წელი (972+8=980), როდესაც თორნიკი ახალ-დაბრუნებული იყო სკლიაროსზე გამარჯვების შემდეგ დიდი ნადავლით. სკლიაროსის დაპარცხება კი მოხდა 979 წ. დალისის ხეობაში]. შემდგომად თორნიკის საკუდილისა ივ (13-სა) ინდიკტიონსა შთასა გასაყოფლად ლიტრაჲ ოცდარვა 32,9; აღესრულა მამად ეფთჳმი თუესა შაისსა ათცანეტსა, დღესა ორნაბაისა, ინდიკტიონსა ათერთმეტსა წელთა დასაბამითჲან სოფლისადთ ექუსათის ხუთას ოც და მეთექუსმეტსა წელსა 114,1—3. ჩვენში ინდიკტიონებს გამეფების წლიდანაც თვლიდნენ: «დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა მეოცდაათერთმეტსა» (ბაგრატ IV-ის სიგელი 1058 წლისა: ა. შანიძე, ძვ. ქართველთა ქრესტომათია, 1935, ვვ. 96).

იშჯთ-ი იშვიათი. იშჯთი დღშ გარდაქდის 78,4 იშვიათად გავიდოდა დღე; **იშჯთ** იშვიათად. იშჯთ სადმე ნელიად სიტყუად მიუგის 71,2.

იძულეზა. არა გუნებავს მცირედლა

იძულეზად თავთა თუსთად 80,9; მიიყვანის იძულეზით 53,3.

ი ვნ. იიძულა ზრახვად 54,4.

იწროება. გაჭირება. ჭირითა და იწროებითა 16,3; იწროებითა წარვლეს საწუთროდ ესე 80,2.

ბ

კადნიერ გაბედული. დაღაცათუ კადნიერ არს სიტყუად ესე 40,4. **კადნიერება.** კადნიერებითა მისითა 113,1 მისი (გაბედული) მეოხებით, მისი შუამდგომლობით (?).

კადრება, ი, ბედვა, გაბედვა. ვერვინ იკადრებდა 58,1 ბ.; არავინ იკადრებდა 95,10; არცა ვინ იკადრებდა 72,7; ვერარას იკადრებდეს უწყესოსა საქმესა ქმნად 98,13; ვერვინ იკადრის განსლვად 61,3; ნუმცა ვინ იკადრებს დაკლებასა, და რომელმან იკადროს 119,8.

კათალიკოზ 53,1, 4. **საკათალიკოზო** (საყდარი ეპიტანე კვბრელისად) 57,1.

კალაფატ-ნ-ი 93,4 *καλαφατα, navium stipatores* (P.P.).

კანანას (*κανανα*) 84,1; 85,5 გალობის დამწყები.

კანდელ (*κανδηλα*) ზეთის სანთელი. სუა კანდლისა მისგან 44,5; არა იყო წესი, რადთამცა კანდლებსა ინთებდეს 81,4. შდრ. ქორაკანდელ.

კანდელაკ (*κανδηλακι*) მნათე 119,7. შდრ. მნათე.

კანკელ (*κανκελι*). კანკელი საუფლოთა დღესასწაულთად 32,4 *hymnarium festarum Domini* (P. P.); კანკელი ათორმეტთა მოციქულთად (ხატი) 31,19.

კანონ (*κανον*) სხუათა რათნე წესთა და კანონთა ენება დამტკიცებად 115,4; კანონსა და შენდობასა ით-

ხოვნ 27,5; და თუსსა კანონსა, დიდსა და შიძივსა, ძლიერად აღასრულებდა 50,10; კანონსა და განგებასა ზედა წმ. ბენედიქტესსა 51,2 ბ. ნ. რჩულის კანონ.

კარ. კელრისა კარსა რადთუროთით არა გასწყდებოდა შეკრებად 95,6 (ე. ი. კართან, ეზოში?); ესე კულა კართა ზედა შეკრებასა 95,8. ნ. შეკარე.

კაც (მრ. **კაცნი** ხალხი) დიდსა ჭრვასა შინა იყვნეს კაცნი 55,4; კაცთა ნათესავი 2,10 **კაცობრიობა.**

კაცად-კაცად-ი თვითეული, ცალკეული. ყოველთავე ზოგად და თვითეულად კაცად-კაცადსა ფრიადი საფუძველსა უყვებს 30,5; კაცად-კაცადისა კულა მიცემული 32,13.

კდგმა, ე (ობ. წყობით). და არა გეკდიმებისა 79,3 ბ. და არ გრცხვენინან?

კეთილ. კეთილად **ჯსენებული** ნეტარ-ხსენებული, ცხონებული (გარდაცვალებულის ხსენებისას). ფრიად საყუარელი და საკუთარი კეთილად ჯსენებულისა დაფით კურაპალატისად 7,7.

კელაპტარ (*καλαπαταρι*?) 32,8 ცვილის სანთელი დადი ზომისა.

კელარ (თუძე იკუმება: კელრისა, საკელროდ) [ლ. *cellarius*, ქართულში ბერძნულიდან] 70,12; 95,6; 96,5 მონასტრის გარკვეულ სამეურნეო საქმეთა გამგე, რომლის უფლება-მოვალეობა განსაზღვრულია 98-ე და 101 თავში: „აპო-

თიკი და ბოსტანი და წისკვლნი კელ-
რისა საურავნი იყენეს და ამათგანსა,
რადცა ვის ეწმარებინ, კელარი ეურ-
ვინ იკონომოსსა თანა და მამასახლისსა“.
მისივე საურავი იყო აგრეთვე ხილი (ზე-
თისხილი, ნიგოზი და სხვ., ვარდა ყურ-
ძნისა). აქედან: **საკვლარო** 96,1; 100,5.
როგორც ჩანს, კელარი ორი იყო: კე-
ლარნი კულა სამხრად ყოვლადვე სატრა-
პეზოს მივიდნიან, ერთი პირველსა და
მეორე მეორესა ტაბლასა 96,3—4.
ამიტომ სიტყვა მრ. რ.-შიც იხმარება:
კელართადა ებრძანა, რადთა ერის-
განთა იგინი ისტუმრებდენ 95,5.
შდრ. იკონომოს.

კელინ (ლ. cella — *αλληλεια*, ქართულ-
ში ბერძნულიდან) 66,3 საცხოვრებელი
ოთახი (მნიშვნელობით იგივე ჩანს, რაც
აენაკი). კელინი, რომელთა ზედა
წააგეს საშენებელად: ზემოთა ზედა 500
დრაჰმანი და ქუემოთა—ასი დრაჰმანი
31,22 (შდრ.: ალაშენა კელინი კა-
რიაჰსანი: ალაპეზი, გვ. 270,18).

კენდინარ (ლ. centenarium, *αεντηα-
ριον*, ქართულში ბერძნულიდან) „ასია-
ნი“ (ე. ი. ას-ლიტრიანი). უფროჲს ათ-
ორმეტისა კენდინარისა მოილო გან-
ძი ოდენ 26,2. ჰრ. აქარიანის სიტყ-
ვით, დასავლურ სომხურში **კენდარი**
(*կենար*) უდრის ოსმალურ „ყანთარს“,
ანუ 44 ოყას, 56 კილოს (ეტიმოლ. ლექ-
სიკ. III, 1930, გვ. 1141). ი. მანანდიანი
ის ანგარიშით კენდინარი იწონიდაო
32 კილოსა და 640 გრამს (იქვე). [შდრ.
„უბრძანა მოღებად ოქროჲსად და მისცა
ორი კენდინარი პორფირის ეპისკო-
პოსსა“ (ცხოვ. პორფირი დაჯავლესად,
P. P.-ის გამოც. Analecta Boll. LX,
1941, გვ. 167, § 53)].

კერძ ნ. კმელით კერძი.

კერძი-ნი მხარე. კერძითა სპა-
ნიისათა მიმავალი 33,7 სპანიის მწა-

რეს, სპანიისაჲს; წარვიდეს კერძითა
პონტოჲსათა 35,15.

კეცა-ად: ორ-კეცად და სამ-კე-
ცად დგინ, და სკამები საშოვალ და-
დგინ და, ოდეს ჯერ-არს, ეგრეთვე ორ-
კეცად და სამ-კეცად დასხდიან
59,3—5 (ორ-კეცად = ორ რიგად),

კიდე 1. (არს.). ნაპირი. ცეცხლისა
კიდეჲსა 82,3.

2. (ზმნიზ.) ცალკე. რადთა კმდე
თავისუფლად თუხი მონასტერი ალაშე-
ნონ 23,3; რადთა კიდე, შეუკანმვიდენ
პურსა 69,6.

3. (თანდ., ერთვის გან-დართულ
ნათ. ბრუნვის ფორმას) ვარდა. ჩუენი
შემწე დავით კურაპალატისაგან კიდე
არავინ არს 16,4; თუხისა ენისაგან კი-
დე არცა მან იცოდა, არცა მან 52,4;
სხუათა ტურფათაგან კიდე 26,3; ამის
ზემო წერილისაგან კიდე 26,3; თავი-
სა კრასოვლისაგან კიდე 84,9.

[**კიდეგან**-ი. სართად და კიდეგან-
ნად ყოველთა მოლუაწებათა (სუნ.
61,5)].

კითხვა, 3-პ., спрашивать, ი. 1.
იკითხის მხარეულისაგან 82,3.

2. читать. აქედან: მკითხველი
(ნ.); წიგნის კითხვასა 59,6.

კილო ნ. დილო-კილო.

კიცხევა ლანძღვა. კიცხევაჲ და
ბასრობაჲ 118 ბ, 30.

კლეჲა, ა. აკლან (წიგნნი) 47,2. ნ.
დაკლება, ნაკლულევან.

კმა. რომლისა-იგი სახელი ოდენ
კმა არს 5,7; კმა არს 80,8. **კმა-ყო-
ფა**, ი, კმარება (ი). ძმათა პურსა და კრა-
სოვულსა მათსა კმა-იყოფდეს 104,8.

კნინ-ლა, კნინლა-და თითქმის. კნინ-
ლა უკაცრულ 90,2; კნინლა-და შეფ-
ძლებელ არს 48,9; კნინლა-და უმე-
ტესნი წესთავანნი 115,3.

კოვზ. ფეშხუემი კოვზითურთ და ბრწყლით 31,8 [აჰჰ; P. P.-ის მიხედვით, რომელიც იმოწმებს W. Nissen-ის წიგნს: Die Diataxis des Michael Ataleiotes von 1077. Jena 1894, p. 81].

კოკა (როგორც საწყობი). კოკაჲ ერთი ღვინო 84,9.

კოკობ-ნ-ი 82,2 ქოთნები,

კრასოვულ (красовулы) ღვინის სასმისი, კათხა. იკონომოსისა განწესებულნი შვდი კრასოვული იყო. და ოდეს ტრაპეზსა დაჯდის მწუხრსა, ოთხი კრასოვული მიართვან 100, 1—2; (გვრპელს) მისცეს მოწაფე და გაკუეთილი შეუქმნეს, თავისა კრასოვულისაგან კიდევ, კოკაჲ ერთი ღვინო თუესა შინა 84,9; ძმათა პურსა და კრასოვულსა მათსა კმა-იყოფდეს 104,8.

კრება. მეექუსე კრებაჲ (49,43). [იგულისხმება მსოფლიო საეკლესიო კრება კონსტანტინეპოლს 680—681 წ.წ.]. ერის კრებაჲ 33,25 ხალხის შეკრებილებჲ, აურ-ზაური (?).

კრებულ მონასტრის პირადი შედგენილობა, სოხასტრებში მყოფი პირების გამოკლებით. უკუეთუ მოვიდის ვინმე ქართველი, რომელსა კრებულსა შინა შეეძლის მსახურებაჲ, რაჲცა ეგმარებინ, ყოვლითავე ფერთა აღაშენის; ხოლო უკუეთუ კრებულსა შინა არა ენების ყოფაჲ, სადაცა სოხასტერთა მონასტრისათა ენების დაჯდომაჲ, პურსა არავინ უყენებნ ქართველსა 115, 20—24; კრებულსა შინა მყოფნი 93,5; რა კრებული მშვდობით იყოს 76,6; ყოველთავე წესთა კრებულისათა მჭურვალედ აღსრულებისათჳს 77,9. **საკრებულ** (საქმე) 74,3.

კრულობა. კრულობითა და შეჩუენებითა განკანონა 39,12.

კრძალვა მორიდება. კრძალვისა გზითა 29,10 მორიდების გამო; **კრძალულება.** მოსწრაფებითა და კრძალულებითა 58,9; მორჩილებისათჳს და კრძალულებისა 77,7.

კუალად 1. კიდევ. მერმე კუალად თავიცა თჳსა 8,5.

2. ისევ. კუალად უცხოებასავე მიჰმართა 12,3.

3. ამას გარდა. და კუალად ძმანი ყოველნი ძლიერად შურებიან 83,6. „კუალად“ ხშირად ახალი ამბის მოთხრობას იწყებს. მაგ., 84-ე თავში მოთხრობილია ილარიონ კანანახის შესახებ, შემდეგ — გვრპელისა (თ. 85) და ათანასე პერიოთურელის შესახებ (თ. 86). ორი უკანასკნელი თავი „კუალად“-ით იწყება: კუალად მოვიდა გვრპელი (85,1), კუალად მოვიდა ათანასე პერიოთურელი (86,1). ეს „კუალად“ შეიძლება ასე ითარგმნოს: ამას გარდა. ნ. კიდევ თავები 90, 92, 106. შდრ. კულა.

კუარა 79, 6, 8, 10, 19, 21.

კულინება ნ. მაკულინებელი.

კუეთება. აქა-იქი ეკუეთებოდა 112,20 აქეთაიქით ეხეთქებოდა (დამფრთხალი ჯორი).

კუერთხ 58,8; 75,3; 108,5 ჯოხი (სატარებელი).

კუთ ნ. საკუთარი.

კვრიაკე (кврякы) პირველი დღე შეიდეულისა, კვირა (დღე). დღესასწაულთა და კვრიაკეთა 73,1; **კვრიაობათა,** **კვრიობათა** კვირაობით, დღესასწაულთა და კვრიაობათა 77,1; დღესასწაულთა და კვრიობათა 104,22 დღესასწაულებზე და კვირაობით.

კულა 1. (ზმნიზ.) კვალად, ისევ. და უკუეთუ კულა ქმნის-ლა 61,6 (შდრ.: და უკუეთუ მეორედ ქმნის-ლა 67,3).

2. (სამიროსპირებელი კავშ., დაისპის ყოველთვის მეორე ადგილზე, მაშინაც

კი, როდესაც სახელს ახლავს განსაზღვრება, წინ თუ უკან, ან მოსდევს თანდებულო) კი, კიდევ, ხოლო, ახ. მოსენათა კულა მოწაფენი 97,5; სხუად კულა სავმარი 101,5; სხუად კულა ძმათაგანი 71,5; კაცად-კაცადისა კულა მიცემული 32,4; ეკლესიასა კულა შინა 58,1 ბ. ხშირია მისი ხმარება სხვა კავშირებთან: ვინაძთვან, ოდეს, უკუეთუ: **ვინაძთვან კულა:** ვ. კ. გმობასა მაღლისა მიმართ იტყვ 54,9; ვ. კ. ნეტარმან იოვანე შეისუენა 6,11. **ოდეს კულა:** ო. კ. შინა არა არნ 99,3; ო. კ. ანუ ზეთი იყიდის ვინმე 81,7; ო. კ. რაძმე წარსაცემელად სავმარ არნ 98,8; **უკუეთუ კულა:** უ. კ. ბერნი და უძლოური იყენიან 60,10; უ. კ. გულ-ფიცხელნი იპოვნიან 63,3; უ. კ. ვინმე იხილნის უდებნი 65,3; უ. კ. წინააღდგომად ვინმე იკადრის 66,4; უ. კ. მე აქა მცირედ გწუართნე 68,10; უკუეთუ მარჯუედ არნ (ღვნიძ), არარად ბრძანის, უ. კ. ანუ

ძმრიანი არნ ანუ მეტი წყალი ერთის 70,5; უ. კ. შინა არა იყვის 100,2 და მისთ. **სხვა შემთხვევები:** რომელნი კულა ანუ მოცალებით იყენიან 60,7; ესე კულა ვითა 115,24 ისე, როგორც (აქ კულა'ს მნიშვნელობა ჩემთვის ნათელი არ არის); ესე კულა სხუანი საქმენი წურილნი 74,5 ისე კი სხვა წერილი საქმეები; ესე კულა სყიდად გინა ღვნისად 81,1 ისე კი ყიდეა ან ღვნიისა; სხუად კულა არა იყო წესი 81,4 სხვაფრივ კი (?) არ იყო წესი.

კუმაშ 116,1 ბ. (არაბ. قماش ქსოვილი). [„კუმაში“ ამჟამად სვანურში „საქონელს“ ნიშნავს (უმთავრესად ხარს ან ფურს), ჩვენს ტეგლში კი ქსოვილებს უნდა აღნიშნავდეს].

კუნბულ 31,3.

კურაპალატ (კურაპალატ) 7,3; 10,2; 16,4; 18,5; 19,3 ბ.; 20,1; 21,4; 48,1.

კურთხევა. მაგალითები ნ. საგსენებელთან.

ღ

ლაგრა (λαγρα) 4,7; 16,9; 22,3; 35,2; 40,6 დიდი მონასტერი. ათონის ქართველთა მონასტერი „დიდ ლაგრად“ იწოდება (30,2; 31,1; 88,4; 110,1) ან „ვრცელ ლაგრად“ („ესევეთარისა ვრცელისა ლაგრისა 25,8). აქედან; **ლაგრელ-**ი 69,6 (იგულისხმება უთუოდ დიდი ათანასეს ლაგრის წინამძღუარი (ამ ლაგრაზე საუბარია 12,4-ში).

ლაღვა წაკიდება, ჩხუბი. ნ. შელაღვა.

ლაღობა ხუმრობა. უკუეთუ ვინმე იხილო გინა უზნობად გინა სიცილად გინა ლაღობად ტრაპეზსა ზედა 72,2.

ლაშქარ (სპ.). რომელიმე ლაშქართა განუყო 21,8; სალაშქროთა საქმეთა 29,2.

ლიტანია (λιτανία). [სპ. 58,31] საყოველთაო ლოცვა ეკლესიის გარეთ მუხლ-მოდრეკით და მხურვალედ. იმართებოდა დიდ ღღესასწაულებზე და რაიმე განსაცდელის დროს. სალიტანიე (ჯუარი) 31,15.

ლიტონ (დღე) სადაგი, სამუშაო დღე. საპირისპიროა: დღესასწაული და კვრიაკე: ლიტონთა დღეთა თვსთვს ილუწიდიან, ხოლო დღესასწაულთა და კვრიობათა ერთგან აღასრულიან წესი ლოცვისად 104,21--22.

ლიტრა (λιτρα, ლ. libra) 31,5, 6,21; 84,8 საწყობის ერთეული, დაახლოვებით გირვანქა. რომაული ლ. (ძველად) = 327,45 გრამს, არაბული ლ. („რიტლ“, აქჟამად) = 449,28 გრამს.

ლიქნა პირფერობა. შეპოვნებანი და ლიქნანი 115,16.

ლმოზა, ე (ობ. წყ.) ტკივილი. რაა გელმის 46,4 რა გტკივია; ყოვლადვე არღარაა მეღმის 46,7 სრულიად აღარაფერი მტკივია; ფრიად ეღმოდა 105,4, ეღმოდა გული მისი 118 b, 10. აქედან: საღმობა და ლმოზიერ.

ლმოზიერ გულ-მტკივნეული, გრძნობიერი. ესოდენ ლმოზიერ იქმნიან 77,4 ისე მოერეოდათ ხოლმე გრძნობა; ლმოზიერად დგეს (ლოცვასა) 94,6.

ლოცვა, ი/უ. ულოციან 104,13 მაღლობას გადაუხდიდნენ ხოლმე.

ლოცვის-ყოფა: ლოცვა-ყვიან 52,6; რაათა ლოცვა-ყოს 53,15 რომ ილოცოს; ლოცვა-ყო 53,16 ილოცა.

ლტოზა, ი ვნ., (და)სველება (დ). ცრემლითა ილტოზვოდეს 113,4.

ლუსკუმა (γλασθάρζαμα, ქართულში სირიულიდან) ლარნაკი, მიცვალეზულის ნაწილების დასაცავი კუბო (ს. ორბელიანით: „მაღალი საფლავი“). ნაწილნი მისნი დაისხნეს სამარხოსა ლუსკუმასა 113,15.

ლხინება ცოდვების პატიება, შემსუბუქება. შემწე ყოს და ყოს ლხინება 45,15.

მ

მაგიერ. ჭირისა მაგიერ 90,2 ჰაე ჭირისაგან, მაე ჭირის ვამო (შდრ. გარდამოვედ მაგიერ ჯუარით, მათ. 27,39; მარკ. 15,30 გაღმოდო მაე ჯვარიდან; იხილე მაგიერ ადგილით დაბად. 13,14 ო).

მ. გრა (— მაგიერად ?) 1. მაგრამ, სამაგიეროდ. კელარნი კულა სამხრად ყოვლადვე სატრაპეზოს მივიდიან და ეგრეთვე შევაყინენი. მაგრა კელართა მწუხრსა თუ რაიმე ეგმარებინ, შინა იგმარიან 96,3—6.

2. მაშინ, იმ შემთხვევაში (?). განკარგულება იყო ეფთუმესაგან, რომ სანმარი (გაჟუეთილი და სხვ.) ძმებისა და ხელოვანთათვის კელარს მიეცა, ამიტომ იკონომოსთან არაეინ მიდიოდაო. შემდეგ განავრძობს ბიოგრაფი: უკუეთუ მამა შინა არა არნ, უკუეთუ კულა სტუმარნი ვინმე მოვიდიან, მაგრა იკონომოსმან განავარს 101,4.

მაის (თვე) 55,1.

მაკაბელთა 31,13 ძველი აღთქმის წიგნის სახელია.

მამა მონასტრის წინამძღვარი. მამამ ეფთუმე წინამძღურობა მონასტრისა დაუტევა და გიორგი მამად დაადგინა 115,2; (ეფთუმე) იჯნა წინამძღურობისაგან და თჳსი ნათესავი გიორგი მამად დაადგინა 118,23; და მერმე შემდგომად თჳსა უბრძანა (იოვანემ ეფთუმეს), რაათა გიორგის დაუტეოს მამობა 39,5 [აქედან ჩანს, რომ „წინამძღვარი“ და „მამა“ სამონასტრო ცხოვრებაში სინონიმებია]. წინამძღვარი არის „მამა“, სხვა ბერები კი—„ძმანი“. ოდესცა ეკლესიას შევილოდიან,—პირველად მამა ეფთუმე და მერმე ძმანი ყოველნი 64,1. **სამამო** 68,15; 69,6; 74,5 მამის დარბაზი. **მამობა** 1. წინამძღვრობა. მე, მამამან გიორგი, მამობასა ჩემსა მოვცვალენ ნაწილნი წმ. ეფთუმესნი 119,2. 2. **მამობა შენი** (ან: **მამობა თქუენი**) შენ (ან: თქვენ) [ირობი მიმართვისას ბერისადმი]: რადეცა მიბრძანოს მამობამან თქუენმან 19,3.

მამასახლის მონასტრის წინამძღვარი, ანუ მამა. ესრეთ განაწესა, რაჟთა თუთოეული მამასახლისი; შემდგომად თვისა აღსრულებისა, სხუასა დაუტევებდეს წინამძღუარსა 39,9—10; არცა პროტი, არცა სხუანი მამასახლისნი 88,3; მამასახლისნი და სხუანი ძმანი მონასტრისანი 35,3; იშუთი დღე გარდადის, რომელსა ათი ანუ თხუთმეტი მამასახლისი არა მოვიდის მათ წინაშე 88,4; იკონომოსსა თანა და მამასახლისსა 98,3; გინა მამასახლისი გინა იკონომოსი 118 c, 4 ბ.

მანდა 36,4 მანდ.

მანდრინ (მანდრა ბავი. გომი). მანდრინნი 98,4 მწყემსები (?).

მანკიერ ზნიანი, თუხობა რომ იცის. იყო ჯორი იგი მანკიერი და მათ არა იცოდეს სიმედგრე და ზნაზნებად მისი 112,15; მანკიერმან მან საჯედარმან 112,19 (მანკიერი ამ შემთხვევაში— ისეთი, რომელიც თუხვება). ნ. უმანკოდ.

მანქანება (მანქანება) მოტყუება, მოხერხება. რაჟთაცა ღონითა და მანქანებითა 118 c, 3 ბ.

მარილ. **მარილიან** მლაშე, **უმარილო** მარილი რომ აკლია. უკუეთუ (საქმელი) უმგბარი იყვის, ანუ უმარილო ანუ მარილიანი 70,13.

მარტო. მან ხოლო მარტომან იგნარენ 80,12.

მარტოდ მყოფი 104,3 განდევილი, დაყუდებული (პერი).

მარტულია სულიწმიდის მოფენის დღე (აღდგომიდან 50-ე). ლოცვანი წმ. მარტულიისანი 49,45.

მარჯუე 1. კარგი. გემოსა იხილავნ (ღუნისასა) და, უკუეთუ მარჯუედ არნ, არარაჲ ბრძანის 70,4; რაჟთა მარჯუედ ექცეოდან 65,5. 2. **ორითავე მარჯუე** კაცი, რომელიც მარცხე-

ნა ხელსაც მარჯვენასავით ხმარობს: აქედან საზოგადოდ: ყოჩალი. და ესრეთ რაჲ ეურვოდა, მისცა ღმერთმან კაცი ორითავე მარჯუე და სავსე გონიერებითა 118 b, 12.

მარჯუენეთა ნ. ნაწილ-ი მარჯუენეთა-ჲ.

მაღალ 1. მის ნეტარისა საყოფელი სიმაღლესა იყო, გოდოლსა ზედა მაღალსა 58,7. 2. ღვთის ებითქტი. ვმობასა მაღლისა მიმართ იტყუ 54,9; 3. გადატანით ზნეობრივ სიფაქიზეზე: კაცი მაღალი სათნოებითა 35,3.

მაშენებელ (მონასტრის) აშენებელი ესეცა ენება, რაჟთამცა სახელი მაშენებელთაჲ აღმოპოვცეს 118 b, 9; მათა ჯუენთა და მაშენებელთა 118 d, 14.

მაშინ 69,8.

მაშურალ მუშა, მშრომელი. მშრომელთა და მაშურალთაჲ განეწესა 52,1 (აქ „მშრომელი“ და „მაშურალი“ სინონიმები ჩანან).

მაშფოთებელ ნ. შფოთ.

მახლობელ. შორიელთა და მახლობელთა 5,13.

მახლობელად (მოითხოვს მიცემითს): მ. სენაკსა 52,3.

მახულ 105,7 [სვიბაქსარულ რედაქციაში ამის ნაცვლად „დანაკი“ არის].

მბრძოლ მებრძოლი. მბრძოლი იგი წმიდათაჲ ბელიარ 105,1; მბრძოლი ჩემი ეფთუჲ 105,6 (ამბობს ეშმაკი).

მგზავნა ნ. წარმგზავნა.

მგზებარე რომელიც ანთია („გზია“). ცეცხლი მგზებარე 56,7.

მდაბალ 84,9 თავმდაბალი. ნ. სიმდაბლე.

მებოსტნე 106,1 ნ. ბოსტან.

მებრ მხოლოდ, მარტო(?). და თუთ მებრ მათ საქმეთაგან 5,6 (მდრ.: ყოველნი იგი გუნდნი მართალნი და მებრ

ხ წი ივლტოდეს: სახისმ. 20,48; წა-
დიერ იყენეს ხილვად მებრ ხატისა
მისისა: ილარ. ქართვ. 80,18; დილად
სარგებელ ეყოფვოდა შემთხუვეა მებრ
ოდენ მისი. ib., 80,22. სამაგიეროდ სულ
სხვა მნიშვნელობით იხმარებოდა უფრო
ძველად ეს სიტყვა: ვითარმე წიგნი იცის
ამან, რ უსწავიეს მებრ არა, იოვ.
7,15 C უსწავიეს მებრ არა—სრუ-
ლებით არ უსწავლია; მჭედელი რკინი-
სა მებრვე არა იპოვებოდა მათ ჟამ-
თა ქუეყანასა ისრაელისასა I მეფ. 13,19).

მეგანძურთა უხუცეს 85,1. ნ. ვანძ.

მედგარ. ძველად „მედგარ“ საზოგა-
დოდ ზარმაცს ნიშნავდა („მიგულე ქინჭვ-
ლისა ღ ჰბაძავდ, შ მედგარო“: სახისმ.,
15), მაგრამ აქ ეს სიტყვა მონაზონზეა ნა-
თქვამი, რომელმაც ეფთვმეს მოკლა განი-
ზრახა და ორი მისი მოწაფე „დაჩხუბა“:
ხ მედგარ მან აღიარა მტერის-
მიერი აღძრვად თვისი 105,3 ბ. („მედგარ-
ი“—საძაგელი?). ნ. სამედგრე.

მევაჟინე მწდე. კელარნი სამხრად
ყოვლადვე სატრაპეზოს მივიდიან, და
ეგრევე მევაჟინენი 96,5; დაეუბ-
ნის მევაჟინესა 70,6.

მევენაგენი 25,7.

მეკარე. მეკარესა მონასტრისასა
ყოვლადვე ფრთხილსა და სულიერსა
კაცსა დაადგინებნ 95,1; რა მეკარე
უჯმნიდეს 95,8.

მელაზმაგ. მელაზმაგისა (ე-
ლაზმაგისა BC) ხატებითა 31,16.

მენავენი 98,4.

მეორე. მეორესა ხ წელსა 37,1. მეო-
რედ 27,3.

მეოტ ვინც მირბის. მეოტად წარ-
იქცია 21,6 გაქცია (ომში გამარჯვე-
ბის შემდეგ).

მეოხ 43,4; 113,12 შუამდგომელი
(ღმერთთან); **მეოხება** 117,7; **მეოხე-**
ბითა 118 d,18; 119,11.

მერმე. პირველად მამა ეფთვმე და
მერმე ძმანი ყოველნი 64,2; უკუეთვ
კულა (მამა) შინა არა არნ, მერმე
გაავებნ იკონომოსი 96,3 (აქ „მერმე“—
მამინ?).

მეტადრე ცოტა უფრო მეტად. რნი
მეტადრე უძღურნი იყენიან 75,3.

მეტოქ (μετόχιον) მონასტრის კუთვ-
ნილი, მაგრამ სხვაგან მდებარე დროე-
ბით სამყოფი სახლი. გინა შინა მონას-
ტერსა გინა გარე მეტოქთა 98,7;
კელარნი ზედადს-ზედა ვაგიდლოდიან მე-
ტოქთა 98,10.

მეტრა (ბერძნ.) გაუკუეთეთ ზეთი წე-
ლიწადსა შინა მეტრად ერთი 119,2.

მეტრაპეზე 70,3; 71,6; 72,1, 6. სა-
საღილოს გამგე. ნ. ტრაპეზ.

მეუფე მეფე. იხმარება მხოლოდ
„ზეციერის“ მიმართ: კაცთ-მოყუარებთა
ქეს მეუფისათა 41,10. მაგრამ:
ნიჭი სამეფო 33,1 ბ. (მღრ. სტ-
მე სამეფო 74,2).

მეფობა. მეფობა თქუენი—
(ირიბი მიმართვისას მეფისადმი). მე-
ფობასა თქუენსა ურჩ ვერ ვექნებნი
19,11; მეფობა ჩუენი (თავის-თავ-
ზე საუბრისას): რათა იოვანე-თორნიკ
მოვიდეს მეფობისა ჩუენისა
16,3 ბ.

მეუ თვალის დახამხამება. მეყსა
შინა 45,10; **მეყსეულად** 16,9; **მყის**
112,19.

მეშუელ. ასაბიად და ერთი-მეორესა
მეშუელი 68,20.

მეცნიერ 1. მცოდნე. დაცალათუ ყო-
ველსა საქმესა მეცნიერ იყო 74,3.
აქედან: **მეცნიერება** ცოდნა. ძმათა უფ-
მის, რომელთა აქუნ მის საქმისა მეც-
ნიერება 74,3. ნ. შჯულის მეცნიერი.

2. ნაცნობი. ენა თვისი და მეცნიერ-
რი, ესრეთ მოიკითხეს 51,6; **მეცნი-**
მეცნიერ იყენეს აბუჰაობისა 10,6; და

ვ ა გარდამოაგდო (ეფთჳმე ჯორმან), ფრიადი ერი შეკრბა მის ზედა, რ ყოველნი მეცნიერ იყვნეს 112,22.

მეჯორე 93,1.

მზაკუვარ, მზაკუვარება ნ. ზაკუვა.

მზარეულ 70,14; 82,3; მზარაულ 97,6; მზარეულობა 12,7; სამზარეულო 82,2; 96,3.

მზევალ. ნ. მძევალ.

მთავარ. მეფენი და მთავარნი 41,6; მოქალაქეთა, დიდებულთა და მთავართა და პალატისათა 113,3; სვესტოფორი, კაცი წარჩინებული მთავართა შორის დედოფლისათა 16,10; მთავართა შორის დავით კურაპალატისათა 7,3; მის ჟამისა წარჩინებულთა და მთავართა წინაშე 115,9.

მთავარ-დიაკონ 79,1.

მთავარ-ეპისკოპოს 57,3.

მთავრობა. რომელი იგი მას ჟამსა მთავრობდა ავიდოსს 33,8.

მიანრდილება ნ. მიუანრდილებელ.

მიგება, მოვება, ა 3, ანაზღაურება, გადახდა. ათას წილად მიაგენ უფალმან 118 ბ,27; მიაგენ ქრისტემან ათას წილად 118 ც,22; ღმერთმან მოაგოს სულსა შენსა 18,7; ი/უ, პასუხის მიცემა. უკეთესეცა ჩუენ გუკითხვედ, მიგიგეთმცა 54,9.

მიგებება, ე. დიდითა პატივითა მიგებენეს 22,1.

მიღება (ბრალისა), ი, პასუხისმგებლობის თავის თავზე მიღება. ყოველი ბრალი მამამან ათანასი და მამამან იოვანე მიიღვეს 17,1 ბ.

მიდრეკა. ყოველნი მიდრიკნეს 117,5 ყველანი გადახარეს, მიიმხრეს. შდრ. განდრეკა.

მიდრკობა. მათდა მიმართ მიდრკა 115,12 მათკენ გადახარა.

მიერიტვან 6,12; 14,6; 29,19; 46,9 იმ ხნიდან, მას შემდეგ.

მიზეზ. ამით მიზეზითა 115,17 ამის გამო; ამის მიზეზისათჳს 35,4; 118,26 ამის გამო; თვნიერ ყოვლისა მიზეზისა 15,15; 68,26 ყოველი მიზეზის გარეშე, უთუოდ; თვნიერ დიდისა მიზეზისა 89,7; თვნიერ ჟამისწირვისა ანუ დიდისა რაჲსმე მიზეზისა 70,2; რაჲთა მიზეზ ცხოვრებისა ექმნა სულსა მათსა 51,14; მიზეზითა მრავალ-ფერთა ზრუნვათაჲთა 109,5 მრავალ-ნაირი ზრუნვის გამო; მიზეზისათჳს შრომისა 69,7; მიზეზი გარდაეკუეთა, რაჲთა არას ვინ ზრუნვიდეს 78,3 ყოველგვარი (თავის გასამართლებელი) მიზეზი მოესპო, რომ...

მიზეზობა. მრავალთა მიზეზთა ვმიზეზობთ 80,10 მრავალნაირი მიზეზი მოგეყავს თავის გასამართლებლად.

მით იმიტომ. შინა ვიღვებ და (ეკლესიასა) მით დამეძინებინ 94,4.

მითუაღვა, ი 1. მიღება, ჩაბარება (ი). წიგნები შეფეთად მიითუალა 20,2; რაჲთა მიითუალოს ზრუნვაჲ მონასტრისაჲ 34,1; რაჲთა მიითუალოს განგებაჲ მისი (საყდრისაჲ) 57,4; უკუეთუ მადლობით მიითუალოთ 68,10.

2. მიღება, მიჩნევა. სწავლაჲ მისი ვა წამალი მიითუალიან 70,2 ბ.

მითხრობა, ი/უ, მბობა. მოკლითა სიტყუთა მიგიოხრა 6,3 მოკლედ გიამბობთ.

მილიონ (μύλιον, ლათინურიდან) რომაული მანძილის საზომი, სკუთრივ 1000 ნაბიჯი, შემდეგ საერთოდ 8 უტიკანი (დაახლოებით კილომეტრ-ნახევარი).

მიმართება, მომართება (3) 2 (უბირდ). კუალად უცხოებასავე მიჰმართა 12,3; მას მოჰმართა 13,3; (გლახაკი) აღდგა შემოსილი ძონძებითა და მოჰმართა მიღებად ქველის საქმისა 112,18; სხუანიცა მოგუმართებენ 15,5; ქართველნი მოგუმართებენ 23,3

მიმთხუევა. ა, ცემა, დაკვრა, დარტყმა. ერთთა ჩოგათა ზედა მიამთხუან ლუედითა 66,18; ფიცხელი შფოთი: გინა წუერთა დაგლეჯად გინა მიმთხუევა 68,2.

ე, მიღწევა; შეხვედრა. მიემთხუეს მამასახლისსა 35,15; ღირს გუყენინ უფალმან ნაწილსა მას მარჯუენეთასა მიმთხუევად 1,12.

მიმთხუვა 113 ა, 18, **მიმთხულა** 115,14.

მიმოტაცება. დიდსა ლელვასა და მიმოტაცებასა შთავცუვენით 116,8.

მინდობა. მინდობად თავისა თუსისა 107,3 *полагаться на самого себя*; მინდობითა ტკბულსა მას მოწყალეზასა და სახიერებასა 40,4 *полагаясь*.

მინიჭება ბოძება, მიცემა. შვილისა მინიჭებითა 5,6.

მიპყრობა, ი/უ, მიცემა, მიწოდება; გადაცემა. რად ღმერთსა ებოძოს, გლახაკთა მიუპყრობდით 42,2; რადთა მოჰპარსნე და მიზეზ ცხარებისა ექმნა სულსა მათსა და ღმერთსა მიუპყრნე 51,14—15.

მისლვა ღმრთისა გარდაცვალება. შემდგომად მრავლისა ჟამისა ღმრთისა მიმართ მისლვისა 4,2; ღმრთისა მივიდა 29,22; 38,2.

მიუაჩრდილებელ ჩრდილ-მიუდგომელი. ნათელსა მას მიუაჩრდილებელსა 113,11.

მიუწომელ რასაც ვერ მისწვდება კაცი (ფიზიკურად თუ გონებრივი წარმოდგენით). მიუწომელითა სახიერებითა 1,4.

მიქცევა, მოქცევა. ი ვნ., 1. მიბრუნება, მო- (დ). კულად მიიქცის თუსავე მონასტერსა 51,21; აქივე მოიქცა 26,2; მოიქცა პირი მისი 53,3 ბ. პირი მოვლრიცა.

ე. მიმბრობა (ე). ბერძენთა მიექცა 115,19; 118,37; გარდაიქცეს და მიექცეს ჩუენთა წინააღმდეგითა 118 ც, 27.

მიღება ნ. წაღება (ი/უ).

მიღმართ მიმართ. ეგვეთართა მათ მიღმართ 65,2.

მიყოფა ნ. კელის მიყოფა.

მიყრდნობა. თვნიერ კუერთხისა და კედელსა მიყრდნობისა დგან იგი 58,8; 108,6; (უძლურნი) დგან მიყრდნობით კუერთხთა მათთა ზედა 75,3.

ე. კედელსა არავინ მიეყრდნობინ 59,2.

მიშუება, ი/უ (გარდამ., უირ.), გაშეება, არ დაშლა, დაშეება. უკუეთუ მიგიშუნე ამას საქმესა ზედა 68,6; უკუეთუ უწურთველად მიგიშუნე 68,9; უკუეთუ უძლურთანი იყენიან (კოქობნი), მიუშუეს 82,4.

მიც (— მიძს, ძირია: ძ) მაქვს. არცალა მეფეთა თანა მიც შესაპოვარი 17,8.

მიცვალება (წე ღრისა, ღრისა მიმართ, ან მხოლოდ ზმნა), ი ვნ., გარდაცვალება. მიიცვალა ექსორიობასა შინა 118,38; უფლისა მიმართ მიიცვალა 118,33; წინაშე ღმრთისა მიიცვალნეს 104,26; მიიცვალნეს წე ღმრთისა 105,20.

მიწა (დღევანდელი მნიშვნელობით). გინა განსცეს მიწა 118 ძ, 2.

მიწერა, ი/უ. მიუწერეს წიგნები 36,2 მისწერეს წერილები; კურაპალატიცა ზედაჲს-ზედა მიუწერნ 35,12.

*** მიჭირ, დ 2.** გაჭირება (ი/უ—დ) დიდად მისჭირდა ქუეყანასა 55,2.

მიჭირება, ა 3, გაჭირების მიყენება, შეწუხება. რა არაჲს მიაჭირვებდენ 65,5.

მიზუღომა. ვა მიხუდებინ 73,3 როგორც შეხედებოდა.

მკითხველ. რა არა საწყინო ვიქმნეთ მკითხველთა და მსმენელთა 30,8; და იგიცა, რნი მკითხველნი იყენიან 81,2.

მკვდრ 1. მოსახლე, მცხოვრები. ქართველნი არა მცირედნი ნათესავნი და ერნი მკვდრ არიან მუნ 33,6 სახლობენ; რა ქართველნი ოდენ იყვნენ მონასტრისა ამის მკვდრნი ყოველნი 25,3; უფალმინ... სასუფეველსა ცათასა მკვდრ გზინენ 118 d, 18.

2. პატრონი, მემკვიდრე. მკვდრად და განმგებელად დაუტევეს ნეტარი ფთუში 118,15.

მნათე. ამჟამად „მნათე“ ყველაზე დაბალ მსახურს ეწოდება ეკლესიაში, მაგრამ ძველად რა უფლება-მოვალეობა ჰქონდა მას, ეს გამოსარკვევია. დეკანოზი ოდეს აწუფენ ანუ მნათე გინა წიგნის კითხვასა გინა წარდგომასა 59,6. შდრ. კანდელაკ.

მობაძავ ვინც ჰბაძავს, მბაძველი. ანგელოზთა (ანგელოსთა) მობაძავნი 4,16; 104,4; ანგელოსთა მობაძავსა 113,6; მობაძავნი მათნი 104,3; 118,29, 31; მობაძავად წმ. მოციქულთა 5,8; მობაძავ ყოფად 1,11; ეკლესიანი ცათა მობაძავნი 4,11.

მოგება, ა. ნ. მიგება. ი. შეძენა, შოგენა. რა არცა რას მოიგებდეს 78,4; უკუეთუ ვინმე საფასე მოიგის 78,8.

ი/უ. მოუგნეს დაბანი და სოფელნი 4,12; მოუგნეს დაბანი და მონასტერნი 118,13; მოგებულ—შეძენილი (116,10); მონაგები 8,3; 30,5.

მოგინება, ი/უ—დ. დიდად მოუგინდის 68,20 ძალიან გალანძღავდა ხოლმე.

მოგუ ჩქემა. სხუად კულა საგმარი იკონომოსისაგან ითხოვიან: გინა თუ მოგუნი გინა თუ ჩაფლანი გინა თუ ტყავი 101,6.

მოგურა, 3. მიველად მოგურარეს მეფესა 10,4.

მოდ (ლ. modius, ქართულში ბერძნულიდან) თხევადისა და მარცვლეულის

საწყაო (დაახლ. 8³/₄ ლიტრი). ნავი ხუთასისა მოდისაჲ 31,22 (500-მოდისანი ნავი ზემო მოყვანილი ანგარიშით, დაახლოვებით, 4 ტონა-ნახევარიანი იქნება. სხვა ანგარიშით მოდა==დაახლ. 26 ლიტრს. 26×500=13000 ლ., ე. ი. დაახლ. 13 ტონა. უფრო სავარაუდებელია უკანასკნელი).

მოდრეკა მოხრა. ქუე მოდრეკით თაყუნის-სცემნ 64,7. **მოუდრეკელობა** 19,9 მოუხრელობა, მტკიცედ დგომა თავის გადაწყვეტილებაზე. ნ. მუჯლის მოდრეკა.

მოზავება ბლომად მოზიდვა. მოზავებელ სულიერთა მონაზონთა საყოფლად 23,12.

მოზიდება (ან: მოზიდვა?) მოწევა; მოზიდნის ნელიად 58,12.

მოთმენა, ი. არცა თუ ეგების, რადენნი ლუაწლნი მოითმინეს 118 ხ,17. შდრ. დათმენა.

მოკითხვა, ი. მისალმება; მიღება. კეთილად მოიკითხეს 10,8; პატივით მოიკითხეს 18,4; პატივითა მოიკითხნეს იგინი შეფეთა 33,17.

მოკლე: მოკლითა სიტყუთა 6,2 მოკლედ.

მოკუეთა, ი (ნებისა თვისსაჲ),—ხელის ალება, უკუედება. ყოველივე ნებაჲ თვისი მოიკუეთა 26,8.

მოლხინებით 55,3ბ. მხიარულად. ნ. უმოლხინეს.

მომადლება, მადლის მოცემა, მონიჭება. ღმრთისა მომადლებითა 23,6.

3-პ. ღმერთსა მოუმადლებია შენდა 47,3. ი, მადლობის დამსახურება (ი) ვისგანმე. დიდად მოიმადლა 21,10.

მომართება ნ. მიმართება.

მონავებ შეძენილი ქონება, შემდეგ ქონება საზოგადოდ. მონავები მათი იავარ-ყო 21,7; ყოველითურთ მონავებით 118 c, 21; მონავებნი და სიმ-

დიდრე 8,3; საფასენი და მონაგებნი 79,16; ფრიალნი სავმარნი და მონაგებნი ნისტნეს 30,5. ნ. მოგება.

მონახვა დათვალეირება. მოჰნახვიდიან ხილნართა 98,10.

მოპარხვა ბერად აღკვეცა. შეგზღვეთ, ვერ მოგპარსავთ 83,3; რაათა მოჰპარსნე 51,14.

ი ვნ., რაათამცა მოიპარსნეს 83,2.

მორეწა, ი. ქირით შოვა, მოჯამაგირობით შოვა. არცა იყიდდეს და არცა გაჰყიდდეს და არცა რას მოირეწოდეს და არცა რას მოიგებდეს 78,4.

მორჩილ. ვა იყო ყოველსავე ზედა მორჩილი 47,5. **მორჩილება**. სათნოებათა ყოველთა თავი მორჩილებადა არს 27,1; მორჩილები სათვს და კრძალულებისა 77,6; მორჩილებითა 93,6.

მოსავსენებელ 118 c, 28 მემორანდუმს.

მოსენე 97,8; 103,1 სენაქში მცხოვრები ბერი, *σαλαστης* [როგორც ჩანს, ზოგ ბერს ცალკე ოთახი ჰქონდა. უმეტესობა კი საერთო საცხოვრებელში იყო. მოსენაეს მოწაფეები ჰყავდა (97,5-6). ეს იყო, მაშასადამე, წარჩინებული ბერი].

მოსწრაფე სწრაფი (საქმეზე), დაუზარებელი, მეტად მონდომებული, გულმოდგინე. ფრიალ მოსწრაფე იყო 28,2; რა მოსწრაფე იყვნენ მოსლვად ეკლესიად 58,5; რაათა აღსრულებად მათდა (ბრძანებათა) მოსწრაფე ეიქმნებოდით 2,13; უკუეთუ ვინმე იხილნის მოსწრაფენი ძმანი 65,1. **მოსწრაფედ**: კუალად მოსწრაფედ შეიქცის 61,4; მოსწრაფედ შეუღდა ბრძანებასა მისსა 47,5; ადრე შევირყვით და მიმოსულასა მოსწრაფედ შეუღდებით 115,14; მოსწრაფედ მისლვისათვს ეკლესიად 77,8. **მოსწრაფება**.

დიდი მოსწრაფებადა აჩუნა 117,3; ყოველივე მოსწრაფებადა აჩუნა 118 b,15; ყოველითა მოსწრაფებითა 57,5; 58,9.

მოტყუება, ა, თავს დატება (ა), შემოხვევა (ა). არა მნებავს, რაათა ზღვევადა რამე მოვატყუა სულსა შენსა 29,11.

მოუდრეკელობა ნ. მოდრეკა.

მოურნე მზრუნველი. კუალად აღგზდგინის ღწ მოურნენი და გუზრდილიან 118 b,25. ნ. ურვა.

მოქალაქე ქალაქის მცხოვრები (= *πολιτης*). მოქალაქეთა, დიდებულთა და მთავართა და პალატისათა დიდი სარწმუნოებადა და სიყუარული აქუნდა (ეთთუმესი) 113,2 (აქ კონსტანტინეპოლის მცხოვრებლები იგულისხმებიან); მრავალნი მოვიდიან მოქალაქენი და სხუათა ადგილთაგან 83,1 (აქაც კონსტანტინეპოლის მცხოვრებლები უნდა იგულისხმებოდნენ).

მოქალაქობა მოღვაწეობა (= *πολιτευσις*). უწყებადა ღირსისა მის მოქალაქობისა მათისადა (სათ.); საღმრთოდათა მოქალაქობითა ცხოვნდებოდეს 37,5; ღმრთისა მოქალაქობასა შინა მიიცვალა 118,33; ცხორებანი და მოქალაქობანი 2,9.

მოქცევა, ა, 1. მობრუნება. ჰმადლობდეს ღწ, რწ კუალად მოაქცია მშვიდობით 22,4; (ღწ მეფე) წყალობადა ჩუნდა მოაქცია 118 b, 5 b.

2. **მოქცევა ქრისტიანედ** გაქრისტიანება. რამცა მოაქცია იგი ქრისტიანედ 53,5.

მოღება, ი. სიგრძე ჟამთადა ყოველსავე დავიწყებადა მოიღებს 2,1.

მოღუაწე ნ. თანა-მოღუაწე. **მოღუაწება** მოქმედება, შრომა. სენაკსა შინა მოღუაწებითა მისითა 108,8; თვსთავე მათ მოღუაწებისა სენაკთა 104,2 ბ.;

წინაძღომითა და მოღუაწებითა 118 b, 2b.

მოშურნე ნ. შურ.

მოჩუენება, ი/უ. მოჰნაზვიდიან ხილნართა, მუნ მყოფთა მოუჩუენიან და დაამცნიან 98,11.

მოცალე (მიმღ.) მოკლილი, ვისაც სცალიან. სხუაჲ მოცალე ერი 73,3; უკუეთუ ვიეთნიმე მოცალედ იყვნენ 83,7.

მოცალეა. რომელნი მოცალეებით იყვიან 60,7.

ი (უობ.). იჯმნა წინამძღურობისაგან და ესრეთ მოიცალა 109,7.

ე. არა მოცალეებიან ძილი 60,6 ძილისთვის არ ეცალა ხოლმე.

მოცვალეა ადგილიდან დაძვრა და გადმოტანა. მოცვალენ ნაწილნი წმ. ეფთჳმესნი 119,3.

მოცთუნება, ა, მოცდენა. ნუმცა რაჲ დააკლდების ეპისტატსა, რლ არა შეწუხდეს და ოცდაათი ანუ ორმოცი მუშაჲ არა მოაცთუნოს 97,3.

მოძილ ძილის გუნებაზე მყოფი, მთვლემარე. ოდეს იხილის ძმათაგანი ვინმე უღბად და მოძილად ეკლესიისა ლოცვასა 94,1.

მოძღურება. სწავლითა და მოძღურებითა 93,4.

მოწაფე. მოწაფეები ათონზე მამასაც ჰყოლია (მამისა მოწაფენი 97,7) და მოსენაეთაც (ნოსენაეთა მოწაფენი 97,5).

მოწვენა. უკუეთუ გავიტევენე, დიდი ბოროტი მოწვენად არს ჩემ ზედა 33,14.

ა. დიდსა რისხვასა მოვაწევთ ჩუენ ზედა 17,12; ბოროტი, რომელი მოაწიეს ჩუენ ზედა ბერძენთა 118,2.

ი ვნ. მოიწია ღღესასწაული 55,6; ღღეთა ამათ უკუანაძსკნელთა მოვიწინით 6,3.

მოწესე სამონასტრო წესის მიმდევარი, ბერი. შეკრიბნეს მას შინა (ლავრასა შინა) მონაზონნი და მოწესენც 4,16 („მოწესის“ საპირისპიროა „ერისკაცი“: „მოწესეთა და ერისკაცთაჲ, რუისურბნისის ძეგლის წერა).

მოწიფება, ი ვნ., შემოსვლა, დაძწიფება (ხილისა). ოდეს (ხილი) მოიწიფის 98,9.

მოწიწებით 34,2 [—*მოძიწებით; მღრძწოლა, ძ(რ)წოლა].

მოწლედ (მოკითხვა)—ტკბილად მოკითხვა, კარგად მიღება. მოწლედ მოიკითხავნ 115,1ბ.; მოწლედ მოიკითხეს 22,1; მოწლედ მოიკითხნეს 37,3.

მოწყალეა საბოძვარი, ქველის საქმე (ფულად თუ ნივთის სხნით). უმეტეს ყოველთა სათნოებათა მოწყალეებაჲ შეეტებო 32,21.

მოწყლვა 1. დაქრა, დაშავება. ფიცხლად მოწყლა (ჯორმან) წმ. იგი 112,20. **2.** ქენჯნის გამოწვევა. რა არა მოწყლას გონებაჲ მისი 29,4.

მოჭლობა ნ. კელ-მოჭლობა.

მოხარკე ნ. ხარკება.

მოხუტებულეა 104,6.

მოჭლობა, (2)1. თუ ვითა მოჭჭდა, არა უწყი 33,24; ვინაჲთჲან ეგრე მოჭჭდა, რლ 68,7; უკუეთუ რაჲმე მოჭჭდის მტერისა მიერ 68,1.

ი/უ. (შჯულის მეცნიერი) მოუტდა მამასა ეფთჳმეს 54,2 მოვიდა მ. ეფთჳმესთან; რწიცა სარწმუნოებით მოუტდებიან 44,4; 113,2 ბ.

მოჭმობა, ი/უ (3)2 (უპირდ.), მოწოდება, დაძახება. მოუტმის მამამან 63,1; მოუტმის მოწაფესა 71,4.

მოწესენება, ი. ვა ზემო მოვიტსენეთ 118,34, 38; რაოდენიმე მოვიტსენოთ 30,6. ესე მრავლისაგან მცირედი მოგვტსენებია 118 c, 25 [შეიძლება და ეგვეფ ფორმა ა ნიშნისადაც მო-

ეცა: მოგაცხენეთ — მოგვცხენებია].

ე. მოეცხენა 112,10 მოაგონდა. წერილ-ი მოსაცხენებელ-ი 118,5 შემორანდუმი.

მჟამობელ მგალობელი (?). გინა თუ ხუცესნი, გინა თუ დიაკონნი გინა თუ მჟამობელნი. 50,8. შდრ. ჟამობა.

მრავალ. მრავალი შრომად და ჭირი 117,5; ყვილი ერისა მრავლისა 57,8 (შდრ. ერი ფრიადი შეკრებების 56,2—3). **მრავალ** ჟამ 15,1 ბ. დიდ ხანს; **მრავალ-ფერი** (ღელვად) 118 c, 30 მრავალნაირი.

მრთელ ჯანსაღი. ყოვლითურთ მრთელი და უნებელი 45,1 ბ.

მრორინე ნ. რორინ.

მსახურ. საჯორეს ორნი ერისგანნი ჰყეიან მსახურად და მხუეტლად 93,2; შემწედ და მსახურად შეიწყნარან ბერძენნი 118,20; ღმრთის მსახურნი მეფენი 24,1.

მსახურება 1. (ეფთჳმე ეუბნება მზარეულს:) შიშითა ღმრთისადათა იქმოდე, ძმაო, სამსახურებელსა შენსა და ნუ იტყვ, თუ კაცთა ვჰმსახურებ, ად ესრეთ გაქუნდინ, ვრცა ანგელოსთა ღმრთისათა ჰმსახურებდი 70, 15—16; ესევეთარნი მსახურებანი ჰმსახურნეს და დიდნი საქმენი უქმნნეს (მეფეთა) 24,2; ჯორთა მსახურებისა ღუაწლი და სხუანი უნდონი მსახურებანი და შეურაცხნი 9,5; უკუეთუ მოვიდის ვინმე ჭართველი, რომელსა კრებულსა შინა შეეძლის მსახურება 115,21; თუსსა მსახურებასა განკრძალულ იყო 115,7 (აქ იგულისხმება ეფთვიმეს თარგმნა წიგნებისა, ასე რომ თუსსა მსახურებასა—თავის საქმეს).

2. წირვა-ლოცვის შესრულება (ან ნოსმენა) ეკლესიაში. მშრომელთადა

დღესასწაულთა და კვრიაკეთა და გინა თუ ჰაერი არნ, მაშინ გაეწესა მსახურება 73,1—2 მუშებისათვის წირვა-ლოცვის მოსმენა დაეწესებინა დღესასწაულებზე და კვირა დღეებში, ან თუ უამიდობა იყო ხოლმე. ნ. სამსახურებელ.

მსაჯულ. ღწ მე დამადგინა თქუენ-და მსაჯულად 68,8.

მსგავხად. მსგავსად ძალისა 59,2 შეძლებისამებრ.

მსგეფს. შვიდეული, ერთი კვირე (7 დღე). (ცემის შემდეგ) რომელმანმე ორი მსგეფსი დაყვის ქუე მწოლარემან და რომელმანმე სამი 68,22; უკუეთუ პური დაჰმეტდის, მეორისა მსგეფსისა და არღარა აღიღიან 104,21; ნ. შუდეულ.

მსმენელ. რადათ არა საწყინო ვიქმნენთ მკითხველთა და მსმენელთა 30,8.

მსოფლიო, სოფლიო საერო, არა სულიერი. ხუცესი იგი ესევეთარი კაცი იყო, რლ პირსა მისსა მსოფლიოდ სიტყუად არა გამოვიდოდა, არამედ ყოველივე საღმრთოდ და სულიერი 29,14; დააცადე სოფლიოთა მაგათ საქმეთა უბნობად 29,12.

მსწრაფლ 45,16 სწრაფად, ჩქარა.

მსხუერპლ. შეწირვად უსისხლოდ-სა მსხუერპლისა 79,5 საზიარებელი მასალის შემზადება წირვის დროს მასთან დაკავშირებული ლოცვებითურთ.

მტკიცე ნ. სიმტკიცე.

მუნ 8,1; 12,5; 13,4; 98,11; 102,3 იქ. **მუნ ჟამადმდე** 33,4; 46,9 იმ დრომდე, მანამდე.

მუშა. ეპისტატი, რომელ არს მუშათა უხუცესი 97,1; ოცდაათი ანუ ორმოცი მუშა არა მოაცთუნოს 97,2; უწუფერულთა მუშათა 91,2. ნ. მუშაკი.

მუშაკ. მუშაკი ქრისტეს მცნებათა 35,4. ნ. ნამუშაკე. შდრ. მუშა.

მუჯლის მოდრეკა. მუჯლ-მოდრეკით 68,21.

ა. ღაჩოქება (ა). ასი მუჯლი მოდრეკიის 61,8.

გნ. **დრკ (დერკ).** ვიდრე მუჯლთა ზედა არა მოდრკიან 64,2;

მლდელ. მლდელსა გაბრიელ ქართველსა 52,1; ვამცენ მლდელსა 45,15.

მყის ნ. მეყ.

მყოფ (მიმღ.) რომელიც იმყოფება. კრებულსა შინა მყოფნი 93,5; შინა მყოფნი 73,2.

მყუდრო შვიდი, წყნარი. სახითა მყუდრო 108,1; **მყუდროება.** მყუდროებით ცხორებად 35,11; მყუდროებით ცხოვრებოდა 118,23.

მშლელ. მშლელი განგებასა 39,11.

მშრომელ. მშრომელთა და მაშურალთადა განეწესა 62,1 (აქ „მშრომელი“ და „მაშურალი“ სინონიმურად არის ნახმარი); მშრომელთადა 73,1; მშრომელნი ვინმე 96,2.

მშვლობა. მშვლობაჲ ქმნიან 63,2.

მცა...მცა. იხმარება პირობით-შედგობით რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, პირველი მათგანი „უკუეთუ“-სთან შეერთებით. უკუეთუ მცა შესაძლებელ იყო, თვნიერ მისისა ბრძანებისა არცამცა წყლისა გემოჲ იხილა 26,8-9; უკუეთუ მცა სიტყუასა წერილთასა იკითხვედ. განგიმარტეთ მცა და, უკუეთუ მცა ჩუენ გუკითხვედ, მიგიგეთ მცა 54,8-9.

მციროვ. მციროვ ღრუბელი 55,14; მციროვცა იძულება 80,9.

მცირედ. ესე მრავლისაგან მცირედლი მოგვკსენებია 118 c. 25.

მცნება, ა, 1. შეტყობინება. ვამცენ მლდელსა 45,15.

2. ბრძანება (ღვთისა). საუფლონი იგი მცნებანი და ბრძანებანი მისნი 2,7; მცნებათა შინა ღმრთისათა 29,10

(შდრ. საუფლოთა მათ ბრძანებათა მიერ 2,12). ნ. დამცნება.

მძაფრ. სენითა მძაფრითა შეპყრობილ იქმნა 45,8; ცეცხლი იგი ქრისტეს სიყუარულისაჲ გულსა მისსა მძაფრითად აღეტყინა 8,2.

მძევალ. ბერძენთა მეფემან აზნაურთა შვილნი მძევლად ითხოვნა... ეფთვემ სხუათა თანა უფლისწულთა მძევლად მიჰგუარეს მეფესა 10,1—4 (B-ში აქ ორსავე შემთხვევაში „მძევალ“ იკითხება); ძე ჩემი, ვითარცა თბოლი, მძევლად გასწირეთ 11,5.

მძიმ, ი/უ (გარდაუვა). არა თუ უმძიმნ, ად უფროსად უხარინ 93,3; არა უმძიმდა 90,5.

მძიმე. ფრთხილი და მძიმე კაცი 115,16 (ალბათ არ „ირყეოდა“ ადრე. შდრ. 115,14); **მძიმედ.** ესრეთ მძიმედ ბრძოლა-გვყვეს 53,19; მძიმედ განკანონნის 67,3; 76,5.

მძოვრ მარტო მცენარეულის მკამელი კაცი. ცხორებაჲ წმ. ონოფრი მძოვრისაჲ 49,30.

მწარე. მწარედ გაისჯებით 68,9.

მწერალ. მწერალნი 81,3. ნ. ქელოვნებით მწერალი.

მწვალებელ ერეტიკოსი. მწვალებელად ხადითა 118 ხ, 8.

მწირ უცხო ქვეყანაში მყოფი, უქონელი. მწირნი და გლახაკნი 119,16; **მწირობით** ცხორებაჲ 5,3.

მწუხრ საღამო. უკუეთუ მწუხრსა მოვიდენ 95,3; კელართა მწუხრსა თუ რამე ეგმარებინ 96,5; ყოველთა მწუხრთა 52, 8.

მწყალობელ 40,2.

მჭედელ 25,7. (საქმე) სამჭედლოჲ 98,3.

მჭირვა, ი/უ, (და)ჭერა, (და)კაეება. ერთი ძმაჲ თავსა უმჭირაენ და ერთი ფერკთა 68,17. ნ. დამჭირვა.

8ხალ 104,19.

მხილება, ა, საყვედურის თქმა, ნაკ-
ლი და დანაშაული რომ უთხრა კაცს.
ამხილებენ 65,4; ამხილა მას 29,4;
ამხილა დედოფალსა 19,2; და რად
არა მამხილე 29,17; ფიცხლად ამ-
ხილის 73,8; ფიცხლად ამხილიან
67,2.

მხოლო მარტო. იჯმნა ყოველთა-
გან და მხოლოდ ლავრასა დიდებულ-
სა ოთხთა ეკლესიათას: შევიდა 8,7.

მხუეტელ საჯორეს...ორნი ერისგან-
ნი ჰყვიან მსახურად და მხუეტლად
93,2.

მვედარ 21,6 მეოშარი (ცხენოსანი).
მვნე. ეკლესიასა დგომასა მვნე
108,5; **სიმვნედ** ახოვნებისა 2,17.

მჭურვალე. ცრემლითა მჭურვა-
ლითა 45,17; მჭურვალედ ლოც-
ვად 58,6. **მჭურვალე** გულმოდგინე-
ბა. ესეხომი მჭურვალეებაჲ აჩუენა
26,8; მჭურვალეებასა მისსა 28,1.

6

ნ, ი/უ. **უნდა** უნდოდა. ვინაფთგან
ახალ-ნერგ იყენეს ვენაჭნი, ყოველთა სა-
რითა განგებამ უნდა 89,5; ვითარ-იგი
უნდა მყუდროებით ცხორებამ 35,10:
უნდის 71,3 უნდოდა ხოლმე.

ნაგვე 8,3 ნაგავი. **ნაგევად** შერაცხ-
ვა არაფრად ჩაგდება. ყოველივე დიდე-
ბამ ამის სოფლისად შეურაცხ-ყო და ნა-
გევად შეპრაცხა 8,3.

ნავ. **ნავის მოკმედ** 25,7 ნავის მკე-
თებელი, ნავის ოსტატი. **მენავე** 98,4
ნავის წამყვანი, მენიჩბე.

ნავთსაყუდიელ (გადატანით) იმედი,
მფარველი. ბერი გრიგოლ იყო ნავთ-
საყუდიელ ქართველთა ნათესავისა
118,39; მოიწინეს ნავთსაყუდიელად
სულთა მრავალთა 118,8.

ნათესავ 1. ერი. ხალხი. **ნათესავი**
ჩუენი ქართველი ერი. გამოჩნდა სამ-
კაულად ნათესავისა ჩუენისა 5,8;
გვრგვნიად და განმანათლებელად ნათე-
სავისა ჩუენისა 108,15; განსამრავლე-
ბელად ნათესავისა ჩუენისა 118,9;
რომელთა წმ. ესე აღგილი ნათესავ-
სა ჩუენსა დაუმტკიცონ 118 d, 10; გა-
ნანათლა და შეამყო ნათესავი და
ენამ ჩუენი 118,17; ასმიოდა, ვ'დ

ქართველნი არა მცირედნი ნათესავ-
ნი და ერნი მკვდრ არიან მუნ 33,5;
შემდგომად ჩუენსა მომავალთა ნათე-
სავთათჳს 118 c, 28.

2. კაცთა ნათესავი 1,5 კაცობრიობა.
3. ეროვნება. ნათესავით ქართ-
ველი 7,2.

4. გვარი. წარჩინებული ნათესა-
ვით 51,4.

5. ახლობელი გვარში, ერთი ჩამო-
მავლობისა, родственник. უკუეთუ ძმა-
თა ვიეთმე მოიყვანნიან თჳსნი ნათე-
სავნი უწუერულნი 92,1; მეულღე და
შვილნი თჳსნი და ნათესავნი 8,4.
შემდეგ ნაწყვეტში წარმოდგენილია
1-ლი და მე-5 მნიშვნელობა: შემწედ და
მსახურად შეიწყნარნა ბერძენნი უმან-
კობით და სიწორფობით და ესრეთ გან-
მრავლდა ნათესავი ბერძენთაჲ
ლავრასა ამას, და შემდგომად მცირედი-
სა ჟამისა იჯმნა წინამძღურობისაგან
და თჳსი ნათესავი გიორგი მამად
დაადგინა 118,20—22.

ნაკლულ. **ნაკლულევან** რომელსაც
აკლია. ქართლისა ქუეყანამ დიდად ნა-
კლულევან არს წიგნთაგან 47,2. **ნა-
კლულევანება** ნაკლი. რადთა არარაჲ

იპოვოს რადიკურით მის თანა ნაკლულევა ნებაჲ რადმე 28,3. **უნაკლულა.** არარადეთ უნაკლულა—არათრით ნაკლები. ესე ნეტარნი მამანზ ზუნენნი არარადეთ უნაკლულა იყვენეს პირველ გამორჩინებულთა წმიდათასა 3,2.

ნამეტნავ. კმა არს ჭეშმარიტად და ნამეტნავ 80,9; თარგმანებაჲ წიგნთაჲ აქუნდა ნამეტნავად ყოველთა სათნოებათა 108,14.

ნამუშაკევ. რომლისა-იგი ნამუშაკევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა 5,12. ნ. მუშაკ.

ნასხურ. ბერძენნი ფრიად რადმე შეიყუარნა და განამრავლნა და სრულიად მათდა შიდრკა, ხოლო ქართველნი, ვითარცა ნასხურნი რადმე და უნდონი, უგულვებელს-ყვნა და შეამცირნა 115,11-13 (წმღრ.: მეგობართა ზუნეთა ულოცავთ: ვითარცა ნარჩენნი სოფლისანი შევიქმნენით, ყოველთა ნასხურ მოაჭამდე, I კორ., 4, 13; აქ ნასხური=αφαίσιμα „ნავაგი“; ნუ იყოფინ ესე ჩემდა, ვითარმცა ნასხორ წარმართთა ვიყავ: იპოლ., ქება ქება. 6, 15).

ნატრ. ნ. სანატრელ.

ნატყუნავ ნადავლი. ლაშქრობით მოპოებულნი. წინააღმდეგომნი ზუნენნი დატყუნენ და ყოველივე ნატყუნავი მათი შენი იყოს 21, 3; ნატყუნავი დიდძალი ფრიად 21, 8.

ნაყროვნება უზომო ჭამა. უკუეთუ ნაყროვნებით ვინ იქმნ 82, 4.

ნაწილ 1. ხის მცირე ნაჭერი, რომელიც იმ ჯვრის ნაწილად მიაჩნდათ, რომელზედაც ქრისტე აცვესო. ძელისა ცხორებისა ნაწილი ვეცხლისა ბუდითა 31, 7. **2.** სეფისკერიდან ამოჭრილი ნაწილი, ბარძიში ჩასასვენებელი. ნაწილის შთასასუნებელით ვეცხლისაჲთ 31, 8.

3. (ჩვეულებრივ მრ. რ.-ში) მიცვალებულის გვაში ან გვამის ნაშთი საფლავში (ძვლები, თმა და სხვ.). პატიოსანნი იგი ნაწილნი მისნი (ეფთჳმესნი) აღმოიყვანნეს თქსავე მონასტერსა და დაისხნეს სამარხოსა ლუსკუმასა ტაძარსა შინა წმ. ი. ნათლის-მცემელისასა 113, 14—15; მე, მამამან გიორგი, მოცვალენ ნაწილნი წმ. ეფთჳმესნი ნათლის-მცემელისა ეკლესიით დიდსა ეკლესიასა ღმრთის-მშობლისასა 119, 3-4.

4. ნაწილი ქრისტეანეთაჲ ქრისტიანი ხალხი. ა-მცა-გოცილ არს იგი ნაწილისაჲ ან ქრისტეანეთაჲსა 118 d, 7.

5. ნაწილი მარჯუნეთაჲ „გაკითხვის დღეს“ მარჯვენა მხარეს მდგომი ხალხი („ცხონებულებს“ მხარე). ღირს გუყვენინ უფალმან ნაწილსა მას მარჯუნეთასა მიმთხუევად 1, 12.

ნახევარ. ნახევარი საფასისა თქსისაჲ ეკლესიასა შეწირის 87, 1.

ნახვა. რამცა ნახნა თავისა უფლისწულნი 85, 4. ნ. მონახვა.

ნება. 1. რომელმანმცა სრულყო ნებაჲ გულისა მათისაჲ 16, 7; ყოველივე ნებაჲ თქსი მოიკუეთა 26, 8; ნებისყოფელი 38, 3.

2. (სტატ.). რომლითაცა სახითა გნებაჲს 19, 5; ჰნებაჲს 1, 1; ენებაჲ სიტყუად 54, 3. ნ. უნებელი. მღრ. ნ.

ნელიად წყნარად. მოზინდნას ნელიად 53, 12; იშუთ სადმე ნელიად სიტყუად მიუგის 71, 2.

ნემს 78, 2. ნ. ოჭრო-ნემსული.

ნერგ. ახალ-ნერგ წუთლა იყვნეს ვენაჲნი 89, 5.

ნესტუ საყვირი. ნესტუ ოქროსაჲსა 5, 13.

ნეტარ წმ. მამათა ეპითეტია. ნეტარნი მამანი ზუნენნი 3, 1; ესე ნეტა-

რი მამამ ჩუენი იოვანე 7, 1; ნეტარი მამამ ჩუენი ეფთჳმე 58, 1; მერმე აკურთხა ნეტარი ეფთჳმე 43, 2; ნეტართა მათ მამათა ლოცვაჲ 9, 1; მათ ნეტართა ჰრქჳან 104, 15. შდრ. სანატრელ.

ნეფსით თავის ნებით. სხუათა მათ სათნოებათა აღწერასა ნეფსით თანაწარვჳჳედით 27, 6.

ნთება, ი. რამცა კანდეღსა ინთებდეს 81, 4. ნ. ანთება.

ნიგოზ კაკალი. გინა თუ ზეთისხილი იყვის გინა თუ ნიგოზი გინა თუ სხუად ხილი 98, 8.

ნიკრის (არაბ. نقر) პოდაგრა, ქარები ფეხში. ნიკრისისა სენსა შთავარდა 33, 29.

ნიჭ საბოძვარი. ვითარცა პატეგსა და ნიჭსა სამეუფოსა 33, 1 ბ.

ნიჭება ბოძება. ნიჭებულ ბოძებული, ნაჩუქარი. ნიკიფორ მეფისა ნიჭებული 31, 18.

ნუ. ნუ იყოფინ 6, 6; 79, 20.

ნუგეშინის-ცემა. ნუგეშინის-სცემნ სიტყვით და საქმით 68, 24 (საქმით ნუგეშინის-ცემა, როგორც ჩანს. ჩუქებას, ანუ რისამე წყალობას ნიშნავდა); გელოსანთა დაჰვედრნის, რადათა ნუგეშინის-სცემდენ 68, 25; ნუგეშინის-სცის და აღა-

შენის 68, 26. **ნუგეშინის-საცემელ.** ამით ძმათა ნუგეშინის-საცემელი სხუად არასადადო აქუს, ამის ტრაპეზისაგან კიდე 70, 7.

ნუსხა (არაბ.) ნაწერი (?). ეფთჳმეს კელთა ნუსხისაგან დაგვწერია 21, 1 ბ. (ე. ი. ეფთჳმეს ავტოგრაფისაგან? არა მგონია, რომ აქ ნუსხა „სიას“ ნიშნავდეს. შდრ.: „ყოველივე ქართულნი სახარებანი, მთაწმიდით გამოსრულნი, ღირსისა მამისა გიორგის თარგმნილნი, საეკლესიოჲსა სახარებისაგან, რომელ მთაწმიდელნი იგმარებენ, აღწერილნი არიან და არა მისგან, რომელი თუთ გიორგი თარგმნა და ნუსხად მღებარე იყო დიდსა წიგნის საცავსა, არამედ მისგან გარდაწერილისაგან. და მას ნუსხასა თანა ფრიადი ნაკლულევანებაჲ აქუს“: ვანის სახარების ანდერძიდან. ა. შანიძე, უძველესი ქართ. ტექსტების აღმოჩენის გამო. ტფ. უნივ. მოამბე, II, 1923. გვ. 404).

ნუუკუე 1. ნუთუ. ნუუკუე შვილ არა გესხნესა თქუნ 11, 3 ნუთუ შვილნი არ ვყავდათ თქვენ?

2. ვაითუ. ნუუკუე ამის სახისათჳს ზღვევაჲ რადმე სულიერი შეამთხვოს 29, 7; ნუუკუე შეწუხნეს 79, 7; ნუუკუე ვერ გავისუენოთ 83, 5; ნუუკუე და ვერ გაავონო 112, 13.

(3)

ობოლ 11, 5.

ოდენ 1. (ნაწილ., დაისმის იმ სიტყვის შემდეგ, რომელსაც ზღუდავს) მართო, მხოლოდ. არა თუ უღუშბათა და მთაწმიდას ოდენ თარგმნნა, არამედ სამეუფოსცა 48, 11; სახელი ოდენ კმა არს 5, 6; რადათა ქართველნი ოდენ იყენენ მონასტრისა ამისა მკვდრნი

25, 3; მას ოდენ ესმინ 59, 8. გვხვდება „ხოლო“-სთან ერთადაც: არა ხოლო საქართველოსა ოდენ, არამედ საბერძნეთსაცა 118, 25.

2. ოლონდ. შენ ოდენ ამით ობოლთა კელი აღუპყარ და, რადცა ბრალი იყოს, ღმერთმან ჩუენგან იძიენ 19, 13; თქუნესა ბრძანებასა არა ვარდავჳდენ,

ოდენ შრომათა თავს-იდევ და წარვედ
კორაპლატისა წინაშე 19, 4.

ოდეს, ოდესცა როდესაც. ოდეს
ღმერთმან წარგიმართოს 21, 2; ოდეს
ინილის. მათაგანი ვინმე უღბად და
მოძილად 94, 1; ოდეს მოიწიფის 98, 9;
ოდესცა მივიდის ხილვად მამათა 52, 3.

ოდესმე 1. ოდესღაც, ერთხელ. ეშ-
მაკუული ვინმე მოუქდა მას ოდესმე
44, 5; იქნა ოდესმე გუალვა 55, 1;
ოდესმე ინება წმ. მამამან ჩუენმან
ეტოუშე 56, 1; ჭამთა ბასილი მეფისათა
ოდესმე აღესრულა მთავარ-ეპისკოპო-
სი 57, 2. 2. ზოგჯერ, ხანდახან. გამო-
ვალს გამოსავალი ყოველთა წელთა 14
ლიტრაჲ ვინა 15 და ოდესმე მეტი-
ცა 31, 5; შრავალ გზის მივალნ მისა და
ოდესმე მან ძიიყვანის იძულებით
53, 3.

ოთხთავ 31, 14 ოთხი თავი სახარე-
ბისა (მათე, მარკოზ, ლუკა და იოვანე).

ორ, ორითავე მარჯუენ. მარჯუენ.

ორგულეზა დალატი. განდგომილო-
ზაჲ და ორგულეზაჲ დასწამეს
116, 4.

ე. უკუეთუ ვინმე გამოჩნდეს და
რადთმე ზაკუვითა ეორგულოს ამას
წმიდასა ადგილსა 118 c, 1 ბ.

ორგულობა (გარდაუვ.) ეჭვობა. ყო-
ყმანი. ნურარას ორგულობ 21, 2.

ორ-კეცად 59, 3, 5.

ორმოც ოცდაათი ანუ ორმოცი
მუშაჲ არა მოცუთუნოს 97, 3 (შღრ.
ორმოც 31, 2: 86, 4).

ოტება, ა, გაქცევა (ა). აოტა
სკლიაროსი 21, 5 გააქცია.

ო. (თორნიკ) იოტა სკლიაროსი
26, 1; ვესავ ღმერთსა, რომელ იოტოთ
იგი უღმერთოდ სკლიაროსი 19, 7. **მეოტ**

ვინც გარბის. მეოტად წარიქცია
21, 6 იოტა.

ოქრო-ბეჭედი (= χρυσός, bulla
aurea). დაუსხნეს სიმტიცენი და გელით-
წერილნი და ოქრო-ბეჭედნი მეფე-
თანი 4, 15; რომელნიცა ადგილნი და
სოფელნი სთხოვნეს (მეფეთა), ყოველნი
ოქრო-ბეჭდითა დაუმტიცენეს 24, 3;
დიდსა ლავრასა მისცეს ოქრო-ბეჭე-
დი განძისა ორას ორმეოცდა ოთხისა
დრაჰმისაჲ, ჩინიშკისა ბოძებული იოვა-
ნესდა, და ესე ყოველთა წელთა აქუს
პალატით ლავრასა 31, 1—3; მოუგნეს
დაბანი და მონასტერნი ოქრო-ბეჭედ-
ნი 118, 13.

ოქრო-ნემსულ ოქროს ძაფით ნაკე-
რი. საკურთხეველის შესამოსელი ოქრო-
ნემსული და მეორე ოქსინოჲ 31, 10.

ოქრო-ცურვეზულ (ვერცხლის ნივ-
თი) ოქროთი დაფერილი, ოქროში გა-
ვლებული, მოოქრვილი. ჯუარი სალი-
ტანიე ვეცხლისაჲ ოქრო-ცურვეზუ-
ლი 31, 16; კულად მოსცეს... ძელისა
ცხორებისა ნაწილი ვეცხლისა ბუღითა
და ორნი ბარძმინი დიდნი ვეცხლისანი
და ფეშხუემი კოვზითურთ და ბრწყლით
და ნაწილის შთასასუენებელით ვეცხლი-
საჲთ, და ესე ყოველნი ოქრო-ცურ-
ვეზულნი 31, 9; ბარძიმ-ფეშხუემი
ვეცხლისაჲ ოქრო-ცურვეზულნი
32, 3.

ოქსინო. საკურთხეველის შესამოსელი:
ერთი ოქრო-ნემსული და მეორე ოქ-
სინოჲ 31, 10 (... et alteram acu pic-
tam, P. P.).

ოც. უფროჲს ოცისა ლიტრისა
84, 8; ოდესმე ოციცა 31, 6.

ოხრა საყვირის ხმოზა. მისთა წიგნ-
თა სიტყბოებაჲ, ვითარცა ნესტჲ ოქ-
როსაჲჲ წმა-მალაღი, ოხრის ყოველსა
ქუყყანასა 5, 14.

ს

პალატ (palatum) მეფის სასახლე. ესე ყოველთა წელთა აქუს პალატით ლაგრასა 31, 2; პალატისა წარჩინებულნი 117, 4. **პალატისა** მეფის სასახლის წევრი (palatinus) ან კარის კაცი. მოქალაქეთა, დიდებულთა და მთავართა და პალატისათა დიდი სარწმუნოება და სიყუარული აქუნდა (ეფთვმესი) 113, 3.

პაპ 1. მამის მამა ან დედის მამა [პაპმან მისმან (სუნ. 56, 10]. **პაპთა** მამისა და დედის წინაპართაგან. შშობელთა და პაპთა მამაგან დიდებული და წარჩინებული 7, 2.

2. რომის პატრიარქი. ცხორებდა კლემენტოს ჰრომთა პაპისა და 49, 13.

პარაკიმანოს-ი, პარაკიმენონ-ი [παραικίμανος-ი, παραικίμενον-ი] მესაწოლეთ უხუცესი (საქურისი). ბასილი და კოსტანტი მას ჟამსა წუთთა ყრმა იყენეს და ყოველი გასაგებელი დედოფალსა ეპყრა და პარაკიმენონსა; და ვითარცა აღვიდა თორნიკ სამეფოდ, მესყულად შეიყვანა იგი პარაკიმანოსმან მეფეთა წინაშე 18, 2--3; კულად დედოფალმან და პარაკიმანოსმან ჰრქუეს 19, 12.

პარიკონომოს-ი (παραικονόμος-ი) იკონომოსის მოადგილე. გინა თუ იკონომოსისადა ებრძანის გინა თუ პარიკონომოსისადა. მოზიდნის ნელიად 58, 11. **საპარიკონომოსო** 98, 3 პარიკონომოსის სახელო.

პასუხ (სპარს.). მან გასცეს ღმერთსა პასუხი 119, 9.

პატივ. პატივისა უყოფდეს 12, 2.

პატიოსან ხატის ეპითეტია. განაბრწყინენეს იგინი (ეკლ.) ხატთა მიერ პატიოსანთა 4, 12.

პირ 1. ა) სამეტყველო ორგანო. დაიყავნ პირი შენი 53, 10; 54, 10 დაიხ-

შეს შენი პირი, ხმა ჩაგეწყვიტოს: ენა ერთისა (ერთითა BD) პირითა 118, 2, 3 როგორც ერთი პირით, ერთხმად.

ბ) სასმელ-საჭმლის მისაღები ორგანო. აქედან: **პირის ტხნა** სასმელ-საჭმლის მიღება მარხულობის შემდეგ; სმაქმა საზოგადოდ. ლიტონთა დღეთა თხს-თხს ილუწიდიან, ხოლო დღესასწაულთა და კვირობათა ერთგან აღასრულიან წესი ლოცვისა და პირი ერთგან იტხნიან 104, 23; თავადმან პირი იტხნა 112, 9.

2. პირისახე. გარე-მიექცა პირი მისი 53, 11; მოიქცა პირი მისი 53, 16.

3. სახე, იძრავ. ამით პირითა და სახითა 118, 5 ამგვარად (აქ „პირითა“ და „სახითა“ სინონიმებია).

4. (იხმარება მრ. რ.-შიც) რანე, საქმე, გარემოება. ესე პირი მოეწერა 16, 3 ასეთი რამ მოეწერა; მე ვიცი, თუ რომლისა პირისათჳს მივმოძენ 17, 6 რა საქმისთვის; მათ ესე ვითართა პირთათჳს უზნობად 29, 2; ხემო თქუმულთა პირთათჳს 29, 6.

5. ამის პირისათჳს ამიტომ, ამის გამო. ფრიად მწუხარე ვიყავ ამის პირისათჳს 46, 9. (6. კიდევ 3, 6; 12, 3; 16, 8; 33, 6; 117, 3; 118, 1).

პირველ (რიცხვ. სახ.) 1. პირველსა ცა მოსლვასა და მეორესა ცა 84, 6; ხოლო ჩუენ პირველსა ცე სიტყუასა მოვიდეთ.

2. ადრინდელი, უწინდელი. მსგავსად პირველთა მათ ღმერთ-წმინდისილთა მამათა 6, 9; გარეშე მათ პირველთასა 47, 6.

პირველ (ზმნიხ.) წინათ. უწინ. მამანი ჩუენნი არარადთ უნაკულთ იყვნეს პირველ გამოჩინებულთა წმიდათასა 3, 2; პირველ თქუმულსა მას

სალმობასა შინა განკაფულმან 38, 1; პირველ მოკსენებულსა გაბრიელს 52, 1; რაჟთა შეიმოსოს კუართი იგი შესამოსელი პირველ კსენებულისა მთავარ-დიაკონისაჲ 79, 6.

2. (თანდ., მოითხოვს ნიც.-ს ან ნათ.-ს) უწინ, -მდე. პირველ შენებასა მონასტრისასა 84, 2 მონასტრის აშენებამდე; პირველ დღისა ერთისა 55, 6 ერთი დღით წინ; პირველ სახარებრისა წარკითხვისა 55, 14. ეს უკანასკნელი მნიშვნელობა კარგად ჩანს შემდეგ წინადადებაში: პირველ ამის მეორისა ბჭობისა (118 c, 23), რადგანაც შემდეგ მოსდევს საპირისპირო სიტყვა: შემდგომად ამის მეორისა ბჭობისა (118 c, 24).

პირველითგანვე 33, 3 თავიდანვე.

პოვნა, ი ვნ. უკუეთუ ვინმე იპოვის 72, 4; უკუეთუ კჳლა გჳლ-ფიცხელნი იპოვნიან 63, 3.

[პორტაიტისა (ხატი). ნ. ბგესთან].

პროტ (πρωτος) არქიმანდრიტი, რომელიც მთაწმიდის ყველა მონასტრის სათავეში იდგა. არცა პროტი, არცა სხუანი მამასახლისნი 88, 1. აქედან ჩანს, რომ პროტობა ერთ-ერთ მამასა-

ხლისს, ანუ ერთ-ერთ წინამძღვარს ჰქონებია მთაწმიდაზე, სადაც მონასტერი ბევრი იყო. პროტის სამყოფელი იყო კარიას, სადაც ღვთის მშობლის ეკლესია იყო აგებული. აქ იკრიბებოდნენ ათონის ბერები ყოველ წლივ საზოგადო საქმეების გასარჩევად და მოსაფარებლად (ზღრ. „მისცეს კარიისა ეკლესიასა, რომელ არს შესაკრებელი ყოველთაჲ“, 32, 3). 976—1313 წწ. პროტებს ნიშნავდნენ ბიზანტიის იმპერატორები: А. Натроев, Иверский монастырь на Афоне, Т. 1910, გვ. 176, 186—178. ვარნა თუ ლავერელი მოვიდის ანუ პროტი 69, 5.

პურ 1. პური და ღვინო 104, 7; ძმათა პურსა (იქვე). 2. პურის კვერი. დღევ ერთი პური 84, 10. 3. პურის შეკაზმვა საჭმლის გაკეთება. რაჟთა კიდევ შეუკაზმიდენ პურსა 69, 6.

პყრობა, ი. განავებდეს და იპყრობდეს წესსა წინამძღურობისასა 6, 8.

ი/უ. მიპყრა გელსა 46, 5 მომკიდა ხელი ხელს..

ი/უ (სტატ.). ეპყრა—ეკირა. წინამძღურობაჲ ეპყრა 118 b, 1; ყოველი გასაგებელი დედოფალსა ეპყრა და პარაკიმენოსსა 18, 1; დიდითა პატივითა ეპყრნეს ივინი 14, 6.

ქ

ჟამ 1. დრო, ხანი. ჟამ რაოდენმე 8, 11; 83, 2 რამდენსამე ხანს; მრავალ ჟამ 15, 9 დიდხანს; ამას ჟამსა 17, 12 ამჟამად; სხუასა ჟამსა 106, 1 სხვა დროს; შემდგომად რაოდენისამე ჟამისა 12, 1; არა მრავლისა ჟამისა შემდგომად 118, 35; მის ჟამისა წარჩინებულთა და მთავართა წინაშე 115, 9; მრავალნი ჟამნი ვარდაჯდეს 112, 4; ვარდაჯდეს ჟამნი რავდენნიმე 116, 1;

ჩუენთა ამათ ჟამთა 48, 4; ჩუენთაცა ამათ ჟამთა შინა 1, 5; უკუანადსკნელთა ამათ ჟამთა 104, 29; ჟამთა რომანოზ მეფისათა 116, 2; ჟამთა სუმეონ მამისათა 118, 5; ჟამთა განდგომილისა სკლიაროსისათა 118, 12; ჟამთა არა მცირედთა 9, 4; ჟამთა მრავალთა 118, 18; მათ ჟამთა 8, 9; მათ ჟამთა შინა 13, 1; სივრძე ჟამთაჲ 2, 1. უჟამოდ 95, 4; 105, 12 უდროოდ.

2. ხელსაყრელი დრო. ესევეთარი ჟამი რად დახუდა იოვანეს 19, 1; ბერძენთა ესევეთარი ჟამი პოვეს 117, 1; ჟამი პოვეს ბერძენთა 118, 41.

3. ხანა, ეპოქა. თუთოეულთა ჟამთა შინა 1, 4; 2, 9.

4. ხორცისა და სისხლის საიდუმლო (სერობის მოსაგონებელი: მათე 26, 26—27). ვიდრე ჟამისა ზიარებადმდე 55, 5.

ჟამითი-ჟამად 68, 23 დრო და დრო, დრო-გამოშვებით.

ჟამისწირვა დღისით შესასრულებელი მსახურება, ლიტურღია (ეკლესიაში შესასრულებელი მსახურებანია: ცისკარი, ჟამისწირვა და მწუხრი. შდრ. „ყოველ-

თა კათოლიკეთა კუერექსთა შინა იგსენებოდის: ჟამისწირვისათა და მწუხრისათა და ცისკრისათა: ალაპები, № 57, 15). მოიწია ჟამისწირვისა ჟამი 55, 12; მოიწია ჟამი ჟამისწირვისაჲ 56, 4; ჟამისწირვაჲ აღასრულეთ 55, 8; აღასრულა ჟამისწირვაჲ 79, 12; მოიგსენებდით წმ. ჟამისწირვათა შინა 42, 9.

ჟამობა 1. ნ. შეამოხელი. 2. (ან ჟამება?). ი/უ. ეფთუმეს პირად მდივანს ეუბნებია: „შინაშე მამისა აღვალ და მიჟამე“ (105, 11). აქ „მიჟამე“ ნიშნავს: „შემიშვი“, ან „მოახსენე, რომ ნახვა მიწდა“.

რ

რა 1. ხილვად, თუ რად-ძი იქმნა 45, 1 ბ. რად (ფით. ბრ.) რატომ. და რად დაიდუმე აქამომდე 29, 16.

2. რამე. არცა ერთი რად უფმს ზუნ მიერი ჯსენებაჲ 2, 4; რაოდენიცა რად არს ამის სოფლისაჲ 8, 4; ბარემცა დიდი ეკლესიაჲ რადთ მიგვლეს 118 c, 10 (რადთ=რითმე, როგორმე)

3. (ნაწილ., მავრამ მიც. ბრუნვის ფორმით: რას (ნ).

რაჰამ როგორი. რაბამი სიყუარული 33, 13.

რათმე ნ. რამე.

რამე (ბრუნვის დროს „მე“ ბოლოს რჩება). არცა მცირედი რადამე დაუტევა ჯელმწიფებასა ქუეშე თუსსა 26, 5; ნაკლულევანებაჲ რადამე 28, 3; სხუთა რადამე საჯმრითა 68, 27; სხუთა რადამე ზაკუვითა 118 c, 1 ბ.; თავისა რადამე საქმითა 118 d, 2; სხუათა რათმე წესთა და კანონთა ენება და მტკიცებაჲ 115, 4.

რად (ნაწილ.). ესე რად ცნა იოვანე 10, 4; იყო რად მის თანა 53, 6; ესრეთ რად დაარწმუნის 68, 12; ხედვიდა რად სულღერთა ამათ წესთა 105, 2; აღვიდა რად გოდლად 105, 9; იქმნა რად ჯმად და აზბოხი 105, 18; ამათ რად ჭირსა შინა ვიყვენით 118 b, 27; ესე ყოველი იხილა რად ღმერთმან 118 b, 32.

რადამე 1. სახელობითი ბრუნვის ფორმა „რამე“ სიტყვისა (ნ.). 2. (ნაწილ.). ბერძენნი ფრიად რადამე შეიყუარნა 115, 11.

რადთურთით (უკუთქმითს წინადადებაში) სრულებით, ოდნავ: ზღვსა რადთურთით გამოცდილებად არად გუაქუს 25, 5; რადთა არარად იბოვოს რადთურთით მის თანა ნაკლულევანებაჲ რადამე 28, 2; რადთურთით არა სცემდა განსუენებასა თავსა თუსსა

48, 6; კელრისა კარსა რაჲთურთით არა გასწყდებოდა შეკრებად 95, 6; უბნობასა ურგებსა რაჲთურთით არავინ ეკადრებდა ყოვლადვე 95, 10.

რაოდენ-ი-მე. რაოდენიმე მოვიქსენოთ 30, 6; შემდგომად რაოდენის სამე უამისა 15, 1.

რას (ნაწილ.). ამისთვის იკონომოსსა თანა არავინ რას მივალნ 101, 3.

რაცა. რაჲთაცა ღონითა ანუ მანქანებითა 118 c, 3b.

რე (ნაწილ.) ცოტად. უკუეთუ უმჯობესი-რე იყოს 70, 9; რომელნი მეტად-რე უძლურნი იყენიან 75, 3.

რეკა. ცემა რიბზე დიდ ჩამოკიდებულ ფიცარზე ხმის გასაღებად (ძველად ხარი არ იყო და ეკლესიაში წირვალოცვის დაწყებას ამნაირად ატყობინებდნენ ხალხს). ვიდრე ცისკრისა რეკადმდე 52, 1.

რეცა ვითომ. რეცა განცხრომის სახედ 55, 10 ვითომ ხუმრობით; რეცა სამართალი შესწევდა 118 c, 11.

რთვა, ი/უ (გარევა. უკუეთუ სუბუქი ღვინო იყოს, ყოლა ნუ ურთავ წყალსა. და უკუეთუ საშუვალა იყოს, ჯერისაებრ ურთე 70, 8—9. **პრთავს** (სტატ.) ურევი. უკუეთუ მეტი წყალი ერთის (ღვინოსა) 70, 6.

რომელ (კავშ.) რომ (=იმერ. რომე). ესე ცხად არს, რომელ მათ სწყალობდით 11, 4; ვესავ ღმერთსა, რომელ 19, 6; 55, 11; ვიცით, რომელ 21, 1; გულ-კლებულ ვართ, რომელ არა ინებეთ 36, 4; მრწამს ღმერთისაჲ, რომელ 41, 5; წესი იყო... რომელ 68, 3; ებრძანა მეტრაპეზისაჲ, რომელ 70, 3; მამასა გაუწესებია, რომელ ვარე გაგიყვანო 72, 3; დაზიმცნია მეტრაპეზისაჲ, რომელ არავინ აღვადგეს წინა 72, 6; წესი იყო მამისა ჩუენისაჲ, რომელ ეკლესიას დაიუბნის

ძმანი 74, 1; ესრეთ ვიხარკოთ, რომელ შეკრებაჲ ჩუენი ამას წმ. ადგილსა არა ცუდად იყოს 77, 10; ნუმცა რაჲ დააკლდების ეპისტატსა, რომელ არა შეწუხდეს 97, 3; დაუმოწმე, რომელ უჟამოდ არა მოვიდოდინ 95, 4.

რომელ-ი-მე ზოგი. რომელიმე ლაშქართა განუყო და რომელიმე თუთ დაიმჭირა 21, 8.

რომელ-ი-ცა. რომლითაცა სახითა 19, 15 როგორღაც.

რორინ. ესე ადგილისა მრორინენი მონაზონნი 95, 3 [„რორინება“ ხეტიალის მნაშენლობათ (ходить, скитаться) დამოწმებული აქვს ნ. მარს იპოლიტეს გამოუცემელ თხზულებათაჲთა: TP III, გვ. XLIX. შდრ. აგრეთვე: მრავალ მრორინეთა მათ და მიწყითთა მთხოველთა მეკარე განისტუმრებდეს; არა კელ-ეწიფების მიმოვლად სახლითისა ხლად შინაგან მონასტერსა: ვაჰანის ქებათა განგება. ლ. მუსხელიშვილის გამოცემა, 69, 21—24); რაჲსა გამოხედით ხილვად, ლერწმისა, ქარისაგან რორინებულისა, მათ. 11, 7 C; გურიაში „რორინება“ დღეს ტარებას ნიშნავს: გაარონიე — გაატარე (რომ იაროს), გაასეირნე].

რუდუნება გაცირება. მრავალი შრომა და ქირი და რუდუნებაჲ ჩუენ ზედა მოაწიეს 117, 5.

რქუ, ა. მე ვარქუ 46, 4.

რჩევა, ი. ირჩიეს ძმათა 69, 5.

ი/უ (სტატ.). ამათი მირჩევია შეწყნარებაჲ 83, 10.

რჩულის კანონი 49, 43 (ეფთუმეს მიერ ნათარგმნი „რჩულის კანონი“ უკვე გამოცემულია: Н. А. Заозерский и А. С. Хаханов, Номоканон И. Постника в его редакциях грузинской, греческой и славянской. М. 1902).

რწმენა. გ რ წ მ ე ნ ი ნ, ძ მ ა ნ ო 83, 9
გჯეროდესთ.

რწმუნებულ მინდობილი, ჩაბარებუ-
ლი. სამწყსოჲ ესე მისდა რწმუნებუ-

ლი 118, 18; მათდა რწმუნებულსა
მას სამწყსოსა 6, 10; მისდა რწმუნე-
ბული იგი ტალანტი 50, 52.

ს

საბელ. გინა თუ ტყავი გინა თუ
საბლები გინა თუ სელი 101, 6.

საბეჭურ. მოკლე ჩასაცმელი უნდა
იყოს (უსახელო, ჟილეტის მსგავსი). და
ვინცა წუართის თჯიერ მიზეზისა, ანუ-
გემინის-სცის და ალაშენის: ანუ ჩოვითა,
ანუ საბეჭური თა, ანუ სხვთა რადთ-
მე სავმრითა 68, 27; მრავალ გზის გუზი-
ლავს, რომელ, გინა საბეჭური იყ-
ნიან გინა შესამოსელნი ანუ თუ კუნ-
კული. ცეცხლითა დაწუნის ზღუდესა
შინა 78, 2 ბ. (კ. კეკელიძე აპობს,
რომ ზოგ წიგნში ამ სიტყვის ნაცვლად
„პალეკარტი“ იხმარებაო. ეს არისო
იგივე, რაც ბერძნ. *ἐπάμιον*, და ათო-
ნამდელულ ძეგლებში უდრიდა სომხ. „შურ-
ჯარსაო“: *Иерус. канонарь*, 336).

საბრვე 5. საფრვე.

საგზალ. უსაგზლონი 118 ხ, 21.

სადა-ვე სადაც გინდა, *куда-нибудь*
არა აქუნ ჳელმწიფებაჲ სადავე მი-
ცებად, არამედ კელარსავე მისციან
103, 2 (შდრ. მოვიდოდეს მისა ვინაჲ-
ვქე, მარკ. 1, 45 *C*=მოვიდოდეს მისა
ყოვლით კერძო *D*); **სადა-ცა** 104, 15.

სადაჲთ საიდან. **სადაჲთ-ესე** საიდა-
ნაც. სადაჲთ-ესე გამოვიდა შჯული
4, 3 ბ.; **არასადაჲთ** 70, 7 არსაიდან.

სადაყუდებულო დაყუდებულის სა-
ყოფელი. მონასტერი და სადაყუ-
დებულონი 23, 10 (ეს სიტყვა თარგ-
მანი ჩანს ბერძნული „სონასტრისა“:
ἡσυχασίας—ყუდრო, წყნარი; *ἡσυχαστήριον*
სადაყუდებულო). ნ. დასაყუდებულო.

სადგურ გასაჩერებელი სახლი, სა-
სტუმრო. ერისონს მისცნეს სახლნი სად-
გურად მიმავალთა ძმათა 32, 11.

სადღესასწაულო 31, 14 დღესასწაუ-
ლების ლოცვებისა და საგალობლების
შემცველი წიგნი (*миняя праздничная*).

საერო 1. არა საეკლესიო. „საეროჲ
საქმე მონასტრისაჲ“ (89, 1) იყო: ნავის
გამოზიდვა, ვენახთა ასარება ან აჯოჯვა,
ყურძნის დაკრეფა (სთულებაჲ) და მისთ.
მოსენაეთა მოწაფენი ყოველსავე საე-
როსა სამსახურებელსა გავიდოდიან
97, 5.

2. საყოველთაო, საზოგადო. ზოგ-
ჯერ გარე განთხევაჲ უბრძანის და ზოგ-
ჯერ საეროსა საქმელსა თანა ჩასხ-
მაჲ 82, 5.

ს-ავ, ე. ვესავე ღმერთსა 19, 6;
55, 11 იმედი მაქვს ღწისა.

სავანე. სავანის ყოფა დადგომა. მერ-
მე წარიღეს მონასტრად, სადა-იგი სა-
ვანე ეყო 112, 1 ბ.

სავედრებელ სათხოვარი. სავედ-
რებელთა წიგნთათჳს 118 ხ, 19.

სავენავე (საქმე) 74, 4.

სავსებით. სავსებით და უნაკლუ-
ლოდ 80, 8.

საზრდელ საქმელი. საზრდელი-
თა და სასუმლითა 90, 7; საზრდე-
ლი მიიღეს 55, 17 პური ჳამეს; მიღება
საზრდელისაჲ 80, 7.

სათეხავ 90, 2 სათესი.

სათნო მოსაწონი. ღმრთისა ხათ-
ნოჲთა მოქალაქობითა ცხოვნდებო-

დეს 37, 5; ღირსთა და სათნოთა თვსთა გამოაჩინებს 1, 4; სათნოდ მისა აღასრულდეს ცხორებად თვისი 2, 4. **სათნო-ყოფა:** სათნო-ეყვნეს ღმერთსა 113, 12; 118 d, 20; სათნო-ეყვნეს უფალსა 119, 12.

სათნობა უადრესი ზნეობრივი სიფაქიზე ქრისტიანული მორალის მიხედვით. ყოვლითავე სათნობებითა სავსე იყო ნეტარი ესე: სიმდაბლითა, სიწრფეობითა და უმინკობითა 27, 7; სათანოებათა ყოველთა თავი მორჩილებდა არს სულიერთა მამათად და ნებისა თვისისა განკუთვამ 27, 1—2; უმეტეს ყოველთა სათნობებათა მოწყალებდა შეეტკობ 32, 21; მობაძაენი სათნობებისა მათისანი 1, 9; ძმათა სათნობებისათვის 97, 8 ძმების ხათრით(?).

საიდუმლო-ნი. წმ. ს. ქვს სერობის მოსაგონებლად შეწირული პურ-ღვინო, საზიარებელი. აზიარნა წმ. საიდუმლოთა 105, 20.

საკათალიკოზო ნ. კათალიკოზ.

საკელრო 100, 5. ნ. კელარ.

საკრებულო (საქმე) 74, 3. ნ. კრებულ.

საკუთარ ხასი, მეფესთან დაახლოვებული პირი. ფრიად საყუარელი და საკუთარი დავით კურაპალატისა 7, 7; ვითარ ესმა კოსტანტი მეფესა, წარაელინა თვისი ვინმე საკუთარი 113, 2; დიდად წარჩინებულ იქმნა გიორგი წინაშე რომანოზ მეფისა და დიდად საკუთარ და პატივცემულ 116, 3.

საკურთხევალ ეკლესიის ნაწილი აღმოსავლეთის მხარეს, რომელიც ოდნავ ამიღლებულია. საკურთხევლის შემოსილი 31, 10.

სალაშქრონი (საქმენი) 29, 2. ნ. ლაშქარ.

სალმობა ტკივილები, ავადმყოფობა. სალმობასა შინა განკატულმან 38, 1.

სამ. ამით სამითა საქმითა 93, 5.

სამ გზის განსაზღვრება „სანატრელისა“ (ნ.); ორ-კეცად და სამ-კეცად 59, 3. 5.

სამამო 68, 15; 69, 6; 74, 5 მონასტრის მამის (ე. ი. წინამძღვრის) მისალეზი ოთახი ან საყოფელი. ნ. მამა.

სამართალ სიმართლე. რეცა სამართალი შესწევდა 118 c, 11 ვითომც სიმართლაც მათ მხარეზე იყო.

სამართლობა ჩივილი. ლავრისა სამართლობასა და დამტკიცებასა 118 d, 12.

ე. ვესამართლებოდით მეფეთა 118 ხ, 24 ვუჩიოდით მეფეებს (შდრ.: ჩუენ სამეფოს შევედით და დავესამართლენით: ალაპები, 249).

სამარხო, სამარხვო სამარე, საფლავი. გუამნი მათნი დაისხნეს საფლავისა შინა... ერთსა შინა სამარხვოსა 104, 2 ბ.; ნაწილნი მისნი აღმოიყვანნეს თვისსავე მონასტერსა და დაისანეს სამარხოსა ლუსკუმისა 113, 15; გაუკუეთეთ ზეთი სამსახურებელად სამარხოსა 119, 5.

სამე სადმე. რა უცხოებასა სამე წარვიდე 33, 22.

სამეუფეო, სამეფო 1. (ზედსართ.) მეფისა. სამეუფოთა წიგნთა შინა 16, 1 ბ.; ეა პატივსა და ნიჰსა სამეუფოსა 33, 1 ბ.; უკუეთუ დიდი რამმე საქმე არს, გინა სამეფოა გინა ბჭისა 74, 2.

2. (უმეტესად „სამეუფო“-ს ფორმით) კონსტანტინეპოლი (ნ. გეოგრ. სახელებში).

სამზარეულო 96, 3. შევიდის მამად სამზარეულოს და უკუეთუ კოჭობნი იხილნის ცეცხლის კიდესა, იკითხის მზარეულისაგან 82, 2—3.

სამკვდრებელ საცხოვრებელი ადგილი. ალაშენეს დიდებული ესე ლავრა

სამკვდრებელად ქართველთა 18,41; დაპყრობა სამკვდრებელისა ჩუენისა 113, 43.

სამოსელ. არნ სამოსლად მისა ძაძა 108, 10. ნ. შესამოსელ.

სამსახურებელ 1. (მიმლ.) მსახურებისათვის დანიშნული. გაუკუეთეთ ზეთი სამსახურებელად სამარხოსა მათ წმ. მამათაჲს, რომელ იმსახურებოდის თუესა მისსა იგ 119, 5—6.

2. საქმე: ა) საეკლესიო (წიგნის კითხვა, წარდგომა და სხვ. 59, 7) ან ბ) საერო (ნავის გამოზიდვა, ვენახში მუშაობა და სხვ. 89, 1; 97, 8). მზარეულის სამუშაოც „სამსახურებელი“ იყო: ეუთუვე ეუბნება მზარეულს: შიშითა ღდა იქმოდე, ძმაო, სამსახურებელსა ზენსა 70, 15. ზოგი სამსახურებელი იყო სუბუქი (60, 8), ზოგი კი შიძიმე (არა უშიძიმდა 90, 5; არა თუ უშიძიმნ 93, 3), ზოგი მითვანი კიდევ (მაგ., ჯორის მოვლა) იყო უნდო და შეუოაცხი (9, 5). ათონის ქართველთა მონასტერში ბევრი ხალხი იყო საჭირო „სიერცისათჲს მონასტრისა და სიმრავლისათჲს სამსახურებელთადასა“ 115, 18. სინონიმებია: მსახურება და საქმე.

სამწყსო. კეთილად დამწყსო სამწყსოდ ესე 118, 18; უძლოდეს მათა რწმუნებულსა მას სამწყსოსა ნ. 10; სამწყსოთა თჳსთა 118 ც, 18.

სამკვლელ 1. (ზედსართ.) 74, 4. **2.** (არს.) 98, 3.

სამხარ. როგორც ჩანს, სამხარი ჩვენს ძეგლში დღევანდელ სადილს უდრის. თითქო მონასტერში მარტო ორი ჯერი იყო: „სამხარი“ და „სერი“, ე. ი. „სადილი“ და „ვენახში“. ესრეთ დავმცნო: უკუეთუ ესე ადგილისა მროორინენი მონაზონნი მოვიდოდინ, უკუეთუ მწუხრსა მოვიდენ, ისერონ და სამხარი ჳა-

მონ და გაუჯმენ 95, 2—4; კლარნი სამხრად ყოვლადე სატრაპეზოს მივილიან 96, 4.

სანატრელ მამათა ეპიტეთია. ამით ღირსთა და სანატრელთა მამათა ჩუენთა 30, 1; სანატრელმან მამამან ჩუენმან იოვანე 38, 1; სანატრელი არსენი 104, 2. იგივეა, რაც ნეტარი (ნ.), ოღონდ „სამ გზის“ მარტო „სანატრელთან“ ითქმის: სამ გზის სანატრელი 113, 8.

სანუკვარ მოსაკითხი, საჩუქარი (სასმელ-საქმელი?). სანუკვარსა წარსცემნ 68, 24.

საპარიკონომოსო 98, 3 ნ. პარიკონომოს.

საპატიო. საპატიოთა კაცთა 64, 6.

საპყარ დავრდომილი, უძლური (რომელსაც თვითონ მოძრაობა არ შეუძლია). მაგრამ ქვემოთ მოყვანილ მაგალითში სხვა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს: ნახევარი საფასისა თჳსისა ეკლესიასა შეწირის და ნახევარი საპყარად მისცის 87, 2.

საპყრობილე. საპყრობილედ შეწყუდევა 118 ბ, 30.

სარ კიგო, ხარდანი (ვენახისთვის შედგმული ჯოხი). ვინათვან ახალ-ნერგ იყვნეს ვენახნი, ყოველთა სართთა განგება და უნდა 89, 5; **ასარვა.** ვენახთა ასარვასა 89, 3.

[**სართ** სართად და კიდევანად ყოველთა მოლუაწებათა (სჯ. 61, 5)].

სახო, სახოება იმედი. სასოდა მის ჩუენისა 46, 12; სასოება და წარვიწირე ცხორებისა მისისა 45, 10.

სასულე. ჩუენ სასულენი ვართ ეკლესიისანი და სასულეთაგან ღივევითართა საქმეთა არა ეძიებს 104, 16.

სახუმელ. ჩვეულებრივ იგულისხმება ღვინო. საზრდელითა და სასუმლითა 90, 7; სასუმლისაგან 72, 4.

სახურველ. სასურველნი და საყურელნი შვილნი 41, 1.

სასყიდელ მისაგებელი, სამაგიერო. რა განამრავლო სასყიდელი შენი ღრისაგან 47, 4; რა სასყიდელი შენი არა წარგიწყმდეს 70, 1 ბ.; და ჯერგიხსა, რა მაგის ყოვლისა მალლი და სასყიდელი წარიწყმიდო 79, 19.

სატრაპეზო სასადილო. უკუეთუ ქმნის-და, სატრაპეზოს არა შეუშუს 61, 6; რა არა დაეყოვნოს ძმათა სატრაპეზოს 69, 7; კელარნი სამხრად ყოვლადვე სატრაპეზოს მივიდიან 96, 4; უხუებით ჰქონდა (კელარსა) მისაცემელი სატრაპეზოს 98, 14. ნ. ტრაპეზ.

საუკუნე 1. (ზედსართ., ამ შემთხვევაში მისი ბარალელური ფორმაა: **საუკუნო**). შესღვად ცხორებასა საუკუნესა 2, 18; საუკუნეთა მათ სიტანჯველთაგან 118 d, 17; საუკუნომცა არს საცსენებელი და კურთხევა მათი 118 d, 11, 13; მის საუკუნოდსა განკითხვისაგან 68, 11; წარვიდეს ცხორებად საუკუნოდ 118, 15.

2. (არსებ.) მას საუკუნესა მწარედ გაისჯებით 68, 9; რნი საუკუნითგან სათნო-ეყვნეს რა 113, 12; 118 d, 20; 119, 12. განსხვავება ზედსართავსა და არსებითს შორის ნათლად ჩანს ამ წინადადებაში: რა საუკუნესა მას მომაველსა ცხორებად საუკუნოდ დაიმკდროთ 41, 10—11.

საურავ ურვის საგანი, ზრუნვის საგანი. აპოთიკი, ბოსტანი და წისკლნი კელრისა საურავნი იყვნეს და ამათგანსა, რადცა ვის ევმარებინ, კელარი ეურავინ იკონომოსსა თანა და მამასახლისსა 98, 1—3; ყოველი ზრუნვად

და საურავნი მონასტრისა 50, 4; დიდსა ათანასის მისდა მიენდო საურავნი და დახედვად და განგებად მისი (დიდისა ლავრისა) 88, 7; ერისა საურავთა თანა 88, 1; ევ დაურვებად მდე ყოვლისა საურავისა 112, 4; უფროსნი წიგნნი ღამით უთარგმნიან ფრიალისა უცალოებისაგან და საურავთა 50, 1 ბ.; მთაწმიდელთა უფროსნი საურავნი მის ნეტარისა მიერ იურვებოდეს 50, 9. ნ. ურვა.

საუფლო. საუფლონი იგი მცნებანი და ბრძანებანი 2, 7; საუფლოთა მათ ბრძანებათა მიერ 2, 12.

საფასე ფასიანი რამ, განსაკუთრებით კი ფული. თუსითა საფასითა იყიდნეს 23, 11; ურიცხვთა საფასითა და განძითა 26, 2; ფრიალი საფასე განუყვეს 30, 6; ესრეთ მხიარულ იყო სენსა მას ზელა სასტიკსა, ვითარცა საფასესა ზელა დიდძალსა 33, 2 ბ.; არამცირედი საფასე მიეცა მონასტრისა 79, 2; ნუ ეხუეკ საფასისა დაკლებასა 91, 4; საფასისა სიხარბითა 118 c, 2 ბ.; დიდნი საფასენი 30, 1; საფასითა დიდითა 83, 1; გინა საფასე მოიგის 78, 8; საფასენი და მონაგებნი 79, 16; ნახევარი საფასისა თუსისა 87, 1; ფრიალი საფასე 86, 3.

საფრვე, საბრვე. ეგე, შვილო, მტერისა საფრვე არს 94, 5; საბრვეთაგან ეშმაკისათა 119, 3 ბ.

საქმე 1. (ჩვეულ. მნიშვნ.). უძნდა საქმე ესე 54, 3; 115, 5. „საქმე“ შეიძლება ყოფილიყო დიდი ან „წურილი“. დიდად ითვლებოდა სამეფო, ან ბკისა, რომლებზედაც ეკლესიაში გაიმართებოდა კრება. საკრებულო საქმეები კი (სამკედლო, სახუროვნო, სავენახე და სხვ.) წვრილად ითვლებოდა და მათ შესახებ მსჯელობა სავა-

შოს იმპარატობადა ხოლმე. წვრილ-წვრილ საქმეებს მამა უძღვებოდა იკონომოსის საშუალებით (74).

2. რამე. ამით სამითა საქმითა 93, 5; ესევეთართა საქმეთა 104, 17.

სალმრთო. საღმრთოთა მოქალაქობითა 6, 6; წიგნნი საღმრთონი 48, 8; საღმრთოთა მისთა მცნებათა 41, 13; საღმრთოთა მათ და მალათა საქმეთა მიერ 2, 11.

საყოფელ საცხოვრებელი (ოთახი ან ადგილი). ნეტარისა მის საყოფელი სიმაღლესა იყო, ვოდროსა ზედა მაღალსა 58, 6; ადგილი ჩუენი და საყოფელი 118 b, 36.

საყუარელ. ფრიად საყუარელი იყო მამისა იოვანესი 33, 9; სასურველნოთა საყუარელნო შეილნო 41, 1.

საშოვალ (ზმნიზ.) შუაში, ცენტრში. სკამები საშოვალ დადგიან 59, 4; (თანდ. მიც. ბრუნვასთან). საშოვალ ეკლესიასა 59, 3.

საშუვალ. უკუეთუ (ღჯნო) საშუვალი იყოს, ჯერისაებრ ურთე (წყაღლი) 70, 9. ნ. ღჯნო.

საჩინო 1. ნათელი, რომელიც ჩანს. ცხად არს და საჩინო 2, 2.

2. გამოჩენილი, ცნობილი. საჩინოთა კაცი იყო 51, 9; ეგევეთარმან მან განთქმულმან და საჩინო მან კაცმან 26, 6; საჩინოთა მთავართა შორის დავეთ კურაპალატისათა 7, 3; სადღესასწაულოთა საჩინოთა წმიდათა 31, 14; საყდართა შორის საკათალიკოზოთა საჩინო არს და წარჩინებულ საყდარი წმ. ეპიფანე კვარელისა 57, 1.

საცვალ ნ. საწვალ.

საძირკუელ. საძირკუელით განაღვაშენე ლავრა 40, 9.

საძულელ. საწუნელ და საძულელ მათა 118 b, 5.

საწანგრო 98, 2 სახარაზო, ფესხაც-მელების სახელოსნო (ღჯყიონ წალა, ღჯყადრიც ან ღჯყადრის მეწალე). ს. ყაუხჩიშვილი ფიქრობს, რომ სიტყვა ღჯყიონ ბერძულში ქართულიდან არის შესული და იქედან შემდეგ ქართულსა და ქანურს დაჰბრუნებია ბერძნული ფორმით: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. III, 1936, გვ. 265—6).

საწელიწდო. სუნაქსარი საწელიწდო 49, 34.

საწვალ. ყოველსავე იგი (ეფთვმე) მისცემნ ვიდრე საწვალადმდე და ნემსადმდე 7, 2. ასე იკითხება ძირითად ხელნაწერში (A-ში). სხვა ხელნაწერებში ასეთი ვარიანტებია: საწვალადმდე BD, საწულადმდე C. რადგანაც ყველა ხელნაწერში წ იკითხება, ამიტომ აქ „საცვალი“ (როგორც აკად. ი. ჯავახიშვილს გადაეწორებინა: ვიდრე საწვალადმდე) გამოირიცხული უნდა იყოს. ფუძედ მოსალოდნელია წვალ, საიდანაც გვაქვს წვალეზა „გაყოფის“ მნიშვნელობით. **საწვალი** დღევანდელ ენაზე იქნებოდა „საყოფი“, „გასაყოფი“ (რითაც რაიმე იყოფა ან რაც გაიყოფა), მაგრამ რას ნიშნავდა ის რეალურად, ამჟამად ნათელი არ არის; შეიძლება „ძაფი“ იყო [ამას უნდა დავსძინოთ, რომ „წულე“ ფუძე „უ“-ს მოგვეცემდა და არა „ვ“-ს (ვიდრე საწულადმდე): შდრ. მოწულე ქუძუთა მათგან სძწ: იპოლ., ქებ. 2, 41].

საწინააღმდეგეველი 31, 13 წინააღმდეგეველთა წიგნების შემცველი კრებული.

საწულთრო ქვეყანა. საწულთრო 40, 3; ამასცა საწულთროსა 41, 10.

საწვარ მოსახლამი (ნაბდისა?), წვიმისაგან დასაცავად. ყრმანო, საწვარები უკუანა წაიღეთ 55, 11; რომელთა

ძმასა აქუნდა საწკმრები 55, 19 (რომ „საწკმარი“ ქოლგა არ არას, იქედან ჩანს, რომ სჯნაქსარულ რედაქციაში ნათქვამია: ხ ეფთჳში შეიმოსნა საწკმარნი თჳსნი 58, 2).

საწუნე 90, 3 რისგანაც წვნიანი საქმელი კეთდება: ლობიო, მუხუდო, ცერცივი, ოსპი და სხვ.

საწუნელ. საწუნელ და საქულელ 118 ბ, 5.

საწყალბელ-ი 105, 4.

საწყინო მოსაბეზრებელი. რა არა საწყინო ვიქმნეთ შკითხველთა და მსმენელთა 30, 8.

საჭირო აუცილებელი. საჭიროდ რადმე საქმე 71, 7; 97, 7; საჭიროდ საქმე 61, 3; გარეშე საჭიროდსა და უნდოდსა ჯორცთა საჭმრისა 104, 10.

საჭმელ. აქედან: **უსაჭმლობა** 60, 11 უქმელად უოვნა.

სახე. 1. გვარი, იწყავ. რომლითაც სახითა გნებავს 19,5 როგორაც ვნებავს, რანაირაც ვინდა; რომლითაც სახითა 19,15 როგორაც; ამით პირითა და სახითა 118, 5 ანგვარად, ანაირად; ნუჟუჟე ამის სახისათჳს 29, 7 ვითთუ ამგვარი რამის გამო; რეცა განცხრომის სახელ 55, 10 ვითომც ხუმრობის გვარად, ვითომც ხუმრობით.

2. ვითარება. ვიდრემდის სახე ვანიგის 72, 8.

3. ნიშუში, მაგალითი. წინა სხენან სახელ სათნოებისა 2, 15; სახელ დაყუდებისა 49, 23 (ეს მაგალითი ცოტა მიეჭკვება. შდრ. რადთა იყვნენ სახე ყოველთა სათნოებათა: იაკ. ჟამისწირვა 96, 15); ვითარცა სახელ 118, 27 როგორც მაგალითად (შემდეგ ჩამოთვლა მოსდევს).

4. ბერობის არსებითი ნიშანი (გარეგანი თუ შინაგანი), მონაზონობის სქე-

მა (სჯუა), რომელსაც „იმოსენ“: სახე მონაზონებისა შევიმოსე 17, 7; შე ჩემთა ცოდვათათჳს შევიმოსე სახე ესე 19, 10; რა სახე მონაზონებისა ველთა შენთაგან მიიღონ 51, 15; ბოვა ვინმე საწყალბელი, სახითა მონაზონი 105, 4 (შდრ. „შემოსა მე სქემა მონაზონებისა“: ანტ.-რავახის ცხორ.).

სახელ 1. რომლისა-იგი სახელი ოდენ 5, 6. **2.** განთქმულობა. რომლისა-იგი სათნოებათა სახელი და ღირსება 118, 24. [115, 9.

სახელთან-ი 83, 4; **სახელოვან-**ი **სახიერ** 41, 12 ღვთის ებითეცია. **სახიერება:** სახიერება მან 2, 10; სახიერებითა 1, 4; სახიერებასა 40, 5.

სახუროვნო (საქმე) 74, 4 ხუროს შესახები.

საჯედარ საჯდომი ცხოველი (ცხენი, ჯორი ან ვირი). რომელ მოილო ოქროდ და სტავრად და საჯედრად, უფროდს ოცისა ლიტრისა იყო 84, 8; დამისხენ საჯედარსა 112, 13 (ე. ი. შემიკაზმე საჯედარიო). შემდგომიდან ირკვევა, რომ აქ „საჯედრად“ ჯორი იგულისხმება: ხ იყო ჯორი ეგი ახლად სყიდული 112, 14. შემდეგ ამავე ჯორის შესახებ ნათქვამია: ვითარცა დახელნა მანკიერმან მან საჯედარმან 112, 19 [ა. ნატრო შვილს ის საჯედარი, რომელმაც ეფთჳშე გადმოაგდო, ვირი ჰგონია (ислица), რაც დღევანდელი ვაგების ბრალია (Иверский монастырь на Афоне, 1910, გვ. 214)]. ასევე ფიქრობდა შ. საბინინიც.

საჯმარ 1. (მიმღ.) მოსახმარი. მათდა საჯმარად 102, 4 მათ მოსახმარად, რომ მათ მოეხმარათ.

2. (ზედსართ.) საჭირო. საჯმარ არს 40, 3; ოდეს კულა რადმე წარსაცემედ აღ საჯმარ არნ 98, 9; სადაცა საჯმარ

არნ წარსაცემელად 98, 15; ფრიალი ერი საკმარ იყო სივრცისათვის მონასტრისა 115, 17. (კაცი), დიდად საკმარი ეკლესიისა 86, 1.

3. საჭირო ნივთი (ტანისამოსი, იარაღი, ჭურჭელი, სასმელ-საჭმელი და სხვ.). შესამოსელი გინა სხუად რამდენ საკმარი 79, 23; ნუგეშინის-სცის და ალაშენის: ანუ ჩოკითა ანუ საბეჭურითა ანუ სხუთა რამდენ საკმართა 68, 28; შენ განზრწნადას საკმარსა აღირჩევ უფროდს ძმისა შენისა და არა გეკდიმებისა 79, 26 (საუბარია კვართზე); ფრიალნი საკმარნი და მონაგებნი მისცნეს 30, 5; ყოველსა საკმარსა მათსა უხუებით მისცემდა 35, 2 ბ.; გარეშე საჭიროდსა და უნდოდსა ვორცთა საკმარისა 104, 10; ყოველისა ვორციელისა საკმარისაგან უზრუნველ-გეყენეს ძმანი და ყოველსავე იგი მისცემნ ვიდრე საწვლადმდე და ნემსადმდე 78, 1—2; კელრისადა დაემცნა საკმარისა მიცემაძ ძმათა და ჯელოანთა: გინა თუ გაკუთილი მათი გინა თუ მეტსა ვინ ითხოვნ... სხუად კულა საკმარი იკონომოსისაგან ითხოვიან: გინა თუ მოგუნი გინა თუ ჩაფლანი გინა თუ ტყავი გინა თუ საბლები გინა თუ სელი 101, 1—6 (შდრ. „არა აქუნდა მათ ცული და წერაქვ, არცა სხუად ეგვეთიარი საკმარი: ხანძთ. 7, 39—40).

საჯსენებელ. და ჩუენი საჯსენებელი ამოსწყუდოს 118 d, 3; საუკუნომცა არს საჯსენებელი მისი და კურთხევა 119, 11; საუკუნომცა არს საჯსენებელი და კურთხევა მათი 118 b, 16; 118 d, 11, 13.

საჯორე. საჯორეს ყოველნი ძმანი იყენიან მეჯორედ 93, 1 (საჯორე იკონომოსის გასაგებელი იყო: 98, 3).

სევასტოფორ (σεβαστοφορος) „კაცი წარჩინებული მთავართა შორის დედოფლისათა“ 16, 9.

სელ 90, 3; 101, 7.

სენ ავადმყოფობა. ნიკრისისა სენსა მთავარდა 33, 29; მხიარულ იყო სენსა მას ზედა სასტიკსა 33, 2 ბ.; სენითა მძაფრითა შეპყრობილ იქმნა 45, 8. აქედან: **სნეული**-ი — **სნეულეზა**-ი. მრავალნი წილნი დაყვნა სნეულეზასა შინა 50, 6.

***სენა** იგივეა, რაც სენაკ-ი (ნ.). აქედან: მოსენაე (ნ.).

სენაკ ქობი, ოთახი. ეკლესია ალაშენეს და სენაკები 15, 8; განვალეკარი სენაკისა 45, 18; მახლობელად სენაკსა გაბრიელისსა აქუნდა სენაკი... და ვითარცა შებნეულნი, გამოვიდნან სენაკთაგან 52, 3—6; წარავლინებნ სენაკებსა ძმათასა 60, 3; სენაკსა თუსსა 69, 3; არა გეყოფისა სენაკსა შინა ძილი 94, 3; თვთ შთავიდოდა თუსსა სენაკსა 105, 9; სენაკსა შინა მოლუაწებათა მისთა აღრაცხეად 108, 8; მოიცალა და თუსსა სენაკსა დაჯდა 109, 7.

სერ საღამო (ციტატი ნ. სერობასთან).

სერობა 1. ი, ვახშობა. უკუეთუ სერსა მოვიდენ, ისერონ და სამხარი ჭამონ 95, 3.

2. უკანასკნელი ციკლი ლოცვებისა, რომელიც ნაებაშმევს იკითხება. რად სერობისა ილოციან 66, 1.

სთულე-ი. აქედან: **სთულეზა** ყურძნის კრეფა. გინა თუ ვენაქთა ასარვისა გინა თუ აჯოჯვასა ვინა თუ სთულეზასა 89, 4.

სიგრილე გულ-გრილობა. ფრიალი სიგრილე იხილვების ჩუენ შორის 6, 4; სულ-მოკლებად და სიგრილე 6, 13;

სივლტოლა გაქცევა. სივლტო-
ლა იჭუშია 8, 7 გაიქცა. ნ. ვლტ.

სივრცე обширность. სივრცე
ადგილისა ამის დიდებულისაჲ 118, 19;
სივრცისათჳს მონასტრისა 115, 17.

სიმაჲრ. სიმაჲრი მამისა იოვანე-
სი 10, 6.

სიმაღლე. მის ნეტარისა საყოფელი
სიმაღლესა იყო 58, 7.

სიმაღბლე 27, 7 თავმდაბლობა (სა-
თნოების ერთ-ერთი სახე).

სიმედგრე სიჯიუტე (?). სიმედგრე
მისი (ჯორისაჲ) და ზნოანებაჲ 112, 15.
ნ. მედგარ.

სიმტკიცე 1. რომლისაჲ არს დიდე-
ბაჲ, სიმტკიცე და სუფევაჲ 118 d, 21.

2. სიგელი (ციტატი ნ. კელით-წე-
რილთან).

[სიმძაფრე. სიმძაფრითა მით
წკმისაჲთა (სუნ. 59, 1)].

სიმჳნე. წინა სხენან სიმჳნედ
ახოვნებისა 2, 17.

სიტკბოება. ფრიადი წყალობაჲ და
სიტკბოებაჲ 118 c, 22.

სიტყუა 1. შეტყველების უნარი. არ-
ცალა სიტყუაჲ დარჩომილ იყო მის
თანა 45, 11.

2. კმათი. ენება სიტყუად 54, 3.
ამ მნიშვნელობით უფრო ხშირია **სი-
ტყჳს გება.** განგრძობილად სიტყჳს
გებაჲ იქმნა 11, 1.

სიყრმე ბავშვობა. სიყრმითგან
111, 5; სიყრმითგანვე 45, 4. ნ.
ყრმა.

სიწმიდე 1. სამღვდლო პირისადმი
ზრდილობიანი მიმართვის დროს სახმა-
რებელი სიტყვა, რომელსაც „შენი“ ან
„თქუენი“ უნდა ახლდეს; ამასთანავე ზმნის
ფორმა მეორე პირიდან მესამეში გადა-
დის და ამით აცილებულია პირდაპირი
მიმართვა. ვევედრებით სიწმიდესა
თქუენსა 16, 15; 36, 6 (= გვევედრე-

ბით თქუენ, წმიდანო მამანო); ჩუენ დი-
დი საუფარული გუაქუს სიწმიდისა
თქუენისაჲ 33, 18; უნებელი სი-
წმიდისა თქუენისაჲ არა ვარ 27, 10.

2. ბარძიში შემზადებული საზიარე-
ბელი მასალა („წმ. საიდუმლონი“). ვი-
თარცა სიწმიდე შეიყვანეს 56, 5
(შდრ. „ბარძიმი, რომელ არს სიწმი-
დეთა შთასახმელი“: კონდაკი, წესი
სამღვდლოჲსა წირვისა).

სიწრფოება 27, 7 გულ-წრფელობა;
ალალ-მართლობა (სათნოების ერთ-ერ-
თი სახე). სიწრფოებით 29, 7 გულ-
წრფელად; უმანკოებით და სიწრფოე-
ბით 118, 21 (სინონიმური გამოთქმა).

სიჭაბუკე ახალგაზრდობა. ჟამსა სი-
ჭაბუკისა მისისასა, ვიდრე ყრმა-ლა
იყო 45, 8.

სკამ. სკამები საშოვალ (ეკლე-
სიასა) დადგიან და, ოდეს ჯერ-არნ,
...დასხდიან 59, 5; რომელნი მეტადრე
უძლურნი იყვნინ, მათდა ებრძანა, რო-
მელ შტოსავე შინა სხდენ იგინი სკამ-
თა ზედა 75, 4.

სკარამანგ (σκαραμανγκον, σκαραμανγ-
κον) საწვიმარი მოსასხამი (?). (შეწირ-
ნა) ორნი სკარამანგნი და ორნი
ჯორნი 32, 6 (შდრ. სკარამანგნი
დიდნი გარე-შეყოფილნი, ვეცხლისა
გრგოლითა შეკაზმულნი: ბაგრატ მეფის
სიგელი 1040 წლ., თ. ჟორდ., ქრონ.
I, 184, 12).

სმ-ენ-ა, ა. ასმიოდა 13, 2; 33, 5
ესმოდა.

სნეულე 5. სენი,

სოფელ 1. ქვეყანა. სოფელი ესე
80, 3; რაჲ დაგიტევებიეს სოფელსა
შინა 79, 14; ამის სოფლისაჲ 8, 2, 4;
34, 3; ამის სოფლისავე შფოთთა
17, 10; შფოთსა სოფლისასა 57, 7;
ამიერ სოფლით 77, 11; საქმენი
სოფლის შესაქმისანი 2, 7 ქვეყნის გა-

ჩენის ამბები; დასაბამითგან სოფლი-
საათ 2, 18; 114, 3.

2. სოფელი (ახალი მნიშვნელობით).
ადგილნი და სოფელნი 24, 2; და-
ბანი და სოფელნი 4, 12 (ტაგტო-
ლოგიური გამოთქმა); ყოველნი სო-
ფელნი 90, 1; გარე სოფელთა 92, 3.

სოფლიონ ნ. მსოფლიონ.

სოხასტერ (ήσαχαστήριον) სადაყუდე-
ბულო (ე. ი. სადაც დაყუდებამ, ήσαχασ-
სადაც მღუმარედ და წყნარად არიან).
სადაცა სოხასტერთა მონასტრისა-
თა ენების დაჯდომამ 115, 23 [ქართველ-
თა მონასტერს ათონზე მრავალი სოხა-
სტერი ჰქონდა (А. Натроев, Ивер-
ский монастырь на Афоне, 1910, გვ.
186)].

სპასალარ (სპარს.) 20, 3.

სრულებით 45, 4; სრულებით და
დაუკლებელად 58, 4.

სრულიად. სრულიად ბერძენთა
მიექცა 118, 37.

სრულ-ყოფა შესრულება. რომელმან-
მცა სრულ-ყოფებამ გულისა მათი-
სად 16, 7.

სტავრა (σταυράριον) ძვირფასი ქსო-
ვილი, ფარჩა. ოთხთავი სტავრაათა
შემოსილი 31, 14; ოქროდ და ვეცხლი
და სტავრაად 21, 9; ოქროდ და ვე-
ცხლად და სტავრაად და საწედრად
84, 7.

სტოვა, სტოა ნ. შტო.

სტრატელატ (στρατηλάτης) 49, 48
სპასალარი.

სტუმარ. სტუმრის მოყუარე-
ბად 42, 1.

სტუმრება, ი, სტუმრად მიღება; გა-
მასპინძლება (ი/უ). რა ერისგანთა იგი-
ნი ისტუმრებდენ და უჯმნიდენ
95, 5.

სუბუქ (სპ.). უკუეთუ სუბუქი ღვ-
ნოდ იყოს 70, 8; სუბუქთა სამსახუ-
რებელთა 60, 8.

სუნაქსარ (συναξις) კრებული, რო-
მელშიაც მოთავსებულია წმიდათა შემო-
კლებული ცხოვრებანი თვეებისა და
დღეების მიხედვით. სუნაქსარი სა-
წელიწდომ უმცროსი 49, 34. დიდ სუ-
ნაქსარში შეტანილი იყო „წესნი ეკლე-
სიისანი და განგებანი ყოვლისა წელიწ-
დისანი“ 58, 3.

სუნგლოზ (σύνελλος) 42, 6 პატ-
რიარქთან დაახლოებული ბერი, მას-
თან მცხოვრები და თანაშემწე.

სულ 1. (=ψαχή) სულნი წარჰკ-
დეს 54, 11 შოკდა; გჰვონებდი სულ-
თა აღმოსლვასა 45, 11; წარმწყმედელი
არს სულისად 107, 4; აცხოვნე სუ-
ლი ჩემი 27, 12.

2. კაცი, პირი. სამისისა სულისა
ზრუნვად 50, 8; ნავთსაყუდელად სულ-
თა მრავალთა 118, 8; ესოდენტა სულ-
თა აცხოვნებ 51, 13.

3. რა არა სულ-მოკლე ვიქმნეთ
118 c, 32; სულ-მოკლებად და სი-
გრილე 6, 13.

4. თავი (უკუქცევითი სახელთნაცვ-
ლის მნიშვნელობით = არაბ. نفس). სულ-
თა დაღება 79, 25 თავის დაღება.

5. (=πνευμα). სახელითა... და სუ-
ლისა წმიდისადათა 119, 1; სულითა
შემოსილი 104, 3 πνευματισφόρος.

სულიერ. პირსა მისსა მსოფლიოდ
სიტყუად არა გამოვიდოდა, არამედ ყოვე-
ლივე საღმრთოდ და სულიერი 29, 15;
კათალიკოზი... საღმრთოდ და სულიე-
რი 53, 2; სულიერთა მიმათა 4, 4.

სურვილ. რაათა სურვილად მი-
სა აღვიძროვდით 2, 12. ნ. სასურველ.

სუფევა. რომლისად არს დიდებამ,
სიმტკიცე და სუფევად 118 d, 22.

სქემა (σχῆμα) სახე. სრულ-ყვნა იგი-
ნი სქემითა 105, 19 სრული წესი
შეუსრულა (გარდაცვლილებს)(?); სქე-
მის კურთხევად 49, 42. შდრ. სახე.

ხილა. სციდაა გინა ღვინსაა გინა თევზისაა 81, 1; **სციდულ-ი.** ხ იყო ჯორი იგი ახლად სციდული 112, 14; სახლნი შვდ ლიტრად სციდული 32, 11.

სწავება, ა 3. პირველად ქართული სწავლაა ასწავა 45, 3; ეუბნებინ, ასწავებნ, ამხილებნ 65, 4.

ი (პარალელურად: **სწავლება**). რაჲ-იგი ვისწავეთ კაცთა სარწმუნოთაგან 4, 4; რაჲთამცა ისწავლეს სწავლა და ჯელოვნება 92, 2.

სწავლა 1. წერა-კითხვა, წიგნის საქმე. პირველად ქართული სწავლაა ასწავა და მერმე ბერძულად გაასწავლა ყოვლითა სწავლულებითა სრულებით 45, 3—4.

2. დარიგება. სწავლაა მისი ვაწამალი ცხორებისა მითუაღიან 79, 3 ბ.

3. მოძღვრება. მორწყულ იყვნინ სულნი მათნი სწავლთა და მოძღვრებითა წმ. მამისა ჩუენისადათა 93, 4; სწავლანი წმ. ბასილისნი 49, 3; მაქსიმეს სწავლანი 49, 7; სწავლანი წმ. ზოსიმესნი 49, 32.

სწავლულ მეცნიერი, ნასწავლი კაცი. სწავლული ფრიად 54, 1; 111, 6. **სწავლულება** (მოწმობა ნახე 1 სწავლასთან).

სწორ. სწორად სიკუდილისა 19, 10 სიკუდილის ბაღლად.

სხდომა (სხედ || სხენ). ებრძანა, რომელ შტოსავე შინა სხდენ სკამთა ზედა 75, 4; წინა სხენან სახელ სათნოებისა 2, 16.

სჯულ ნ. შჯულ.

0

ტაბლა (tabula, ქართულში ბერძნულ-იდან) პურის ჭამა. ათონის ქართველთა მონასტრის სატრაპეზოში, ხალხის სიმრავლის გამო, პურის ჭამა ორ წყებად ყოფილა: **კელარნი** სამხრად ყოვლადვე სატრაპეზოს მივიდინ: ერთი პირველსა და მეორე მეორესა ტაბლასა 96, 4—5; ტაბლაა კეთილი განუშხადა 111, 2 კარვად გაუმასპინძლდა.

ტალანტ ქანქარი. აღაორძინა მისდარწმუნებული იგი ტალანტი 50, 2—3 (ავტორს მხედველობაში აქვს იგავი ტალანტის შესახებ: მათე 25, 14—29).

ტავევა, ი, უ. (გა)შევა. არა უტევებდა აღსლვად 105, 14.

ტკბილ. ტკბილსა მას თაფლსა წიგნთა საღმრთოთასა შურებოდა 48, 7; ტკბილო მამო 119, 2 ბ. **სიტკბოება** 118 ც, 22. ნ. დატკბობა.

ტრაპეზ (τραπέζα ტაბლა, მაგიდა)

1. საჭმელებიანი მაგიდა, გაშლილი სუფრა. ტრაპეზსა ოდესცა დაჯდის 70, 2; ტრაპეზსა ზედა 72, 2 ჭამის დროს; ოდეს ტრაპეზით აღდგის 70, 13; შემდგომად ტრაპეზით აღდგომისა 70, 6; ამის ტრაპეზისაგან კიდევ 70, 7 ამ სასამელ-საჭმლის გარდა; კმა არს ჩუენდა განსუენებად ტრაპეზისა 80, 7 ჩვენ უნდა გვეყოფინიდეს, რაც საერთო მაგიდაზე გვეძლევა.

2. სასადილო (=სატრაპეზო). ტრაპეზსა ვერ შევიდენ 63, 4. აქედან: მეტრაპეზე (ნ.) და სატრაპეზო (ნ.).

ტურფა (არ. طرف ახალი რამ, უცხო რამ, იშვიათი რამე). დიდნი საფასენი და მრავალნი ტურფანი შეწირნეს 30, 2 [ამის მიხედვით „საფასე“ და „ტურფა“ სხვადასხვა რამეა]; უფროს აღაორძინება

კენდინარისა მოილო განძი ოდენ, სხუათა ტურფათაგან კიდე 26, 3 [ამის მიხედვით „ტურფა“ შეიცავს განძსაც]; რადაც დრისტი ტურფა იყო, ყოველი იავარ-იქმნა და აგრეთვე განძი და კუმაში 116, 9 — 11 [ამის მიხედვით „ტურფა“ არ შეიცავს განძს, არც კუმაში]. [ციტატების მიხედვით გამოდის, რომ „ტურფად“ არ ითვლება ფული (საფასე), არც კუმაში; განძი კი შეიძლება ითვლებოდეს, შეიძლება არა].

ტართ-ი 38, 3.

ტყავ 101, 6. არ ჩანს, თუ რა დანიშნულებისა იყო აქ ნახსენები ტყავი.

შეიძლება ის იყო სახურავი ტყავი (ძილის დროს, საბნის მაგიერი, ბეწვებიანი), ან ბეწვებ-გაცლილი და გახელილი ჩაფლებისათვის ან დამუშავებული ეტრატისათვის და სხვ.

ტყვა გლოვა. ტყებითა ფრიადითა 113, 7.

1 **ტყუ ნ.** მოტყუება.

2 **ტყუ, ი.** იტყოდა ნეტარი იოვანე 45, 9. ე. ყოვლადვე ეტყუნ ნეტარი მამად ჩუენი იკონომოსსა 91, 1.

ტყუვილ. უცხო იყენეს ყოვლისა ტყუვილისაგან 4, 5; ტყუვილით 76, 2, 4.

უ

უაღრეს. განუმარტებდა ყოველსავე უაღრეს ცნობისა 54, 5; უაღრეს ქებისა აღმატებულ არს ჰაეროვნებად და შეუენიერებად ჩისი 118 c, 12.

უბადრუკ. მწარედ წარჰჭდა უბადრუკი იგი სული 105, 2 ბ.; ვადმე უბადრუკსა 111, 12.

[**უბან** ქუჩა. უბანთა შინა (სუნ. 58, 11)].

უბიწო. უბრალონი და უბიწონი 80, 5; ქალწულებად შეუხებელი და უბიწო 108, 13.

უბნობა ლაპარაკი. სოფლიოთა საქმეთა უბნობა და ჰამბავი უყუარდა 29, 2; ეკლესიასა შინა უბნობასა ვერვინ იკადრებდა 58, 1 ბ.; სენაკსა შეკრებად უბნობისათჳს 66, 2; უკუეთუ ვინმე იხილო გინა უბნობად გინა სიცილად 72, 2.

ტრაპეზსა ზედა ყოვლადვე არა უბნობნ 71, 2; მუნ ჯამადმდე ძნიად უბნობნ ქართულად 46, 8; უბნობდიან სიტყუათა საღმრთოთა 52, 7; ქართულად ჳსნილად უბნობდი 46, 6.

ე. სხუასა ნუგის ეუბნები 29, 13. ზედაჲს-ზედა ეუბნებინ 53, 5; მიერთგან მონასტრისა ძმათა არლარა ვის ეუბნებინ 53, 5; ეუბნებოდიან 29, 5.

უბრალო ბრალ-უტყონელი, უბიწო. უბრალონი და უბიწონი 80, 5.

უგულეებელს-ყოფა. არად ჩაგდება უგულეებელს-ყოფა 8, 5; უგულეებელს-ყვნა 115, 13.

უდაბნო. ადგილსა უდაბნოსა 35, 2 ბ.

უღებ ზარმაცი, არა გულმოდგინე. უკუეთუ იხილნის უღებნი და დაჳსნილნი 65, 3; ოდეს იხილის ძმათაგანი ვინმე უღებად და მოძილად 94, 2.

უღრტუნველად 12, 6.

უზაკუველ. უზაკუველი მორჩალებად 41, 4, 9. ნ. ზაკკვად.

უკაცრულ უმოსახლო, მოსახლეობისაგან დაცლილი. ბურღალთაგან ყოველნი სოფელნი ჳირსა შინა იყენეს და კინიუა უკაცრულ 90, 2.

უკეთურ არა კეთილი, ბოროტი. გიორგი უკეთური 118 b, 2.

უკუანა წაღება თან წაღება (?). საწვებრები უკუანა წაიღეთ 55, 11.

უკუანა-აქსენელ 1. (ზედსართ.) უკუანა-აქსენელთა ამით ჟამთა 104, 29.

2. (ზნნიზ.) 17, 2ბ.; 110, 2 ბოლოს. უკუანა-აქსენელ შეინანა 118 ბ, 4.

უკუე (ნაწილ., დაისმის მეორე ადგილზე). ამის უკუე მიზეზისათჳს 35, 13; დიდსა უკუე ლავრასა მისცეს 31, 1; თარგმნა უკუე, ვითარცა ვთქუთ 49, 1.

უკუეთუშვა ... შვა ნ. შვა... შვა.

უკუნითი უკუნისადმდე 119, 13.

უკუნქცევა, ი გნ., დაბრუნება (დ). უკუნქცევა 11, 7; 21, 10.

უმანკოება 27, 7 უბიწოება (სათნოების ერთ-ერთი ნიშანი). უმანკოებით და სიწრფოებით 118, 21.

უმგებარ 70, 13 უხარშავი, ხარშვა-დაკლებული.

უმეტეს. ორი წელი, გინა უმეტეს 12, 7; უმეტეს ყოველთა სათნოებათა მოწყალებად შეეტებო 32, 20; უმეტეს ყოველთასა 40, 8. **უმეტეს და უმეტეს** 41, 7; 110, 3 უფრო და უფრო.

უმეტარ არ-მცოდნე (უარყოფით ნაწილაკთან ხმარებისას დადებითი მნიშვნელობა ეძლევა, თანაც გაძლიერებული; შერჩენილი აქვს ზნური ძალა პირდ. ობიექტის მოთხოვნისა). არცა დიდი ათანასი უმეტარ იყო თორნიკის საქმესა 14, 5 დიდმა ათანასიმაც კარგად იცოდა თორნიკის საქმე; არა უმეტარ ხარ შენ 33, 13; არა უმეტარ არს ღირსებად შენი 79, 15.

უმოლხინეს უმჯობესი. არადა, უმოლხინესი პირველისა მის გიორგისი 118 ბ, 2.

უმრწემეს უმცროსი. ორნი ეპიტირიტისნი დაედგინნეს: ერთი უხუცესი და ერთი უმრწემესი 60, 2.

უმძიმეს. უმძიმესი ესე იყო 118 ბ, 1 უფრო ცუდი ეს იყო.

უმჯობეს. უმჯობესი ჩუენი 118 ბ, 12 რაც ჩუენთვის სჯობს; უკუეთუ უმჯობესი-რე იყოს 70, 9 თუ ცოტა უფრო კარგი იყოს.

უნაკლული. არარაათ უნაკლული იყენეს 3, 2; სავსებით და უნაკლული 80, 8.

უნდა ნახე ნ. უნდა თუ არა 10, 4; 17, 2; 34, 6 თავისი ნებით თუ ნების წინააღმდეგ.

უნდო უვარგისი, შეუფერებელი. გლახაკმან ამან და უნდომან 40, 3; ჯორთა მსახურებისა ლუაწლი და სხუანი უნდონი მსახურებანი 9, 5; უნდოთაცა გულის-სიტყუათა 27, 4; გარეშე საჭიროდსა და უნდოდსა გორცთა სანგმრისა 104, 10; ვანასხურნი რამე და უნდონი 115, 12.

უნებელ. უნებელი სიწმიდისა თქუენისაჲ არა ვარ 27, 9 თქუენი სურვილის წინააღმდეგი არა ვარ.

უჟამოდ 95, 4; 105, 12 უდროოდ.

ურგებ 1. უხარგებლო. უბნობასა ურგებსა 95, 10.

2. უშედეგო, უნაყოფო. ესრეთცა ურგებ იქმნა გელ-ყოფად მათი 118 ც, 16.

ურვა გასაჭირი, ზრუნვა. დიდსა ურვასა შინა იყენეს 55, 3; დიდსა ურვასა შინა ვიყუენით 118 ბ, 8 [ამავე მნიშვნელობით იხმარება ჭირი და ზრუნვა: ამის მიზეზისათჳს დიდსა ჭირსა შინა ვიყუენით 118 ბ, 4; დიდსა ზრუნვასა შინა იყენეს 16, 6].

ი გნ. მოვლა, საქმის გაძლოლა. მთაწმიდელთა უფროდსნი საურაენი მის ნეტარისა მიერ იურვებოდეს 50, 9.

ე. 1. მოვლა (ი/უ), ზრუნვა, განგება (ა). კელარი ეურვინ 98, 2; ყოველთა გლახაკთა ეურვიან 40, 8. აქედან: **მოურნე** (ნ.) და **საურავ-ი.** (ნ.)

2. (ობ. წყ.) გასაჭირში ყოფნა, დიდი წუხილი. ესრეთ რად ეურვოდა

118 ხ, 13; ესრეთ რაჲ ეურვოდეს 16, 8 ამ გასაჰირში რომ იყვნენ [მოსალოდნელი იყო: „ესრეთ რაჲ ეურვოდა“, ან სუბიექტური წყობით (როგორც BD-შია): „ესრეთ რაჲ იურვოდეს“].

ურთიერთარს ერთმანეთს. ურთიერთარს გამოეცხადნეს 14, 2; გაქუნდეს ურთიერთარს მშჯღობაჲ 41, 4.

ურჩი. უკუეთუ ბრძანებასა მისსა არა ურჩი ექმნებოდეს 63, 2 (საწინააღმდეგოა მორჩილ-ი); ვინაჲთგან შეუძლებელ იყო ურჩებაჲ, უნდა თუ არა, მორჩილ ექმნა მას 34, 5—6.

უსაგზლო-ნი 118 ხ, 21.

უსაჰმლობა. უღუნობაჲ და უსაჰმლობაჲ განუწყესის 60, 11.

უსისხლო ნ. მსხუერბლი.

უტყუ მუნჯი. უტყუ იქმნა 53, 11; 54, 11.

უტყუველ. ჰემარიტარს და უტყუველ 31, 1 ბ.

უფალ პატრონი. არცა თუ ფოლსა ერთსა ზედა უფალ იყო 26, 10 ერთი ფოლის პატრონიც არ იყო.

უფლება. ეგულებოდა რაჲ აღსრულებაჲ, ყრ ჯელმწიფებაჲ და უფლებაჲ ეფთჳმეს მისცა 39, 1.

უფლისწულ. «აზნაურთა შვილი». მათ ეამთა შინა ბერძენთა მეფემან ზემონი ქუეყანანი დაჲთო კურაპალატსა მისცნა და აზნაურთა შვილნი მძევლად ითხოვნა მისგან; ცოლის ძმათა მამისა იოვანესთა ძე მისი ეფთჳმე სხუათათანა უფლისწულთა მძევლად მოჰჳარეს შეფესა 10, 1—4; რაჲთამცა ნახნა თჳსნი უფლისწულნი 85, 4.

უფროჲს (ზედსართ., უმეტესად მრ. რიცხვში დაყენებულ სახელთან) უმეტესი ნაწილი, უმეტესობა. შთაწმიდგლთა უფროჲსნი საურაენი 50, 9; უფროჲსნი წიგნნი 50, 12; უფროჲსნი

დღენი 89, 5; უფროჲსი სათესავი 90, 2.

უფროჲს, უფროჲსად (ზმნიზ.) უფრო, უფრო მეტად. უფროჲს ხოლო 23, 5; უფროჲსჯერ მოსენაენიცა ძმათა სათნოებისათჳს ძმათავე თანა გავიდიან, უფროჲსდა, ოდეს მამად მუნ არ იყვის 97, 8—9 (უფროჲსჯერ—უფრო ხშირად; უფროჲსდა—უფრო კი); უფროჲსად უხარინ 93, 3; არა მცირედნი განსაცდელნი მოიწეოდეს დლითი-დღე ძმათა ზედა და უფროჲსად ნეტარსა არსენის 118 ხ, 29; უფროჲს ყოვლისა 5, 5; უფროჲს ათორმეტისა კენდინარისა 26, 2; უფროჲს ოცისა ლიტრისა 84, 8.

უქმ. უქმ იქმნა ჯელი მისი 106, 3.

ულმითო. უღმერთოჲ სკლიაროსი გაგჳადგა 16, 13.

ულონო 1. უძლური, არაფრის შეძლე. შეიწრდა და უღონო იქმნა 53, 8.

2. შეუძლებელი. ამის ესევეთარისა გრცელისა ლავრისა დამკირეჲა უღონო არს 25, 9. **ულონოება** უმწეობა, გაჰირებული მდგომარეობა. ფრიადსა უღონოებასა შთავარდეს 17, 1.

ულუნობა. უღუნობაჲ და უსაჰმლობაჲ განუწყესის 60, 10.

უშფოთველ. უშფოთველი ცხოვრებაჲ 41, 10; უშფოთველად იყვნეს 101, 8; სიმშჯღისათჳს და უშფოთველობისა 77, 7.

უცალოება მოუცლელიობა. ფრიადისა უცალოებისაგან და საურავთა 50, 1 ბ.; თჳნიერ უცალოებისა 89, 2.

უცხო 1. სხვა ქვეყნისა. უცხონი თუ მოვიდიან 95, 7; თუ უცხონი იყვნინან 96, 2; ჩუენცა უცხონი ვართ და შენცა უცხო ხარ 51, 8; **2**. სხვა. უცხოთა ქუეყანასა წარხუალთ 33, 19.

უცხოება სხვა ქვეყანაში ყოფნა. უცხოებაჲ აღირჩია 5, 2; უცხოე-

ბასა ვართ 36, 7; კუალად უცხოე-
ბასავე ნიჰართა 12, 3; რა უცხოე-
ბასა სამე წარვიდე 33, 22.

უქალურ. რომელნი მეტადრე უძ-
ლურნი იყვნინ 75, 4; უძლურთა
ძმათადა გაქრესა 2; უკეთეთ უძლურ-
თანი იყვნინ (კოტობნი), მიუშვს 82, 4.

უძლურება. თვნიერ დიდისა უძლურე-
ბისა საქმელსა არავენ შეიქნოდა 82, 1.
უძნ ნ. ძნ.

უწესო. ვერარას იკადრებდეს უწე-
სოსა საქმესა ქმნად 98, 13; უწესოდ
გულს წყრომად 68, 3; მონასტერი უწე-
სოდ გავა 68, 5.

უწმიდეს ნ. წმიდა 1.

უწუერულ წვერ-ამოუსვლელი. უწუე-
რულთა მუშათა ნუ შეიწყნარებ 91, 2;
უკეთეთ ძმათა ვიეთმე მოიყვანინა უწ-
უერულნი 92, 2.

უწუმრად. იქმნა ოდესმე გუალვად
ფრიადი და მასი და იენისი და იელისი და
აგუსტოსი უწუმრად გარდავლო 55, 2.

უწყ. უწყის (ღმერთმან) 2, 2.

უწყება მოთხრობა. ცხორებად და
უწყებად (სათაურში). ა 3, ცნობება
(ა). ყოველი ჭირი ჩუენი აუწყე 19, 6.

უხუებით 98, 14; 113, 1 ბ. უხვად.

უხუცეს უფროსი. ერთი უხუცესი
და ერთი უმრწემესი 60, 2; მუშათა უხუ-
ცესი 97, 1.

უჯამურ ფებ-შიშველი, უფესსაცმოლო.
უსაგძლონი და უჯამურნი 118, 21.

უჯმს ნ. ჯამ.

უჯორცო. ანგელოსთა ებითეცია. ეი-
თარცა უჯორცოდ 35, 2; ვა უჯორ-
ცონი 104, 22.

უ

ფარვა. ყოვლადვე გვლუწის და გუ-
ფარავს უღირსთა ამაო 118, 18.

ფახებულ. ას დრაჰენად ფახებუ-
ლი 31, 17; ხუთ ლიტრად ფახებუ-
ლი 32, 12.

ფერ. ყოვლითა ფერთა ყველაფრად,
ყოველგვარად, ყოველითავე ფერი-
თა აღაშენის 115, 21; **მრავალფერი.**
ესევეთარი ესე მრავალფერი ლელ-
ვა 118, 30.

ფერისცვალება 56, 2 საეკლესიო
დღესასწაული (ძველი სტილით რ აგვის-
ტოს) სახარებაში მოთხრობილი ერთი
ეპიზოდის მოსაგონებლად (მათ. 17, 1-8).

ფეშხუმ ნ. ბარძამთან.

ფიჩუ (მათ. 5, 40 C; მარკ. 10, 50 C)
ნოსასხამი, **ფიჩოსან** მონაზვნის ებითე-
ცია (= *πασιφροει*). მრავალნი ფიჩო-
სანნი და სახელოვანნი მონაზონნი ჩა-
მოიტანნა 25, 1.

ფიცხელ ძლიერი, დიდი. ფიცხე-
ლი შფოთი 68, 2. **ფიცხლად:** ფ. გან-
კანონის 66, 5; ფ. ამხილის 78, 8; ფ.
ამხილიან 67, 2; ფ. მოწყლა 112, 20 ძა-
ლიან დააშავა.

ფოლ (სპ, სპ) წვრილი ფული, სპი-
ლენძისა. არცა თუ ფოლსა ერთსა
ზედა უფალ იყო 26, 10 [„ფოლი“ ძველი
გამოთქმაა სპირსული სიტყვისა, „ფული“
კი—ახალი (ძველი გამოთქმა ხნოენისა
დღესაც შემონახულია სომხურ *ჟიურ-ნი*)].

ფრთხილ. გორციელთა საქმეთა ზედა
ფრთხილ იყო 115, 9; ფრთხილი
გორციელთა საქმეთა ზედა 39, 6;
ფრთხილი და მძიმე კაცი 115, 16;
ფრთხილსა და სულღერსა 95, 1;
ფრთხილად და ლმობიერად დგეს
94, 6.

ფრიალ 1. (ზედსართ.) სივრცე ად-
გილისა ამის დიდებულისა და ფრიალ

იყო 118, 20 (აქ ფრიად წრფელობითა: შტრ. სიმორშ ქუეყანისა ჩუენისად დიდ იყო: იქვე შემოო); ერი ფრიადი 55, 1; გუალეა ფრიადი 55, 1; ფრიადი ერი 112, 22; 115, 17; ფრიადი სიყუარული 52, 2; ფრიადი მწუხარებაჲ 113, 19; ფრიადი სიგრილე 6, 4; ფრიადი სიმრავლე 30, 7; ფრიადნი წიგნნი 109, 10; ტყებთა ფრიადითა 113, 7; ფრიადითა ოფ-

ლითა და ღუაწლითა 23, 9; ფრიადითა გამოძიებითა 118 c, 20; ფრიადითა წარსაგებელითა 117, 10; 118, 9.

2. (ზმნიზ.) ჩუენ ფრიად შემციობულ ვიყვენით 118, 41; ფრიად რაჲმე შეიყუარა 115, 11.

ფურცელ. ფურცელი სეთა და ვენაჲთა გაცჷა და სცოდა 55, 3.

[ფუფუნება-2, ფუფუნებითა (სუნ. 56, 12)].

ქ

ქალწულება. იტქმის მანაკაცხედაც: (ეთთმეს) ქალწულებთა შეუხებელი და უბიწო დაემარხა 108, 13.

ქენება ხეწნა. დიდითა ქენებითა 33, 27; სუჲანი მრავალნი ვედრებანი და ქენებანი ეწერნეს სამეფუთათა წიგნთა შინა 16, 2 ბ.

ქველის მოქმედება ქველის საქმარის გაღება. დიდთა მათ ქველის მოქმედებათა მათთა მიერ აღვაშენე ლავრაჲ ესე 40, 9—10.

ქველის საქმარ, ქველის საქმე მოწყალება. საზოდგარი ფულად თუ სხვა ნიეთის სახით (სათნოების ერთ-ერთი სახეა). არცა თუ შესაძლებელ არს ყოველთა მათ ქველის საქმეთა მათთა სითოეულად წარმოთქუმაჲ, რომელთა-იგი უმეტეს ყოველთა სათნოებათა მოწყალებაჲ შეიტკბო და ვითარცა სამოსელი შეეშოსა 32, 4—1 ბ.; პოვა ვინმე გლახაკი, რომელი ითხოვდა ქველის საქმარსა და დადგა წმ. მამად ჩუენი, რაჲცა მისცა მას ქველის საქმარი, ხ იგი აღდგა და მოჰპართა მიღებად ქველის საქმისა 112, 16—18. შტრ. ქველის მოქმედება.

ქმნა. ამისი ქმნაჲ შეუძლებელ იყო 25, 3; ვითარცა ბრძანონ, ეგრეცა ქმენ 33, 15; **ქმნაჲ საქმლისაჲ** ნ. შექმნაჲ.

ი ვნ. იქმნა ოდესჲ გუალეაჲ ფრიადი 55, 1; რი-იგი იქმნაცა 111, 14.

ე. რა მიხვხ ცხოვრებისა ექმნა სულსა მათსა 51, 14.

ქორაკანდელ. საბას ახსნით, ეს არის „საკიდარი ცომლი“, ე. ი. ლუსტრა (χώρας და *χώρα*-ისაგან?). სასყიდლად ქორაკანდელთა, გეშაპაკთა და ჯაჭუთა და კელაპტართა 32, 8 [გვხვდება აგრეთვე გ. ნოაწმიდლის ცოვრებაში: აღმოიყვანა (ნაწილი წმ. იოვანესნი, არსენი ნინოწმიდეელისანი და იოვანე გრძელის ძისანი) და დაუსუნრა ქუეშე კერძო ნაწილთა წმ. მამისა ჩუენისა ეთთქმესთა, და დაჰკრძალა სამართვლოჲ იგი განუღებელად ვიდრე დღენდელად დღედმდე და შეამკო იგი ყოველითა სამკაულითა: ხატითა და ჯუარითა, ქორაკანდელითა, სასანთლითა და ეზოთა და სხუთა ყოველითავე პრწყინვალეებითა“. ათონის კრებული, 301].

ქუ-ან. ა. რაბამი სიყუარული აქუს 33, 13; უკუეთუ აქუნ ხილი 104, 19; ჩუეულებაჲ აქუნდა 69, 1; აქუნდა ზრუნვაჲცა 110, 1; დიდი სარწმუნოებაჲ აქუნდა 104, 11; ესრეთ გაქუნდინ 70, 16 ისე უნდა მიგაჩნდეს. გვხვდება

ასეთი ფორმაც: ჰქონდა 98,6; 98,14; სიყუარული ჰქონდა 110, 8.

ქუე. ქუე მწოლარემან 68,23; ქუე მოდრეკით 64,7; ყოველსა ქუე მოიღებდიან 102, 3.

ქუემო. ესე ქუემო წერილი მოსაგსენებელი 118, 5. ნ. ზემო 2.

ქუეყანა 1. მიწა, земля (ძველი მნიშვნელ.). თუალნი მისნი იყვნინ ქუეყანად მიმართ მხედველ 108,7; მისკირდა ქუეყანასა 55, 2.

2. ქვეყანა (ახალი მნიშვნ.). სიმორც ქუეყანისა ჩუენისა 118, 19; ქართ-

ლისა ქუეყანა 47,2; ქუეყანა ჰრომისა და საბერძნეთისა 51, 3; საბერძნეთისა ქუეყანად 9,2; უცხოსა ქუეყანასა 33, 19; 35, 14; თუსსა ქუეყანასა 13, 1; ამიერითგან არცაღა მეფეთა თანა მიც შესაპოვარი, არცაღა სხუასა ვის ქუეყანასა ზედა 17, 8. **ზემონი ქუეყანანი** 13, 1 (ნ. გეოგრ. სახელების საძიებელში).

ქცევა, ე, მოპყრობა. რა მარჯუედ ექცეოდინ 65, 5. ნ. მიქცევა, მოქცევა, შექცევა.



ლა (ნაწილ.) 1. კიდევ, ჯერ კიდევ. ვიდრე ყრმა-ლა იყო 45, 8; ვიდრე-ლა მამა იოვანე ცოცხალ იყო 50, 4; 51, 1; უკუეთუ კულა ქმნის-ლა 61, 6; უკუეთუ მეორედ ქმნის-ლა 67, 3. **2.** კი. უფროდს-ლა 97, 9 უფრო კი. **არცა-ლა... არცა-ლა** 17,8; **აწლა** აი ეხლა. აწლა წარმომიღვა ეინმე დიდებული დედოფალი 46, 2.

ღელვა. 1. ჟამსა ღელვათა ტეხისა და ზამთრისასა 118 ხ, 22.

2. სულიერი მღელვარება. დიდსა ღელვასა და მიმოტაცებასა შთავცვენით 116, 8; მრავალფერი ღელვა 118 ხ, 30.

დილო-კილო დილი და კილო, წიგნის შესაკრავი. ოთხთავი სტავრაძთა შემოსილი და გეცხლისა დილო-კილოძთა და ჯუართთა 31, 15.

ღირსი. 1. ღირს გუყვენინ უნ 1, 11; ღირსი კაცი და შერაცხილთა შვილი 79, 1; უწყებად ღირსისა მის მოქალაქობისა მათისა. **2.** ეპითეტია საპატიო პირისა, უმთავრესად სამღვდელისი. ღირსთა მათ და ნეტართა

მონათა მისთა 2, 8; ღირსი იყო და საყუარელი ღმ 5, 1; ამათ ღირსთა და სანატრელთა მამათა ჩუენთა 30, 1. ღირსსა მღდელსა გაბრიელს 52, 1. **უღირსი.** ყოვლადე გულუწის და გუფარავს უღირსთა ამათ 118 ხ, 17. **ღირსად როგორც** შეჰფერის. ღირსად უკეთურებსა თუსსა 105, 2 ბ.

ღირსება ირიბი მიმართვის დროს (ზოგჯერ სხვა შემთხვევაშიც) მორიდებულ საუბარში სახმარებელი სიტყვა. არა უმეცარ არს ღირსება 79, 15; ვევედრები ღირსებასა თქუნსა 3, 5; რაბამი სიყუარული აქუს მეფეთა ღირსებისა შენისა 33, 13; აზნაურთა ჩუენთა დიდი სარწმუნოებად აქუნდა მათისა ღირსებისა მიმართ 104, 11.

ღმერთ-შემოსილი-ი (αποστολικός, θεοφορικός, богоносный) წმ. მამათა ეპითეტია (3, 6; 6, 9; 6, 11; 29, 17; 50, 2; 104, 1, 28; 113, 9.

ღმრთეება. სადიდებელად ღმრთეებისა თუსისა 1, 6.

ღმრთივ სულიერი (θεόπνευστος, богодухновенный). აღავსნეს ივინი (ეკლე-

სიანი) წიგნთა მიერ ღმრთივე სულ-
ერთა 4, 16.

ღმრთის მოყუარება. ვაუწყეთ ღმრ-
თის მოყუარებასა თქუენსა 27, 3.

ღმრთის მსახურ. ოქრო-ბეჭედნი
ღმრთის მსახურთა მეფეთანი 4, 16.

ღონე ხერხი. რაათაჲა ღონითა ანუ
მანქანებითა 118 c, 3 ბ.; **უღონო** უქალუ-
რი. შეიწრდა და უღონო იქმნა 53, 8.

ღონისძიება. ყოვლითავე ღონის-
ძიებითა 53, 9; ყოვლითა ღონის-
ძიებითა 117, 2.

ღრუბელ. გამოჩნდა მცირე ღრუბე-
ლი 55, 14.

ღუაწ (ღუწ), ი. 1. შრომა, მოღვა-
წეობა. ლიტონთა დღეთა თჳს-თჳს იღუ-
წიდიან 104, 22; მრავალ ჟამ იღუ-
წიდეს მუნ კეთილსა ღუაწლსა მო-
ნაზონებისასა 35, 9-10; რთა-იგი
იღუაწეს გე სისხლთა დათხევადმდე
118 b, 1 ბ.; იღუაწე, რაათა განა-
მრავლდ სასყიდელი შენი ღნისაგან 47, 3.

2. ცდა (ე), стараться. უკუეთუ მცნე-
ბათა ღმრთისათა დამარხვად იღუა-
წოთ 41, 2; რომელთა ქართველთა გან-
მრავლებად იღუაწონ 118 d, 10.

3. ზრუნვა, მოვლა (ავადმყოფისა და
სხვ.), გამასპინძლება (სტუმრისა), მო-

წყალების მიცენა (გლახისათვის). ყოვ-
ლადვე გვლუწის და გუფარავს ული-
რსთა ამით 118 c, 18; მრავალნი გლა-
ხანი იღუაწნა 112, 6; დაითრგუნნის,
იღუაწნის 83, 2 (აქ „იღუაწნის“
A-ში სხვა ხელით არის მიწერილი),
[შდრ. შეუხვა წყლული იგი და დაასხა
ზეთი და ღვინო და აღსუა იგი თჳსსა
კარაულსა და მოიყვანა იგი ყოველთასა
მას სადგურსა და იღუაწა იგი: ლუ-
კა 10, 24].

ღუაწლ შრომა, ჯათა (ხშირად
„შრომასთან“ ერთად იხმარება, როგორც
მისი სინონიმი). ღუაწლნი და შრო-
მანი 2, 20; ღუაწლთა და შრომათა
4, 7; მისთა შრომათა და ღუაწლთა
ზედა 89, 1; ჯორთა მსახურებისა ღუა-
წლი 9, 4; ოვლითა და ღუაწლითა
23, 9; დიდითა ღუაწლითა 118, 9;
რავდენნი ღუაწლნი მოითმინნეს
118 b, 17.

ღუედ. ერთთა ჩოჯათა მიამთხვან
ღუედითა 68, 18.

ღუნო. ღვინო შეიძლება ყოფილიყო
სუბუქი (70, 8), საშუვეალი (70, 9)
და უმჯობესი-რე (70, 9). **უღუნო-**
ბა-2 60, 2 ბ.

ღჳძ, ი. შინა ვიღჳძებ 94, 4.

ქ

ყენება, ი/უ, დაჭერა, დაკავება (ი/უ).
პურსა არავინ უყენებნ ქართველსა
115, 23.

ყველ. კოკად ერთი ღვინო თუესა
შინა და ყველი ერთი და სამი ლიტ-
რად ზეთი 84, 10 [რადგანაც ერთი ყვე-
ლი ეძლეოდა თვეში, ეს ერთი ყველი
მოზრდილი კვერი უნდა ყოფილიყო,
ალბათ გულისა].

ყოდ არცა იყიდდეს 78, 4; იყი-
დის 81, 7. ნ. სყიდა.

ყივილ ყვირილი. ყივილი ერისა
მრავლისაჲ 56, 8.

ყოველ 1. ყოველი, ყოველგვარი.
ყოველსავე საჭმარსა მათსა უხუებით
მისცემდა 35, 2 ბ.; ყოვლითა წესიე-
რებითა 6, 5; ყოვლითავე ფერი-
თა აღაშენის 115, 21 ყოველგვარად.
აქედან: ყოვლითურთ (ნ.).

2. ყველაფერი. ვა ესე ყოველი
წარმოთქუა 43, 1.

3. მთელი. ყოველსა საქართველოსა 118, 24; მთა ყოველი 117, 3; (წუმამან) დაათრო ყოველი ქუეყანა 55, 16; დღე ყოველ 60, 6 მთელ დღეს; ყოველი გელმწიფება და უფლებად 39, 1. 1-ლი და მე-3 მნიშვნელობა მოცემულია ამ ნაწყვეტში: ყოველსა ქუეყანასა სწყალობენ და ყოველთა გლახაკთა ეურვიან 40, 7-8.

ყოვლადვე 1. ა) ყოველთვის, სულ. ებრძანა მეტრაპეზისადა, რომელ ყოვლადვე თასითა ღვინოსა დაუდგმიდეს 70, 4; ლოცვასა ყოვლადვე ეკლესიისა კართა თანა დგან უხუცესი ეპიტრიტიისი 61, 1; ყოვლადვე მამად მათ თანავე იყვის 89, 6; ყოვლადვე ეტყვნ ნეტარი მამად ჩუენი იკონომოსსა 91, 1; ყოვლადვე ვანუშორებელ იყენეს 113, 6; ყოვლადვე გვლუწის 118 c, 17.

ბ) ოდესმე (უარყოფითს წინადადებაში: არასოდეს). თვნიერ განკითხვისა არარას იქმოდა ყოვლადვე 107, 2; ტრაპეზსა ზედა ყოვლადვე არა უბნობნ 70, 1; ყოვლადვე არა იყო დრტუნვად 68, 3 ბ.; სხუად ძმათაგანი ყოვლადვე ვერვინ იკადრებნ უბნობასა 71, 6; უბნობასა ურგებსა რადთურთით არავინ იკადრებდა ყოვლადვე 95, 10.

2. (ესეც უარყოფითს წინადადებაში) სრულებით, სრულიად. ყოვლად-

ვე არა მელმის 46, 7; ყოვლადვე არა თავს-იდვა 57, 4; ყოვლადვე არა აცილა 115, 6. ზოგჯერ შეიძლება „ოდესმე“-ც იგულისხმოს კაცმა და „სრულებით“-აც: სყიდად გინა ღვინისად გინა თევზისად ყოვლადვე არა ჭსენებულ არს მონასტერსა შინა 81, 1.

ყოვლითურთ სრულიად. ყოვლითურთ მრთელი 45, 1 ბ.; უტხო იყენეს ყოვლითურთ ტყუფილისაგან 4, 5.

ყოლა (← ყოვლად) სრულიად, სრულებით. უკუეთუ სუბუქი ღვინოდ იყოს, ყოლა ნუ ურთავ წყალსა 70, 8.

ყოფა 1. ქმნა. გარნა რად ვყო, არა ვიცი 19, 11.

2. ყოფნა. უკუეთუ კრებულსა შინა ენების ყოფად 115, 22. აქედან: მყოფი (მიმღ.); კრებულსა შინა მყოფნი 93, 5; შინა მყოფნი 73, 2.

ი ვნ. ნუ იყოფინ 6, 6; 79, 20.

ვ. კმავება. არა გეყოფისა სენაკსა შინა ძილი 94, 3.

ყრმა 1. ბავშვი. წუთლა ყრმა იყენეს 18, 1; ვიდრე ყრმა-ლა იყო 45, 8; სამთა ყრმათა 49, 29.

2. ბიჭი, ვაჟი (მიმართვის დროს). ყრმანო, საწვმრები უკუანა წაიღეთ 55, 11 ბიჭებო, საწვიმრები თან წაიღეთ (მიმართვაა დიდი კაცებისადმი).

უუედრებანი 118 b, 7. საყვედურები. **უურძენ** 98, 5.

ქ

შებნელება, დ. ოდნავ დაბნელება (დ). ვითა შებნელების 52, 5.

შეგვან. შეჭავს შეჭფერის. ვითარცა ამას ქუეყანას შეჭავს 24, 5.

შედგომა მიყოლა. თვსსა განზრახვასა შედგომადა წარმწყმედელი არს სტლისად 107, 3.

შევედრება, ვ. ჩაბარება (ა). მათთავე კელთა შევეჭვედრებ 40, 6; წინამძღურობად ძმათად შეჭვედრა გიორგის 109, 8; ძმანი მამასა გიორგის და მამასა გრიგოლს შეჭვედრნა 118, 35.

შევრდომა, ი/უ, შევარდნა, ჩა- (ი/უ). შეუვრდეს თორნიკს 17, 2; შეუვრდა ფერჯთა მისთა 118 c, 2 ბ.; ფერჯთა შეუვრდეს 18, 6.

შეიწრება, დ, გასაჭირში ჩავარდნა. შეიწრდა და ულონო იქმნა 53, 8. შეიწრებულნი 118 ბ, 8.

შეკაზმვა გაკეთება. მოგესენა ხატი, რომელი მხატვრისადა მიეცა განსაგებელად, და უბრძანა მოწაფესა, რაათა წარვიდეს და უთხრას, ვითარ ჯერ-არს შეკაზმვაჲ მისი 112, 12.

ი/უ. (გა)კეთება (ი/უ). რაათა კიდე შეუკაზმვიდენ პურსა 69, 6 რომ ცალკე უკეთებდენ პურს (=უმზადებდენ საქმელს).

შეკრება, შემოკრება. არა გასწყდებოდა შეკრებად 95, 6; კართა ზედა შეკრებასა 95, 9; ყოველნი ძმანი ერთად შეცკერებით 118, 4; და ჩუენ შემოკერებით 118 c, 1. **შეკრებულ** იყვნეს 55, 9.

შელაღვა, ი. ვნ., წაჩხუბება (ივნ.). უკუეთუ ვიეთნიმე შეილაღნიან ძმანი 63, 1.

შემდგომად 27, 10; 118 c, 23 შემდგომად. **შემდგომითი-შემდგომად** 1, 8; მიეცემოდის კანდელაკსა შემდგომითი-შემდგომად 119, 7.

შემზადება, ი. შეიმზადა მახული 105, 7.

შემთხუევა, ე, შეხვდომა, შეყრა (ე). შეემთხვა მას სხუადცა მოწაფე 105, 17.

შემკულ. გვრჯნითა წამებისათა შემკულნი 105, 20.

შემოკრება ნ. შეკრება.

შემოსა, ი. შევიმოსე სახე ესე 19, 9; სახე მონაზონებისად შევიმოსე 17, 7. **შემოსილ.** სულითა შემოსილი (πνευματωφθόρος) 104, 3; ღმერთ-შემოსილი *πνευματωφθόρος*, *ψευδοφθόρος*) 104, 4.

შესამოსელ (ნ.).

შემცილება, ა. ქართველნი უგულუბელს-ყვნა და შეამცირნა 115, 13.

შემწე. შემწედ და მსახურად შეიწყნარნა ბერძენნი 118, 20.

შენ. შენ არს აშენებულია. სადა-იგი შენ არს ეკლესიაჲ 55, 5.

შენდობა პატიება. გუთხოვე შენდობაჲ 119, 16.

ი/უ. უფალმან შეგინდვენ 29, 18; უფალმან შეგინდვენ თქუენ 11, 6; შემინდვეთ 17, 9; შეგვინდვეთ, ვერ მოგპარსავთ 83, 3; რაათა შეუნიდოს 53, 15; შე შემინდობია 53, 14.

ი ვნ. რომელი-იგი გმო, მისგან შეინდოს 53, 14.

შეპოვნება მორიდება, ხათრი. მეტნი რაამე შეპოვნებანი და ლიქნანი ვერ შეეძლნეს 115, 16; კაცისა ვისმე შეპოვნებითა 118 c, 1 ბ. **შესაპოვარ** მოსარიდებელი, მოსახათრებელი. შეამიერითგან არცალა მეფეთა თანა მიცესაპოვარი 17, 8.

შეპყრობა. სენითა მძაფრითა შეპყრობილ იქმნა 45, 8.

შერაცხვა მიჩნევა, ჩათვლა. ყოველივე ღიდებაჲ ამის სოფლისაჲ შეურაცხ-ყო და ნაგვეად შეჰრაცხა 8, 2—3. შდრ. შეურაცხება.

შერაცხილ 1. მითვლილი, რიცხვში შესული. მათ თანამცა შერაცხილ არს 118 d, 6. **2.** მალალი წოდებისა (საწინააღმდეგოა: შეურაცხი: უშშ. წამ., 9, 7). ღირსი კაცი და შერაცხილთა შვილი 29, 1.

შერისხვა, ნ 2. შეჰრისხნა 53, 10 გაუწყრა, რისხვით მიჰპართა.

შერყევა, ი ვნ. აღრე შევირყევეთ 115, 14. შდრ. მძიმე.

შესამოსელ. იყო ვინმე მთავარ-დიაკონი ... და თჳსი შესამოსელი, რომელი დაედვა ეკლესიას, არა ჰნებავნ, რაათამცა ვინმე შეიმოსა იგი თჳნიერ

მისა 79, 2 (შემდგომიდან ირკვევა, რომ ეს იყო კუართი: დღესა ერთსა ენება მამასა ჩუენსა შეწირვად უსისხლოდსა მსხუერპლისა და ჰრქუა სხუასა ვისმე მთავარ-დიაკონსა, რაათა შეიმოსოს კუართი იგი შესამოსელი პირველ ქსენებულისა მის მთავარ-დიაკონისა 79, 1—6; გნებავსა, რაათა შეიმოსოს ძმამან მან კუართი შენი 79, 10); გინა საბეჭური იყვნიან გინა შესამოსელი ანუ თუ კუნკული 78, 9 [ამონაწერიდან ჩანს, რომ „შესამოსელი“, საზოგადოს გარდა, ერთ კერძობითს ტანსაცმელს აღნიშნავდა. ამ შემთხვევაში საბეჭური სხვა და შესამოსელი სხვა. „შესამოსელს“ სხვანაირად „კუართი“ ჰრქმევია და წირვის დროს მთავარ-დიაკონს სცმია]. საკურთხევის შესამოსელი ოქრო-ნემსული 31, 10 (ამ შემთხვევაში „შესამოსელი“ საზოგადო მნიშვნელობით არის ნახმარი).

შესაპოვარ ნ. შეპოვნება.

შესაქმე შექმნა, გაჩენა. საქმენი სოფლის შესაქმისანი 2, 7.

შესუენება. 1. დასუენება (დაღლის შემდეგ). შეუსუენებელად თარგმნინ 48, 5.

2. იუობ. გარდაცვალება. ნეტარმან იოვანე შეისუენა 6, 11 (38, 2); არსენი და იოვანე შეისუენეს 111, 9.

შესხმა შექება, ხობა. შესხმა ძმისა თვისა ბასილისი 49, 20.

შეტირ-ილ, 2-პ. (გარდაუვ.). შეცსტიროდით 118 ხ, 23.

შეტკობა, ი, სიამოვნებით მიღება, ტკბილად მოპყრობა. სიმდაბლესა შეტიკობდა 57, 7; ვითარცა მამამან სახიერმან შეტიკბნის 118, 32, უმეტეს ყოველთა სათნობათა მოწყალებად შეტიკბო 32, 21 (აქ „შეტიკბო“ II თურმეობითია);

ი ვნ. ურთიერთარს გამოცხადნეს და სიყუარულითა სულიერითა შეტიკბნეს 14, 3.

შეურაცხ პიროვნების დამამცირებელი, დამამდაბლებელი. ჯორთა მსახურებისა ლუაწლნი და სხუანი მსახურებანი უნდონი და შეურაცხნი სიმდაბლით აღასრულნა 9, 5.

შეურაცხება შეურაცხყოფა. რავდენნი შეურაცხებანი და ყუედრებანი მოიწოდეს 118 ხ, 6; გინებთა და შეურაცხებთა 118 ხ, 21. ნ. შერაცხვა.

შეურაცხ-ყოფა. დიდებად ამის სოფლისა შეურაცხ-ყო 8, 2. ნ. შერაცხვა.

შეუსუენებელად ნ. შესუენება 1.

შეუხებელ. ქალწულებად შეუხებელი და უბიწო 108, 13.

შექმნა, ი (მარტოოდენ I სერიაში; II სერიაში უხმოვნოდ), გაკეთება (საქმლისა). თანიერ დიდისა უძღურებისა საქმელსა არავინ შეიქმოდა 82, 1; რაათა საქმელსა არა იქმოდინ 96, 1; მათოჯს ზოგჯერ აღვილსა შექმნიან (საქმელი), ზოგჯერ საშხარეულოს 96, 3.

ი/უ. რაათა მათი საქმელი მან შეუქმნას 97, 6; საქმელსა ერთსა შეუქმოდეთო 100, 2.

შექცევა შებრუნება (დ) [ქვემოდან ზემოთ]. ძლით დაარწმუნეს მონასტრადვე შექცევა 33, 28.

ი ვნ. კუალად შეიქცა თვისავე მონასტერსა 33, 29; მერმე შეიქცა 21, 6; მოსწრაფედ შეიქცის 61, 5; ვესავ ღმერთსა, რომელ არა შევიქცეთ ამოდ 55, 11 (უნდა ასულიყვნენ ელიას მონასტერში მთაზე).

შექცეულ მიჩენილი, რაიმე საქმეზე გულ-დადებული. თვისა მსახურებას განკრძალულ იყო და წიგნთა საღმრთოთა თარგმნასა შექცეულ 115, 8.

შეყვანება, ი. ვითარცა სიწმიდე შეყვანეს 56, 6.

შეშა 106, 3.

შეშუება, ი/უ. სატრაპეზოს არა შეშუეს 61, 7.

შეშფოთებულ 45, 12, 17. ნ. შფოთ.

შერუენება. კრულობითა და შერუენებითა განჯანონა 19, 12.

შერუენებულ. წყეულ და შერუენებულ და განკუეთილ 118 d, 5; ...მცა წყეულ არიან და შერუენებულ 118 d, 9.

***შეძლ, ი/უ** (სტატ., შემიძლავს; II სერ. ე). რომელსა კრებულსა შეძლის მსახურება 115, 21.

***შეძნ, ი/უ** — დ. შეუძნდა საქმეს 12, 2; შეუძნდა ესე სანატრელსა მას 54, 7. ნ. ძნ.

შეწევა, 2 (გარდაუვ.). რეცა სამართალი წესწევდა 118 c, 11 ვითომც სამართალი მათ მხარეზე იყო.

შეწევნა, ე. დახმარების აღმოჩენა, დახმარება. აქედან: **შეწეულ** (მიმღ.). არა თუმცა უფალი შეწეულ იყო ზუენდა 117, 5.

შეწირვა. შეწირვაჲ უსისხლომსა მსახურებისაჲ 79, 4.

შეწუვა, ი ვნ. შეიწუებოდა წყალობითა ჩუენითა 118 b, 11 იწვებოდა ჩვენი სიბრალულთ.

შეწუხება, ნ (ან დ). შეწუხნა 53, 10; იგინცა შეწუხდებიან 83, 7; და შერმე შესწუხდეთ 83, 6.

შეწყნარება, ი, მიღება. მან ყოველი სიმდაბლით შეიწყყნარა 19, 2; სიხარულით შეიწყყნარეს 51, 7; შემწედ და მსახურად შეიწყყნარნა ბერძენნი 118, 20.

ე. მუნ შეეწყყნარა 12, 5 იქ იქნა მიღებული, იქ მიიღეს.

შეწყუდევა. საპყრობილედ შეწყუდევაჲ 118 b, 30; შეწყუდეულად იყვნეს ქალაქსა 16, 2.

შენება ნ. შეუხებელ.

შთასასუნებელ. ნაწილის შთასასუნებელ სანაწილედ. ნაწილის შთასასუნებელით წვეცხლისაჲთ 31, 9 (მელქისედეკ კათალიკოზის სიგელში მოხსენებულია სანაწილედ და ასაპყრობელი: თ. ჟორდ., ქრონიკები II, 34, 26).

შინა 1 (ზმნიზ.). შინა და გარე 39, 3; 98, 11: 111, 11; გინა შინა მონასტერსა, გინა გარე შეტოქთა 98, 6; შინაცა და გარეცა 104, 1.

2. (თანდებ.). მონასტერსა შინა 66, 2.

შინა - გამოღებით შინაურულად (?). შინა - გამოღებით მრავალ-ფერთა საქმეთათჳს ამხილა დედოფალსა 19, 1.

შინა-განმცემელ მოღალატე. უკუეთუ ვინმე გამოჩნდეს და... ქართველთა შინა-განმცემელ ექმნეს 118 d, 1; რომელნი-იგი შინა-განმცემელ ექმნეს ი. ქრისტესა 118 d, 6.

შინა-მყოფ. შრომისა დღეთა შინამყოფნი და ხუცესნი და დიაკონნი მსახურებდიან 73, 2 („შინა-მყოფი“ ალბათ ის იყო, ვისაც არ ევალებოდა სამუშაოზე გასვლა).

შორიელ. შორიელთა და მახლობელთა 5, 12.

შრომა ნ. შურომა.

შტო (στος) სტოა (ეკლესიის გვერდით სვეტებზე დაყრდნობილი ფრთა, გადმოხურული). შტოსა გაიყვანის 58, 12; თჳთ გაეიდის შტოსა 58, 13; უძლურთა მძათადა გაეწესა და ეკლესიისა შტოსა დგიან მიყრდნობით კუერთხთა მათთა ზედა... რომელნი მეტადრე უძლურნი იყენიან, მათდა ებრძანა, რომელ შტოსავე შინა სხდენ. იგინი სკამთა ზედა 75, 2—4 [P. P. შეცლომით მას ქართ. „შტო“-საგან აწარმოებს და სომხ. *ստո*-ს უღარებს, p. 41;

სტოას შესახებ ნახეთ ივ. ჯავახიშვილი, Термины искусств, XV III, 25, და კ. ქეკელიძე, Иер. канонарь გვ. 213].

შუება. ნ. მიშუება, შეშუება.

შუდეულ ერთი კვირა (შვიდი დღის განმავლობა). გარდაცდა შუდეული ერთი 17, 13; სამთა დღეთა შუდეულისათა 69, 2. ნ. მსგეფსი.

შურ 1. ძლიერი წადილი, მონდომება. რაჟთა შურად და ბაძვად მოვიდოდით 2, 13.

2. „მწუხარება სხვა კეთილსა ზედა“ (საბა). განილეოდა შურითა 105, 4; აქედან: **მოშურნე** 105, 1 ვისაც კშურს.

შურობა, შრომა (ამ ძეგლში უპირიან ფორმებში გვხვდება, უპირობში არა) 1. მუშაობა, კეთება. შრომა მათი ლოცვადვე დაუთუალიან 60, 7; მიზეზისათვის შრომისა, რა ფრიად მოხარკე იყენეს ძმანი მაშინ შრომასა 69, 7—8; უფროდსნი დღენი ვენაჯთა შრომასა შინა დაყენიან 89, 6. **შრომისა დღე** სამუშაო დღე, ლიტონი დღე (არა უქმი). შრომისა დღეთა 73, 2 სამუშაო დღეებში.

2. ჯაფა, დიდი შრომა (ამ შემთხვევაში მისი სინონიზია, ან უახლოვდება მნიშვნელობით: ქირი, ღუაწლი). მრავალი შრომად დაითმინა 118 ხ, 29

(შდრ. არცა თუ ვეგების, რადენნი ღუაწლი მოითმინეს 118 ხ, 17). მრავალი შრომად და ქირი და რუდუნებად 117, 5; შრომით და ქირით 55, 2 ბ.; მისთა შრომათა და ღუაწლთა ზედა 89, 1. **შურების** (უნიშნო ვნ.) მუშაობს. ძმანი ყოველნი ძლიერად შურებთან 83, 7; ტკბილსა მას თაფლსა წიგნთა საღმრთოთასა შურებოდა 48, 7; რომელნი ძლიერად შურებოდიან დღე ყოველ 60, 6; ამას ყოველსა ძმანი შურებოდიან 90, 4.

შულლ: დიდთა შულლთა შთავარდი 33, 25; **შულლიანობა.** პირველითგანვე უძნდა შულლიანობად და შფოთი 33, 3.

